

1171/3
970



საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

ბუნების

4

1970



ენათობი

საქართველოს
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებათა
აкадеმიის
გამომცემლობა

სოციალური ლიტერატურა - მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერება

წელიწადი 46-ე

№ 4

აკრილი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

100 ზ. ი. ლენინი 100

ნიკოლოზ ბინოშვი — ხში. პოემა. თარგმნა ი. აბაშიძემ	3
ილია ვეკუა — გარდაცემული	7
ლალო სულაბერიძე — ლენინბრალი, შემოქმედის დღის ქრონიკა. პოემა	17
გიორგი ჯიბლაძე — ლენინი და ესთეტიკის საკითხები	28
მაკა ტიშბერიძე — ვნახე ლენინი. ლექსი. თარგმნა შ. აშირაძემ	51
შალვა ამისულაშვილი — ლენინი, საზოგადო და გავლენები. ლექსი	52
თეიმურაზ ჯანაშვილი — ვილინიუს ბალადა. ლექსი	55
ილია ხოშბერიძე — ლენინი ჩვენს ძალაში. ლექსი	57
გიორგი სამხარაძე — ლექსები	58
მინდია არაბული — ბალადა მგზავრისა. ლექსი	60
შაქრო სამადაშვილი — ლენინი. ლექსი	62
შალვა ფორჩხიძე — ლექსები	63
ვახა ფოლბანი — სურათის ერთი დღე. ნაწევები პოემიდან	65
ვალერიან კანდელაკი — დრო — ოცდაერთი საათი. პიესა	67
რევაზ ჯაფარიძე — ვნახე კვირა. რომანი. წიგნი პირველი. გაგრძელება	97
დავით კვიციანი — მშვიდობით, უსივრცე ტყეებში! რომანი. გაგრძელება	109
შალვა გოგალაშვილი — დიდი ლენინის სახე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში	130
ზ. ავაშვიანი — ზ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფო აკადემიის მუშაობის შესახებ	145



საქართველოს კავშირის კომიტეტის გამომცემლობა



აპაი ხვლეშვილი — ვ. ი. ლენინი — შერაღისტი, კუზლევისტიკის ფი- ოსტატი	152
პრ. ხაშთასი — დამოწმებული გოეთის „ფაუსტიანი“ ლენინის შრომებში	162
ფილიპე მახარაძე — ბელადის წერილები დედას...	172
კლიმენტი ვპალია — ილიჩის ხელის სიტყვა	176
არჩილ დავითიანი — დიდი ლენინის თემა ა. ისაკიანის ლიტერატურულ გე- კვირატობაში	181

მ ე წ ნ ი ე რ ე ბ ა

აპაი ხაშთასი — ასე ამხრის მატინი	183
----------------------------------	-----



მთავარი რედაქტორი: **ელგუჯა მალარაძე**

სა რ ე დ ა კ ტ ი ი უ ლ ე ბ ი ა:

ირ. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. ზამზამაშვილი, მ. ლეზანიძე, ბ. შლენტი, ა. სულაპა-
რი, ა. ქუთათელი, ე. ურუხანი (პ/პ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შინგალია, ვ. წულუ-
კიძე, ო. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩამბატაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალეფონები: რედაქტორის — 98-55-11-
პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 10/11-70 წ., ხელმოწერი-
ლია დააბეჭდად 4/11-70 წ., ასაწყობის ზომა
7¹/₄ × 12, ქაღალდის ფორმატი 70 × 108¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

№ 02036. ტირაჟი 12.500. შვკვ. № 452.

საქ. კბ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





100 ვ. ი. ლენინი 100



საქართველო
საბჭოთაო

პოემა „სამი“ ნიკოლოზ ტიხონოვმა თავის ახალგაზრდობაში დაწერა. სწორედ ნახევარი სა-
უკუნის წინ, ლენინის სიცოცხლეში, მისი დაბადების 50 წლისთავზე. იგი ერთი პირველი მხატ-
ვრული ნაწარმოებთაგანია დიდ ბელადზე. ახლა, როცა ამ სტრუქტურებს ვთარგმნი, ნიკოლოზ ტი-
ხონოვი წარდგენილია ლენინურ პრეზიანზე.

შე ამ თარგმანით მინდა სულით და გულით მივუღუცო ჩვენს დიდებულ მემკობარს ეს გა-
მარჯვება.

ირაკლი აბაშიძე

ნიკოლოზ ზინოვიძე

ს ა მ ი

მ ა რ ი ე ტ ა შ ა გ ი ნ ი ა ნ ს

3 მ ე მ ა

1

კარგად ბატონობს საგები სამის,
მხოლოდ საგები სტეკით ცემს მკაცრად.
კარგად ბატონობს საგები სამის,
მხოლოდ საგები მას არ თვლის კაცად.
სამის ის უცქერს სულ ცალი თვალით,
„მადლობის“ სიტყვას არ ეტყვის ერთსაც.
თუ პონს ზედ ცხვირთან არ მიჰგვრის სამი
ო, სამი მაშინ იწყველის ღმერთსაც.
სამი თუ შეცდა, საგები მაშინ
ბრძენია, როგორც ვიშნუ და შივა;
უროზგავს ტერფებს ლერწამის დაშნით, —
სამის სულ მუდამ ტერფები ტკივა.
სამი ჭირს უძლებს, რაგინდ გულს წვაედეს, —
სამის აქვს ჯიში ფეხმარდი მამის,
არ ზოგავს ტერფებს და წლიდან წლამდე
ფეხმარდად დარბის ბაზრებში სამიც.



წელს საგიბს მართლაც უმუხტლა წელმა,
 არ დაჰყვა ძველები მის აზრს და სურვილს,
 საგიბის პონი დაკბინა გველმა,
 ტელეფონს რეკდა ბოროტი სული.
 ერთ დილით ძილი გაუტყდა ადრე,
 დარეკა გონგმა ოფლის ღვრის ჭაში,
 საგიბი ითხოვს დღევანდელ გაზეთს,
 მაგრამ გაზეთით არა ჩანს სამი.
 საგიბი დარჩა ოთახში სახტად,
 სხვა მსახურს თვისთან მოუხმობს შორით
 და — რაც არ ახსოვს საგიბის სახლკარს —
 თავლიდან უხმოდ გავიდა ჯორი.

შვიდი დღის შემდეგ დაბრუნდა სამი.
 როგორც თიკანი ჯოგს მოწყვეტილი.
 გატეხილ ჯანით, დასისხლულ ტანით,
 მშიერი, ხმელი, ჩამოფლეთილი.
 დაქეფილს, დაღლილს, ნაგვემს და საწყალს
 საგიბი დახვდა რისხვისგან მთვრალი.
 დღემდე ხედავდა საგიბის ცალ თვალს,
 დღეს დაინახა ორივე თვალი.
 — „შენ, პავიანო, სად იყავ, გვითხარ?“
 სარწვევლადან ხმა ისმის ცივი.
 სამიც პასუხობს საგიბის კითხვას:
 „მე შენი კეტის გავეჭეწე წივილს
 და მსურდა ასალ პატრონთან მისვლა,
 რომელიც არ ჰგავს რაჯას და ბრამინს,
 მაგრამ დაეკარგე გზა-კვალი ისე,
 როგორც ამ გზა-კვალს ჰკარგავენ ბრმანი“.
 — „შენ ქვეყნად მხოლოდ იმისთვის გაჩნდი,
 რომ იყო მონა და ღმერთად მთვლიდე,
 დგებოდე ადრე, ოფლს ღვრიდე სახლში,
 მომგვრიდე ფოსტას და თავლას ჰგვიდე!“

„იგი შორს ცხოვრობს, თოვლიან მზარეს,
 იქამდე გზაა გრძელი და ძნელი,
 იქ შეტად დიდი სახლები არის
 და იმ კაცს ხალხი უძახის ლენინის!
 ის კვებავს მშვივრებს, ის ხალხთან მიდის,
 მას ძალუძს, მგელიც აჭყიოს კაცად,

1. ასე წარმოთქვამენ ინდოელები ლენინის სახელს.

ის არის ქვეყნად მფარველი დიდი
და სტეკით არვის არა ცემს მგაცრად.
სამი მაგრატის მოდგმისა არის
მაგრამ გვარს დასთმობს, არ უნდა ფიქრი;
ლენნიმ რომ თვისთან მიუხმოს ზარით —
მიართმევს ფოსტას და პონსაც მიჰგვრის.
და ლენნი მისცემს რუპიას იმდენს,
რამდენსაც ვერსად მისცემენ სხვანი,
და ლენნი მისცემს რჩევას და სიბრძნეს
და ყველას საგიბს გააქრობს სამი“.

5

„სად მოისმინე ეგ მავნე აზრი
სად, სად მიიღე ეგ მავნე სწავლა?“
„იქ სადაც ხალხი ტრიალებს ბაზრის
იქ სადაც თეთრებს შიშა გგვრით გაგლა.
იქ განა მართლა იციან მხოლოდ
დღეს როხილკენდში რას ფასობს ცხენი?
მათ ესმით ქვეყნის თავი და ბოლო,
იციან ლენნი რას ამბობს ბრძენი“.
— „გასწი!“ — ინგლისელს აწვალებს ჯავრი
და სამიც მიდის ზვიადი სახით;
საგიბი ჰკეტავს საწოლის კარებს,
ივიწყებს სადილს და დარდობს სახლი..

6.

სამი კი უკვე ჭირისგან მოცლით,
მშვიდი და მტკიცე დღეს ერთი ასად,
მინართავს ლენნის, მდუღარე ლოცვით.
ბრძენს, შეუცნობელს იოგის მსგავსად.
ლოცულობს სამი, რომ მიწვდეს თბონა
შორეულ ქვეყნის დიდ გულთამხილველს,
ქალაქში, რომლის არ ძალუთს მოვლა
ყველა სწრაფ ფრთოსანს, ყველა სწრაფ
ფრინველს.
მოვარდეს ქარი, მოვარდეს წვიმა,
ქარბუქი ატყდეს შმაგი და მკვეთრი,
ქარიშხლის ფრთებში დასკდეს ვით მინა,
დაიმსხვრას ბოროტ საგიბის ეტლი.

7.

ლენნი თუმც ძლიერ შორს იყო მისგან,
ისმინა მაინც ეს ლოცვა მწველი;
ყმაწვილი ცისქვეშ მუხლმოყრით იდგა
და უსველებდა დიდ თვალებს ცრემლი..

მერე კი მკვირცხლად წამოხტა წამსვე
 თითქოს დღეს ფრთოსნის შებვა მზარი.
 საღამომ უხვად აპკურა ტანზე
 ტკბილსურნელების ციური ღვარი.
 თითქოს დღეს იშვა ის ახალ მიწნით
 და იშვა ახლა ის ნამდვილ კაცად;
 დღეიდან ტანჯვა დამთავრდა მისი,
 საგები სტეკით ველარ ცემს მკაცრად.



1920 წელი



მარალ სოხხალი

ისტორია ერთეულებით ითვის გენი-
ოსებს, ლენინი, ცხადია, მათ რიცხვს
ეკუთვნის. გენიალურად მიიჩნევა ქმნი-
ლება, რომელსაც სამარადისო ესთეტი-
კური თუ მეცნიერულ-ფილოსოფიური
ღირებულება გააჩნია. გენიოსია ადამიან-
ი, თუ ის თავის შემოქმედების სფერო-
ში აღწევს ისეთ მაღალ მწვერვალებს,
რომლებიც სხვებისათვის მიუწვდომე-
ლია. ყველა ეს ნიშანი ლენინის შემოქ-
მედებაში და ნისი პრაქტიკული რევო-
ლუციური მოღვაწეობა ყველა სფერო-
ში უხეადაა მოცემული. ლენინის მოღვა-
წეობის სარბიელი იმდენად ფართოა,
მან ისეთი ღრმა კვალი დატოვა ისტო-
რიაში, რომ შეუძლებელია ლენინს გვერ-
დით ამოვუყენოთ სხვა რომელიმე ის-
ტორიული პირი, რაკინდ დიდი იყოს მი-
სი წვლილი ადამიანთა შემოქმედების
ამა თუ იმ სფეროში.

ლენინის მოღვაწეობამ, რომლის დაგ-
ვირკვინება დიდი ოქტომბრის რევოლუ-
ციის გამარჯვება და საბჭოთა სახელმ-
წიფოს დამკვიდრება იყო, უზარმაზარი
ისტორიული ძვრები გამოიწვია მთელ
მსოფლიოში, ძირფესვიანად შეარყია
ცხოვრების ტრადიციული დინების კა-
ლაპოტი და სათავე დაუდო სრულიად
ახალ ეპოქას კაცობრიობის განვითარე-

ბაში. ოქტომბრის რევოლუციამ სოცია-
ლური, ეროვნული და სულიერი მონო-
ბის ბორკილები აპყარა მშრომელი მა-
სების მილიონებს და მათ საუკუნობით
შებოვილ შემოქმედებით ძალეებს განვი-
თარების უსაზღვრო პერსპექტივა გადა-
უშალა. შეიძლება ყოველგვარი გადა-
ქარბების გარეშე ითქვას, რომ ჩვენი
დროის გრანდიოზული სოციალურა
პროცესები და უზარმაზარი მეცნიე-
რულ-ტექნიკური პროგრესი ლენინის
მოღვაწეობის ან პირდაპირ ნაყოფს წარ-
მოდგენენ, ანდა მასთან მჭიდროდ
არიან დაკავშირებული ზოგჯერ ხილუ-
ლი, ხან კი უხილავი ძაფებით.

მართებულადაა ნათქვამი სკვპ ცენტ-
რალური კომიტეტის თეზისებში, რომ
ლენინი იყო უდიდესი მეცნიერი რევო-
ლუციაში და უდიდესი რევოლუციონე-
რი მეცნიერებაში, რომ ლენინმა შექმნა
ახალი ეტაპი მარქსისტული თეორიის
განვითარებაში, გაამდიდრა მარქსიზმის
შემადგენელი ნაწილები — ფილოსო-
ფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნი-
ერული კომუნისმი.

ისტორიამ ლენინს გრანდიოზული
ამოცანის შესრულება დააკისრა. ლენინ-
მა ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა და
ამით დაისაკუთრა ყველა დროისა და
ყველა ხალხთა უდიდესი რევოლუციო-
ნერის სახელი. სიცოცხლეშივე ლენინის
მოღვაწეობამ საყოველთაო სახალხო
აღიარება პოვა, მთელ მსოფლიოში

წაიკითხეთ! შესავალ სიტყვად ლენინის და-
ბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ უნი-
ვერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საზეიმო
სხდომებზე, 1970 წლის 16 მარტს.

მშრომელმა მასებმა ლენინი იწამეს როგორც სწორუპოვარი ბელადი და წინამძღოლი.

ასეთი საქვეყნო აღიარება, რასაკვირველია, თავისთავად არ მოსულა. მას წიხუძლდა ხანგრძლივი რევოლუციური მოღვაწეობა, რომელსაც ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.

ლენინი ყრობიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. ახალგაზრდა ლენინის რევოლუციური სულისკვეთება, ალბათ, კიდევ უფრო გააძლიერა საყვარელი უფროსი ძმის, ალექსანდრე ულიანოვის ჩამოხრჩობამ მეფე ალექსანდრე მესამის მოკვლის მცდელობისათვის. შეუძლებელია ამ საშინელ ოჯახურ ტრაგედიას მგრძნობიარე ახალგაზრდა ვალოდია ულიანოვისათვის მძიმე სულიერი ჭრილობა არ მიეყენებინა და მისთვის ჩავერისა და ტირანის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი არ გაემძაფრებინა.

რევოლუციური მოღვაწეობის პირველსავე წლებში, ახალგაზრდა ლენინი გატაცებით იწყებს მარქსიზმის ღრმად დაუფლებას. იგი ხელმძღვანელობს მარქსიზმის შემსწავლელ მუშათა წრეებს. პეტერბურგში აარსებს „მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირს“, რომელიც მომავალი ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის ჩანასახი იყო.

ლენინი იმთავითვე დარწმუნდა, რომ, მიუხედავად ბევრი რევოლუციონერის თავგანწირულებისა და გაბედული ბრძოლისა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მაშინდელი რევოლუციური ორგანიზაციები უძლურნი იყვნენ გაენადგურებიათ ისეთი მრავალთავიანი ურჩხული, როგორც იყო საუკუნეობით დამკვიდრებული მეფის თვითმპყრობელობა. ამ დიდი ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად მათ არც შესაფერისად დახვეწილი იდეოლოგია გააჩნდათ, არც ბრძოლის მეთოდები უვარგოდათ. ცხოვრებაში ღრმად ჩახედული და ერუდირებული ლენინისათვის ამკარა გახდა ახალი ტი-

პის რევოლუციური პარტიის შექმნის აუცილებლობა. ეს უნდა მოხდეს მებრძოლი მარქსიზმის იდეოლოგიით შეიარაღებული პარტია, რომლის დასაყრდენი ძალა და ძირითადი მასაზრდოებელი წყარო მუშათა კლასი იქნებოდა. ლენინმა ტიტანური მუშაობა გასწია ასეთი პარტიის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეოლოგიის დახვეწისა და მტკიცე ორგანიზაციული პრინციპების დადგენისათვის, პარტიის პროგრამისა და წესდების, მისი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების ღრმად დამუშავებისა და პროპაგანდისათვის. ცნობილია თუ რა კოლოსალური და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა ლენინს პარტიის შეგნით, მრავალი სახის ოპორტუნისთვის დასაძლევად პარტიის რიგების იდეური და ორგანიზაციული მონოლითობის დასაცავად.

ლენინი უაღრესად კაცთმოყვარე და სათნო ადამიანი იყო. მთელი მისი მოღვაწეობა, მრავალი ტანჯვითა და ხიფათით აღსავსე, ამ ქვეყნად ჰუმანიტური პრინციპების განხორციელებას ემსახურებოდა. მაგრამ ლენინი, უბერხელო პაციფისტებისაგან განსხვავებით, საამისოდ ეძიებდა პრაქტიკულ გზებს. რევოლუციური მოძრაობის ისტორიის უამრავმა მწარე გაკვეთილმა ლენინი მტკიცედ დაარწმუნა იმაში, რომ სოციალისტური პრინციპების განხორციელებისათვის მარტო მათი დაღადისი საკმარისი არაა.

როგორც ცნობილია, ეკონომისტები, მენშევიკები და ყველა ჭურის მემარცხენე ოპორტუნისტები ცდილობდნენ მუშათა კლასის ბრძოლისათვის ჩამოეცილებინათ პოლიტიკური სიმახვილე და მიეცათ მისთვის უფრო მშვიდობიანი, გაბატონებული კლასებისათვის უვნებელი დინება. დასავლეთ ქვეყნებში II ინტერნაციონალის ლიდერებმა მოახერხეს კიდევაც მუშათა კლასის გარკვეული ნაწილის მოტყუება, რითაც მათ ლახვარი ჩასცეს რევოლუციის გამარჯვების საქმეს. ასეთივე ხიფათი რუ-



სეთშიაც იყო მოსალოდნელი. ლენინი ითვალისწინებდა ამას და დაუნდობლად ებრძოდა ეკონომისტებსა და მენშევიკებს. ამ ბრძოლაში, რომელიც ასახულია ლენინის შთელ რიგ კაპიტალურ ნაწარმოებებში, განამტკიცა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება და პოლიტიკური მოწიფულობა, მუშათა კლასი იხსნა მენშევიკებისა და სხვა მემარცხენე ოპორტუნისტების გამხრწნელი იდეოლოგიური ზეგავლენისაგან, შეამზადა ნიადაგი რუსეთში სოციალისტური რევოლუციისათვის.

ისტორიას არ ახსოვს, რომ მმართველ კლასებს თავიანთი ძალაუფლება უბრძოლველად დაეთმოთ, ზოლო დაჩაგრულ და დამონებულ კლასებს თავისუფლება სასტიკი ბრძოლების გარეშე მოეპოვებინათ. გამოდიოდა რა ამ ისტორიული გამოცდილებიდან, ლენინი ავითარებდა მარქსის დებულებას და ამტკიცებდა, რომ მშრომელი მასების ჩაგვრისაგან განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის გზით. ამასთანავე, ლენინი ასახულებდა, რომ ამ რევოლუციაში წამყვანი ძალა პროლეტარიატი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ მუშათა კლასია ობიექტურად დაინტერესებული რევოლუციის მიზნების ბოლომდე განხორციელებით და სოციალისტური წესწყობილების დამყარებით. ამიტომ ლენინი ურყევად ადგა ამ გზას, სასტიკად კიცხავდა მენშევიკებსა და სხვა ოპორტუნისტებს, ვინც ამ პრინციპს ღალატობდა და უგულებელყოფდა მუშათა კლასის გადამწყვეტ როლს რევოლუციაში. მაგრამ ლენინი ასევე კიცხავდა მეორე უკიდურესობის მომხრეებს, რომელნიც მუშათა კლასის გარდა, მეფის რუსეთში სხვა რევოლუციურ ძალებს ანგარიშს არ უწევენ. ლენინი, როგორც ჰემარიტი რევოლუციონერ-მარქსისტი. ითვალისწინებდა რუსეთის კონკრეტულ ვითარებას და რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა მუშათა კლასის მტკიცე კავშირს მრავალ-

მილიონიან გლეხობასთან და მათი რევოლუციური ძალების გაერთიანებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ რაობასთან.

ლენინი თავისუფალი იყო სანტიმენტალური ილუზიებისაგან, რევოლუციას უყურებდა, როგორც გარდაუვალ აუცილებლობას, მაგრამ ის გაურბოდა ტყუილებრალოდ სისხლის ღვრას, მოუშნადებლად მოწყობილ ბუნტარულ გამოხდომებს, სასტიკად კიცხავდა ავანტიურისმსა და ტერორისტულ აქტებს. ლენინმა კარგად იცოდა, რომ რევოლუცია ტრაგედიული სპექტაკლი კი არაა, არამედ ეს არის ადამიანთა მილიონების სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება, რომლის დროსაც ათასობით რეალური ტრაგედია ხდება, მაგრამ იმ განსხვავებით ტრაგედიული სპექტაკლისაგან, რომ რეალურ სიტუაციაში აქტიორები კედებიან არა მოჩვენებით, არამედ სამუდამოდ იღუპებიან. ამიტომ ლენინი სასტიკად გმობდა ყოველგვარ ავანტიურისმს. რომელიც ახასიათებდა, მაგალითად, ესერებსა და ანარქისტებს, რომელთა ყალბ რევოლუციურ პათოსს ხშირად ათასობით ტყუილ-უბრალოდ ეწირებოდა ხალხი. მაგრამ როცა კი დადგებოდა განკითხვის ეამი, შეშნადებოდა სათანადო პირობები რევოლუციური შეტაკებისათვის, ყოველი რევოლუციონერი უნდა მდგარიყო თავის ადგილას და ურყევად შეესრულებინა რევოლუციური მოვალეობა. ლენინი, ეს უაღრესად კაცთმოყვარე ადამიანი, ამ შემთხვევაში მტკიცე გულისა და მაგარი ხელის პატრონი რევოლუციონერი იყო, შეურიგებელი გამბოროტებელი კლასობრივი მტრების მიმართ, ამასვე მოითხოვდა იგი ყოველი რევოლუციონერისაგან. ლენინი ვერ იტანდა სიმუხთლესა და სილაჩრეს, ის სასტიკად უსწორდებოდა გაუტანლობის ყოველგვარ გამოვლინებას. ასეთ შემთხვევაში არავის არ დაინდობდა, არც სხვას და არც მის ახლობელ მეგობრებს არაფერს არ აპატიებდა.

ლენინი მარქსის მოწაფე და მისი

ურთველესი მიმდევარი იყო. მაგრამ ლენინი, როგორც ეს მოხდენილად აქვს ნათქვამი სტალინს, კი არ „იწვია“ მარქსიზმზე, მარქსისტულ დებულებებზე, არამედ იყენებდა მარქსიზმს. როგორც ბასრ იარაღს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რასაც რუსეთის სინამდვილეში რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა მოითხოვდა.

დოგმატურად მოაზროვნე მარქსისტთა თვალსაზრისით იმდროინდელი რუსეთი სოციალისტური გადატრიალები-სათვის მომზადებულ ქვეყანას არ წარმოადგენდა. თუმცა ცნობილია, რომ თვით მარქსი, ითვალისწინებდა რა რუსეთის სპეციფიკურ თავისებურებებს, ფიქრობდა, რომ ეს ქვეყანა შეიძლებოდა გამხდარიყო გადამწყვეტი რევოლუციური კლასობრივი ბრძოლების საბიჯლად. მართლაცდა, მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობა მეტად რთულ და მწვავე შინაგან სოციალურ წინააღმდეგობათა შემცველი იყო. ამ შრავალ ძალთა დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. მეფის თვითმპყრობელობა ეყრდნობოდა მსხვილ მემამულეთა და საკმაოდ მომაგრებულ ბურჟუაზიულ კლასებს, მაგრამ ამ კლასებს შორის არ არსებობდა სრული თანხმობა. ხშირად იმათ შორისაც წარმოიშობოდა მწვავე წინააღმდეგობანი. მათ გვერდით არსებობდნენ მათი მოწინააღმდეგე კლასები — შრავალ-მლიონიანი ექსპლოატირებული პროლეტარიატი და გლეხობა. ამას ემატებოდა რუსეთის იმპერიის შრავალრიცხოვან დაჩაგრულ ეროვნებათა უწყვეტი ლტოლვა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისაკენ. ძალთა ამგვარი დაპირისპირებანი რუსეთის სინამდვილეში ხშირად წარმოშობდნენ მწვავე სოციალურ კრიზისებს (გავიხსენოთ, მაგალითად, 1905 წ.), ამიტომ რუსეთში კლასთა ბრძოლის უკიდურესი გამწვავება და რევოლუცია გარდუვალნი იყო. ცხადია რევოლუცია თავდაპირველად თვითმპყრობელობის დამხო-

ბით უნდა დაწყებულიყო. ამ ვითარებაში ბუნებრივად ისმებოდა კითხვა: როგორი უნდა ყოფილიყო რევოლუციის ხასიათი, მისი ძირითადი მოძრავებელი ძალები და საბოლოო მიზნები? ცნობილია, რომ ამ კარდინალურ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ლენინმა მოგვცა ამ საკითხის გენიალური გადაწყვეტა, რითაც მან უძვირფასესი წვლილი შეიტანა მარქსისტული თეორიის განვითარებაში. ცხადი იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მუშათა კლასისა და გლეხობის აქტიური მონაწილეობით უნდა მომხდარიყო. რევოლუციისათვის აუცილებელი, ყველაზე მძიმე მსხვერპლი, ისევე როგორც ყოველთვის და ყოველგან, მშრომელ მასებს უნდა გაეღოთ. ასეთ ვითარებაში მუშათა კლასის როლის დამკვირება და რევოლუციის მონაპოვრის ბურჟუაზიისათვის დათმობა, როგორც ამას მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიული პარტიები მოითხოვდნენ, პროლეტარული რევოლუციის ინტერესების აშკარა დაღატი და გამცემლობა იყო. ის მოტივი, რომ რუსეთი არ წარმოადგენდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას და, მაშასადამე, თითქმის შეუძლებელი იყო აქ სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, როგორც ამას ბურჟუაზიული პარტიები და მათთან ერთად მენშევიკები ქადაგებდნენ, არსებითად უსუსური იყო. ლენინმა ამხილა ამ დებულების სიყალბე და თეორიულად დაასაბუთა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა, რაც მომდევნო პერიოდში ბრწყინვალედ დადასტურდა პრაქტიკულად.

ლენინის თეორია ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ რუსეთში მაშინ საკმაოდ განვითარებული იყო კაპიტალისტური წარმოება, არსებობდა მკვეთრი კლასობრივი შეგნებითა და მემამოხე სულისკვეთებით აღჭურვილი მძლავრი პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა, შექმნილი იყო ამ რევოლუციური ძალების მორგანიზებელი ძლი-

ერი ბოლშევიკური პარტია, რომელსაც მუშათა კლასსა და გლეხობაში, მშრომელთა ფართო მასებში დიდი ნდობა და მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. ამგვარი ვითარება რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა არა მარტო თვითმპყრობელობის დამხობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის, არამედ, აგრეთვე, გამძაფრებული კლასთა ბრძოლა, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგაც არ ცხრებოდა,—პირიქით, სულ უფრო და უფრო ჩაღებოდა, რათა გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში.

ამიტომ თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისა და ორხელისუფლებიანობის დამთავრების შემდეგ ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკური პარტია შეუდგა შეიარაღებული აჯანყებისათვის უშუალოდ მზადებას ბურჟუაზიული წესწყობილების დასამხობად და ძალაუფლების ხელში ასაღებად. ამ მიზნით პარტია ფართო ავიტაციასა და პროპაგანდას ეწეოდა მშრომელ მასებში. ბოლშევიკური პარტიის მოწოდება დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ფართო მზარდაქერას პოულობდა ხალხში. ეს განსაკუთრებული სიცხადით დადასტურდა 1917 წლის ოქტომბრის გამორულ დღეებში, როცა ლენინის მეთაურობით და ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობით პეტერბურგის პროლეტარიატმა დაამხო დროებითი მთავრობა და რუსეთში მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება შეიქმნა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას უძარესად ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, მან ცხოველი აღფრთოვანება გამოიწვია მსოფლიოს ყველა კუთხეში და შორს გაუთქვა სახელი მის ორგანიზატორსა და სულისჩამდგემელს დიდ ლენინს. ეს იყო ლენინის თეორიული მოძღვრებისა და მისი პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის ბრწყინვალე ტრიუმფი. ლენინი საყოველთაოდ იქნა აღიარებული პრო-

ლეტარული რევოლუციისა და ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურად და ბელადად.

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ლენინის მოძღვრების ბრწყინვალე გამარჯვებისა არა მარტო საბჭოთა კავშირის სინამდვილეში, არამედ აგრეთვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის მიზანძიება და დიდი დახმარებით, რაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესაბამისად ხორციელდება, მრავალი ქვეყანა დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას და წარმატებით ახორციელებს მას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საფუძველზე. მსოფლიოს უმრავლეს კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობენ მძლავრი კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც ლენინის მოძღვრების შემწეობით რაზმად მშრომელ მასებს და იბრძვიან თავიანთი ქვეყნების სოციალური და ეკონომიური გარდაქმნისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის მომზადება და მისი გამარჯვებით დაგვირგვინება ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ეტაპის უდიდესი პრაქტიკული ნაყოფი იყო. ამით რომ დასრულებულიყო ლენინის მოღვაწეობა, ეს რასაკვირველია, საკმარისი იქნებოდა მისი დიდი სახელის საუკუნოდ უკვდავსაყოფად, ლენინის გენიალურ პიროვნებად აღიარებისათვის. დიდი ოქტომბრის შემდეგ ლენინის გენიამ კვლავ იფეთქა ახალი ძალით, ლენინი გვევლინება როგორც ახალი წესწყობილების, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაური და მშენებელი, თითქმის 4 წელიწადს გასტანა დიდი ოქტომბრის დღეებში დამარცხებული ექსპლოატატორულ კლასებისა და უხელოი ინტერვენტების მიერ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა რევოლუციის მონაპოვრის, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ მძიმე წლებში ლენინი, ერთი მხრივ, ხელმძღვანელობს კონტრრევოლუციონერებისა და იმპერიალისტების მრავალრიცხოვან შე-

მოტყეების მოგერიების ორგანიზაციას, მეორე მხრივ, უშუალოდ წარმართავს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გრანდიოზულ გეგმების შედგენასა და განხორციელებას.

ცნობილია, თუ რა უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა განახორციელეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ლენინის მესვეურობით იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების პერიოდში დანგრეული და დაქვეითებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად, ქვეყნის კულტურული და სამეცნიერო ცხოვრების აღორძინებისა და ნორმალიზაციისათვის. ლენინის ბრძნულ ღონისძიებათა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ შემუშავება ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის, „გოელრო“-ს სახელწოდებით რომ არის ცნობილი, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტურ რესურსებზე მისი გადაყვანის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას მომდევნო ათეულ წლებში.

ლენინის მოწოდებით მთელი ხალხი ერთუზიანობით ჩაება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ლენინის მითითებით ფართოდ იყენენ გამოყენებული უპარტიო სპეციალისტები, რომელთაც შეექმნათ ყველა პირობა საბჭოთა მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ლენინის დიდი ნდობით აღფრთოვანებული ინტელიგენციის წარმომადგენლები მთელი ძალღონით ჰკიდებდნენ საქმეს ხელს და ნაყოფიერ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მათ შორის იყო მრავალი გამოჩენილი მეცნიერი, რომელთა ამავე დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ყურადღებით ეკიდებოდა ლენინი სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა განახლებას, ახალ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნას, სასკოლო მშენებლობას. დავასახელებთ ორ მაგალითს. ლენინის მითითებით გაი-

ხსნა მოსკოვის ცენტრალური აეროპილოდინამიკური ინსტიტუტი, რომელიც ხელმძღვანელობა გამოჩენილ რუს მეცნიერს ნ. ე. ჟუკოვსკის დაევალი. ამ ინსტიტუტმა უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა. აქ დამუშავდა საავიაციო თეორიისა და ტექნიკის მრავალი ფუნდამენტალური პრობლემა, რომლებიც მომდევნო წლებში საფუძვლად დაედო ჩვენი სახელოვანი საავიაციო მრეწველობის განვითარებას. აქ მიიღეს პირველი წრთობა გამოჩენილმა ავიაკონსტრუქტორებმა ტუპოლევმა, იაკოვლევმა, ილუშინმა და სხვებმა. ლენინის ინიციატივით დაარსდა აგრეთვე ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელსაც აკად. ა. იოფე ხელმძღვანელობდა. ამ ინსტიტუტში აღიზარდა ძირითადი ბირთვი იმ ფიზიკოსებისა და სპეციალისტებისა, რომელთაც ვადა მრეწვეტი როლი შეასრულეს ატომური მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარებაში, კერძოდ ატომური იარაღის შექმნაში ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. აქ დაიწყო მუშაობა როგორც მეცნიერმა-ფიზიკოსმა აკად. იგორ კურჩატოვმა, რომელსაც ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ლენინი ზრუნავდა არა მარტო იმაზე, თუ როგორ უნდა დაეგრძობა ქველი წესწყობილება, არამედ იმაზედაც თუ რა გზებით უნდა აეშენებინათ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალი, სოციალისტური სამყარო. საბჭოთა კავშირში განხორციელებული ეკონომიური გარდაქმნები — ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია — ჩატარდა ლენინის მითითებათა საფუძველზე. ლენინი აქაც გენიალურ ნოვატორად გვევლინება. კაპიტალისტური გარემოების მძიმე ვითარების დროს ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, როგორც იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა, სოციალიზმის აშენების ლენინური თეორია შემოქმედებითი მარქსიზმის უმნიშვნელოვანესი

შენაქნია. ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო იმ დროს. მხოლოდ ლენინის გენიას შეეძლო დაესახა და დაესაბუთებინა ამგვარი გეგმა, რომელიც ერთი შეხედვით თითქოსდა არ ეთანხმებოდა მარქსიზმის კლასიკურ პრინციპებს, როგორც ამას არაერთგზის აღნიშნავდნენ დოგმატური მარქსიზმის მლალადებლნი და სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტები. მოგეხსენებათ, ამგვარი კრიტიკოსები მაშინ ბლომად იყვნენ, როგორც პარტიის შიგნით (ვაინსენეთ, მაგალითად, ტროცკისტები), განსაკუთრებით, მის გარეთ (II ინტერნაციონალის ლიდერები და სხვ.).

ბევრ კეთილადგანწყობილ და პატიოსან მოაზროვნესაც ლენინის გაბედული გეგმები და რევოლუციური მეთოდები ახალი ქვეყნის მშენებლობისა, განუხორციელებელ ოცნებად მიაჩნდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ჰერბერტ უელსმა ლენინს „კრემლის მეოცნებე“ უწოდა.

დღეს ჩვენ მოწამენი ვართ თუ რა რიგ ბრწყინვალედ გამართლდნენ ლენინის გენიალური წინასწარმეტყველებანი, რეალობად იქცა ლენინის ოცნება, ხოლო ისტორიამ სასტიკად გააწიბლა ისინი, ვინც ლენინს უნიადაგო მეოცნებედ მიიჩნევდა.

ლენინი მთელი თავისი ხანგრძლივი რევოლუციური მოღვაწეობის მანძილზე და შემდეგაც, როგორც პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაური, დიდ ყურადღებას აქცევდა დაჩაგრული ერების ბედ-იღბალს (როგორც ზემოთ აღინიშნა, ის მჭიდროდ უკავშირდება რუსეთში რევოლუციის გამარჯვების ამოცანებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას). ლენინს, როგორც ჰემშაირტ მარქსისტს, სწამდა, რომ ყველა ერის მუშათა კლასისა და მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესები არსებითად ერთი და იგივეა, ამიტომ ლენინი საჭიროდ მიიჩნევდა ყველა ეროვნების მშრომელთა ძალების კონსოლიდაციას და მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის უ-

რუნველყოფას. მძლავრი რევოლუციური გაქანებისა და მოწინავე ტრადიციების მქონე დიდი რუსი ხალხი, რომელმაც წარმოშვა ვმირული მუშათა კლასი, ძალიან უყვარდა მის დიდ შვილს ლენინს. ის ამაყობდა კიდევ ამით, როგორც ეს ყოველ პატრიოტ მოქალაქეს შეენის. მაგრამ ლენინი სასტიკად გმობდა დიდმპყრობელურ იდეოლოგიასა და პრაქტიკას, მტკიცედ უჭერდა მხარს დაჩაგრული ერების პროგრესულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ლენინი კარგად იცნობდა იმდროინდელ რუსეთის მცირე და დაჩაგრული ერების, უმწეოდ მდგომარეობას, რომლებიც მეტწილად გადაგვარებისა და გადაშენების პირას იმყოფებოდნენ. ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა სიმბირსკში სწავლობდა, ლენინს უხდებოდა ე. წ. ინოროდ-ცებთან — ჩუვაშებთან ბაშკირებთან, მორღველებთან, თათრებთან შეხვედრა. ის კარგად იცნობდა მათ ცხოვრებას, ხედავდა მათ უნუგეშო მდგომარეობას. შესაძლებელია სწორედ ამ დროს დაიბუდა პირველად ახალგაზრდა ლენინის გულში დიდმა სიმპათიამ დაჩაგრული ერების მიმართ, ხოლო შემდეგ ეს ყრმობის უშუალო შთაბეჭდილებანი უფრო გაღრმავდნენ და განმტკიცდნენ — მომდევნო პერიოდში მის მიერ სოციალური პრობლემის ღრმა შესწავლისა და ანალიზის დროს. ლენინს დიდი სიმპათია და პატივისცემა ჰქონდა მცირე ეროვნებათა მიმართ. ლენინის უწყვეტლივი ზრუნვა მათი საარსებო ინტერესებისათვის, მკაფიოდაა გამოხატული, როგორც ლენინის იმ ნაწერებში, რომელნიც ეროვნულ საკითხებს შეეხება, ასევე მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

გაიხსენოთ, თუ გნებავთ ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა რასაც ლენინი იჩენდა საქართველოს მიმართ. მე მგონია, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ლენინის თანამოაზრეთა, მის უერთგულეს მოწაფეთა შორის ბევრნი იყვნენ ქართველები და სხვა ეროვნებათა

წარმომადგენლები, რომლებიც თავდადებულად იბრძოდნენ ლენინის იდეების განხორციელებისათვის.

მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლებოდა კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოველყოფილობის, მისი უაღრესად დიდი ნაყოფიერების ნათელსაყოფად. ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითად გამოვლდება ჩვენი რესპუბლიკა, საქართველო.

თუ ახლანდელ საქართველოს წინანდელს შევადარებთ, კოლოსალურ განსხვავებას დაინახავთ. კარგადაა ცნობილი, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი საშობლო რევოლუციამდე. საქართველო, როგორც გეოგრაფიული ცნება, ოფიციალურად არც კი არსებობდა; იყო რუსეთის ორი გუბერნია — თბილისისა და ქუთაისისა, რომლებშიც საქართველოს სხვადასხვა ნაწილები შედიოდა. სწავლა-განათლებას ყოველთვის დიდად მოწყურებულ ქართველობას ხელს უშლიდა სკოლების სიმცირე, მატერიალური ხელშეწყობა და სოციალური უთანასწორობა. სოციალური იერარქიის უშველებელ კიბეზე მშრომელ მასებს, ე. ი. ხალხის უმრავლესობას, უმდაბლესი საფეხური ეჭირა. აქედან უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა სწავლა-განათლების მიღების გზით თუ შეიძლებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეულების ზედრი იყო.

სკოლები, საერთოდ, ცოტა გვექონდა და, რაც იყო, იმათ უმეტესობაში მშობლიური ენა და ლიტერატურა არ ისწავლებოდა, ქართული ენა ოფიციალურად იდევნებოდა. ეროვნული უნივერსიტეტის გახსნა, რის აუცილებლობაზე ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები სვამდნენ საკითხს, შეუძლებელი იყო, არც სხვა სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა დაარსება ზეობდებოდა. ამგვარი და მრავალი სხვა ატყეარო უმხამავდა ჩვენს ხალხს ცხოვრებას, უკიდურესად ზღუდავდა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

დღევანდელი საქართველო ეკონომიურად და კულტურულად უაღრესად დაწინაურებული ქვეყანაა. საქართველის უფლების პერიოდში საქართველომ, ისევე როგორც ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკამ, გრანდიოზული მიღწევები მოიპოვა სახალხო-მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგში.

ქართველი ხალხი ხელცარიელი არ დახვედრია საბჭოთა ხელისუფლებას. იგი დიდი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების პატრონი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველნაირად შეუწყო ხელი ამ მემკვიდრეობის აღორძინებას კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. სწრაფად განვითარდა ჩვენში მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და ტექნიკა. დღეს მსოფლიოს ყველა კულტურულ ცენტრში კარგად იცნობენ ქართული საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების მიღწევებს. ჩვენი მწერლები და მეცნიერები ნაწარმოებები ითარგმნება უცხოურ ენებზე და ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

გარდაიქმნა ჩვენი სოფლები და ქალაქები, საუცხოოდ გამოიყურება დედაქალაქი თბილისი, რომელსაც თავისი ძველი კოლორიტი არ დაუკარგავს. ამასთან შეემატა ძალიან ბევრი ახალი მნიშვნელოვანი უბანი.

დღევანდელი თბილისი ერთ-ერთი თვალსაჩინო კულტურული და სამეცნიერო ცენტრია საბჭოთა კავშირში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სხვა უმაღლესი სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს, აგრეთვე, მრავალ კულტურულ-შემოქმედების ორგანიზაციას, რომელნიც თბილისში არსებობენ და ნაყოფიერად მუშაობენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რა

ვიქნებოდით საბჭოთა ხელისუფლება რომ არა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავატაროთ პარალელები ჩვენი სამხრეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. როგორც იცით, რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და, შეიძლება ითქვას, კულტურული დონე დაახლოებით ასეთივე იყო, როგორაც ირანისა და თურქეთისა. ესენი, არც ისე შორეულ წარსულში, ახლო აღმოსავლეთში უძლიერეს ქვეყნებად ითვლებოდნენ, განსაკუთრებით ყოფილი ოსმალეთის იმპერია, რომლის ნაწილია დღევანდელი თურქეთი. რევოლუციის შემდეგაც ისინი დარჩნენ საკმაოდ მოზრდილ სახელმწიფოებად. თურქეთში, ქვემო ათათურქის რეფორმის წყალობით, გატარდა ბევრი სიახლე და პროგრესული ღონისძიებაც, რომელთაც საკმაოდ წინ წასწიეს ეს ქვეყანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ ამ მოზრდილ სახელმწიფოებს მათზე ბევრად უფრო პატარა საქართველოს შევადარებთ, ჩვენს რესპუბლიკას, ყველა მაჩვენებლების მიხედვით, აშკარა უპირატესობა აღმოაჩნდება, იქნება სახალხო მეურნეობის, კულტურისა თუ მეცნიერების განვითარება.

აღნიშნულის უფრო ნათელსაყოფად მოვიყვან ერთ შედარებას მეცნიერების იმ დარგიდან, რომელიც ჩემი კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება. თქვენ იცით, ჩვენს რესპუბლიკას საკმაოდ დიდი მიღწევები გააჩნია მათემატიკის დარგში. ყველა ეს მიღწევა მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ეს მიღწევები ფართოდაა ცნობილი და აღიარებული რესპუბლიკის გარეთ, კერძოდ, უცხოეთში. რასაკვირველია, ირანსა და თურქეთსაც ჰყავთ ცნობილი მათემატიკოსები, მაგრამ მათი უმეტესობა თავიანთ სამშობლოში არ მუშაობს.

მე ვიცნობ რამდენიმეს იმათგან, რომელნიც შეერთებულ შტატებსა და კანადაში მუშაობენ. ზოგიერთი მათგანი აქაც იყო, თბილისში, სტუმრად. მეგობრული საუბრის დროს მე ვკითხე

მათ, თუ რატომ არ ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში. მათი პასუხი მტკიცედ აღაშთქალდა. უსიტყვოდ დამიღწეა მოიხატა. ცხადია, ისინი არ ბრუნდებიან სამშობლოში იმიტომ, რომ იქ არაა შექმნილი ჯერჯერობით მეცნიერული მუშაობისათვის ხელსაყრელი აუცილებელი პირობები. იმიტომ დღესდღეობით ძნელია ლაპარაკი ირანისა ან თურქეთის მათემატიკაზე, ხოლო ქართული მათემატიკური სკოლა დიდი ზანია რაც დაკვიდრებული ენება. რომელიც რეალურ სინამდვილეს ასახავს. ანალოგიური იქნება სურათი თუ შევევებით მდგომარეობას მეცნიერების ბევრ სხვა დარგში, მაგალითად, ფიზიოლოგიაში, გეოლოგიაში, ფსიქოლოგიაში. ფიზიკაში, მთელ რიგ ისტორიულ-ფილოლოგიურ და სოციალურ ეკონომიურ დისციპლინებში.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა განვითარებაზე და სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ.

ჭეშმარიტად გრანდიოზული და თვალწარმატებელი ჩვენი ქვეყნის მიღწევები ყველა სფეროში. რომ სასწაული მოხდეს, აღსდგნენ საფლავიდან ილია, აკაკი, ვაჟა, ჩვენი წინაპრები, ვინც საქართველოს ბედნიერებისათვის ოდითგანვე თავგამოდებით იღვწოდნენ და ოცნებობდნენ მის საუკეთესო მომავალზე, ყველაფერი ეს, ალბათ, სიზმარი ეგონებოდათ. ვერც კი დაიჭვრებენ ამ უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიური ტრანსფორმაციის რეალობას. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ჭეშმარიტი სინამდვილეა და რომ ყველა ეს წარმატება მოპოვებულია ჩვენი ხალხის შრომითა და გარჯით, საბჭოთა ხელისუფლების დროს, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, ლენინური ნაციონალური პილიტიკის რეალიზაციის ნიადაგზე.

მაგრამ, არა მარტო აწყმო გვაქვს კარგი და მშვენიერი, ჩვენ კიდევ უკეთესი, უფრო თვალწარმატებელი მომავლის პერსპექტივა გავგაჩინა.

საბჭოთა ჯავშირნი დასახულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმები, რომელთა პერსპექტიული განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს. ავიღოთ, თუ გნებავთ, ჩვენი უნივერსიტეტის მაგალითი. მე არაფერს ვიტყვი მის წარსულ მიღწევებზე, ეს კარგადაა ცნობილი. შევევებით მხოლოდ მისი განვითარების მომავალი პერსპექტივის ერთ მხარეს. მომავალი წლიდან ფართოდ გაიშლება უნივერსიტეტის მშენებლობა ახალ ტერიტორიაზე. მაღლივი კორპუსის გვერდით, რომელიც დიდი ხანია არაა, რაც მწყობრში ჩადგა და რომელიც ჭეშმარიტად ჩვენი ქალაქის მშენებლას წარმოადგენს, აღიმართება ახალი კორპუსები, პირველ რიგში აშენდება სამეცნიერო ბიბლიოთეკის დიდი კორპუსი, ბიოლოგიური ფაკულტეტის შენობათა კომპლექსი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ნაგებობათა კომპლექსი, გაკეთდება ახალი გზა და ზიდი მდინარე ვერაზე, ჭებირით დაგუბდება ეს მდინარე და შეიქმნება წყლის ახალი აუზი, გაშენდება პარკი და სხვ. ამ მიზნით მართო მიმდინარე ხუთწლედში 10 მილიონზე მეტი თანხა დაიხარჯება. პროექტის შედგენაზე მუშაობენ ჩვენი საუკეთესო არქიტექტორები, რომლებიც მოკლე ხანში დაამთავრებენ მას.

როგორც იცით, ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული და სახალხო საქმისადმი დიდი ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა.

პარტიისა და მთავრობის ეს ზრუნვა დიდ ამოცანებსა და მოვალეობას აკისრებს უნივერსიტეტის მეცნიერებს, მთელ მის კოლექტივს, რაც მათ კარგად აქვთ შეგნებული: ისინი დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ სამშობლოს აღუზარდონ კომუნისტური სტრუქტურებით გამსჭვალული მაღალ-

კვალიფიციური სპეციალისტები, თავიანთი წვლილი შეიტანონ საქმეში მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, პირველმა მთელ მსოფლიოში ააშენა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში. ახლა იგი გვირუღად იბრძვის კომუნიზმის აშენებისათვის. ამ ბრძოლაში მას კვლავ გზას უნათებს ლენინის ნათელი გენია.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებს, მათ კარგად ესმით, კერძოდ, თავიანთი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში, რაც დღევანდელ ვითარებაში კომუნიზმის მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულების უცილებელ პირობას შეადგენს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჯნევმა 1969 წლის ივნისში მოსკოვში ჩატარებულ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე მართებულად აღნიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფართოდ გაშლა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ისტორიული შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი უბანია დღეს. საბჭოთა მეცნიერები, რომელთაც შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა პირობა აქვთ შექმნილი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დაძაბულად მუშაობენ იმისათვის, რომ ამ შეჯიბრებაში საბოლოო გამარჯვება მოიპოვონ.

დიდი ხანია ლენინი ჩვენთან აღარ არის, მაგრამ ის ყოველთვის ცოცხლებში გვევლება; ლენინი ცოცხლობს იმ გრანდიოზულ საქმეებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის ზრუნვითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა.

ღანიზგარი. შუბრდომის დღის ქრონიკა

3 0 2 2 2

შესავალი

თვითმფრინავის ფრთებს
წააფრინდა ქალაქის ქარი
და დანესტილი ღრუბლებიდან
დაბლა დაწიდა,
შემოდგომის დღემ
ოქროსფერი შემართა ფარი,
მასპინძელივით დამწვდა
უცნობ ნევის გამზირთან.
მხრებს მომასურა

საწვიმარა ყვითელი ფოთლის,
მხრებს საწვიმარა მომასურა
ხმელი ხელებით.

სუფრაზე დადგა
არყისა და „წინანდლის“ ბოთლი

და აფრუტუნდნენ
ანიჩინის ხიდზე ცხენები.

ხმა ამოიღო
და კაცივით გული გამიხსნა,

სული ჩაიდგა,
სულდგმულივით გასახიერდა.

შემიყვანა და
სიყვარულის ბაღი გამიხსნა,

მზემ გაიფლვა
მაღალ ზევის თვალსაწიერთან.

1

და ღანიზგარადმი დავდივარ ახლა
რუს მეგობრებთან,

2. „მნათობი“, № 4

ნევის პროსპექტს ნისლი მოსცილდა.
ნე საქართველოს ცხელი მზე მახლავს,
ვთბები მზითა და

მკერდზე დედის აგვაროწითა.
შემოდგომის დღე მაღალ სართულთა
ჩუქურთმებს

წვიმის წვრილ ძაფებით მიმოსლართვია.
ხელისგულეზე

ცივი ქარი აგვიფართქუნდა,
მერე სასტუმრის ფანჯარასთან
დახვდა განთიადს.

2

ბრინჯაოს ულაცებს
შეუმართავთ მაღლა ფლოქვები

და გრძელ ნახტომებს ზომივეს ხენეშით.
შემკდარა ქალაქი ულაცებზე,

აქოთქოთებით
მიპქრის და ნევა

აღვირივით უქირავს ხელში.
უნაგირზე კი

შენიოუსვამს შემოდგომის დღე,
ქარიანი და წვიმიანი

შემოდგომის დღე.

3

მარსის მოედანზე პატარა ბიჭის,
პატარა



კოტე მღებრიშვილის
საფლავის ლოდი
მარადი ცეცხლის ალზე ითბობს
გაყინულ თითებს.
რევოლუციის აგიტატორს
სიმღერის ნიჭი
შეახმა ყელზე...
ახლა კი მოდის
შემოდგომის დღე
და აფარებს ლოდს ფოთლებს ყვითელს.

4

ჩამოვისვენეთ „ავრორას“ ახლოს...
აქედან მოჩანს
ერმიტაჟთან რიგები გრძელი.
ღივლივებს ნევა...
შემოდგომა ყვითელ ხელს ჩაჰყოფს
და მთვლემარ თევზებს
დააფეთებს თითებით ხმელით.
ახლა ნევა ჰკავს
იმ ქალის თვალებს,
რომლებშიც ფარფლი დაუკეცავთ
მითვლემილ თევზებს.
შემოდგომა კი გაევიდა
ქალაქელ ქალებს
და მათ გარშემო
მამალივით სცემს ყვითელ დეზებს.
„ავრორა“ მშვიდათ იღიმება,
დაღლილი ბრძოლით,
შემობურვილი
ნევის ცით და იისფერ ბოლით.

5

შორიდან
წივის,
წივის,
წივის
დანტესის ტყვია,
ტყვია,
რომელიც გაუკვდავდა პუშკინის გულში.
...
შემოდგომის დღეს,
შემოდგომის
დღეს სადღაც მიაჭვს
ტყვიისფერი წვიმა,
ცივი ქარი
და მზერა ქუში.

6

შემოდგომის დღე ყვითელ-ფოთლებისა
ნავებით
ნელა მიჰყვება ნევას.
ღრუბლის ფთილები,
როგორც ნაცრისფერი ფოთლები
ბალტიის ზღვისკენ
გაურბიან ქარს, როგორც მწვევარს.
გახვეულია ნევა
თავის ფიჭრთა ბურუსში,
დიდი მდინარე
ნგრევისა და შენების ღმერთის.
ხან ღრუბლებიან,
ხან მზიან ცის გადახურულში,
საკუნეთა მდორე ტალღებს
ნელ-ნელა ერთვის.
ნევა,
პოეტთა მუზა,
გმირთა სიხსლი და ოფლი,
ორი ნაპირი
სიკვდილის და სიცოცხლის შფოთვით.
ცისფერი ბურჯი
მაგარი და გრძელი ხიდების,
ორი ნაპირი
შეჯახების და შეჭიდების.
მომგონებელი მრავალ ჭირის,
მრავალ გოდების,
და შეჩვეული
პოეტებთან ღამეთა თევას.
...
დედაო მტკვარო,
პოე, ახლა რად მაგონდები?
შემოდგომის დღე
ყვითელ ნავებით მიჰყვება ნევას.

7

აქ მოჰკლეს პუშკინი...
ვაი, მამულო,
გაიმეორე
პოეტების მკვლევლობა შენაც.
პუშკინის გზაზე მივდივარ და
შენც, წიწამურო,
მკერდს უშვერ ახლა
შემოდგომის ფოთლების ცვენას.
სცივათ იმ ტყვიებს,
პოეტების შუბლზე ჩარტობილთ.
ვაი, რომ მარად უნდა ვზიდო



ეს ცოდვის ზგავი.
 დღე ფოთოლთცვენის
 და დღე მაჭრობის
 დგას წიწამურთან
 სალამოს მზის დახრილი თავით.
 ზამთრის სასახლის
 ელვარებენ თეთრი კედლები,
 ზედ ღრუბლის ჩრდილი
 გაცოცდება დანტვის ლანდად.
 მე საგურამოს მისადაგომებს
 მივაჩერდები,
 ვისმენ დათოფილ
 მგონის ეტლის ბორბლების დგანდგარს.
 საშობლოს მტრისთვის გაჭედილი
 დავხარჯეთ ტყვია,
 ვაი, მამულო,
 ვინ დაგადო ეს ცოდვის ტვირთი?!

პუშკინის გზაზე
 შემოდგომის ფოთლები ყრია
 და წიწამურის ჭრილობას რეცხს
 არაგვის ზვირთი.

8

აქედან ჩემი მეცხრამეტე საუკუნეცა
 ქქუხს
 ჭავჭავაძის,
 წერეთლის და
 ფშაველას ბუკით.
 შორს
 დარიალში ბევრი ღამე თერგს დაუღეწავს,
 რომ თერგდალეულთ
 შეეტანათ მამულში შუქი.
 წვეის ნაპირას,
 შემოდგომის ყვითელ ფოთლებზე
 მე მივაბიჯებ
 და მგონია ნატურფალები
 მათი...
 მამული მზით და ხორბლით
 უხვად მოთესეს,
 სეტყვაში იმათ ყანებს
 მკერდით წავეფარები.
 ...
 ბაირალტარნო მამულისა,
 თქვენ მაგონდებით
 და ვბედავ
 შორი ღრუბლების რღვევას.

შემოდგომა კი ყვითელ ფოთლების
 ნაწებით ნელა მიჰყვება ნევას.

9

დგას ერმიტაჟში
 მეფეთა ტახტი,
 მეფეთა ტახტი,
 გაუქმებული სკიპტრა მეფის,
 გვირგვინი მეფის,
 გარს წუთისოფლის
 ჭინკა დახტის,
 ხარხართ დახტის,
 და შავი ტერფით გვირგვინზე დგას,
 გამხმარი ტერფით.
 ელვარებს ოქრო
 ტახტის,
 სკიპტრის,
 გვირგვინის ოქრო,
 სამეფო დარბაზის
 გრილი ჩრდილები
 ცოცავს ოქროზე.
 ყვითელი ფოთლები
 მუხეუმის ეხლება ბოქლომს,
 ყვითელი ფოთლები
 ისვენებენ ახლა ბოქლომზე.
 შესტება ტახტზე
 წუთისოფლის ჭინკა —
 მასხარა,
 თვალს უპაჭუნებს,
 თვალს უპაჭუნებს
 მომსვლელს და მნახველს.
 სხვა ჭინკები კი
 ტახტის გარშემო ახლოს დამსხდარან
 და იგონებენ
 დიდთა მეფეთა
 დაცემულ ტახტებს.
 გაღებულია ახლა ფართოდ
 სასახლის კარი.
 ფანჯარიდან მოჩანს
 ნევა,
 ველი,
 ხეები,
 კორდი.
 შემოდგომის დღე
 ხობობივით ფოთლებზე მჯდარი
 შენიაკვებს ტაბუკს
 თეთრი არყის ყვითელი რტოთი.

10.

აღარა სცემენ
 იმპერიის ბუკს და ნაღარას, —
 იმპერატორებს
 სძინავეთ პეტრე-პავლეს ტაძარში.
 და ნადავლ დროშებს
 შემოდგომის დღემ შეაყარა
 ხმელი ფოთლები,
 იმპერატორთა საფლავებზე
 დასრილთ ტაძარში.

ბასტიონებზე შემომდგარა კაცი,
 რომელსაც
 ორჯერ შეაბეს გაწყვეტილი თოკის
 მარყუვი.

„— ორჯერ სიკვდილის მე ღირსება
 რაკი მომეცა
 მამულისათვის,
 მადლობა, დმერთო,
 სიკვდილს გადავურჩი“.

და რილევის ხმა შეასკდა
 კლდეს დაბიალის,
 და იმპერიის ტახტს განუდგა
 ორბელიანიც:
 იარი-არალი...
 იარი-არალი...
 იარი-არალი...
 მამულს მოესმა

გრიგოლის და თერგის გრიალი.
 აღარა სცემენ
 იმპერიის ბუკს და ნაღარას.
 შენც
 რუსთაველის,
 ხმლის
 და
 ცეცხლის ენავ
 ვადარჩი.

ნადავლ დროშებს კი
 შემოდგომის დღემ შეაყარა
 ხმელი ფოთლები,
 იმპერატორთა საფლავებზე
 დასრილთ ტაძარში.

11.

ქართლის უბედური მეფეები,
 დროსგან განწირული ბატონიშვილები,
 მამულიშვილები,

დედოფლები,

სეფეები,

უსამშობლონი,
 დევნილები,
 გათოშილები,
 ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროიდან
 თავს აფარებდნენ ამ ქალაქს —
 იმედს.

ბაგრატიონთა გვირგვინს
 მზეზე მოოქროვილთა
 როს დააწვებოდა
 ღრუბლის ზეაგები
 ძალიან მძიმე.

და წერდნენ ლექსებს,
 წერდნენ წიგნებს.
 თარგმნიდნენ წიგნებს.
 ამრობდნენ რუსულ ღუმელებთან
 სვედის პერანგებს.
 მოწყალების პურს მიირთმევდნენ, —
 გავეძლოთ იქნებ...
 და შორი იყო გზა
 მამულის სეფისკვერამდე.
 ცივ შემოდგომის
 ნაადრევი
 თოვლი თოშავდათ.
 ქრებოდა ნელა ცეცხლი
 ქართველ ლამაზმანების.

„— ვაი, მამულო,
 რა ნაკურთხი ცა ჩამოშავდა!“ —
 ქვენესდნენ,
 ელოდნენ კვლავ ცის გახსნას
 დამაშვრალეები.

ბაგრატიონთა გვირგვინს
 მზეზე მოოქროვილთა
 როს დააწვებოდა
 ღრუბლის ზეაგები
 ძალიან მძიმე,

ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროიდან
 თავს აფარებდნენ მამულიშვილები
 ამ ქალაქს —
 იმედს.

12.

ლენინგრადიდან
 თბილისამდე
 გზა არის ძველი.
 ამ გზაზე ბევრჯერ გაგვიყვია,
 პური და ყველი.



13.

ამ გზაზე ძველად ჰქროდა ეტლები,
და დარიალის კლდოვან კედლების
ჩრდილი ნოხივით ვგო შარაზე.

და მიმოჰქონდათ გზაზე
წიგნი,
ლექსი,
ბარათი.

გზა ქართველებმა
მტრისთვის
ჩარაზეს,
მოყვრისთვის
ღია იყო მარადის.

ამ გზაზე მერნებს დაუცვდათ ნალი,
დრო აწყდებოდა კლდეებს თერგივით.
ქუხდა ხეობა და თერგის ბლავილს
გაუკვეთია

გზა ღრუბლებით გადახერგილი...

ამ გზით წავიდა
ბარათაშვილის
პატარა წიგნი,
დაუბეჭდავი,
ხელნაწერი,
ქალის საგზალი.

ხმელი ფოთლები გააყვია
თერგის ზვირთების ციცილივს,
ფოთლების ბედი ბევრ ბარათს ხვდა,
ამ გზით გაგზავნილს.

ბარათაშვილის წიგნს მიუხწრო
ბედზე ილიამ,
რომ მოედწია კვლავ ჩვენამდე
მერანის ჭიხვინს.
ბარათაშვილია!
ბარათაშვილია!
ბარათაშვილია!

და წუთისოფლის დიდ წიგნს
ყდაზე შეადნა ჭირხლი.

ამ გზაზე ძველად ჰქროდა ეტლები
და დარიალის კლდოვან კედლების
ჩრდილი ნოხივით ვგო შარაზე.

და მიმოჰქონდათ გზაზე
წიგნი,
ლექსი,
ბარათი.

გზა ქართველებმა
მტრისთვის
ჩარაზეს,

მოყვრისთვის
ღია იყო მარადის.

მარსის მოედანზე პატარა ბიჭის,
პატარა
კოტე მღებრიშვილის
საფლავის ლოდი
მარადი ცეცხლის ალზე ითბობს
გაყინულ თითებს.
რვეოლუციის აგიტატორს
სიმღერის ნიჭი
შეახმა ყულზე...
ახლა კი მოდის
შემოდგომის დღე
და აფარებს ლოდს ფოთლებს ყვითელს.
სიმღერა მისი,
ლექსები მისი,
პერანგი მისი
შეილება სისხლით,
თავისუფლებისთვის დაღვრილი სისხლით.
ამბოხებულმა მუშებმა იგი
მიტომ გაახადეს
მარად ცეცხლთან გათბობის ღირსი.
„ავრორა“ მშვიდად დგას ნევაზე,
დაღლილი ბრძოლით,
შემობურეული
ნევის ცით და იისფერ ბოლით.

14.

იმ ბობოქარი დღეების მოწმე
ქართველი პოეტი
გალაგტიონი
მიესალმა ოქტომბრის გრიგალს.
ჩამოუტანა
ქარიშხლის სიმღერა მოძმეთ
მამულში
პეტროგრადისა და ვიბორგის
მხრიდან.
გემი „დალანდი“...
გემი „დალანდი“...
გემი „დალანდი“...
დროშები ჩქარა!
დროშები ჩქარა!
დროშები ჩქარა!
და მონუსხული
ალექსანდრე ბლოკის ტალანტით
ქართველი პოეტი
საქართველოსკენ
არღვევდა წკვარაშს.

ავლაბრის სტამბის კიდან ცამდე
 ავარდა ცეცხლი,
 ქართველმა პოეტმა
 იმპერიის დროშა შერისხა.
 და მოიტანა მან სიმღერა
 მზის,
 ნგრევის,
 შეცვლის,
 სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

15.

წამოიზიდა ქარმა
 მტკნარი ფოთლების გუნდი,
 და მისდევს
 გრიშკა რასპუტინის ბებურ ლანდს
 ქარი.
 გაჟღენთილია ლანდის სული
 არყით და ლუდით
 და ახრჩობს თოკი
 სისხლიანი იესოს ჯვარის.
 და გარბის გრიშკა...
 სიყვარულის ეშმაკუნები
 მისდევენ ქართან
 და უქნევენ ყიფინით მჯიღებს.
 ლანდი ლოთობის,
 ლანდი მრუშობის,
 ლანდი ცდუნების
 გაურბის ქარში
 გრძელ პროსპექტებს,
 ქუჩებს და
 ჩიხებს.
 შემოდგომა კი
 შეაფრინდა ქალაქის კოშკებს,
 ყვითელი ფრთები
 გააწვდინა ბალტიის ზღვამდი.
 გარბის,
 ფოთლებზე ვერ იმაგრებს
 გაცვეთილ ქოშებს,
 უკატერინეს ძეგლს მიასკდა
 და გაჰქრა ლანდი.

16.

დაუკარიო!
 ჯერ დახვრიტეს დედა და მამა,
 თუ გსურს სიცოცხლე, —
 მერე უთხრეს, —
 დაუკარიო!

ვიოლინო კი თეთრ კედლიდან
 გოგონას ლამაზს
 ეძახდა:

— მოდი,
 ვერ მოგკლავენ,
 ხარ უკვდავიო.
 იღრინებოდა ოფიცერი
 და ხარხარებდა,
 დაუკარიო! —
 ავტომატი მუბლზე მიაღო.
 დედა და მამა
 განგმირული ეგდო კარებთან,
 მშვიდად ეძინა
 ვიოლინოს სიმზე იადონს,
 ბავშვს მიაჩქეს ვიოლინო,
 დაუკარიო.
 სიმებს მოედო
 მყის გოგონას ძარღვთა თრთოლანი.
 ეძახდა ვილაც:
 — ვერ მოგკლავენ,
 ხარ უკვდავიო! —
 და ჭერს მიასკდა უცებ
 „ინტერნაციონალი“.
 დაცხრილეს ბავშვი,
 ვიოლინო, —
 ჭღერდა სიმები,
 იადონებმა ხმა ჩაიდგეს
 არწივებისა.
 ლამაზი გოგო
 არ მოშვედარა გაულიმები,
 თუმც კელავ ესროლეს
 უკანასკნელ გაციენებისას.

...
 ეს მოხდა მაშინ,
 ბლოკადის დროს,
 ქალაქის ახლოს,
 სოფელში,
 რომლის შარა-გზები ერთვიან ქალაქს.
 კლდესავით შერჩა
 დიდ მინდორზე პატარა მალღობს
 ლამაზი გოგოს ვიოლინო
 და სულის ძალა.
 იძახის იგი:
 — გოგონები ასე გკვდებით და
 მერე ებრუნდებით სიმღერებით
 თქვენთან ისევ.
 ...
 შემოდგომის დღე გადის ახლა
 პროსპექტიდან



და სოფლის ბორცვზე
მაგარ კლდესთან ჩამოსვენებს.

17

ეს კაცი ომში არ ყოფილა,
ახლა ტურისტებს
მიჰყვება ომის ნამდვილ გზებზე
ამ დიდ ქალაქში.
მედგა ლენინის ძეგლთან,
დიდი ბელადის ძეგლი
მთელი თავისი სიდიადით
გაქუჩურებს ქალაქს.
მზარზე დაეცა
შემოდგომის ფოთოლი მჭკნარი,
დაპხურა ქარმა,
აფარფატდა ქარში ფოთოლი.
ეს კაცი ფრონტზე არ ყოფილა,
მაგრამ სიტყვები
ომზე,
გმირებსზე,
სამშობლოზე,
თავგანწირვაზე
ბევრი დაბეჭდა გაზეთებშიც
იმ მრისხანე დროს.
გაურკვეველი მიზეზების გამო
შაშხანით
ეს კაცი ომში არ ყოფილა,
მაგრამ კალამი,
რომლითაც წერდა პათეტიკურ
ლექსებს,
სტატიებს,
ახლაც ხელთა აწვეს
და ინიშნავს ბლოკნოტში გიდის
მგზნებარე სიტყვებს...
შემოდგომის ფოთოლი მჭკნარი
დაეცა ბლოკნოტს,
კალმის წვერი გაქვრა მჭკნარ ფოთოლს
ეს კაცი ომში არ ყოფილა.

18

ლენინის ძეგლთან
გიდს ხელისგულზე დააფრინდა
შემოდგომის დღე
და ტურისტები ყურს უგდებენ
შემოდგომის დღეს:
ლოკავს შენს მარილს
დედამიწის ბილიკებიდან
გადმოვარდნილი

ირმების ჯოგი.
ავასე ეზო
მოზუზუნე ცისფერ სკებითა
და მომაქვს თაფლი
წითელი კოკით.
ჩემს კვირტებს ხეთქავს
შენი მზის სხივი
და თეთრფრთიანი
მხარზე მავის შენი აპრილი.
ის გაზაფხული
უფრო ღვივის, სულ უფრო ღვივის,
თავისუფლება
წინ მიუძღვება ლაგამაყრილი.
ოკვანეებს
ატორტმანებს შენი გრიგალი,
გრძელდება ღელვა,
განახლების ღელვა გრძელდება,
შორი ჯუნგლის და უდაბნოთა
სიგრძე-სიგანის
სული ბობოქრობს,
მიწას გლეჯენ ისევ ბელტებად.
გუშინაც მოკლეს
ზანგი დოქტორი,
ბალახს შეეცხო
შავი კაცის წითელი სისხლი.
არ ცხრება ღელვა
შენი აზრის,
შენი ოქტომბრის,
დედამიწაზე
კვლავ ბორკილის ჩხარუნი იხმის.
თეთრის და შავის
კვლავ გრძელდება ჭიდილი, დავა,
მსოფლიოს ავსებს
ალისფერი დროშების ტყვრი.
ზანგი დოქტორის
სისხლი კოცონს აანთებს მრავალს
და იმ კოცონსზე
დაიწვება ღრუბელი ბევრი.
შენი სახელი დაეწერა
ჩაქუჩს და ნამგალს,
შემართულია
ჩაქუჩი და ნამგალი მალღა.
გადააწვდინე მკლავი
ყველა სათესს და სამკალს
და კონტინენტებს
გასწვდა შენი მღელვარე ტალღა.
ალარ მეტვეა სათიბებზე
ზუინები თივის,
ჩემი მდინარის კვლავ ბიბინებს



ლურჯი ნაპირი.
ჩემს კვირტებს ხეთქავს
შენი შზის სხივი
და თეთრფრთიანი მხარზე მავის
შენი აპრილი.

19

დადის ქალაქში ომი,
დადის ლანდი ომისა,
სუნთქვა რომლისაც,
ხმა რომლისაც,
სისხლი რომლისაც
მიახმა მიწას,
ასფალტს,
ფოთოლს
სანგარში ჩამპალს.
დადის და ველარ აქრობს ლამპარს,
გიზგიზა ლამპარს.
ჩრდილს ეფარება,
თხრილს ეფარება,
ბორცვს ეფარება...
ის მღელვარება,
ის მგზნებარება,
ის მჩქეფარება
მწუდამშრალს ველარ ეკარება,
და დადის ლანდი
ფეხის წვერებზე ჩრდილთან დადის,
თხრილებში დადის.
სამშო საფლავთა მარად ცეცხლზე
შიშინებს მისი
თოფების ბოლი,
ოხშივარი მისივე სისხლის.
დამარცხებული,
დაბეგვილი
და გაბორკილი
გმირთა ძველების კვარცხლბეკებთან
გართხმულა თრთოლვით
ჩარაზულია მიხთვის ყველა გზა და
ბოგირი,
არ ეკარება ნევის ზეცის წვიმა და თოვლი.
ანგრევდა,
ლექდა
წამახული შუბით მოსული,
ვერ შეანგრია მაინც
უდრეკ ქალაქის კარი.
ფარხმალდაყრილი
ახლა არის გარემოცული
დიდი სიცოცხლით.

დიდი ღელვით
და დიდი ქარით. **ეროვნული**
ჩრდილს ეფარება, **ბიზლინოთისა**
თხრილს ეფარება
ლანდი ომისა,
მის ხმელ ბეჭებზე
დღე ზეიმობს შემოდგომისა.

20

პატარა გოგო,
პატარა ბიჭი,
პატარა წყვილი,
წითელი ყელსახვევით,
წითელი ყელსახვევით,
წიგნების ჩანთით,
მიდიან დილით,
ნევის პროსპექტზე
მიდიან დილით.
მისდევთ სიყვარულის
ლალი ფერიები
ვეება სანთლით.
პატარა გოგოს,
პატარა ბიჭის
წინ რტოებს ხრიან
ხეები...
(მათზე იფეთქებენ კვლავაც კვირტები).
ყვითელი ფოთლები
ოქროს ჩიტებივით
პროსპექტზე ყრია,
პატარა წყვილის
გარს ფართხალვებენ
ოქროს ჩიტები.
21
მუკნარი ფოთლები
აქ მინდორზე ქარდაქარ კქროდა,
ქალაქი მისდევს,
მისდევს,
მისდევს
დინებას დროთა.
ასე გაგრძელდა პროსპექტი ნევის,
სხვაგვარი რიტმის განადა ქუნა,
სხვაგვარი წინევის.
შემოდგომის დღე ყვითელ ხელებით
მიეფართიქუნა აგურს და ტალახს.
ამოიზარდა სულ ახალი სასახლეები,
ახალი კვარტალი მიეზარდა,



მიეკრა ქალაქს.
ჩუქურთმებს ახალს,
ძველებს ახალს,
მოედნებს ახალს
შემოდგომის დღემ დაუარა
ბუკით და ცეკვით.
ღონემისდილ მზეს
კარ-ფანჯარა გაუღო სახლმა,
ღონემისდილ მზეს
მიეფიცხა პატარა ლეკვი.

22

ბუშინის თეატრს შეასკდა ტაში...
„შენ ხარ ვენახოს“ უსიტყვო ჰიმნით
შემოდის ქორო დიდ სცენაზე...
მერე კი დაშლილ
კრეონის ბრმა სულს
გააქვს ფლარუნი გაბზარულ რკინის.
ფრთებს გაშლის ღალად.
ანტიგონეს დაღლილი სული,
„— ადამიანი!“ —

კვლავ გუგუნებს მღელვარე ქორო...
ვილაციას მკერდზე აუჭავდა
დაღლილი წყლული.
(ეკატერინეს ძველთან
სცივა ხეების კორომს.)
სცენაზე
დიდმა ხელოვნებამ
დაპხარა თავი
და მოსვა ღვინო
პოეზიის ალისფერ სურით.

23

შემოდგომა კი
ახლა ღამის მანტიით შავით
გადის ქალაქში
ანტიგონეს დაღლილი სულით.

გათელილ ქედზე ზარი დაჰკიდე,
გუგუნებს ზარი,
გუგუნებს ზარი.
მეძახის ახლა ჩემი სამკვიდრე,
გამიღე კარი
და გამატანე ბალტიის ქარი.
შემოდგომის დღემ მზის ყურთბალიშზე
მიადო თავი და ჩაეთვლიმა.
და ულაყვებზე ამხედრებულ

ყრმებს და ბადიშებს
ფრთა დააფარა
შუალამის სულმა კეთილმა.
არ სძინავთ ძველებს, —
ატოტებულ ცხენებს ტორებზე,
შემართულ ხმლებზე
ღამის კალთა ჩაკარაბაკდა.
და სიზმარს მოაქვს ახლა ჩემთან
ამ სიშორეზე
ნასაკირალი,
გორის ციხე,
მტკვარი,
მარაბდა.

გათელილ ქედზე ზარი დაჰკიდე,
გათელილ ქედზე
სიყვარულის დაჰკიდე ზარი.
მეძახის ახლა ჩემი სამკვიდრე,
გამიღე კარი
და გამატანე ბალტიის ქარი

24

შემოდგომის დღე,
დღე წვიმიანი,
დღე ქარიანი
და ოქროსფერი,
შემოდგომის დღე ოქროსფერი
მაღალ საყდრებზე,
მაღალ კოშკებზე
შემდგარი არი,
ელაციცება
ქარს ბალტიის ზღვიდან მობერილს.
ჩამავალი მზე ელოდება —
წითელი ბუდე —
წავა, ჩაჯდება,
გამოჩქევს სვალინდელ დილას.
და ათამაშებს ქარი ფოთლებს,
ვით ყვითელ ბურთებს
და მივაბიჯებ ძირს გაფანტულ
ბურთებზე ფრთხილად.
ვინ იცის იქნებ
აქ აგდია
იმ კაცის ლანდი,
რომელსაც პური მშობდა და
არ ქონდა პური?
ვინ იცის იქნებ
აქ აგდია
იმ ქალის ლანდი.

რომელმაც ჩვილ ბავშვს ვერ მიუსწრო
წყლით სავსე სურით?
ვინ იცის იქნებ
აქ აგდია
იმ ბავშვის ლანდი,
რომელიც ფოთლებს, როგორც ბურთებს
დასდევდა მართლაც?
ვინ იცის იქნებ
აქ თამაშობს
ცოდვა და მადლი,
ვინ იცის იქნებ
დგახარ კაცი
განკითხვის კართან?
და მივაბიჯებ
ფრთხილად,
ფრთხილად
ყვითელ ბურთებზე.
უახლოვდება შემოდგომის დღე
წითელ ბუდეს.
მინდა გატანჯულ ლანდებს
ახლა ლამეს ვუთქვადე,
გავარღვევიინო
სიკვდილის და სიცოცხლის ზღუდე.
შემოდგომის დღე
ყვითელ ფოთლების
ზღაპარს მიაშობს,
„ზამთარიას“ —
სადღაც ისმის
ყინულთა მსხვერველად.
მე ხვედისა და სიხარულის
ტალღებს მივაპობ,
შემოდგომის დღე
ყვითელ ნაევებით მიჰყვება ნევას.

25

სმოლნის კედელთან,
სვეტებიან კედლების ახლოს
რუს მეგობრებთან
მე, ქართველი პოეტი ვდგავარ
და სურათს გვიღებს
აქაური მშაკაცი ჩვენი.
რევოლუციის სათავესთან,
აქედან,
მთავარ
გზებისკენ ხელი გაუწვდია
ვლადიმერ ლენინს.

და ქარი ძველის ხელისგულზე
დააგდებს ფოთლებს, **ქვეყნული**
ამრიალდა და **ხიზლირთქას**
ქვის თითები შეირხა თითქოს.
შემოდგომის დღეც წავა...
მერე ლამაზად მოთოვს
და ცივი თოვლიც
შეადნება ამ ხელის სითბოს.

26

საძმო საფლავთა გრძელი ბორცვები
ამოწნეჭილან, —
დაბერილი გმირთა ფილტვები.
— ადამიანი!
იდუმალი ისმის ლოცვები
და დიდ აჩრდილთა
ჭიჭიჭივებენ
მხრებზე ჩიტები.
აქ გაიხსენე
კაცის სახელს თუკი ბლაღავდი,
აქ გაიხსენე
სიყვარულით თუ ხარ დამხრჩველი.
— ადამიანი!
სადღაც გარბის ლანდი —
ლ ა ლ ა ტ ი,
— ადამიანი!
სადღაც გარბის ლანდი —
ლ ა ჩ ა რ ი.
მარადი ცეცხლის აღზე დასწეი
რაცა გაქვს ჩრდილი,
ხელისგულზე მოიფშენი
ჩრდილი დამწვარი.
და სულის ცაზე ცისარტყელას
შვიდფერი ჭრილი
შემოიხვიე
მზის სხივებით დაწულ ბაწარით.
აქ შეისვენე
და ამქვეყნის ყველა ცდუნება
გაწომე მტკაველით,
აქ გაწოლილ ვაჟკაცის მტკაველით.
აქ სიყვარულის
დიდი მდინარე გედუდუნება,
შემოდგომის დღის მჭკნარ ფოთლებზე
აგლიღს თუ ჩავლიღს.
და შენს ღიმილში
გარეცხავენ სისხლიან პერანგს



ოქრო ბიჭები
 ბორცვებიდან
 წამომართულნი.
 — ადამიანი!

იქ არწივებს გაგქცა ძერა,
 შეგაძაგძაგებს
 არწივების ფრთათა ფართქუნი.
 ყალყზე შემდგარა

მარილიანი
 ქარი ბალტიის,
 წინამორბედი

გაზაფხულის ცათა გრიალის.
 დგას თავდახრილი შემოდგომა
 ყვითელ მანტიით
 და გაიძახის ლალ მონოლოგს:
 — ადამიანი!



გიორგი ჯიბლაძე

ლენინი და ესთეტიკის საკითხები

ესთეტიკური აზროვნების ისტორია ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა გამოჩენილ ადამიანთა აზრებს, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა ამ მოღვაწეებს დაწერილი სპეციალური წიგნები ან წერილები საკუთრივ ხელოვნებამეტყველების პრობლემაზე. ეს აიხსნება, ერთის მხრივ, იმ ელემენტარული ფაქტით, რომელიც ხელოვნების უაღრესად ფართო ხასიათს გამოხატავს, მეორეს მხრივ, თვით დიდ ადამიანთა აზრების ცოცხალი და არსებითი მნიშვნელობით. ისტორიაში დღემდე არ არსებულა გამოჩენილი ადამიანი, პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწე, მეცნიერი თუ პრაქტიკოსი, რომელსაც ხელოვნებათა სიკეთით არ ესარგებლოს ან ხელოვნებასთან რაიმე დამაკავშირებელი ძალი არ ჰქონებოდა.

ლენინი არამარტო გამოჩენილი ადამიანია, არამარტო უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელმაც შექმნა სრულიად ახალი ტიპის პარტია, სრულიად ახალი სისტემის სახელმწიფო, არამედ, გენიალური მოაზროვნეა, ავტორი ღრმა თეორიული გამოკვლევებისა,

მათ შორის მრავალი სპეციალური წერილისა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თუმცა ხშირად უთქვამს — ამ საკითხებში კომპეტენტური არა ვარო. ლენინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გვხვდება არაერთი მოსაზრება ესთეტიკის საკითხებზე, რასაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების თეორიის პრობლემათა გარკვევისათვის. ყველა ამ საკითხს რომ შევეხოთ, ვრცელი სპეციალური მონოგრაფიაა საჭირო. ერთი მოხსენება, ერთი წერილი ვერ შეიძლება მოიცვას ლენინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დაყენებული ესთეტიკური პრობლემატიკა. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შევეხებით.

თავისთავად ცხადია, ლენინის მოსაზრებანი დაკავშირებულია უშუალოდ მის თანამედროვე ან წარსულის განსჯასთან, მაგრამ ყოველივე ამას მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი აწმყოს, ისე მომავლისათვის, ვინაიდან პროგრესული კაცობრიობის ბელადი ორინტაციას მომავალზე იღებდა, პრობლემას მომავლის ასპექტით განსჯერტვა ხოლმე. წარსული, აწმყო, მომავალი — ეს სამი დიდი ფენომენი ლენინს არასოდეს გამოპარვია მხედველობიდან, როცა პრობლემას არკვევდა, სულ ერთია, ეს პრობლემა იყო საკუთრივ

* მწერალთა კავშირში 1970 წლის 28 იანვარს გაკეთებული მოხსენების შესწორებული სტენოგრაფია.

თეორიული, თუ წმინდა პრაქტიკული ხასიათისა.

სისმონდის კრიტიკის დროს, ჯერ კიდევ ადრე — 1897 წელს დაწერილ წერილში — „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ ლენინს შემთხვევით არ უთქვამს: სისმონდს რეაქციონერად თვლიან „სახელდობრ იმიტომ, რომ იგი თავის პრაქტიკულ სურვილებში „აწმყოს ადარებდა წარსულს“ და არა მომავალს“.

როგორც მარქსისა და ენგელსის უერთგულესი მიმდევარი, ლენინი გვევლინება მათი მოძღვრების არამართო დამცველად; ლენინი აწვითარებს მარქსიზმს ახალ პირობებთან დაკავშირებით და ეს ჩანს მის შეხედულებებშიც ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე. ამიტომ, ბუნებრივია, როცა ვლაპარაკობთ ლენინის მიერ ამითიმ ესთეტიკური პრობლემის გადაწყვეტაზე, უნდა განვიხილოთ ამავე პრობლემების შესახებ მარქს-ენგელსის შეხედულებანი. ეს უნდა იყოს ერთერთი ძირითადი ამოსავალი წერტილი. მეორეს მხრივ, ლენინი თვლიდა რა პლენზანოვის ნაწერებს საუკეთესოდ მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში, აუცილებელია მათი გათვალისწინება სრული სურათის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ცალმხრივი მიდგომა გამოგვივიდეს, რაც ყოველად დაუშვებელია.

ყოველივე ეს უნდა მივიჩნიოთ სახელმძღვანელოდ, როცა ვლაპარაკობთ ლენინის შემკვიდრებაში აღძრულ ესთეტიკურ პრობლემებზე და მათ ანალიზს ორგანიულად ვუკავშირებთ თანამედროვე საბჭოთა ხელოვნების აქტუალურ ამოცანებს, ჩვენი ესთეტიკური აზროვნების განვითარებას.

მაგრამ რა არის ესთეტიკა, რა წრეს მოიცავს თვით ესთეტიკური პრობლემატიკა?

ესთეტიკა, როგორც აზროვნების დარგი, ფილოსოფიის ერთერთი განშტოება, უაღრესად სპეციფიკურია. მას საწმე აქვს ბუნების არამართო ჩვეუ-

ლებრივ საგანთა რიგთან, რასაც ის ხშირად ეხება ხოლმე, არამედ, ხელოვნებისა და ლიტერატურის ფაქტებითან, როგორც მხატვრული აზროვნების პროდუქტებთან. ამდენად ესთეტიკაში თავს იყრის აზროვნების ორი სპეციფიკური სფერო — უშუალოდ მეცნიერული და უშუალოდ მხატვრული. მათი ჰარმონიული შეპირისპირების საფუძველზე იბადება ესთეტიკური განზოგადება, როგორც სპეციფიკური ფენომენი. სწორედ ეს სპეციფიკა გვიკრძალებს შექანიერად, უშუალო სახით გადავიტანოთ ფილოსოფიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის პრობლემა და პირდაპირ მივეყენოთ ესთეტიკურ სამყაროს. აქ პირველყოფლისა საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა, ცოცხალი კავშირი, არა თარგმანი, თვით ორიგინალის შექმნა. ესთეტიკას თავისი სფერო აქვს, თავისი სპეციფიკა, ურომლისოდ მისი არსებობა შეუძლებელია. მაშინ ის იქნება იგივე ფილოსოფია, იგივე ლოგიკა, იგივე ფსიქოლოგია, მანასადამე, თვით ესთეტიკა აღარ იქნება. მართო იმის ხაზგასმა, რომ ესთეტიკა ზოგადი თეორიაა ხელოვნების კანონების შესახებ, განსხვავებით ლიტერატურული კრიტიკისაგან, რომელსაც უმთავრესად კონკრეტული ხასიათი აქვს, საკმარისია მისი სპეციფიკის ცხადსაყოფად. ეს შენიშნა ჯერ კიდევ ჩერნიშევსკიმ თავის სამავისტრო დისერტაციაში — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულებანი სინამდვილისადმი“, ხოლო უფრო ადრე თითქმის ანალოგიური თვალსაზრისი განავითარა იმ მოაზროვნემ, რომელმაც თვით ტერმინი ესთეტიკა შემოიღო. ეს მოაზროვნე იყო ვოლფის ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელი ალექსანდრ ვოტლიბ ბაუმგარტენი, ავტორი ორტონიანი თხზულებისა „ესთეტიკა“. როცა ამ „ახალ“ ფილოსოფიურ მეცნიერებას ნათლავდა, ლოგიკისა და ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, მისი სპეციფიკის დადგენას ბაუმგარტენი ცდილობდა გრძნობიერი აღქმით, რასაც

ესთეტიკის კვლევის სფეროდ აცხადებდა. ბაუმგარტენს ის გამოჩნდა მხედველობიდან, რომ ესთეტიკა იყო არა „ახალი“, არამედ, საკმაოდ „ძველი“ მეცნიერება, მსგავსად ლოგიკისა, რომლის ზღვით ახალი იყო ტერმინი, რომლის ხათლიადაც მოველინა ის კაცობრიობას, და ფილოსოფიური დასაბუთება გრძნობიერი აღქმისა, რამაც ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თვით ესთეტიკის სპეციფიკას. მომდევნო დრომ, როცა კვლავ დააყენა საკითხი ესთეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის ურთიერთმიმართების შესახებ, ლოგიკის უმცროსი და — ესთეტიკა გადარჩენილ იქნა იმ სპეციფიკის გამო, რასაც თავისებურად აღნიშნავენ ბაუმგარტენი და ჩერნიშევსკი, კერძოდ, მითითებით, რომ არ შეიძლება უარყოფით ზოგადი კერძოს, ხოლო კერძო ზოგადის ინტერესებისათვის. ასევე დაუშვებელია ესთეტიკის უარყოფა ლიტერატურული კრიტიკის, ხოლო ამ უკანასკნელზე ხელის აღება ესთეტიკის საბუთით. ორივე დარგს თავისი პრინციპები, თავისი კანონები აქვს, ისინი ენათესავენბიან ერთმანეთს, სხვაობაში აელენენ საერთოს, ხოლო საერთოში სხვაობას. ამ პრობლემის ანალიზს ბუნებრივად ვახდენთ ახახვის ლენინური თეორიის საფუძველზე, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ დგას შემეცნების ბუნების საკითხი მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, როგორ აისახება ჩვენს დამოუკიდებლად არსებული გარე სამყარო ჩვენს თავში, როგორ ვლენებულობთ მის სურათებს.

ლენინი ბოლომდე იცავს იმ ძირითად შეხედულებას, რომ „ზრუნვებითი ასახვანი მხოლოდ შეგრძნებებისაგან წარმოსდგებიან“ და პრინციპები სხვა არაფერია, თუ არ კვლევა-ძიების საბოლოო შედეგები, სინამდვილის აბსტრაქციები. მაგრამ ეს აბსტრაქციები საგნების „პირობითი ნიშნები“, „იეროგლიფები“, „სიმბოლოები“ კი არ არის“, „სახეები“, „სურათები“, რომლებიც სინამდვილის ასლებს წარმოადგენენ. მათ

კენარიტებას პრაქტიკა ამოწმებს, პრაქტიკა ადასტურებს, პრაქტიკა კენარიტების კრიტიკუმიანს. ზელოვების ნაწარმოებნი სინამდვილის „სახეებსა“ და „სურათებს“ გადმოგვცემენ მხატვრული განზოგადებით, მაგრამ ეს გადმოცემა სპეციფიკურად განსხვავდება უშუალო მეცნიერულისაგან, ამდენად, თვით „პრინციპების“ საკითხი სხვანაირად ისმება. გარე სამყარო ჩვენს მიერ არ არის შექმნილი. ზელოვება ჩვენს მიერ შექმნილია. როგორ უნდა მოვექცეთ პრინციპებს, რომლებიც გარე სამყაროს აბსტრაქციებიან, და იმ პრინციპებს, რომლებიც ზელოვნების კვლევა-ძიების საბოლოო შედეგებია? პირველ შემთხვევაში „პრინციპები ბუნებისა და ადამიანის ისტორიის მიმართ კი არ გამოიყენებიან... ბუნება და კაცობრიობა კი არ ეფარდებიან პრინციპებს, არამედ, პირიქით, პრინციპები სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ბუნებასა და ისტორიას შეესაბამებიან“. ეს სრულიად უმკვლეელია. მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციფიკურად სხვა ვითარებასთან. გარე სამყარო ჩვენს მიერ აღმოჩენილი პრინციპებით არ იქმნება, ზელოვნება კი შენდება ჩვენს მიერ მიკვლევული პრინციპების საფუძველზე. ეს რაღაცა-ღურა სხვაობა ბადებს იმის აუცილებლობას, რომ შემოქმედებითი პრინციპი გამოიყენება ზელოვნების მიმართ, როგორც მისი მხატვრული სრულყოფის ერთერთი საშუალება. ზელოვნების თეორიული ანალიზით დადგენილი პრინციპი — ესთეტიკური კანონია, და ესთეტიკა, როგორც მეცნიერება, ზელოვნების მთელი ისტორიის მანძილზე აღმოჩენილ ამ პრინციპთა ჯამს. გარკვეულ სისტემას წარმოადგენს, ზელოვნების არსებიდან გამოყვანილი ამ პრინციპებისა და კანონების გამოყენებით ზელოვნება ფორმალური ოსტატობის ანალ მწვერვალებს იპყრობს, შესაბამისად იმ ისტორიულ-საზოგადოებრივი პირობებისა, რომლის წიაღშიაც მისი ახალი შედეგები იქმნებიან.

უეჭველად ხელოვნებისა და ესთეტიკის ეს საეციფიკა ჰქონდა მხედველობაში ლენინს, როცა პირდაპირ ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ „ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას... საჭიროა მეტი გასაქმნი მიეცეს პირად ინიციატივას, ინიციული მძღვრეობა მიღრეკილებებს, გასაქმნი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, დორმასა და შინაარსს“. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ლენინი მთელი არსებით იბრძოდა მეცნიერების გადაქცევის წინააღმდეგ „დოგმად ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, რაღაც მკვდარ, გაყინულ, გაქვავებულ რამედ“, შეუძლებელია არ ვირწმუნოთ ის, რაც ზემოდ ითქვა. ხელოვნებას მით უფრო არ შეუძლია დოგმად იქცეს ან დოგმატიკური იყო, ვინაიდან დოგმა, ტრაფარტი შემოქმედების უარყოფაა, ხელოვნება კი მხოლოდ შემოქმედებითს სტიქიაში ავლენს მთელ თავის არსებას. უეჭველია, ეს ამგვარად ესმოდა ლენინს. გადავიდეთ ესთეტიკური თეორიის ზოგერთი კონკრეტული საკითხის ანალიზზე. მხედველობაში მაქვს ლაკონიურობისა და მოქმედების კანონი, რომლის შესახებაც ლენინგმა ვრცლად ილაპარაკა თავის სახელგანთქმულ „ლაოკონონში.“ კლასიკურ მავალითად დასახეულა მომენტისის „ილიადა“, მიუთითა, რომ მოქმედება და ლაკონიურობა მის ერთერთი ძირითადი ესთეტიკური კანონებია, რომ ანტიკურ ხელოვნებაში, რომლის პლასტიკური სილამაზე ასე ღრმად ვაიგო ვინკელმანმა, ძალიან სწორად გვაქვს ამ შემოქმედებითი პრიციპების გამოყენება პომპროსის შემდეგაც. მაგრამ ის, რასაც ეს ესთეტიკური კანონები აკეთებენ პომპროსის, საერთოა. ანტიკურ ოსტატთა ან შემდგომი ეპოქების დიდ ხელოვნებაში, შეიძლება სხვაგვარადაც იქნეს მიღწეული, მავალითად, აღწერის გზით. რომელია მათ შორის უნივერსალური? ამის დამტკიცება შეიძლება იმ ეფექტის

ძალით, რასაც ერთი ან მეორე ასტონი წყობილებზე, მაგრამ ეს მიინტერესებს შინავე პირველის უნივერსალური ხასიათი დოგმად ვაქციოთ, ხოლო მეორესულ უარყოფით. მხატვრული ასახვა ისეთი რთული პროცესია, იმდენად მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი, უსაზღვრო შესაძლებლობათა მქონე, რომ შეუძლებელია მისი რომელიმე რიცხვით გამოხატულ ესთეტიკურ პრიციპითა გროვამდე დაყვანა. თუ საერთოდ ვილაპარაკებთ შემეცნებაზე, როგორც გნოსეოლოგიურ აქტზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ლენინური ასახვის თეორია შემეცნებას თელის არა პირდაპირ, არამედ, მრუდზე ხაზად, რომ „სწორხაზოვანობა და ცალმხრივობა, გაშვება და გაქვავება, სუბიექტივიზმი და სუბიექტური დაბრმავება“ იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ფესვებს წარმოადგენენ. ადამიანის თავში ნივთის, საგნის, სინამდვილის ასახვის პროცესი არ წარმოადგენს „უბრალო, უშუალო, სარკისებრ-მკვდარულ აქტს“, პირიქით, ეს არის „რთული, გარბებული, მიხვეულ-მოხვეული აქტი, რომელიც შეიცავს (ხაზი ლენინისაა—გ. ჯ.) ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას“. მაგრამ ეს კიდევ ცოტააო. — დასაქმნს ლენინი. ეს აქტი შეიცავს „აბსტრაქტული ცნების, იდეის ფანტაზიად (საბოლოო ანგარიშით — ღმერთად) გადაქცევის შესაძლებლობას“ (ხაზი ორივეგან ლენინისაა — გ. ჯ.). ეს პროცესი საეციფიკურად რთულია ხელოვნებაში, სადაც ადგილი აქვს სინამდვილის ესთეტიკურ უკუფენას ცნებებითა და კონკრეტული საბეებით. სადაც ფანტაზიაა, იქ ესთეტიკურ განზოგადებათა შესაძლებლობის უსაზღვრო ველიც იშლება. სწორედ აქ არის საჭირო ვიცოდეთ საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთმიმართება, კერძოდ, ის ცნობილი მარქსისტული დებულება, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება შეპირობებულია საზოგადოებრივი ყოფიერებით.

გავიხსენოთ ლენინისა და გორკის კამათის ის ფურცელი, რომელიც ღმერთის განმარტებას შეეხება. დებულება, რომ „ღმერთი არის იდეათა კომპლექსი“, ლენინმა მიიჩნია, როგორც ყალბი ახსნა უზენაესისა. ღმერთი იდეათა კომპლექსი კი არ არის, შექმნილია მატერიალური წინამძღვრებით ადამიანის მიერ, იმ კონკრეტული სიტუაციის შედეგად, რომელშიც მას ცხოვრება უხდებოდა. გარე საწყაროს საკვირველ მოვლენათა ახსნა რაკი არ შეეძლო, ყველაფერი შეთხზულ ღმერთს მიაწერა და ბუნების კანონების უცოდინარობიდან გამოსავალიც ამით აპოვა. ეს არის მატერიალისტური ახსნა რელიგიის წარმოშობისა, მისი გენეზისის მატერიალური საფუძვლით განმარტება, ისევე, როგორც ლენინი ყოველთვის იძლეოდა კულტურის მატერიალისტურ გაგებას. ამიტომ შეუძლებელია მეცნიერული ახსნა მიეცეს კულტურის მოვლენებს, თუ ეს ახსნა არ ლაუკავშირდა მატერიალურ საფუძვლებს. ზოგადს განვმარტავთ, თუ კერძოს, ამ მომენტის გათვალისწინება, მისი გამოკვლევა აუცილებელია. ლენინური შეშვებების თეორია იქიდან ამოდის, რომ „ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ ხანჯა გარეგანი სამყაროსი, და... ასახულობა არ შეიძლება არსებობდეს ასახულის გარეშე, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად“. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „გამოხატულება სავსებით ვერასოდეს ვერ შეედრება მოდელს“. ამ ფილოსოფიურ წინამძღვრებს თვით ლენინი შესანიშნავად იყენებდა ლიტერატურულ მოვლენებზე კონკრეტული მსჯელობის დროს.

ჩაგალითად შეიძლება დავასახელოთ მამინ-სიბირიაკის შემოქმედების ის დახასიათება, რომელიც ლენინმა მოგვცა ერთერთ ადრინდელ კლასიკურ ნაშრომში. ეგულისხმობთ „კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში“, სადაც ლაპარაკია ურალის მუშების დებალ ხელფასსა და კაბალურ მდგომარეობაზე. ორივეს ლენინი უკავშირებს ურალის იმდრო-

ინდელ (90-იანი წლები) ტექნიკურ ჩამორჩენილობას. „ორატქისნიშნავეტი ურალში გაცილებით უფრო სუსტად არის გამოყენებული, — წერდა ლენინი, — ვიდრე სამხრეთში. დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ურალის კარბაქტილობაც, რუსეთის ცენტრისაგან მისი მოწყვეტილობა დიდი მანძილისა და სალიანდაგო გზის უქონლობის გამო. სულ ბოლო დრომდე ურალიდან მოსკოვში პროდუქტები მიჰქონდათ წელიწადში ერთხელ, უმთავრესად მდინარეებით, პრიმიტიულად — „დაცურების“ საშუალებით“. და ამ აღვიღს თავის წიგნში ლენინი უკეთებს შენიშვნას: შეადარეთ „ამ დაცურების აღწერაბ-ნი მამინ-სიბირიაკის მოთხრობაში „Нашы“. ამ მწერლის ნაწარმოებებში მკაფიოდ იხატება ურალის განსაკუთრებული, თითქმის რეფორმამდელი ყოფაცხოვრება. ქარხნებზე მიმავრებული მოსახლეობის უუფლებობა, სიბნელე და დამცირებულობა, „ბატონების“ კეთილსინიდიისიერი ყმაწვილური გარყვნილება“, ადამიანთა იმ საშუალო ფენის (რახნოჩინეების, ინტელიგენციის) არარსებობა, რაც ასე დამახასიათებელია ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, კაპიტალისტური განვითარებისათვის“.

ასეთი იყო ურალი 1899 წელს, როცა ლენინი წერდა თავის კლასიკურ ნაშრომს, ჩამორჩენილი მხარე, თითქმის რეფორმამდელი სინამდვილით. ასევე აისახა ურალის ცხოვრება მამინ-სიბირიაკის მოთხრობებში, თუმცა შეიძლებოდა მწერალს გადაეხვია მისთვის, შეელამაზებინა, სხვაგვარადაც მოეცა, ან ზუსტად ისე, როგორც იყო, ან მიანლობით. მაგრამ რეალისტური ასახვა სხვა გზას ვერ აირჩევდა. ეს რეალიზმი არ იყო ის, რასაც ასლის გადაღება ჰქვია, არ იყო ნატურალიზმი, მწერალი ახერხებდა სინამდვილის ტიპურ გადმოცემას, მაშასადამე, მალღლებოდა სინამდვილზე, მიმართავდა გამოგონებას, ფანტაზიას, ვინაიდან ან გამოგონების, ფანტაზიისა და ამალღების გარეშე არავითარი ჰეშმარიტი შემოქმედება არ არ-

სებობს. მაგრამ ეს სინამდვილისაგან მოწყვეტა კი არ იყო, პირიქით, სინამდვილის უფრო ძლიერად გამოხატვას ემსახურებოდა. ხელოვანის ამგვარი მიდგომა სინამდვილისადმი ხაზგასმულია ესთეტიკურის ლენინურ იდეალში, თუმცა ლენინი ყოველთვის წინააღმდეგი იყო მოღერი ხელოვნებისა, ახალი „იზმებისა“, და შემთხვევით არ ეუბნებოდა კლარა ცეტკინას: „მე არ ძალშიძს ექსპრესიონიზმის, ფუტურისმის, კუბიზმის და სხვა „იზმების“ ნაწარმოებნი მხატვრული გენიის უმაღლეს გამოხატულებად მივიჩნიოთ. მე ეს ნაწარმოებნი არ მესმის. მათგან არავითარ სიხარულს არ განვიცდიო“. ამ საკითხს ჩვენ ქვევით ისევ დავუბრუნდებით, ახლა კი გვინდა შევეხოთ მხატვრული შემეცნების ბუნებას იმ საზოგადოებაში, რომელიც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზეა დამყარებული — ხელოვნების როლს, ადგილსა და ფუნქციას ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილების პირობებში.

გავიხსენოთ მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, სადაც მოცემულია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელოვნების არსების კლასიკური დახასიათება მომდერალი ქალის მაგალითზე. თავდაპირველად იმას გავეცნოთ, თუ რა არის ხელოვნების თავისუფლება. მარქსი ასახელებს დიდი ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის შემოქმედებას. მილტონმა დაწერა პოემები — „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“. ნან დიდი ენერგია დახარჯა, დიდი შრომა გასწია მათ შესაქმნელად, მაგრამ მილტონი საწარმოო მუშაკი არ არის, მას კაპიტალი არ უწარმოებია. თავისი პოემების დასაწერად მას ისეთივე შინაგანი იმპულსი ამოძრავებდა, როგორც აბრეშუმის ჰიას პარკის ახვევის ღრის, თუმცა პირველი შეგნებული აქტია, ხოლო მეორე — შეუგნებელი. მომდერალი ქალიც, თუ ის იმდენს მღერის, რამდენიც სურს, მღერის იმას, რაც მას უყვარს და კაპიტალს არ აწარმოებს, არასაწარმოო მუშაკია. მაგრამ იგი-

ვე მომდერალი ქალი, ანტურპრენიორის მიერ დაქირავებული პროფესიონალი აიძულებს მას ის იმღეროს, რა იმდენს იმღეროს, რომ მეტი შემოსავალი მიიღოს, უკვე საწარმოო მუშაკია, რაკი კაპიტალს აწარმოებს. აქედან კეთდება ბუნებრივი დასკვნა, რომ კაპიტალიზმი მტრულად არის განწყობილი ხელოვნებისადმი და ბურჟუაზიულ ანტურპრენიზმში ზედმეტია ხელოვნების თავისუფლებაზე ლაპარაკი.

ანალოგიურად აყენებს საკითხს ლენინი, როცა ლაპარაკობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელოვნების თავისუფლების შეუძლებლობის შესახებ. ანფასით გვიჩვენებს, რომ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების „სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა“. მოურიდებლად და პირდაპირ აცხადებს: „ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები ლატაკობენ და ერთი მუჰა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია იყოს „თავისუფლება“ რეალური და ნამდვილი. განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუციას „წმინდა“ სასცენო ხელოვნებისადმი „დამატების“ სახით?“ და ლენინი ბოლომდე აშიშვლებს რა „აბსოლუტური თავისუფლების“ შესახებ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების ფრაზას, ნათლად განმარტავს, რომ „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბფარებული) დამოკიდებულება ფულის ჭისისაგან, ხასობისაგან“. რომ იტყვიან, უფრო ღრმა, უფრო სრული დახასიათება შეუძლებელია.

მაგრამ ლენინის ლიტერატურულ-ეს-

თეტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით მარტო ამგვარი პრობლემები როდი დგება. ლენინი ფილოსოფოსია და მისი ფილოსოფიური შრომები, როგორცაა, მაგალითად, კლასიკური გამოკვლევა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, საფუძველს გვაძლევს ესთეტიკის არაერთი კარდინალური საკითხი მეცნიერულად გადაწყვეტოთ. სანიმუშოდ ავიღოთ ფერი, როგორც ესთეტიკური ფენომენი.

ჩვენი შემეცნების თეორია ცნობს ჩვენს დამოუკიდებლად გარე სამყაროს არსებობას. ასახვის მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ, წინააღმდეგ იდეალიზმისა და ულტრაიდეალიზმის ნაირსახეობებისა, სავსებით ნათელი გახადა, თუ რა ღრმად არამეცნიერულია სუბიექტური იდეალიზმის, კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკის აგნოსტიკური მტკიცებანი. მაგრამ ერთია ცნო გარესამყაროს, ნივთების არსებობა ჩვენი ცნობიერების დამოუკიდებლად, მაგრამ მეორეა პასუხი ვასცე კითხვაზე — ჩვენი შეგრძნებების, საერთოდ ადამიანის დამოუკიდებლად არსებობენ თუ არა ისეთი ფენომენები, როგორცაა ესთეტიკური, ვიქვათ, ლამაზი, მშვენიერი, ამაღლებული, ფერთა გამა და ასე დაუსრულებლად? მინდა მოვიტანო ერთი ადგილი ლენინის კლასიკური შრომიდან — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ ესთეტიკისათვის. ეს ადგილი შემდეგნაირად იკითხება: „...ნივთები, გარემო, სამყარო, — წერს ლენინი, — არსებობენ ჩვენი შეგრძნების, ჩვენი ცნობიერების, ჩვენი მე-ს და საზოგადოდ ადამიანის დამოუკიდებლად. სწორედ ეს გამოცდილება... რომელმაც ჩვენ შეგვიქმნა ურყევი რწმენა, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ სხვა ადამიანები, და არა უბრალო კომპლექსები ჩემი შეგრძნებებისა — მაღალი, დაბალი, ყვითელი, მყარი და ა. შ., სწორედ ეს გამოცდილება ჰქმნის ჩვენს რწმენას, რომ ნივთები, სამყარო, გარე-

მო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ“. მიაქციეთ ყურადღება ამ დებულებაში სიტყვა „ყვითელი“ როგორც ფერს. გაიხსენეთ ანტიკური მატერიალიზმი, ატომისტური ფილოსოფია და მისი წარმომადგენლები. ლევკიპე, დემოკრიტე, ეპიკურე, ლუკრეციუსი მატერიალისტები იყვნენ, მაგრამ თვლიდნენ, რომ ფერი (მაშასადამე, ყვითელი, წითელი, თეთრი, შავი) ადამიანის შეგრძნების, ადამიანის ცნობიერების გარეშე არ არსებობს, იგი მატერიის მხოლოდ თვისებაა და არა თვით მატერია, მაშასადამე, დემატერიალურია.

მაგრამ შეუძლებელია ვიწამოთ, რომ ფერი დემატერიალურ ფენომენს წარმოადგენს. „ესთეტიკური აღზრდის პრინციპის“ იმ თავში, რომელიც ფერთა როლის ანალიზს ეძღვნება, ჩვენ ვსცადეთ პრობლემა გადაგვეწყვიტა ასახვის ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით. სრულიად უეჭველ რამედ მივიჩნიეთ ფერის მატერიალური არსებობა, მისი ობიექტური, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობა, მით უფრო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა არამარტო შესაძლებლობის ფარგლებში, არამედ, ტექნიკური საშუალებებითაც კი უხილავი მოვლენების შესწავლა (გაიხსენეთ თანამედროვე მიკროელექტრონიკის პრობლემა) მატერიის გამოვლენის უამრავ ფორმათა საფუძველზე ხდება. მაგრამ ეს უკვე ცალკე სპეციალური საკითხია.

გადავიდეთ ხელოვნების, როგორც შემოქმედებითი პროცესის, როგორც ისტორიულად შეპირობებული ქმნალობის ლენინური გაგების დაბასიათებაზე, ეს გაგება რომ არ ყოფილიყო, უიშველია, „პროლეტარული კულტურის“ სახით, 20-იანი წლებიდან მოყოლებული. გვექნებოდა რაღაც „ზეზუნებრივი და უაზრო“, როგორც თვით ლენინი ამბობდა. ისტორიული პროცესის უტყუარ მცოდნესა და ღრმად განმსჭვრეტს, მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ის, რაც გუშინ იყო შესაძლებელი ან დასაშვე-

ბი, დღეს შეიძლება მოსათმენი აღარ იყოს. სწორედ ამ თვალთ შეხედა ლენინმა **ბოღდანოვის ქაღუფის** „პროლეტარულ კულტურას“, რომლის შესახებაც თქვა: „...პირველ ხანებში ეს („უაზრო მანვიობის“, „ზებუნებრივისა და უაზროს“ ახალ პროლეტარულ ხელოვნებად გასაღება — გ. ჯ.) ბუნებრივი და შეიძლება საპატიებელიც იყო, და ეს არ შეიძლება დანაშაულად ჩავეთვალოთ ფართო მოძრაობას“ (იმდროინდელი პროლეტ-კულტელებისა — გ. ჯ.), მაგრამ ლენინს სწამდა, რომ **ახალი ხელოვნება** ამ არტაბებს თავს დააღწევდა, მათგან **გათავისუფლდებოდა**, რევოლუციის ისტორიული განვითარება ხელოვნების ქმნალობაშიც წესრიგს შეიტანდა „... მეც ვიმედოვნებ, — ამბობდა ლენინი, — რომ ჩვენ მიანიც, ბოლოსდაბოლოს, ამას თავს ვაღწევთ და კიდევაც დავადწევთ თავსო“. ასე რომ არ მომხდარიყო, არ ვიცით დღეს რა იქნებოდა, როგორ მაზინჯი სახე ექნებოდა ე. წ. „ბოღდანოვისებურ პროლეტარულ კულტურას“, რომელიც შენდებოდა ვიწრო კასტური ინტერესების მიხედვით, სრულიად მოწყვეტილი ახალი რევოლუციური სინამდვილის შინაგან არსებასა და მომავალი განვითარების ლოგიკას. პროლეტკულტელებს სურდათ ახალი ხელოვნება შეექმნათ მარტოოდენ პროლეტარიატის მონაწილეობით, გლეხების გარეშე, შეექმნათ სტუდიებში, კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, ცოცხალი სინამდვილისაგან მოწყვეტით, ამავე დროს, „ძველი“ ხელოვნება მთლიანად უნდა ყოფილიყო უკუგდებული, როგორც ახალი კულტურისათვის ზედმეტი ბარგი.

ყოველივე ეს ლენინმა მიიჩნია არამარტო შეცდომად, — ეს ცოტაა, — ახალი ხელოვნების საზიანოდაც. ლენინი იქიდან გამოდარდა, რომ „ახალი“ შეუძლებელია შეიქმნას „ძველის“ საუკეთესო მიღწევების გამოყენებლად. თვით „მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშე-

ნელობა იმით მოიპოვა, რომ მან, **მარქსიზმმა**, არათუ უკუთავდა უკუთავდა, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რასაც კი ფასი ჰქონდა ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში“. მარქსიზმის წყაროებს წარმოადგენდნენ გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი. თუ მარქსიზმი, ეს სრულიად ახალი მოძღვრება, ჩამოყალიბდა წინა პერიოდის მიღწევათა გამოყენებით, როგორ შეიძლებოდა **ახალი ხელოვნება შექმნილიყო წარსულის საუნჯეთა გაუთვალისწინებლად, მით უფრო უარყოფით?** ამიტომ ლენინი კატეგორიულად ამბობდა: „თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია მხოლოდ კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადაამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას (ნამდვილად ახალი პროლეტარული კულტურის შექმნის ამოცანას — გ. ჯ.) ჩვენ ვერ გადავწყვეტთ“. ამ თვალსაზრისს ლენინი ყოველთვის იცავდა, სულ ერთია, ლაპარაკობდა **ხელოვნებაზე, ხელოვნებაზე**, თუ საერთოდ ადამიანური ცოდნის მარაგზე. მაგრამ ასევე ყოველთვის გამოყოფდა **კრიტიკულ მომენტს**, ურომლისოდ შეუძლებელია წარსულის მიღწევათა ნამდვილად სწორი და ნამდვილად ზუსტ შემოქმედებითი ათვისება. მარქსმა „ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას... კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არცერთი პუნქტი არ დაუტოვებია უყურადღებოდ“. მაგრამ ამ **გადაამუშავებაში** პოზიტიური ყოველთვის შემონახული იყო, როგორც თვით ლენინი აღიარებდა. „რაც ლამაზია, უნდა შევინარჩუნოთ, ნიმუშად გავიხადოთ იგი, დავეყრდნოთ მას, თუნდაც იგი „ძველი“ იყოს, — ამბობდა ლენინი. რატომ უნდა შევაქციოთ ზურ-

გი ქეშმარიტად მშვენიერს, უარი ვთქვით მასზე, როგორც შემდგომი განვითარების გამოსავალ პუნქტზე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ ქვედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს ახალია“? უაზრობაა, სრული უაზრობაა“. მაგრამ ეს იყო არამართო თეორიული მრწამსი, პრაქტიკულად მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპი. ამ თვალსაზრისით აფასებდა ლენინი როგორც ძველი ხელოვნების — მუსიკის, ლიტერატურის, ფერწერის, ისე ახალი შემოქმედების ნიმუშებს.

კლასიკურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პეტერბურგში ალექსანდრინის თეატრი, რომელიც პროლეტკულტელებს „რეაქციული ხელოვნების ბუდედ“ მიაჩნდათ და რომლის დახურვასაც მოითხოვდნენ. ლენინმა დახურვის მაგიერ ლუნაჩარსკის დაავალა შეენარჩუნებინა ძველი თეატრები, თან ხელი შეეწყო იმ ახალსათვის რეპერტუარში, რომელიც რევოლუციური სინამდვილის ზეგავლენით უქველად შეიქმნებოდა. ეს ახალი თავდაპირველად სუსტი რომ იქნებოდა, მას ოდნავი ექვიც არ ეპარებოდა, მაგრამ დროთა სვლაში მისი სრულყოფაც რეალურ შესაძლებლობად ეჩვენებოდა. ამ შემთხვევაში მარტოოდენ ესთეტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობას ლენინი დაუშვებლად მიიჩნევდა. მას ღრმად სწამდა, რომ ახალ „საზოგადოებრივ წყობილებას.. უნარი ექნება მოგვცეს სილამაზე, განუსაზღვრელად უკეთესი, ვიდრე ყველა ის, რის შესახებაც მხოლოდ ოცნება შეეძლოთ წარსულში“, რომ ახალი ხელოვნება „შექმნის ფორმას თავისი შინაარსის შესაბამისად“.

ინტერესმოკლებული არ იქნება ამ საკითხებთან დაკავშირებით გაიხსენოთ გრიმისა და მაღამ დე-სტალიის თეორია, რომელიც აღრე ჯერ კიდევ პლენაროვმა გააკრიტიკა. თუ მე-18 საუკუნის გან-

მანათლებლები ისტორიას იდეალისტურად უყურებდნენ, მათ უნდა აღინდობოდათ, რომ აზრის მოძრაობა თვით ადაშიანის ბუნებით განისაზღვრება. მე-19 საუკუნემ ეს მოსაზრება შეიძინა შემკვიდრობით. ადაშიანი თავის ცხოვრებაში გაივლის ყმაწვილობის ასაკს, შემდეგ მოხუცებულობას, ანალოგიით იგივე ხდება კაცობრიობის აზრის განვითარების მიხედვითაც. და გრიმს ქეშმარიტებად მიაჩნდა, რომ ყოველი ხალხი თავიდანვე პოეტია, ხოლო შემდეგ მიაზროვნე. მაშასადამე, პოეზიის მწვერვალზე ასვლა ხალხის სიკაბუჯის მაჩვენებელია, ხოლო ფილოსოფიისა-მოწიფულობის. მაღამ დე-სტალიც ამ თვალსაზრისით მიუღვა ანტიკური ბერძნული კულტურის ისტორიას და მის სამ ეპოქას. პომპროსი (მე-10-მე-9 საუკუნე) გამოხატავს პირველ ეპოქას — ეპიკური პოეზიის მიუწვდომელ მწვერვალს; პერიკლეს დრო (მე-5 ს.) მეორე ეპოქაა, როცა არაჩვეულებრივად ვითარდება დრამატული ხელოვნება, რიტორიკა, ეთიკა, ხოლო ფილოსოფია იწყებს პირველი ნაბიჯებს გადადგმას; ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში (მე-4 საუკუნე) ფილოსოფიურ მეცნიერებათა შესწავლა ხდება უნიჭიერესი ადაშიანები უმთავრესი საქმიანობა. კულტურის ეს ახსნა ასაკობრივი თეორიით მაღამ დე-სტალს საესებით აცმაყოფილებდა, ვინაიდან ამით ხდებოდა ახსნილი ის ფაქტი, თუ რატომ ვერ შექმნა ცივილიზებულმა კაცობრიობამ პომპროსის ეპიკურ ქმნილებებზე უკეთესი პოეტური ნაწარმოებები. მაგრამ ეს თეორია მას უკვე აღარ ესაქიროებოდა, როცა განმარტავდა, ვთქვით, მე-17 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის სიმადლეს. აქ უკვე მითითებული იყო, რომ მე-17 საუკუნის ფრანგულმა ლიტერატურამ თავის დიდ წარმატებებს მიაღწია, როგორც მონარქიული ხელისუფლების უშუალო პროდუქტმა, მაშასადამე, ხელოვნება ახსნილი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური რიგის მოვლენებით. ამ ახალ თვალსაზრისს შემდეგ იმეორებენ ფრა-

ნსუა გიზო, შენიშვნებით — **სენტ-ბევი**, ხოლო უფრო სრულად იპოლიტე **ტენი**. მაგრამ პრობლემის ნამდვილად მეცნიერული ახსნა შეიძლო **მარქსიზმში**, რომელიც ისტორიულ მოვლენებს განიხილავს დიალექტიკური თვალსაზრისით და საზოგადოებრივ ცნობიერებას განმარტავს საზოგადოებრივი ყოფიერებით. ხელოვნება არამარტო საზოგადოებრივი წოდენაა—კლასობრივ საზოგადოებაში იგი უქველად კლასობრივ იდეებს გამოხატავს, მაგრამ დიდი მწერლები ხშირად არღვევენ ამ შეზღუდულობას და მთელ საზოგადოებრივ სინამდვილეს მოიცავენ. **ლენინმა** ეს კარგად იცოდა, რაც სავსებით ნათლად ჩანს როგორც ცალკეული მწერლების შემოქმედების, ისე ხელოვნების სპეციფიკური პრობლემების ანალიზში.

მაგალითისათვის ავიღოთ **რეალიზმი** და რომანტიზმის პრობლემა.

რეალიზმი ლენინს ისე არ ესმოდა, როგორც ვულგარულ სოციოლოგებს, ან იმათ, რომლებიც ამ ცნებით არსებითად **ნატურალიზმს** განმარტავენ. რეალიზმი მას არასოდეს დაუყვანია ნატურალიზმამდე, თუმცა ბრწყინვალედ ესმოდა, რომ იგი არ არსებობს სინამდვილის ასახვის გარეშე. საკითხის მთელი არსება სწორედ ამ **ასახვაში** მდგომარეობს და სინამდვილის ყოველგვარი აღწერა **რეალიზმი** არ არის. შეიძლება იგი გადაიქცეს **ნატურალიზმად**, **მხოხავ რეალიზმად**, სინამდვილის **დამახინჯებად** და არა მის **მხატვრულ შემეცნებად**. ასევე შესაძლოა გადმოსცე სინამდვილეს მომხდარი ფაქტი და სრულებით არ იყოს რეალისტური, ან, პირიქით, შეთხზა სიტუაცია და სავსებით რეალისტური ასახვა გამოვიდეს. მთავარია არ უღალატო თვით **სინამდვილის ტენდენციას**, ბოროტად არ მოქეცე **ფანტაზიას**, რომელიც „უაღრესად ძვირფასი ნიჭია“. ამ ნიჭის პირველი მეცნიერული შეფასება ლენინმა მოგვცა 1902 წელს დაწერილს გამოკვლევაში — „**რა ვაქეთით?**“, სადაც გაკრიტიკებულია **მარტიზმის, კრიჩევსკისა** და სხვათა მცდარი

შეხედულებანი. ფანტაზიის დიდი მნიშვნელობის ცხადსაყოფად **ლენინს** მოყვას **პისარევის** ცნობილ **პარი ორგვარ ოცნებაზე**, გამოყოფს ამ საკითხს, როგორც სპეციფიკურს მეცნიერებისა და ცხოვრებისეული პრაქტიკისათვის. შემთხვევითად არ ჩაითვლება, რომ ფანტაზიის პრობლემას ლენინი სპეციალურად შეეხო სამჯერ: 1902 წელს („**რა ვაქეთით?**“), 1915—1916 წელს („**ფილოსოფიური რვეულები**“), 1922 წელს (მოსხენებაში პარტიის მე-9 ყრილობაზე). „**ფილოსოფიური რვეულები**“, საიდანაც ჩვენ უკვე მოვიტანეთ აზრი „ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობის“ შესახებ, დადასტურებულია ის ფაქტი, რომ „ყველაზე მარტივ განზოგადებაშიც, ყოველად ელემენტარულ ზოგად იდეაში“ („**მაგია**“ და „**საზოგადოდ**“) **არის ფანტაზიის** ერთგვარი ნაგლევი“ ამიტომ „უაზრობაა უარყოფილი ფანტაზიის როლი უაღრესად ზუსტ მეცნიერებაშიც კი“. აქვეა მითითება — იხილეთ პისარევი, რომელიც ლაპარაკობს „სასარგებლო ოცნებაზე, როგორც მუშაობის ბიძგზე, და ფუჭ მეოცნებობაზე“. ამ პოზიციიდან მიუდგა ლენინი აგრეთვე **ლარინის** კრიტიკას, როცა კვლავ აღნიშნა, რომ ფანტაზია „უაღრესად ძვირფასი ნიჭია. ტყუილად ფიქრობენ, იგი მხოლოდ პოეტისათვის არის საჭიროო. ეს სულელური ცრურწმენაა. მათემატიკაშიც კი საჭიროა იგი, დიფერენციალური და ინტეგრალური გამოანგარიშებათა აღმოჩენაც კი შეუძლებელი იქნებოდა უფანტაზიოდ. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა“. მაგრამ ლაპარაკია **სასარგებლო** და არა ფუჭი, **უსარგებლო ფანტაზიის** შესახებ. ლარინს კი სწორედ ამგვარი ფუჭი, **უსარგებლო ფანტაზია** ჰქონდა, და იმდენად უარბი, რომ ლენინს არ დაუყოვნებია ირონიულად დაეცინა: ლარინის ფანტაზიის მთელი მარაგი პარტიის წევრებისათვის თანაბრად რომ გაგვეყო, კარგი გამოვიდოდაო.

მაინც რა მოსწონდა ლენინს **პისარევის** მიერ ფანტაზიის, ოცნების დახასიათებაში? არამარტო **სასარგებლო**, პრო-

გრესული ოცნების გამოჩენა უსარგებლო, ფუჭი ოცნებისაგან, არამედ, იმის დადასტურება, რომ სინამდვილესთან ოცნების არა ყოველგვარი უთანხმოებაა საზიანო. ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, — ფიქრობს პისარევი, — ამით შეიძლება იგი არამარტო უთანხმოებაში აღმოჩნდეს. იქაც კი მივიდეს, სადაც ვერასოდეს მიაღწევს მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობა, მაგრამ ეს საზიანო არ არის, ოცნებასა და სინამდვილეს შორის ამ უთანხმოებას „არავითარი ვნება არ მოაქვს, თუ კი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით აკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას აღარებს თავის ჰაეროვან კოსმოსს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად.“ მთავარია კავშირი არსებობდეს ოცნებასა და სინამდვილეს შორის, ოცნება მთლიანად მოწყვეტილი არ არის ცხოვრებას და როდესაც „რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი რიგზეა.“ ასე ამტკიცებდა პისარევი. მას ვერც წარმოედგინა, თუ ასე არ იქნებოდა, მაშინ „რა მამოძრავებელი მიზეზი აიძულებს ადამიანს დაიწყოს და დაამთავროს დიდი და მოქმანცველი მუშაობა ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების დარგში. „სწორედ ამგვარი ოცნება აძლევს საშუალებას ადამიანს „გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათად... ის ქმნილება, რომელიც ესესაა ისახება მის ხელში.“ განა ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების, ტექნიკის ისტორია ამ ფაქტზე არ მეტყველებს? როცა მუშაობას ვიწყებთ, ხვენ ხელთ არაფერი გვაქვს იმისა, რაც გვინდა შევქმნათ, მაგრამ თითქმის დასრულებული სახით გვაქვს გონებაში, წარმოდგენაში, ფანტაზიისა და ოცნებაში. მაგრამ ყველაფერი ეს, როგორადაც წინ არ უნდა გაუქროთ ან გადავუხვიოთ სინამდვილეს, თუ კავშირშია

ცხოვრებასთან, თუ წამყვან, პროგრესულ ტენდენციას ემყარება, საცნებო მისაღებია, წინააღმდეგ უსარგებლო. ფუჭი ოცნებისა, რომელსაც ცხოვრების რეალურ მოქმედ ძალებთან არავითარი კავშირი არა აქვს. ხელოვნებაც ამ გზით მიდის და ამგვარი ფანტაზია, ამგვარი ოცნება დამახასიათებელია როგორც ჰუმანიტი რეალიზმის, ისე რევოლუციური რომანტიზმისათვის. პოეზიას, ადამიანის სულიერ მოღვაწეობას სხვაგვარად არსებობა არ შეუძლია.

გაიხსენეთ რენესანსი, მისი დიდი ადამიანები და ენგელსის მიერ ამ ეპოქის კლასიკური დახასიათება. ეს ეპოქა მოითხოვდა ტიტანებს და ისინი კიდევაც მოვიდნენ უნივერსალური ადამიანების სახით, მრავალ დარგში რომ ასახელეს კაცობრიობა. ალბერტი, ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი, დიურერი, მაკიაველი, ლუთერი — უდიდესი ფანტაზიის უნარით იყვნენ დაჭილდობულნი. არამარტო ხელოვნება, მეცნიერების მრავალი დარგი მათი ტალანტის უშუალო სარბიელათ იქცა. ისინი ენციკლოპედიური განათლებით ანციფრებდნენ თავიანთ დროს, მომავალ საუკუნეებსაც. მხატვარმა დიურერმა სამხედრო ფორტიფიკაციების სისტემა შექმნა. ლეონარდო არამარტო გენიალური ფერმწერალი იყო, არამედ, შეუცდომელი ანატომი, ბუნებისმეტყველი, თანამედროვე ავიაციის ფორმათა პირველი მეოცნებე. მაკიაველი ლიტერატორიც იყო, ისტორიკოსიცა და სახელმწიფო მოღვაწეც. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამ ადამიანებმა წინ გაუსწრეს თავის დროს, სინამდვილეს, მაგრამ არამარტო ცხოვრების ცოდნით, დიდი ფანტაზიის უნარის მეოხებითაც. ეს უნარი რომ არ ჰქონებოდა, შეუძლებელია ლუთერს ისე გაესწორებია მის მიერვე თარგმნილი „ბიბლია“ მეორე გამოცემისათვის. როგორც სასტიკად თვითონვე გაასწორა. ვერცერთი მკაცრი რედაქტორი ისე ვერ ააპრელებდა „ბიბლიის“ ლუთერი-

სეულ თარგმანს, როგორც ეს თვით მთარგმნელმა — ჰარტინ ლუთერმა გააკეთა. როცა ხელში ავიღე ლუთერისეული დედანი, გაოცებული დავრჩი—რადიდი შრომა სცოლნია მას და რა დიდი ფაქტაზიის პატრონი ყოფილა ლუთერანისების შემოქმედი.

ვანალიზებთ ფანტაზიის ლენინისეულ დახასიათებას და პირდაპირ მივდივართ საკითხთან მხატვრული სახის, როგორც ხელოვნების სპეციფიკის, აგრეთვე ლოგიკური კატეგორიის ბუნების შესახებ.

ჩვენ უკვე განვმარტეთ, შემეცნების ლენინური თეორია „სახესა“ და „სიმბოლოს“, „იეროგლიფებს“, „პირობით ნიშნებს“ შორის იგივეობას კი არ ამყარებს, განსხვავებას ხედავს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ სიმბოლისში, როგორც მხატვრული შემეცნება, პრინციპულად აცდენილია ხელოვნების შემართვას, მიუხედავად მისი არაერთი უნიკუერეი წარმომადგენლისა, და ლენინს არ დაუმალავს გამოხატა სიმბოლისშიაღმე თავისი ანტიესთეტიკური დამოკიდებულება, როგორც ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ამავე განასერში თავსდება ფუტურიზმი, კუბიზმი და ექსპრესიონიზმი. თეიათეულ მათვანს საერთო მხოლოდ ის ვაანნია, რაც შინაგანად აფეთქებს სინამდვილის ქეშმარიტ რეალისტურ უყუფებას მხატვრულ სახეში. ეს ზოგადი ნიშანია, კონკრეტულად ახალის სახელით რომ ინათლება და ერთმანეთისაგანაც განსხვავებულია. სიმბოლისში ძალიან უახლოვდება ექსპრესიონიზმსა და იმპრესიონიზმს, როგორც ფუტურიზმი კუბიზმსა და სხვა მოდურ „იშმებს.“ ხელოვნებაში კი მთავარია არა ფორმალური ძიებანი, არამედ ახალი შინაარსისათვის მისი შესატყვისი ფორმის მიგნება. შინაარსისაგან დაცლილი ფორმა მარტოოდენ ფიქციაა, როგორც უფორმო შინაარსი ხელოვნება არ არის. ამ პრობლემას ლენინი ყოველთვის დიალექტიკური თვალსაზრისით წყვეტდა. საუკეთესო მაგალითია მისი დამოკიდებულება ბედნიესა და მიაკოვსისაღმე. პირველის შინაარსი, პრინციპული ფორმის მიუხე-

დავად, ლენინს არაერთხელ მოუხსენებია, მაგრამ დაუფარავადაც უთქვენი „ცოტა უხეშია. მკითხველს შიშვეება უკან, საჭირო კია ცოტა წინ ყოფნა.“ მართლაც, რა არის ხელოვნება, თუ მას ეს „წინ ყოფნა“ არ ვაანნია? ნიქით მიაკოვსკი ნამდვილად დიდი მოვლენა იყო; ახალი პოეზიის, მისი ფორმისათვის არავის იმდენი არ გაუყუთებია, რამდენიც მას და ამ მხრივ იგი არამარტო „წინ“ იყო, არამედ, მეტისმეტად „წინ“ წავიდა. მაგრამ ლენინს არც აქ დაუფარავს ეთქვა, რომ მიაკოვსკი „ყვირის, იკონებს რალაცნაირ მრუდე სიტყვებს, და ყველაფერი მისი, ჩემი აზრით, ის არაა, რაც საჭიროა, და ნაცლებად გასაგებია. მთლად გაბნეულია, ძნელი საკითხავიაო.“ ერთმა ლექსმა კი, როგორც ცნობილია. ლენინის ქება დაიმსახურა. ეს იყო „სხდომებსგადაყოლილი“, რომლის შესახებაც თქვა: „... შემთხვევით წავიკითხე მიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე. მე არ ვეყუთენი მისი პოეტური ნიქის თაყვანისმცემლებს, თუმცა საცსებით აღვიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ დარგში. მაგრამ დიდხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება, პოლიტიკური და აღმინისტრაციული აზრით. თავის ლექსში ის მწვავედ დასცინის სხდომებს და ქირდავს კომუნისტებს, რომ ისინი სულ სხდომოზენ და გადაყოლილი არიან სხდომებს. არ ვეცი როგორაა საქმე პოეზიის მხრივ, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკას, დანადვილებით ვიტყვი, რომ ეს საცსებით სწორია.“

ორივე შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ლენინი იჩენს საცსებით ობიექტურ დამოკიდებულებას, მიუხედავად სიმპატია — ანტიპატიისა, ხელოვნებას იგი უშუალოდ არ აიგივეებს პოლიტიკასთან. თუმცა კატეგორიული მონიშნაღმდეგეა მისგან განდგომისა, მით უფრო მოწყვეტისა. მხატვრული სახე და ლოგიკური კატეგორია მისთვის მსგავსიცაა და განსხვავებულიც. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ

არკადი ავერჩენკოს შემოქმედებითი ნიჭის ლენინისტული დახასიათება.

ავერჩენკო ნიჭიერი მწერალი იყო, მაგრამ რევოლუციას გაქცევა, ერთხანს საფრანგეთს შეეფარა, შემდეგ პარალს, სადაც 1925 წელს გარდაიცვალა. საზღვარგარეთ, პარიზში, 1921 წელს გამოცა მოთხრობების კრებული — „თორმეტი დანა რევოლუციის ზურგში“, რომელიც თავიდან ბოლომდე ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. მე ეს წიგნი არ წამიკითხავს და არ შემიძლია დაწერილებითი ანალიზი გადავეთო. როცა ლენინმა წაიკითხა, მას „ნიჭიერად დაწერილი წიგნაკი“ უწოდა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი „თითქმის გონების დაბნელებამდე გაბოროტებულ თეთრგვარდიელად“ გამოაცხადა.

ესთეტიკური თეორიის ასპექტით ლენინის შეფასებაში ძალიან საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ „როგორ წარმოშვა უკიდურესმა სიძულვილმა ამ მაღალნიჭიერი წიგნაკის შესანიშნავად ძლიერი და შესანიშნავად სუსტი ადგილები.“ დადასტურებულია ფაქტიც: „როცა ავტორი (ავერჩენკო—გ.ჯ.) თავის მოთხრობებს მისთვის უცნობ თემას მიუძღვნის, არამხატვრული გამოუდის. სამაგიეროდ იგი ძლიერია მოთხრობებში იმ თემებზე, რომლებსაც „არკადი ავერჩენკო ჩინებულად იცნობს“, რომლებიც „მას განუცდია, მოუფიქრებია. შეუგრძენია“. ზოგადესთეტიკური თვალსაზრისით ეს დებულებები უცილო ქეშმარიტებას გამოხატავენ, ვინაიდან ხელოვნების, ლიტერატურის მთელი ისტორია ამას გვიდასტურებს. ეს იმდენად ვრცელი საკითხია, რომ მონოგრაფიის საგნად შეიძლება ქვეუღიყო. წაიკითხეთ ლენინის ბოლო სიტყვებიც — „ზოგიერთი მოთხრობა, ჩემი აზრით, ვადმობეჭდვის ღირსია. ნიჭს წაბალისება უნდაო“, და შეუძლებელია არ მოგაგონდეთ უფრო გვიან სტალინის ანალოგიური მიდგომა ბულგაკოვის „ტურბინთა დღეებისადმი.“

ქეშმარიტების დაუცხრომელი მიება და ობიექტური მიდგომა სხვათაგანსაა, როგორც ვხედავთ, ლენინს ვასილ ჩეხის ესთეტიკური პრობლემების კვლევაშიც რაც შეეხება ადამიანს, ის ხასიათითაც გამორჩეული იყო, როგორც უშუალო, თავმდაბალი, პირდაპირი, შეუპოვარი. უაღრესად პრინციპული. გორკის მოგონება ამ ფაქტის დადასტურებას წარმოადგენს. საკმარისია მარტო ერთი ადგილის გახსენება.

„როცა ჩვენ ერთმანეთი ვაგვაცნეს. — წერს გორკი, — მან მაგრად მომიქირა ხელი, გამზომა თავისი მახვილი თვალებით და ძველი ნაცნობის კილოთი, ხუმრობით მომმართა:

— კარგია, რომ ჩამოხვედით! ზომ გიყვართ ჩხუბი, აქ დიდი ჩხუბი იქნებაო.

მე მოველოდი, რომ ლენინი სხვანაირი იყო. ჩემს წარმოდგენას მის შესახებ რაღაცა აკლდა. ენას უქცევს და ხელებს იყოფს სადაც ილღიაში. დოინჯს იყრის. და საერთოდ, მთლად რაღაც მეტისმეტად უბრალოა. ვერ იგრძნობ მასში ვერაფერს „ბელადურს.“ მე ლიტერატორი ვარ. პროფესია მავალეს შევამჩნიო წვრილმანები, ეს მოვალეობა ჩვეულებად გადამიქცა, ხანდახან — მომბეჭრებელ ჩვეულებადაც.

როდესაც მე „მიმიყვანეს“ გ. ვ. პლენანოვთან, იგი გულზე ხელდაკრეფილი იდგა და იცქირებოდა მკაცრად, მოწყენილად, როგორც თავისი მოვალეობით დაღლილი მასწავლებელი შესცქერის ყოველ ერთ ახალ მოწაფეს. მან მომმართა მეტად ჩვეულებრივი ფრაზით: „მე თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ.“ ამის მეტი მას არა უთქვამს ისეთი რამ, რაც დამამახსოვრებოდა. და მთელი ყრბობის განმავლობაში არც იმას და არც მე არ აღგვძვრია სურვილი „სულითა და გულით“ გვემუსაფენა.

ხოლო ამ მელოტმა, ენაჩლექია, ჩასხმულმა და ძლიერმა ადამიანმა მაშინვე დამიწყო ლაპარაკი ჩემი წიგნის, დე-

დას“ ნაკლოვანებათა შესახებ. თურმე, ეს წიგნი მას წაეკითხა ი. პ. ლადიჟნიკოვისაგან წამოღებულ ხელნაწერში. ის ერთ ხელს ისვამდა სოკრატისებურ შუბლზე, მეორეთი სწევდა ჩემ ხელს, ალურსით უბრწყინავდა საოცრად ცოცხალი თვალები. მე ვუთხარი, მეჩქარებოდა ამ წიგნის დაწერა-მეთქი. მაგრამ — ვერ მოვასწარი ამეხსნა, თუ რატომ მეჩქარებოდა. — ლენინმა დასტურის ნიშნად დამიქნია თავი და თვითონ ამიხსნა: ძალიან კარგი, რომ აჩქარებულხარო, საჭირო წიგნია, ბევრი მუშა იღებდა მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში შეუვგებლად, სტიქიურად, და ახლა ისინი დიდი სარგებლობით წაიკითხავენ „დედას.“

„სწორედ თავის დროზე გამოსული წიგნია.“ ეს იყო მისი ერთადერთი, მაგრამ ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი კომპლიმენტი.“

ყველამ იცის, თუ როგორ უყვარდა ლენინს გორკი, როგორ აფასებდა მის მხატვრულ ტალანტს, როგორ ზრუნავდა მისი განმრთელობისათვის. მაგრამ ლენინი პრინციპული ადამიანი იყო და ამ სიყვარულის გამო არასოდეს დაუფარავს გორკის შეცდომები ან გადახვევა ჰემოარტების გზიდან. ვაგისენოთ 1912-1913 წლების პერიოდი, როცა „ღვთისმამიებლობის“ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ლენინი აღფრთოვანებული იყო, როცა გორკიმ „ღვთისმამიებლობის“ საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. მაგრამ როცა წაიკითხა ლიკვიდატორულ გაზეთში გორკის წერილი, სადაც „ღვთისმამიებლობის“ იდეა შეცვლილი იყო „ღვთისმშენებლობის“ იდეით, ლენინმა უმალ მისწერა პირადი წერილი „დედას“ ავტორს და მწვავედ გააკრიტიკა. გორკის ამ შეცდომას მან „საშინელება“ უწოდა, ხოლო დასაბუთება ისე ძლიერი მისცა, რომ შეუძლებელი იყო თავის დაღწევა კრიტიკისაგან.

როგორც ცნობილია, თავის წერილში გორკის ჰქონდა ერთი ადგილი, სადაც

იგი ამტკიცებდა, რომ საჭიროა „ღვთისმამიებლობა“ დროებით გააფრთხილდეს ნაიდან ღმერთი ვერ არსებობს“ „ღმერთებს არ ეძებენ“, ღმერთებს ჰქმნიანო. არსებითად ეს იყო „ღვთისმამიებლობის“ შეცვლა „ღვთისმშენებლობით“, და ლენინს არ დაუყოვნებია პირდაპირ ეთქვა თავისი საყვარელი მწერლისათვის, რომ ეს საშინელებაა, ვინაიდან „ღვთისმამიებლობა იმაზე მეტად როდი განსხვავდება ღვთისმშენებლობისაგან ან ღვთისმქნელობისაგან თუ ღვთისმთხველობისაგან და სხვ., ვიდრე ყვითელი ეშმაკი განსხვავდება ლურჯი ეშმაკისაგან“. და ლენინს იმდენად ღრმა შეცდომის სახით წარმოუდგა გორკის პოზიცია, რომ დასძინა: „უბრატესობა მისცე ლურჯ ეშმაკს ყვითელ ეშმაკთან შედარებით, ეს ასევე უფრო უარესია, ვიდრე არაფერი სთქვაო.“

მაინც რამ გამოიწვია გორკის ეს „საშინელი საწყენი“ შეცდომა?

ლენინი ეძებს მიზეზებს, სურს ბოლომდე დაარწმუნოს „დედას“ ავტორი, რომ აქ შემთხვევითობა კი არ არის, რაღაც უფრო სხვა, უფრო ღრმა მიზეზია. მაინც „რა არის ეს?“ — კითხვას აყენებს ლენინი და თვითონვე უპასუხებს: „ნაშთებია „ალსარებისა“, რომელიც თქვენ თვითონ (ხაზი ლენინისაა — გ. ჯ.) არ მოგწონდათ? მისი გამოძახილია?“

შენიშვნა პირდაპირ მომავლდინებლად ამხელს შეცდომის ერთერთ ძლიერ წყაროს, ხოლო ეს წყარო თვით გორკის ადრინდელი მოთხრობა „ალსარებაა“.

მოთხრობაში გამოყვანილია გლეხი მათე, რომელმაც სოფელში ვიი-ვაგლახით ისწავლა წერა-კითხვა, ეზიარა სახარებას და ღრმად მორწმუნე კაცი გახდა. მათე ხედავს ქვეყნად გამეფებულ საშინელ ბოროტებას, ერთი მეორეს ატყუებს, მეორე ჰკლავს პირველს, ცხოვრება რთულია, რელიგია კი თავისი ღმერთით ვერაფერს აწყოხს. თუ ღვთაება ყოვლად წმინდაა, რატომ არის მის

მაერ შექმნილი ცხოვრება ასე აუტანელია.

ეს პრობლემა აწუხებს მათეს და სულიერ ტრავმას განიცდის. მათეს ჰყავს მუდღეოლი ოღლა, რომელიც სპეტაკად უყვარს. მოულოდნელად ოღლა გარდაიცვლება. მათეს სულიერი ტრავმა აუტანელი ხდება. იგი მიდის მღვდელთან, ეკითხება ცხოვრების აზრს, კერძოდ, იმას, თუ რატომ წაართვა ღმერთმა მუდღეოლი და მარტოდ დატოვა. რელიგია ზომ სათნოებას ქადაგებს. მღვდელი ვერ უპასუხებს. ვერ განუმარტავს ცხოვრების აზრს. მათე სტოვეებს სოფელს. შემთხვევით შეხვდება მეძვე ქალს — ტატინას, ერთადერთ ადამიანს, რომელიც შეიფარებს და ადამიანურ სიბოძს აგრძნობინებს. მაგრამ მათემ იცის, რომ ეს ქალი გარყვნილ ცხოვრებას ეწევა. განშორდება ტატინას, მიდის მონასტერში, მაგრამ იქაც საშინელ გარყვნილებას ხედავს. ტოვებს მონასტერს. მიდის ქარხანაში, სადაც სხვა სამყაროს პოულობს. იქ მუშები ერთმანეთს უკერძო მხარს, რაღაც ორგანიზაცია აქვთ, ერთმანეთს ეხმარებიან და მათე ამას მიიჩნევს ახალ ღვთისმშენებლობად. მოთხოვრება იმით მთავრდება, რომ მათე ირწმუნებს ახალ ქვეყანას, თავის იდეალად ესახავს „მსოფლიო ღვთისმშენებლობას.“

რომ არ იგრძნოთ გორკის ამ მოთხოვნასა და მისსავე „ღვთისმშენებლობის“ თეორიას შორის მკვიდრო კავშირი — შეუძლებელია. ლენინმა სწორედ ეს კავშირი დაინახა და ნიმუშიც მოგვცა მწერლის მხატვრული პრაქტიკისა და პუბლიცისტური იდეების ურთიერთკავშირის ანალიზისა.

მხატვრული შემოქმედების ამგვარივე ღრმა ანალიზის საუკეთესო ნიმუშებია ლენინის წერილები ტოლსტოიზე.

ეს წერილები ლენინმა დაწერა, როგორც ტოლსტოის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეოდ (1908 წელი). ისე დიდი რუსი მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1910 წელი), მაშა-

სადამე, ხსენებულ სტატიებს შორის თითქმის ორი წლის განსხვავებულობაა. მაგრამ ისე ერთიანი, მთლიანად ეს წერილები, რომ გვეგონებათ ერთ დღეს იყოს დაწერილი (სხვაობას მარტო ის გვიჩვენებს, რომ „ლევ ტოლსტოი, როგორც სარკე რუსეთის რევოლუციისა“ მიუთითებს მწერლის იუბილეზე, ხოლო დანარჩენები — გარდაცვალებას აღნიშნავენ). ამ წერილებმა — „ლევ ტოლსტოი, როგორც სარკე რუსეთის რევოლუციისა“, „ლ. ნ. ტოლსტოი“, „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა“, „ტოლსტოი და პროლეტარიატის ბრძოლა“, „განმარტების გამოცემა“, „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“ — სრულიად ახალი ეტაპი შექმნის ლიტერატურისმცოდნეობაში. ამ წერილებიდან ისიც ნათლად ჩანს, თუ რა სწორად, მეცნიერული სიღრმით იცნობდა ლენინი ტოლსტოის გენიალური მხატვრული შემოქმედების პროგრესულ მხარეებს და მისივე საოცარი მოძღვრების კონსერვატიულ, რეაქციონურ ბუნებას. მას შემთხვევით არ შეუპირისპირებია ერთმანეთისათვის რუსეთის რევოლუცია, რომელიც ტოლსტოიმ ვერ გაიგო, რომელსაც დიდი მწერალი ამჯერად განშორდა, და ტოლსტოის შემოქმედება, როგორც სარკე სინამდვილისა. სარკეში, ცხადია, ლენინი სრულებით იმას არ გულისხმობდა. რასაც ანტიკური სამყაროს გენია პლატონი, როცა სარკეს პოეზიას ადარებდა, რათა ამ უკანასკნელისათვის შემეცნების უნარის წართმევა იდეალისტურად დაესაბუთებინა. მუშისა და მანკიტის პარალელი სწორედ ეს დასაბუთება იყო. ლენინი ლაპარაკობდა სარკეზე, როგორც სინამდვილის სწორ წარმოსახვაზე, და ამ აზრით თეორიულად ადარებდა ტოლსტოის შემოქმედებას, რომელსაც, უეჭველად, „ზოგიერთი რამ რევოლუციის თუნდაც არსებითი მხარეებიდან მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებებში.“ და ლენინი ისეთივე კრიტიკით მითუღვა ტოლსტოის შემოქმე-

დებს, როგორცაც გასულ საუკუნეში **მარქსმა** და **ენგელსმა** გოეთე შეაფასეს კარლ გრიუნის წინააღმდეგ.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხს ავიღებთ ძალიან ვრცელი თემიდან **ლენინი და ტოლსტოი**, რამდენიმეს იმიტომ, რომ ყველაფრის თქმას ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევა დასჭირდებოდა.

ესთეტიკური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მიერ იმის აღნიშვნას, რომ **წინააღმდეგობანი ტოლსტოის შემოქმედებასა და მოძღვრებაში შემთხვევითი კი არ იყო**, დიდი შერლის რომელიმე პიროვნული თვისებით გამოწვეული, არამედ, წარმოადგენდა „იმ უღარესად რთული, წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გავლენების, ისტორიული ტრადიციების ასახვას. რომელიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა თენის ფსიქოლოგიას რეფორმის **შემდგომი დროს**, მაგრამ რევოლუციამდელ ეპოქაში“ (ხაზი ყველგან ლენინისაა — გ. ჯ.). ტოლსტოი გენიალურია, როგორც მხატვარი, ეს ერთი მხარეა, შემქმნელი არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათებისა, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებებისაც“. მეორეს მხრით, ჩვენს წინაშე დგას მემამულე ქრისტეს სახელით. მაშასადამე, ტოლსტოის სახით მწერალი და მოაზროვნე გველაპარაკება, რომელსაც უღარესად ძლიერი, გულწრფელი პროტესტი ახასიათებს საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ, მაგრამ გამოსავალს მხოლოდ იმაში პოულობს, რომ **ქრისტიანულ ზნეობრივ სრულყოფას** მოითხოვს, თუ ესურთ მთელი არსებით გაიგოთ ტოლსტოის **შემოქმედება და მოძღვრება**, უკეთეს მოკლე დახასიათებას ვერ იპოვით. ვიდრე ლენინის შემდეგი სიტყვებითა: „ერთი მხრით, კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუნდობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამარ-

თლოს და სახელმწიფო მმართველობის ორინაზობის მხილება, წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა სიმდიდრის ზრდასა და ცივილიზაციის მონაპოვართა და მუშათა მანების სიღატაკის, გავლურებისა და ტანჯვის ზრდას შორის; მეორე მხრით, — რეგვენული ქადაგება „ბოროტებისადმი წინააღმდეგობლობისა“ ძალადობით. ერთი მხრით მეტად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრით, ყველაზე უსაძაგლესი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყანაზე. სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება სახაზინო სამსახურის ხუცების ნაცვლად ზნეობრივი რწმენის მქონე ხუცების დაყენებისა.“ აქ მთელი **ტოლსტოია** **ზოგადად დახასიათებული**, თავისი გენიალური შემოქმედების უდიდესი მაღწევებითა და მისივე ქრისტიანული მოძღვრების მიუღებელი, სუსტი მხარეებით. ამის შემდეგ ლენინს ისლა დარჩენოდა ეთქვა, რომ სწორედ ეს წინააღმდეგობანი უშლიდნენ ხელს ტოლსტოის გავგო როგორც მუშათა მოძრაობა, ისე მისი როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, მაშასადამე, აბსოლუტურად არ შეეძლო გავგო არც პირველი, არც მეორე, საერთოდ, გავგო რუსეთის რევოლუცია.

მაგრამ რა **წინააღმდეგობანი** არსებობდნენ **ტოლსტოის ეპოქაში**, რომლის მხატვრულ ასახვასაც მისი შემოქმედება გვაძლევს?

ლენინი ახასიათებს პარტიოარქალური რუსეთის სოფლის მდგომარეობას საგლეხო რეფორმის შემდეგ, როცა საუკუნეობრივი ძველი ბურჟები უდიდესი სისწრაფით ინგრეოდნენ, კაპიტალის მიწოლის შედეგად. რეფორმის შემდეგაც გრძელდებოდა გლეხოების ჩაგვრა, რასაც დაერთო მისი „გამალეული გალატაკება“. არსებული ბოროტების წინააღმდეგ თავის პროტესტს გლეხოზა **ორგვარი** სახით გამოხატავდა. მისი მცირე ნაწილი **იბრძოდა** და **ირაზმებოდა**, კიდევ უფრო მცირე ნაწილი **იარაღს**

ისხამდა, აჯანყებებს აწყობდა. სწორედ ეს მცირე ნაწილი გლახობისა შეგნებულ, რევოლუციურ პროლეტარიატს ეხმარებოდა, მის მხარეზე დგებოდა. მაგრამ მეორე. „გლახობის უდიდესი ნაწილი სტიროდა და ლოცულობდა, რეზონერობდა და ოცნებობდა, თხოვნებს სწერდა და „შუამდგომლებს“ გზავნიდა. — სწორედ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოისებურად!“ ყოველივე ეს აისახა ტოლსტოის შემოქმედებასა და მოძღვრებაში, აისახა, როგორც საარკვეში. და ამიტომ ლენინს საკმარისად არ მიაჩნია ტოლსტოის შეხედულებებში არსებული წინააღმდეგობანი შეფასდეს **მარტოოდენ** „თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის თვალსაზრისით.“ ტოლსტოი უნდა შეფასდეს, **პირველყოფილისა**, „ქარსმომდგარი კაპიტალიზმის, მასების გალატაკებისა და უმიწაწყლოდ დატოვების წინააღმდეგ იმ პროტესტის თვალსაზრისით, რომელიც უნდა წარმოეშვა პატრიარქალურ რუსულ სოფელს“. ლენინის ამ უპირატესად ზუსტ დებულებაში მოცემულია მეცნიერული მეთოდოლოგიური პრინციპი არამარტო **ტოლსტოის**, საერთოდ, **კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის** შეფასებისა. მართლაც, რა იქნებოდა კლასიკური მემკვიდრეობის შეფასება მარტოოდენ თანამედროვე თვალსაზრისს რომ დაეყრდნობოდა, და არ გაგვეთვალისწინებია ისტორიული პირობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ წარსულის ყველა დიდ მხატვარსა და მოაზროვნეს. ტოლსტოის შემოქმედებასა და აზროვნებაში ლენინმა დაინახა არამარტო წმინდა **ეროვნული**, **ნაციონალური**, არამედ **მსოფლიო მანუშაბები** და **ზოგადკაცობრივი პრობლემატიკაც**. ამიტომ მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ ტოლსტოის „მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც მხატვრისა, მისი მსოფლიო სახელი, როგორც მოაზროვნისა და მქადაგებლისა (გაიხსენეთ საერთოდ ტოლსტოეველობა, განდიში და ა. შ.—გ. ჯ.),

ერთიც და მეორეც თავისებურად/ ასახავს რუსეთის რევოლუციურ მსოფლიო მნიშვნელობას“. **ლენინის** **„ტოლსტოისებურად“** სწამდა, რომ „ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაწარმოებებში იმდენი დიდი საკითხების დაყენება, შესძლო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე ამაღლება, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. რევოლუციის მომზადების ეპოქა ერთ-ერთს მუხატონების მიერ დაჩაგრულ ქვეყანაში. ტოლსტოის გენიალური გაშუქების წყალობით, წარმოგვიდგა როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.“

ასეთია **მხატვარ-ტოლსტოისა** და **მოაზროვნე-ტოლსტოის** ღრმა ლენინური დახასიათება.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია, თუნდაც ამ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით. ლენინი ცალკე გამოჰყოფდა ტოლსტოის მიერ რუსეთის ცხოვრების უპირატესად ღრმა ცოდნას, დეტალებში გარკვევისა და მათი მხატვრული წარმოსახვის გასაოცარ უნარს. „ტოლსტოი ჩინებულად იცნობდა რუსეთის სოფელს, მემამულისა და გლეხის ყოფაცხოვრებას. მან თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ამ ყოფაცხოვრების ისეთი გამოხატულებანი მოგვცა, რომელნიც მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს ეკუთვნის“. ლენინი იქაც, როცა აანალიზებს არსებული წყობილების ტოლსტოიანურ კრიტიკას. ცალკე გამოყოფს დიდი რუსი მწერლის მიერ **ცხოვრებისა** და **ადამიანების ფსიქო-იდეოლოგიის** ისეთ ცოდნას, რაც გენიალური მხატვრებისათვის არის მისაწვდომი. აქედან ბუნებრივად აკეთებს დასკვნას, რომ ტოლსტოი „მსოფლიო გენიალური მხატვრებისათვის დამახასიათებელი ძლიერებით გამოხატავს ხალხის უფართოესი მასების შეხედულებათა მსხვერველს... სოფლურ, გლეხურ რუსეთში.“

ყველა ეს და ანალოგიური დებულებ-

ბა ლენინისა თანამედროვე ხელოვნებათმეტყველების, მაშასადამე, ესთეტიკური თეორიის არსენალშია შესული, ვინაიდან აქსიომად არის ქცეული, რომ ცხოვრების, ადამიანების ღრმა ცოდნის გარეშე თვით გენიოსის მხატვრული ტალანტი უძლური აღმოჩნდება შექმნას ხელოვნების ქეშმარიტად მონუმენტური შედეგრი.

ვერც იმას დაევიწყებთ, რომ არავის ისე ზუსტად, ისე შეუცდომლად არ მოუხაზავს ტოლსტოის შემოქმედების ეპოქა, როგორც ლენინს. ისტორიული მატერიალიზმის ისეთ გენიალურ თეორეტიკოსს, როგორც ლენინი იყო, ცხადია. ეს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ სიმძიმე სულსხვა რამეში მდგომარეობდა. უპირველესად საჭირო გახლდათ ტოლსტოის შემოქმედების სწორი გაგება, რათა მისივე ეპოქის ჩარჩოები დადგენილიყო. და ლენინმა პირველმა დაასაბუთა, რომ „ეპოქა, რომელსაც ლ. ტოლსტოი ეკუთვნის და რომელიც შესანიშნავი სიცხადით აისახა როგორც მის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე მის მოძღვრებაში, არის 1861-დან 1905 წლამდე განვლილი ეპოქა. მართალია, ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ადრე დაიწყო და უფრო გვიან დამთავრდა, ვიდრე დაიწყო და დამთავრდა ეს პერიოდი, მაგრამ ლ. ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, სავესებით ჩამოყალიბდა სწორედ ამ პერიოდში, რომლის გარდამავალმა ხასიათმა წარმოშვა ტოლსტოის ნაწარმოებთა და „ტოლსტოველობის“ ყველა განმასხვავებელი თვისება“ (ხაზი ლენინისაა — გ. ჯ.). გენიალური მიგნებაა! მაგრამ შეგვეკითხებიან: განა ისტორიული „ომი და მშვიდობა“, სადაც ტოლსტოის მხატვრული ტალანტი ოკეანისებური ძალითაა გაშლილი, სულ სხვა ეპოქას არ ეკუთვნისო? მართალია, სხვა პერიოდი, რუსეთის პირველი სამამულო ომის პერიოდი, 1812-1814 წლები, ნაპოლეონის არმიების შემოსევა, კუტუზოვის

სამხედრო გენია, მაგრამ ლაპარაკია არამარტო თემატიკაზე (მაშენს, რაღაც მნიშვნელოვან დაევიწყოთ ისტორიული შემთხვევები, მაგ. „გი მურატი“, შამილის დროის აღმწერი ნაწარმოები, რომელიც ტოლსტოიმ თავისი ცხოვრების მწუხრთან შექმნა?), არამედ, პირველყოვლისა იმის შესახებ, რომ ტოლსტოი, როგორც მხატვარი, როგორც მოაზროვნე, საერთოდ, ტოლსტოველობა სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ყველა პლუსითა და მინუსით.

ეს გარდამავალი პერიოდი იყო, რომლის ბუნება არაჩვეულებრივი რელიეფურობით „ანა კარენინაში“ ჩანს და ლენინიც ამ ნაწარმოების ანალიზს იძლევა თავისი დებულების არამარტო საილუსტრაციოდ, დახამტიციებლადაც. მოჰყავს რომანის ერთერთი ცენტრალური გმირის — კონსტანტინე ლევინის (ავტობიოგრაფიული სახეა), შემდეგი მსჯელობანი: თუ წინათ მოსაყალზე. მუშების დაქირავებაზე ლაპარაკი მდაბალ რამედ ითვლებოდა, რაც ლევინმა კარგად იცოდა, ახლა ყოველივე ამას იგი თვლიდა „დიდმნიშვნელოვან“ საქმედ და ამბობდა: „ეს, შეიძლება, არ იყო მნიშვნელოვანი ბატონყმობის დროს, ან არაა მნიშვნელოვანი ინგლისში, ორივე შემთხვევაში თვით პირობები გამოაკვეთლია; მაგრამ ჩვენი ახლა, როცა ყოველივე ეს გადატრიალდა და ესესაა ეწყობა, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს პირობები, ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთში“. ლევინის ამ ბოლო ფრაზას ლენინი თვლის 1861-1905 წლების პერიოდის ძალიან საგულისხმო შეფასებად — ძნელია წარმოიდგინოთ „უფრო მოსწრებული დახასიათებაო“, და შემდეგ განმარტავს, თუ რა იყო ის, რაც „გადატრიალდა“, ან რა არის ის, რაც „ეს-ესაა ეწყობა“. პირველი კარგად იყო ცნობილი — „გადატრიალდა“ ბატონყმობა და „მისი შესაფერისი მთელი „ძველი წყობილება“. მეორე კი, რაც „ეს-ესაა ეწყობოდა“, სრულიად

უცნობი, უცხო, გაუგებარი“ იყო მოსახლეობის უფართოესი მასისათვის“. ეს იყო ბურჟუაზიული წყობილება, რომლის შესახებაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა არამარტო ლენინს, თვით ტოლსტოისაც (ეხატებოდა საფრთხობელას — ინგლისის სახით, როგორც ლენინი აღნიშნავს, და არც ცდილობდა საკითხი ვარკვეულად, კონკრეტულ-ისტორიული ასპექტით დაეყენებინა, თუ რა განსხვავებულ ფორმებს იღებს იგი ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში, საფრანგეთში; ეს „რალაც სრულიად უცხოა“ ტოლსტოისათვისო, — ამბობს ლენინი).

აქ ჩვენ მივადექით პრობლემას, რომელსაც ტოლსტოის მსოფლმხედველობის გასარკვევად, კერძოდ, ხულიხადმი მისი აპელაციის, სკეპტიციზმის, ასკეტიციზმის და „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის“ დასახსნაათებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ესაა ტოლსტოის შეხედულებების კავშირის გარკვევა „ძველ წყობილებასთან“ და ამ საფუძველზე წარმოშობილი ორიენტაცია წარსულისა თუ მომავლისა.

მაგრამ ჯერ დავავიჯრდეთ ლენინის სიტყვებს: ტოლსტოი „მსჯელობს განუყენებულად, ის გულისხმობს მხოლოდ ზნეობის „მარადიული“ საწყისების, რელიგიის მარადიული ქეშმარიტების თვალსაზრისს, და ვერ გრძნობს იმას, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ იდეოლოგიური ანარქულია ძველი („ვადატრიალებული“) წყობილებისა, ბატონყმური წყობილებისა, აღმოსავლეთის ხალხთა წყობილებისა“. ეს დებულება იმდენად ღრმა და მნიშვნელოვანია, რომ ლენინი თვითონვე იძლევა მის შემდგომ განვითარებასთან ერთად, ტოლსტოის ნაწერების მიხედვით დასაბუთებასაც. მითითებულია ერთერთი აღრინდელი ნაშრომი 1857 წლისა — „ღმერთის“, სადაც ტოლსტოი ცივილიზაციას „მოჩვენებით ცოდნად“ აცხადებს, მაშასადამე, არსებითად იგი არა სწამს, და საიმედო ორი-

ენტაციას მხოლოდ „მსოფლიო სულზე“ იღებს, როგორც ადამიანთა მოღმების ერთადერთ ქეშმარიტ ხელშეღწეულზე. რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1862 წელს დაწერილ სტატიაში — „პოპრეცხი და განათლების განსაზღვრა“, ტოლსტოი კიდევ უფრო კატეგორიული ფორმით იმეორებს თეზისს ცივილიზაციის უარყოფისა; ცივილიზაცია არ მიაჩნია კაცობრიობის „ზოგად კანონად“, ხოლო, თუ დამტკიცებას მოსთხოვთ, მივითითებთ აღმოსავლეთზე, რომლის „უმოდარო ხალხების“ მდგომარეობას თვლის ისტორიკოსების მიერ თითქოსდა გამოგონილ სწორედ ამ „ზოგადი კანონის“ უარყოფის არგუმენტად. დრო მიდის და ტოლსტოი თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1900 წელს დაწერილ „ჩვენი დროის მონობაში“, როგორც ლენინი ამბობს, „უფრო გულმოდგინედ“ არის განმეორებული „აპელაცია მსოფლიო სულიხადმი“. ყოველივე ეს ლენინს სრულ საფუძველს აძლევს თქვას, რომ „სწორედ აღმოსავლური წყობილების, აზიური წყობილების იდეოლოგიას წარმოადგენს ტოლსტოველობა თავისი რეალური ისტორიული შინაარსით. აქედან გამომდინარეობს ასკეტიციზმიც, ბოროტებისადმი წინააღმდეგობობაც ძალმომრეობით, ღრმა პესიმიზმის კილოც, რწმენაც, რომ „ყველაფერი — არარაობაა, ყველაფერი — მატერიალური არარაობაა“, როგორც ტოლსტოი ამტკიცებს წერილში „ცხოვრების აზრის შესახებ“.

ეს იდეოლოგია დაინახა ლენინმა აგრეთვე „კრედიტების ხონატაში“, რომელიც ტოლსტოიმ 1889 წელს დაწერა, ხოლო ერთი წლის შემდეგ სახელგანთქმული „ბოლოსიტყვებით“ შეავსო. რამდენადაც მოთხრობა მკაცრად აკრიტიკებს ბურჟუაზიულ მორალს, ბურჟუაზიული ოჯახის უზნეობას, სიკრულეს, ორპირობას, დალატს, საშინელ უბედურებათა მიზეზებს, იმდენად უსუსური რეცეპტებია გამოწერილი მათგან თავ-

დასაღწევად „ბოლოსიტყვაობაში“. ფულზე დამყარებული საზოგადოების მდიდარი წევრი, მახინჯი და ხნიერი, ყიდულობს ლამაზსა და ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბ ქალს, ხოლო ასევე მდიდარი ქალი, მოხუცი და უშნო, ყიდულობს ახალგაზრდა, ლამაზ, მაგრამ ღარიბ მამაკაცს, შემდეგ კი უკვირთ, თუ რატომ არ არის მათ შორის სიყვარული, ერთგულება, რატომ დალატობენ ერთმანეთს. შორდებათ ან ჰკლავენ. ასე აყენებს ტოლსტოი საკითხს. პოზდნიშევის, მისი მეუღლისა და მუსიკის მასწავლებელ ტრუხანჩევსკის ტრაგიკული ურთიერთობის დახატვით ტოლსტოიმ გააშინშელა საზოგადოების მანკიერებანი, მაგრამ „ბოლოსიტყვაობაში“ უტოპიური რეცეპტი გამოწერა, ყველაფერი დაიყვანა აზრის შეცვლამდე (ქალს ნუ ვუყურებთ, როგორც ტუბობის ობიექტს, ნუ განვადიდებთ, როგორც პოეტები უმღერიან ვენერებსა და ფრინებს, ქალებმაც შეიცვალონ შესედულება საკუთარი თავის მიმართ, ცოლქმრულ სიყვარულში დამნაშავენი ისევე დაესაჯოთ, როგორც თამაშუქის პირობათა დამრღვევნი ისჯებიანო). ამგვარი უტოპიური რეცეპტებით სავსეა ტოლსტოის მსოფლანდველობა და ლენინის სრული უფლება ჰქონდა დიდი რუსი მწერლის მოძღვრებაში უტოპია დაენახა. მაგრამ ტოლსტოის მოძღვრება მარტოდენ უტოპიური არ არის, სოციალისტურიცაა. „ტოლსტოის მოძღვრება უსათუოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციულია ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი და ღრმა მნიშვნელობით, — წერს ლენინი. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამოჰდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური, არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები. რომელთაც შეუძლიათ ძვირფასი მასალა მოგვეცნოთ მოწინავე კლასების გასანათლებლად“. ასეთია ტოლსტოის მოძღვრების ზოგადი ლენინური დახასიათების არსება. როცა ამ პრობლემებს ეხებოდა, ლე-

ნინმა წამოაყენა დებულება, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მოვლენის, ბუნების გასარკვევად მხედველობაში გვაქვს პესიმიზმის რაობა. თუ როდის ან რატომ ჩნდება პესიმიზმი მხატვრულ შემოქმედებაში, ჩვენ ახსნილი გვაქვს იმ დებულების მიხედვით, რომელიც ლენინის მიერ ასეა ფორმულირებული: „პესიმიზმი, წინაღობა მდგომლობა, ანელოცია „სულისაღმი“ წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც აუცილებლად ჩნდება ისეთ ხანაში, როცა მთელი ძველი წყობილება „გადატრიალდა“, და როდესაც ამ ძველ წყობილებაში აღზრდილი მასა, რომელსაც დედის რძესთან ერთად შეუწოვია ამ წყობილების საფუძვლები, ჩვეულებანი, ტრადიციები, რწმენანი. — ვერ ხედავს და არც შეუძლია დაინახოს, როგორია ის ახალი წყობილება, რომელიც „ეწყობა“, რა საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ აწყობენ მას, რა საზოგადოებრივ ძალებს შეუძლიათ ხსნა უთვალავ, განსაკუთრებით მწვავე უბედურებათაგან, რომელნიც „მსხვერვის“ ეპოქას ახასიათებენ“ (ხაზი ყველგან ლენინისაა — გ. ჯ.).

როგორც აქ, ტოლსტოიზე წერილებში, ისე გერცენის დახასიათების დროს ლენინი დეტალურად ითვალისწინებს კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, ეპოქის თავისებურებებს, ურომლისოდ შეუძლებელია სწორი, ღრმა-ცნიერული შეფასება მივცეთ რომელიმე მოღვაწეს. გავიხსენოთ; მაგალითად, რომ ლენინმა რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობა სამ ეტაპად დაყო — 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825 წლიდან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861 წლიდან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღევანდლამდე (დღევანდელში 1914 წელი ნაგულისხმევი. როცა ლენინი წერს სტატიას — „რუსეთის მუშური ბევდვითი სიტყვის წარსულიდან“) და გერცენი

პირველ ეტაპს მიაყუთვნა. ვერავინ შეიძლო ისე სწორად, ნამდვილი მეცნიერული თვალსაზრისით აეხსნა „გერცენის სულიერი კრახი, მისი ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ“. როგორც ეს ლენინმა გააქეთა, როცა აღნიშნა, რომ ეს იყო „ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრახი სოციალიზმში“, იმის შედეგი, რომ გერცენი, როგორც მოაზროვნე, მართალია, „პირდაპირ მიაღწა დიალექტიკურ მატერიალიზმს“, მაგრამ „შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე“. ეს სავესებით ბუნებრივი იყო, ვინაიდან გერცენმა, მართალია, „შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ის წარმოადგენდა „რევოლუციის ალგებრას“. იგი ჰეგელზე უფრო შორს წავიდა, მატერიალიზმისაკენ. ფეიერბახის კვლადაკვალ“, მაგრამ ეს წასვლა, ფეიერბახის მსგავსად, სოციალურ საკითხებში იდეალიზმის პოზიციებზე დარჩენას მოასწავებდა. სწორედ ეს იყო 1848 წლის შემდეგ გერცენის სულიერი დრამის მიზეზი. ამავ დროს, ლენინი არ მალავს, თუ რა გააქეთა გერცენმა 60-იან წლებში, როცა რევოლუციური დემოკრატია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა. „გერცენის დანაშაული კი არა, მისი უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო ენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში ორმოციან წლებში. როდესაც მან დაინახა იგი 60-იან წლებში — იგი უშისრად დადგა რევოლუციური დემოკრატის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ“. მისი „კოლოკოლი“, რომელიც 1857-1867 წლებში გამოდიოდა და რომლის დევიზი იყო — „ცოცხლებს ვეძახის!“, ლენინმა შეაფასა, როგორც „თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ“ და „მონური დემოლის დარღვევა“. შემთხვევითი არ არის, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი — რუსული რევოლუციური აზრისა და ესთეტიკის გონებები, ლენინს გულწრფელად უყ-

ვარდა, განსაკუთრებით ჩერნიშევსკი, როგორც ამას კრუპსკაინა (რუსული) თავის შოგონებებში. ბელინსკის (რუსული) შეხება, საკმარისია გავიხსენოთ „წერილი გოგოლს“, რომელიც 1847 წლიდან ხელნაწერის სახით ვოცელდებოდა და რომელსაც ლენინმა „ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი უწოდა“.

გადვიდეთ საკითხზე, რომელიც ასე აქტუალურია ესთეტიკის თანამედროვე თეორიაში, შეიძლება ითქვას, მსოფლიო მასშტაბით. ამ საკითხზე ამჟამად ყველგან ლაპარაკობენ, ყველგან კამათობენ, როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულ ბანაკში. ჩვენ გვინდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი ლენინს პირველად 1905 წელს არ წამოუყენებია, როცა დაწერა ცნობილი წერილი — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ საკითხს პირველად ვხვდებით ლენინთან 1895 წელს. ლაპარაკია სტატიაზე — „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბნ სტრუვეს წიგნში“, სადაც წამოყენებულია მოთხოვნა — „მატერიალიზმი თავისში შეიცავს... პარტიულობას, და გვაუბლებს მოვლენების შეფასების დროს პირდაპირ და აშკარად დაუდგეთ გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“. ამ საკითხს ლენინი შემდეგ ეხება თავის ნაშრომებში — „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „მესამე ნაბიჯი წინ“ და წინასიტყვაობა ბროშურისა — „მუშები პარტიული განხეთქილების შესახებ“. სრულყოფილი გაშუქება ამ საკითხმა პპოვა 1905 წლის 13 ნოემბერს დაბეჭდილ სტატიაში — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. თქვენ ამ წერილს კარგად იცნობთ. ზევით ჩვენ უკვე შევეხეთ ნაწილობრივ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ ზოგიერთს საკითხი არასწორად ესმის. არ შეიძლება ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი იქამდე დაიყვანოთ, რომ საკითხის გა-

უბრალოებამდე მივიდეთ. ვინც შეკითხვას იძლევა: რა პარტიულობაა პომეროსის „ილიადასა“, გოეთეს „ფაუსტსა“ თუ „მთათა მწვერვალნი“ — მას ამ საკითხზე საერთოდ არაფერი გაეგება. მოკლედ ვუპასუხებთ: პარტიულობა იდეურობის გარეშე არ არსებობს, როგორც კუშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს იდეებისა და იდეურობის გარეშე. მიდგომა უნდა იყოს ზოგადი და კონკრეტული, როგორც მედალს სრულად ვერ წარმოვიდგენთ, თუ ორივე მხარეს არ დავაკვირდებით. ლენინის წერილში ისიც ამჟღავნებს ჩანს, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგობას უწევს უმრავლესობით სწვევებზე მცინერების, ფილოსოფიის, ესთეტიკის საკითხებს“. მაგრამ ეს არ ბორკავდა მას, როცა 1913 წელს ლუნაჩარსკის ესთეტიკურ მსჯელობაში მარქსიზმისაგან გადახრა შენიშნა, ვორკისათვის მიეწერა, რომ საჭიროა ლუნაჩარსკი ისევე „დავაშორეთ ბოგდანოვს ესთეტიკაში, როგორც ალექსინსკიმ იწყო მისგან დაშორება პოლიტიკაში“. ლენინის წერილს დიდი თეორიული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რაც ჩვენ დაწერილებით გვაქვს განხილული წიგნი — „ხელოვნება და სინამდვილე“. აქ კი ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი არსებითად განვითარება, გაღრმავება და ახალ პირობებთან შეფარდებით ანალიზია ხელოვნებაში ტენდენციის ენგელსისეული თვალსაზრისისა.

ლენინის შეხედულებებს ლიტერატურის, ესთეტიკის, კულტურის საკითხებზე დიდი განმარტავებელი, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ, როცა ვიხილავთ ხელოვნების თეორიის საკითხებს, და ვცდილობთ მათ შემოქმედებითად გამოყენებას. ლენინს შესანიშნავად ესმოდა, რომ მომავლის ადამიანები ისე არ იცხოვრებდნენ, როგორც, მაგალითად, 1920 წელს ცხოვრობდნენ. ის დიალექტიკოსი იყო და მატერიალისტური დიალექტიკა ყოველგვარი დოგ-

მატიზმის უარყოფაა. მგონი დამტკიცება არ არის საჭირო, ვინაიდან (ჩვენთვის) თუ ჰყოლია დოგმატიზმს უმრავლესობის უარყოფელი, როგორც ლენინი იყო. მის პიროვნებაში მოძრაობა, მოქმედება, შემოქმედება ორგანულად არის განსაზიერებული და ამიტომ ადვილს არ ტოვებს არავითარი დოგმისათვის. სხვა საკითხია მცინიერული კუშმარიტებანი, რელატიური თუ აბსოლუტური, რაც არსებობს, როგორც ადამიანის მიერ ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების კანონზომიერებათა შეცნობა. აქ ლენინს არავითარი დათმობა არ ახასიათებდა, როგორც კუშმარიტებისათვის უკომპრომისო მებრძოლს. და რა ოსტატურად, ცოცხლად, გონებამახვილურად იყენებდა იგი ამ ბრძოლაში ლიტერატურულ სახეებს, მაგალითად, ტურგენევის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, ხალტაიოვ-შენდრინის, ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის შემოქმედებას. არასოდეს ლენინს არ უხმარია ვირჯილიუსის ძველი ლათინური გამოთქმა — „Mens agitat molem“, მაგრამ არა მგონია ვინმეს უფრო ძლიერად გაეგო ამ აზრის მთელი სიბრძნე მარქსის შემდეგ, როგორც იგი ლენინმა შეისისხლხორცა. ჭკუა ძრავს მასებს! დიას, Mens agitat molem! ლენინი მხოლოდ იმას უმატებდა ამ სიბრძნეს, რომ ყოველთვის ხელდავდა მისი განხორციელების მატერიალურ საფუძვლებს. და როგორ ცდებოდნენ ის „ადამიანები, როგორც ცეტკინი ამბობს, რომლებსაც ეს კაცი გულცივ, ანგარიშიან მანქანად მიაჩნდათ, ფორმულების მშრალი ფანატიკოსი ეგონათ, რომელიც ადამიანებს მხოლოდ „ისტორიული კატეგორიების სახით“ იცნობს და მათ გულგრილად ათამაშებს, როგორც ბურთულებს“. ლენინი მასებს ბელადი იყო, მაგრამ ასეთი ვერ გახდებოდა, თუ ადამიანი ღრმად და კარგად არ ეცოდინებოდა. სწორედ ადამიანის მცოდნეობის დიდმა ტალანტმა მისცა საშუალება მას შეექმნა

უშიშრად წინ მიმავალი მონოლითური პარტია.

როცა ამ პარტიისა და თავის დიდ მასწავლებელს — ლენინს ახასიათებდა, სტალინმა მას „მთის არწივი“ უწოდა. არჩეულ გზაზე მართლაც არწივისებური სისწრაფითა და შეუპოვრობით რომ მიიჩქარის, მგზნებარების მთელ არსენალთან ერთად, აზროვნების სისტემით ლენინი მთლიანი პიროვნებაა. ფოლადივით მტკიცედ ჩამოსხმული კაცი. ამიტომ მას ვერ უპოვით წინააღმდეგობას ვერც თავის თავთან, ვერც თავის ერთხელ გამოთქმულ აზრთან. მისი თეორიაც ხელოვნებისა მთლიანი და ერთიანია. ამ სფეროში თავსდება მისი ესთეტიკური იდეალიც. და მე მგონია, რომ უდიდესი ესთეტიკური ფენომენი — Nec plus ultra ლენინისათვის უეჭველად რევოლუცია იყო, რომელიც ექსპლოატატორულ წყობას ანგრევდა მისი გამოვლენის ყველა ფორმაში, რევოლუცია, რომელმაც იგი დიდების მიუწვდომელ მწვერვალზე აიყვანა. ისტორიაში ეს გამონაკლისია. რაც გიყვარს, ყოველთვის როდი გაძლევს ბედნიერებას.

რევოლუციამ კი, რომელიც ლენინს ასე უყვარდა, იგი ასტუორცნა (ძრღვემა) კოლოსალურ პიედესტალზე და მსოფლიო მასშტაბის ბელადი გახადა.

ვინც თანამედროვე მსოფლიოს კულტურულ სახეს წარმოიდგენს, შეუძლებელია არ შენიშნოს, რომ ლენინური იდეები საოცარი ძალით ვრცელდება. მაგრამ ძლიერია საერთაშორისო რეაქციის შემოტევაც. კვლავ ჩნდებიან ახალ-ახალი მარკის რევინიონისტები და ათასგვარი რეფორმისტები. მაგრამ გაროდების მსგავსი ხელოვნების „თეორიები“ მოდიან და მიდიან, ესთეტიკის მარქსისტულ-ლენინური პრინციპები კი მთელ მსოფლიოს ედებიან, როგორც კულტურის ანალიზში მეცნიერული სისტემის საყრდენი დებულებები. მათი განვითარება. გაშლა, ახალ სიმაღლეზე აყვანა საბჭოთა მეცნიერების უპირველესი მოვალეობაა და ლენინის ახლანდელი იუბილე ამ მიმართულებითაც უამკველად წინ წასწევს მოაზროვნე კაცობრიობას.



ვნახე ღენინი...

მე უთვალავჯერ ვნახე ღენინი,
ბრძენი ბელადი მწედ მოვლენილი.
განა მოსკოვში, სადაც ისვენებს,
ქუჩაში ვნახე ცოცხლად ისევ.
დაზგასთან ვნახე, როგორც მშრომელი,
საქმით გართული, დაუცხრომელი.
მე მალაროში ვნახე მუშებთან,
პიტალო კლდეებს წერაქვეს უშენდა,
მინდორში ვნახე გლეხებთან მდგარი,
შემწე იმათი და ამაგდარი.
პიონერებთან ვნახე ღენინი,
სახენათელი და მოლხენილი,
ვით მეზღვაური ვნახე მე იგი,
მთელ დედამიწას უვლიდა ირგვლივ.
ვნახე მაისის პარადზე დილით,
დასთამაშებდა სახეზე ღიმი,
წინ მიუძღოდა მჩქეფარე მასებს,
სიხარულით და ხალისით სავსე.
მე იგი ვნახე, როგორც მკვლევარი
და დამპყრობელი მრავალ მწვერვალის,
ვით მებადური ვნახე მე იგი,
ზღვა მორჩილებდა ლურჯი და მშვიდი.

მე ვნახე იგი ზედ ფრონტის საზზე,
თოფში რომ მშვიდად აწყობდა ვაზნებს,
პარტიზანებთან ვნახე ღენინი.
მტერზე მასვილად ამოწვდენილი,
მე სტალინგრადთან ვნახე ღენინი,
გმირი ქალაქის ხსნად მოვლენილი.
ვნახე შევლოდა დაჩაგრულ მონებს,
ანთებდა რწმენით, მატებდა ღონეს,
ებრალებოდა ჩაგრული ყველა,
თავს ევლებოდა, ვით ცისარტყელა.
სადაც ტანჯული ხალხი დგებოდა
და სისხლის ძაფის იქსოვებოდა
ოკუისუფლების დროშა ფერადი,
იქ იყო მუდამ დიდი ბელადი.
ხალხს ასწავლიდა ის ბრძოლას მედგარს,
მტკიცე იმედად მათ მხარში ედგა.
მე უთვალავჯერ ვნახე ღენინი,
ბრძენი ბელადი მწედ მოვლენილი,
განა მოსკოვში, სადაც ისვენებს,
სველგან ცოცხალი ვნახე ისევ.
უღიადესი ღენინის ნახვა
გვმატებს მხნეობას და ძალას ახალს.

შალვა აბისალოშვილი

ღენინი, საგმობლო და გაზაფხული

1.

წელიწადობით
უწივლია
ქარს ზიშტის წვერზე,
წელიწადობით
უწვიმნიათ
სისხლიან წვიმებს;
თავქვეშ ბალიშად
უნაგირი
გვადებია მზედრებს,
გუიხილავს დამე —
სიკვდილზე მძიმე...

ოითქოს ხობების
ასი გუნდი
ასხლტაო ერთად,
ისე დახატეს
მუშხუნებმა
მთელი მთა-ბარი;
ვეფხვის ტყავებად
აბრჭყვიალდა
ჩრდილები ხეთა, —
და წაიშალა
მეცისა და
მიწის საზღვარი...

ქვის გალავანთან
ქვეშეხების
გრიალი ატყდა,
ულრუბლო სივრცეს
ეფინება

გობუნი მძაფრი, —
და ღენინური,
ლუწინური,
ღოროშების აღყას
უჭლევლობას
უდასტურებს
ყოველი ზაღბი...

წელიწადობით
უწივლია
ქარს ზიშტის წვერზე
წელიწადობით
უწვიმნიათ
სისხლიან წვიმებს;
თავქვეშ ბალიშად
უნაგირი
გვადებია მზედრებს,
გუიხილავს დამე —
სიკვდილზე მძიმე...

2.

კეთილი იყოს
სტუმრობა თქვენნი
დიდი ღენინის
ამ დიდ დარბაზში;
თქვენ გაბარიათ
სამხრეთის მთები,
რომ საზღვარს
არვინ
დასცეს განგაში...



3.

კეთილი იყოს
სტუმრობა თქვენი,
ტურფი თამამად
დაადგით პარკეტს!
უტკბილესია
სამშობლოს მტვერიც,
როცა
თან მოხდევს
ფარაჯის კალთებს...

თქვენ რომ აქა ხართ,
ჩვენ ასე გვჯერა,
რომ ამ დარბაზშიც
გადის საზღვარი, —
და თქვენთან ერთად
ვუდგევართ მცველად
ჩვენს დიდ მომავალს
თოფით, შარბაზნით...

მე შეტსაც ვიტყვი:
საზღვარი იგი
წყველა ჩვენგანის
გულშიაც გადის, —
და რა ამინდიც
ტრიალებს ირგვლივ,
მის ყოველ ძარღვშიც
მკვიდრდება ლამის...

სამშობლოს საზღვარს
ჩვენ ერთად ვზვერავთ,
ერთი გვაქვს
ოვითონ
სულის საგზალიც;
ჩვენ ერთმანეთის
ვგრძნობთ
გულის ძგერას, —
და არც რაიმე
გვთიშავს საზღვარი...

კეთილი იყოს
სტუმრობა თქვენი
დიდი ლენინის
ამ დიდ დარბაზში;
თქვენ გაბარიათ
სამხრეთის მთები,
რომ საზღვარს
არვინ
დასცეს განგაში...

ვრცელი ხარ, ვრცელი,
და სიმაღლითაც
ცა მოგიხაზავს
ღრუბლების ზემოთ...
და მაინც ვამბობ
ვინმე ძე-კაცი:
— სუნთქვა ხარ ჩემი,
სამშობლოვ, ჩემო!...

შენი ცხოვრების
მღელვარე ზღვაზე
აბალი დროის
ჭრიან ქარები;
ამართულია
სიცოცხლის ანძა, —
და შორეთისკენ
მივექანებით...

მგზავრებს მგზავრები
მოგვმატებოდნენ! —
ყველას დაიტევს
ხომალდის ერდო,
რომ ბედნიერებს
ბედნიერების
ხვალ უფრო მეტი
წილბვედრი გვერგოს...

ვრცელი ხარ, ვრცელი, —
და სიმაღლითაც
ცა მოგიხაზავს
ღრუბლების ზემოთ...
და მაინც ვამბობ
ვინმე ძე-კაცი:
-- სუნთქვა ხარ ჩემი,
სამშობლოვ, ჩემო!...

4.

საყორნის გადღმა,
გომეწრის ყელამდე
ღრუბლებად
ცხვრის თეთრი
ფარები გამლიღან:
აქა-იქ ყელ-ყელა
არყები ელავენ,
პატარძლებს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ჰგვანან
მთაშიაც, ბარშიაც...

დაიწყო კიდევაც
მწყემსური პარადი,
ენთო სოფელი
ჭალ-ვაჟთა მშვენებით;
— დიდება
დიდ ლენინს,
დიდება მარადი! —
კლდის თავზე რადიო
ჭექს შეუსვენებლივ...

იქით ვეჯინური
მოზერების ჯანითა
მოჭიდავეები

ეზრძვიან ერთმანეთს;
აქუო
დოლის ცხენებს
მოუსხამთ ქარის ფრთა, —
და ისრად ტყეულან
კისრიდან ტერფამდე...

საითაც გაჰხედავ,
სიცოცხლე მჩქეფარებს,
სიცოცხლე ზეიშობს
თვით
ზეცის თალამდე, —
და შმაგი მდინარეც,
კლდეებში მტუქარე,
დიადი მომავლის
დიდებას ღაღადებს...



ვიოლინოს ბაღავა

დღეს მუზეუმში ინახება ეს ვიოლინო.

იგი ოდესღაც იტალიაში პეტრე კრასნიკოვს უყიდნია მოხეტიალე მუსიკოსისაგან. მერე ყოველთვის თან ატარებდა რვეოლუციის ჯარისკაცი ამ ვიოლინოს. მუშენსკოე-შიც, სადაც იგი გადაასახლეს, თან წაუღია ეს ვიოლინო. აქ გასცნობია ვლადიმერ ლენინს. უკრავდა პეტრე კრასნიკოვი და შთაგონებით უსმენდა ზამთრის გრძელ ღამეში დიდი ლენინი განსაკუთრებით — ჰყვარებია მას „ბარკაროლა“.

და მერე პეტრე კრასნიკოვი — „იკარის“ აგენტი, ვ. ი. ლენინის საგანგებო დავალებებით ძალიან ხშირად დადიოდა საზღვარგარეთაც და ვიოლინოს ფუტლიარის ორმაგი ფსკერით თან გადაჰქონდა საიდუმლო დოკუმენტები.

დღეს მუზეუმში ინახება ეს ვიოლინო.

მუშენსკოე...

წუშასაგით

დაისხვრეული დემილი...

რას დედუნებს შუქნასვამი,

შხიარული დემელი.

რას ბუხუნებს ქარიშხალი

დაჩოქილი კართან...

ვინ გაჰკვეთოს ელვის ხმალით

ღამის შავი კალთა...

ვინ აღანთოს ამ მიწაზე

ვაზაფხულის მზე?..

ოვალით ელვას აიტაცებს,

წამოდგება მზე.

მიეყრდნობა სარკმელს შუბლით

მუშენსკოეს ხიზანი,

ვერ დაბურთნ შავი ღრუბლით

მისი გზა და მიზანი.

ვარ გატეხონ დაშინებით,

კატორლით და ციხით,

დალექს ქაჯეთს, აშენებულს

კირით. განა თიხით.

ის დაიხსნის დაჩაგრულებს,

წარუძღვება წინ!

...კარზე ვილაც აკაკუნებს,

-- შემობრძანდით შინ!

გულკეთილი და ერთგული

ლენინსა ჰყავს ძმობილი,

ისიც გადმოსახლებული

და აქვე გაცნობილი.

მასპინძელი სალამს ეტყვის,

ვით ძმას და ამხანაგს,

ის შემოდის, ვით ყოველთვის.

ვიოლინოც თან აქვს.

...ცა ღრუბლების შავი მხრებით

დამხობილა ძირს,

ბუხრის მილთა ჩიბუნებით

მიწა სუნთქავს ძლივს.

უცვბ შმაგმა ქარიშხალმა

ქოხილან და სოფლიდან

უცხო ჰანგი აიტაცა
და მთა და ბარს მოჰფინა.
მოღელავდა „ბარკაროლა“,
გულს ავსებდა ლენით,
შთაგონებით გააქრეოლა
ფიქრში წასულ ლენინს.
თითქოს სადღაც აციმციმდა
ვენეციის ცა,
გაზაფხულის წვიმა წვიმდა,
შრიალებდა ზღვა.

რეკდა ჰანგი ელვით სავსე
სიყვარულზე უკვდავზე,
ცისარტყელას ლამაზ მკლავზე
იწვა დილა შუქსავსე.
თითქოს მიწას შეათრთოლა,
ცამ დარეკა ბროლოდ,
ნაზად ეღერდა „ბარკაროლა“,
ქქუხდა „ბარკაროლა“.
აეყარა ყინვის ბწყალი
ტრამალს, ტყვეს თუ თხემს...
ლამის არის ნაპერწყალი
წაეკიდოს ხემს.

— კიდევ, კიდევ დაუკარი! —
სთხოვს კრასნიკოვს ლენინი,
ერუანტელი საოცარი
ტანში უვლის დენივით.
— მუდამ გვევლოს ამ მიწაზე
სიმღერებთან ერთად!
და ის, რომლის მკერდშიც ასე
ნაზი გული ფეთქავს,
ვისაც ხალხი უხმობს ლენინს,
ხალხს დაიხსნის ვინც,
ჯერ არნახულს, ჯერ არსმენილს
გრიგალს უძღვის წინ.
შუშენსკოე. შუაღამე.
მკრთალი შუქის ციმციმი.
სახლებს, ხეებს, ველებს, ხრამებს
აწვეთ ყინვის სიმძიმე.
სძინავს ციმბირს.
სძინავს რუსეთს.
სძინავს დედამიწას.
ქვეყნის გულისფეთქვას უსმენს,
ლენინს ისევე ჰღვიძავს,
რომ სამყაროს გაღვიძების
მძლედ ჩამოჰკრას ზარს,
რომ თვით განვლოს მძიმე გზები
და ხალხს მისცეს გზა.

ღენინი ჩვენს ქალაქში

I

ამ ქანდაკების ხელმართალ ოსტატს
ეს გამარჯვება მისთვის რგებია,
რომ შთაგონებით ღამე ნათევი,
რიტრატს მრავალგზის შეგებებია.

როგორც მზის დისკო გაბრწყინებულა,
ხალხთა მნათობის სახე კეთილი,
და ვით ცოცხალი გვესაუბრება
ბრინჯაოსაგან გამოკვეთილი.

ის აცისკროვნებს ჩვენს ღიად აწმყოს,
და შარავანდით მოსავეს ჩვენს მყობადს,
ის თვითონ არის ძველი ღიადი
დგას კომუნიზმის უკვდავსაყოფად.

II

თვალთაგან ცისკრის სხივი უკრთოდა,
ხალხის გულს ჩასწვდა აზრით რჩეულით:
მას საქართველოს ნახვა უნდოდა, —
და ჩვენც ველოდით ალტაცებულნი.

თუმც სიცოცხლეში მან ველარ შესძლო
უბილა ქართლი გლეხის და მუშის, —
სიკვდილის შემდეგ ხელთუქმნელ ძველად
წამოიშარტა თბილისის გულში.

მის ძველთან მუდამ ვსაუბრობ თბილად,
შუქს მფენს ილიჩის სიტყვა და წიგნი,
და მაინც ვწუხვარ, არა მხვდა წილად,
რომ სიცოცხლეში მენახა იგი.



ბიოგრაფიული

დანიის დრო

წმინდათა წმინდას ვდარაჯობთ, ვუვლით,
მკვდრში ვიხუტებთ მეწამულფრთიანს,
კრემლის ქონგურზე ზეაღმართული
წუთით არა სწყვეტს საამო ფრიალს.

ზრუნვაში გართულს არასდროს სძინავს,
ეშხი შემატეს დიდმა ბრძოლებმა,
მთელ სამყაროში სიმართლით იმას
ვერც ერთი დროში ვერ ვტოლებთ.

როგორც არწივი, მიფრინავს ზვეით,
ღიმილით დასცქერს მაღლიან მიწას,
ვით მომარი — მტკიცე, ურყევი,
ხალხთა სანუკვარ მშვიდობას იცავს.

ჩახაჩა სხივით ყველას იტაცებს,
მშობლის იმედად ჰვეყნებს ეგულების,
ამ დროშას ჰფიცავს დედამიწაზე
ყველა ჩაგრული და წამებული.

უტყები რკინის ჯავშნად გვარტყია,
ცამდე ასწია გული პატარა.
დიად ბრძოლებში ჩვენმა პარტიამ
გმირის მარჯვენით გამოატარა.

წინ ვისწრაფოდით ამაყი დროშით,
მტერთა დამხობის ძალა გვაჩვენა,
იგი გვეფარავდა იმ მძიმე ომში
ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

მძაფრი გრიგალი ამოტყდეს თუნდაც,
მისი შეგართომა როგორ იქნება!
ის საიმედო ხელშია მუდამ,
ცეცხლში ნაწრთობი არ დაიხრება

უკვდავ ნათელში მზიურად შლილი
კვლავაც მოგვიტანს სიხარულს უღვეს,
ოქტომბრის აღში ფრთააწყვეტილი
მუდამ აკაყვებს მილიონთ გულებს.

მისი კავშირში სიცოცხლით გვავესებს,
არ ეშინია წარღვნის და წვიმის.
დღეს კომუნიზმის ხარაჩოს თავზე
გულგასახარად ვარდივით ღვივის.

მისმა კალთებმა მუდამ იჭროლოს.
მუდამ არწიოს ნიავეში ფრთები,
ლენინის დროში არის სიმბოლო
ხალხთა ძმობის და თავისუფლების.

ჩემი ქვეყანა

შუქურა კრემლის,
დამწრობი ცრემლის,
მზის სხივებს გვაყრის სახეზე უღვეს.
მაღალი დროში შრიალებს ღელვით
და უფინება მგზნებარე გულებს.

ოქტომბრის სხივი,
ვით ოქროს მძივი,
მთელ დედამიწას ქარგავს და ათბობს,
უტყნობი ძმობა ხალხებში ღვივის
და მხრებზე მხოლოდ იები გვათოვს.



მზესა და ქარში,
წვიმაში, დარში
წინ მიგვაქვს დროშა, ვითა მზე დილის.
შრომის დუღილის უტკბეს ნაწიში
ღიმილით მოსაგვს მოსკოვი თბილისს.

ვემღერით ლენინს
შვებით და ლხენით,
შვეიდობის პანგი ჩვენს ძალებს იკრებს.
ქონგური კრემლის ცას მინაბჯენი
ერთი მიზნისკენ რაზმავს ჩვენს ფიქრებს.

მფეთქავი გული,
შენგანვე რგული
შენ მოგართმე, ქვეყანავ ჩემო!
მე მხიბლავს შენი მზის დალაღწეული,
მე მხიბლავს შენი შუქი და ჩერო.

შენ შეგვეთვისე,
შენ გიმღერ ისევ,
სულში იშლება ვარდი და ღვია.
ეს აღტაცება... ეს სიხალისე
ოქროსიტყვებად გულში მიწყვია.

შენი სადარი
აბა სად არი!
მთელი სამყაროს ხარ ნატვრის თვალი,
ო, როგორ მინდა ჩამოდგეს წამი.
მეც გითხრა ლექსი უმტკიცეს რვალის.

შენი საფერი,
მზეში ნაფერი
ჯერ ვერ გიძღვენი და გვერძალები.
ისევ შენა გთხოვ გულანატვერი
კობტად ამიწყო ჩანგზე ლარები.

ოქტომბრის სხივი,
ვით ოქროს მძივი,
მთელ დედამიწას ქარგავს და ათბობს.
უტკნობი ძმობა მზესავით ღვივის
და მხრებზე მხოლოდ ფოთლები გვათოვს.

მთა-ბარო ლურჯო,
სიმღერის ბურჯო,
მე შენი ხოტბა არ მომწყინდება.
შავებნელი რისხვა ვერ შეეურჩოს
ხალხის სიცოცხლეს, ქვეყნის დიდებას!



მინდია პაპაძე

ბაღაღ მგზავრისა

არაგვზე გვიან მოდის მაისი,
გაზაფხულს გვიან ელიან მთაში,
მეხის ქუბილი როცა გაისმის,
ხევებზე ტოვებს ქარბუქი მასინ.
ხშირად აპრილი ჭრელჭრულს აისხამს,
ხშირად მიაგავს მარტივ იანვარს...
ელოდნენ დიდხანს, მაგრამ მაისმა
იმ გაზაფხულზე დაიგვიანა.
მუზი პირველად გაეარდა მასინ,
კენესა აღმოხდა ზეცას ღრუბლიანს,
მგზავრს ქარიშხალმა მოუსწრო გზაში
და ორწოხებში გზა დაუბნია,
ხან ღვართქაფიან ხევზე მიუხვევს,
ხან კი დაყნოსავს მიწას ჯიქივით,
მიდის და სმენადქვეულ ჭიუხებს
ახალი დროის ქარი მიჰკივის!
იჩქარის, მუხლი ჯერ არ დაღლია,
ვერც შორი მთების დაღლის ნაპირი,
შხარი უქცია გზას ნიაღვრიანს
და უთენია გაქყვა სხვა ბილიკს!
ბნელ ხეობებში ზოგჯერ თუ შიშობს,
გადმოსძახიან მთათა წვერები —
წუთისოფელში მხდალს და უკიშოს
ისეც მწყვრალი ჰყავს წერამწერელი!

ცოტალა დარჩა გათენებამდე,
დაიცვარნამეს მკერდი ჭალემმა,
გულგაღვდილი მოჭრის ლემადე,
ცაზე არც ღრუბლის ჩანს ჭაჭანება.
მგზავრის გულში კი ფიქრი დახვავდა,
ბილიკზე ფიქრი ფიქრით იცვლება,
მზირები დახვდნენ ორწყლისმალატან

და უმალ ამცნეს ძმადნაფიცებმა:
— ხევ-ყურეები უკვე შფოთავენ,
დღეს სირცხვილია ყოფნა გულმშვიდად,
ოღონდ გვითხარი, რა შემოთვალეს
ბარით, რა სიტყვა მოგაქვს, უშიშავე?
— დღეს უკუნეთი უკვე იმსხვრევა,
ყველგან ნათელი უნდა ეფინოს,
ვინ მოკეთე და ვინ მოსისხლეა,
ჩვენ უნდა ჩვენს ხალხს გავაგებინოთ,
არ შეგვიბრუნონ ხელი იქნება
და იარაღიც იქნებ დაყარონ...
რუსეთი იხსნეს ბოლშევიკებმა,
ახლა კი უნდა იხსნან სამყარო!
წავიდეთ, ვიდრე გაირეკრადება,
ვიდრე შედგება მთაზე ცისკარი...
გზა დაულოცეს ერთურთს ვაყებმა
და ყველა თავის გზაზე იჩქარის,
მხრებზე უელავს ყველას ბერდანი,
შმაგი ხვაღები ხრავენ აღვირებს,
ყველას უბეში დევს ნალვერდალი,
რომელიც მართლა ცეცხლს გააღვივებს.
და ჯავრს ვერცერთი ველარ ინელებს,
კარგა ხანია, ჩასწვდა გულამდე,
დრო უბნობს მთიელ კომკავშირელებს,
გზას კი ლენინის სახე უნათებს!

ლაშქარი შეხვდა საგათენებოდ
მგზავრს და ჩაენთო გულში ღველფები...
შესძახა — საით, არაგველებო,
რატომ შეგვცლიათ ყველას ელფერი?
— თვითონ შეგვცლია ხმაც და იერიც,
სადიაცვე და სწორთა არსწორო,

მენი კაცობა და საქციელი
 გიჯობს, თვითონვე ასწონდასწონო.
 ხალხი თემ-სოფლის ღალატს გაბრალებს,
 გაგიწირია ყველა ღაჩრულად,
 ვადმოულახავს ფშავი აბრაგებს,
 ღაშქარი ახლა ჩვენსკენ დაძრულა!

გზავრმა სიტყვები ვეღარ მოძებნა,
 რა ქნას, ფიქრები აღარ აცდიან,
 უანდრეზოა, თანამოძმეთა
 რჯულის გამრიგე შუაკაცია!
 — ძმანო, ერთურთის სისხლში ნუ
 შევალთ, —

შეპყვირა, შეგართა ჭალა ტყიანი, —
 თორემ ჩვენ აღარ მოგვეშუშება
 დღეს ნახმლვეი და დღეს ნატყვიარი!
 გული შუღლისკენ რატომ მიგიწევთ,
 რადა ხართ მუდამ გასაკვირონი,
 ხვალ ჩვენთან მოვა ორჯონიკიძე,
 ჩვენთან სერგეი მოვა კიროვი!


უნდა დაგვეტოვოს ყინვამ და სუსხმა,
 მთამ მზეს შეხედოს წვერდანილღულმა,
 სამაგიერო მას უნდა ვუწოდოთ,
 ვინც ძმათა სისხლის დაღვრა ისურვა!

ჯაჭვ-მუზარადმა შეიჭღრიალა,
 ხმას ეჭო მთებში დააგელვებდა,
 უკბად შეუშვეს ხელი იარაღს
 ახალი დროის არაგველებმა.
 მზე გამოიხსნა ოქტომბრის ძალამ,
 ცხოვრება დროის სრბოლას დანებდა
 და გამარჯვების აღისფერ ალაშს
 ჭარი ამაყად აფრიალებდა!
 სამუდამამოდ ჭრებოდა ბნელი,
 სულს ლევდა ქვეყნად უკუღმართობა,
 ხალხი ლოცავდა ვლადიმერ ლენინს,
 ლენინს უხდიდა ხალხი მადლობას!
 ცამ პირი გახსნა, დაიგრაგანა,
 მკერდში ჩაიკრეს მთებმა გრუხუნი,
 ხევებში იდგა დარი თაკარა,
 ღაშარის გორზე იდგა ღუხუმი!

მეჩო საბაღაშვილი

ღ ე ნ ი ნ ი

თქვა და ასრულდა — საქულველი იქნა ძღვეული,
სულს შუქით ავსებს, უკვდავ შუქით ბრძენის გენია.
ყველა კეთილი, სასარგებლო, ძვირფასეული —
რაც დაცემულა — სამუდამოდ აღუდგენია.
ბრძოლა — ზრუნვაში წუთითაც კი არ იგრძნო დაღლა,
მისი ღიმილის დამნახველნი ვშაღღდებით, ვღელავთ.
პატიოსნების წმინდა დროშა ასწია მაღლა,
ამ დროშის ფრიალს მშრომელები შეესართნენ ყველა.
რწმუნად მოვიდა, სხივებისგან წყვდიადი დაშრა,
ის ცოცხალია, ჩვენთან არის, განა გვშორდება.
უკვდავ სახელის ბრწყინვალეობას, უსაზღვრო კაშკაშს —
ო, ვერაფერი, ვერაფერი გაუტოლდება.



ღენინის სახლი შორაქაში

ფრთხილად! —

ამ სახლის

მშვიდ ეზოში

სიჩუმე დადის...

აქ გრიგალებთან ფიქრში ნარწვევი
ისვენებს მისი დაღლილი ლანი და
და თავდახრილი დგანან ნაძვები.

ფრთხილად! —

ამ სახლის

ღრმა სიჩუმეში

ველკანებს ძინავს

და არა ნიავეს,

აქედან მუდამ, როგორც ნუგეში,
ჩიტებს შვის სხივი და სითბო მიაქვთ.

ფრთხილად! —

ამ სახლის

აივნის წინ

მაღალ ბალახებს

ნუ გადათელავთ ჩეროში ცაცხვის,

აქ მისი სუნთქვა ყვავილებს არხვეს
და ჩალურჯებულ სათიბებს ვარცხნის.

ფრთხილად! —

ამ სახლის

მზე და სითბო

ეყოფა ყველას,

მოურთმევეია აპრილს ჩითები.

ყოველ ფოთოლში სიცოცხლე ელავს
და დღის სინათლეს სვამენ ჩიტები.

ფრთხილად! —

ამ სახლის

ახლო-მახლო

მზენასხურები

ცას შელადანებს ბალახი თოთო.

აქ უკვდავების ნაფეხურები

მიწას ათბობს და ფერს აძლევს ფოთოლს.

ფრთხილად! —

ამ სახლის

ღრმა სიჩუმეში

ველკანებს ძინავს

და არა ნიავეს,

აქედან მუდამ, როგორც ნუგეში,
ნათელი აზრი და სითბო მიგვაქვს!

ღენინის წიგნთან

გადავმლი შენს წიგნს და გამიღიმებს

გაუთიბავი მინდვრის ფერები.

და როგორც წინათ, გულზე ნუშის

დავიბნევ ღილებს,

ვივლი კალებში და ბალახებს მოვეფერები.

მოვეფერები ჩემს სიყმაწვილეს,

შენ ნათელ წიგნში ლურჯ ფოთლებით

ჩანიშნულ სურათს,

და მე სიხარულს უცხო ჩიტებს

გაგუნაწილებ.

ვით უკვდავების წყლით სავსე სურას.

მერე ჩემს პირმშოს ჩავიკრავ გულში
და დავუმარცვლავ დინჯად შენს სახელს,
და როგორც დილა
ანდა თეთრი ყვავილი ნუშის,
ის გაუღიმებს შენს კეთილ სახეს.

ამოვა ქარი და რაც ბევრჯერ დასივსმრებია,
შენს გარდასახულ სიცოცხლეს შევიქრები
წამიღებს.
შენს სტრიქონებში გრივალეები დაიძრებიან
და ჩემი პირმშო მოუღერებს ჯალათებს
მჯიღებს.

გიიხით ბავშვებს პური და სითბო!

წარსულის დღეები თითებზე დაიმარცვლე
და სტეპებს გახედე ლენინის სახლიდან,
მინდვრებში ერთად დადის

მზე და სიმართლე,
ნაძვები წვეროებს თითქოს ცას ახლიან.

ბალახს და სინათლეს მინდვრები ძლივს
იტყვს —

თუმც სტეპებს არ უჩანს სიგრძე და განი...
აქ ფრთებს უბოლავდა პატარა ჩიტებს
რევოლუციის მძლავრი ურავანი.

მამებს ლბილ მიწაში ძვლები უთესიათ,
მათ ხსოვნას, ძმებო, მზე არ მოვაკელით,

ამოუხეთქავს სიკეთე ფესვებს,
მიდი და თიბე ყანა მოსამკელი!

მინდვრების სინათლე ის იყო თვითონ,
მისი მოწოდება ფხას უშლიდა ხიშტებს.
— მიეცით ბავშვებს პური და სითბო,
ტყვიას ნუ ესვრით პატარა ჩიტებს!

წარსულის დღეები თითებზე დაიმარცვლე
და სტეპებს გახედე ლენინის სახლიდან,
მინდვრებში ერთად დადის

მზე და სიმართლე,
ნაძვები წვეროებს თითქოს ცას ახლიან!..



საუკუნის ერთი ღღ

ნახევარი კოეფიციენტი

მზე დაბმულია უმძიმესი ღამის თოკებით
აღმოსავლეთის კართან მისული
და მაღლა იწვევს წითელ საყელოს,
ცაში ტრიალებს მძლავრი მზის სული
ბნელეთ მოცული და უსახელო.

ულამაზესი სივრცეები ჰგავს გარინდებსა,
ვარსკვლავებისგან ზეცა უცებ დაცარიელდა,
სახე სიცოცხლით და ხიფათებით
ცისა და მიწის დასალიერთან
დღე, როგორც ბავშვი დაიბადება.

დღეები ერთურთს უხმაროდ ისევ მისდევენ
გარემოსილინი სულ სხვა მშვენიებით,
და მოსჩანს ცისკრის თეთრი სათავე,
ჩემი ფიქრები არ ისვენებენ
და საუკუნის ერთ დღეს სატავენ:

დუმს საუკუნე წარბშეკრული, ვით დამნაშავე
კვლავ უსახელო და უსახლკარო,
და მწუსარების არ ჩანს ნაპირი,
ბნელი ღამე კი ღამაზ სამყაროს
შთანთქმას უპირებს გველეშაპივით.
მტარვალთა ბუდეს უძველესი მოჰგავს
რუსეთი,

იმედის წყარო მაშინ დამშრალა,
როცა ომების ხრამზე დაეშვა
და რუსი ხალხი, ხალხი მავშრალი
კვლავ შეუპყრია დარდს და კაემანს.

წინამძღოლს ელის ნაწამები თავისუფლება,
ცეცხლის მასელით მოდის სიმართლე —
ბნელში მზე მოაქვს, ვით დანაპირი.
და... ჰა, მიწაზე სითბოდ, სინათლედ,
სამოცდაათის დადგა აპრილი.

და დედამიწამ იგრძნო სუნთქვა დიდი
ლენინის,
გალხვა ყინული ათასწლეული, —
შემოღობილი ღამის წყვდიადით.
და... საუკუნემ თავი სწეული
განსაკურნავად ღენინს მიანდო.

ლენინს მიანდო უბედური ბედი რუსეთმა,
თუმც მოშავალი, როგორც ზღაპარი,
მოსჩანდა ცისკრის მაღალ სმიჯნასთან.
იღვა ღენინი, ვით დასტაქარი,
ავადმყოფ რუსეთს ფიქრით სინჯავდა.

...თავისუფლება, მეფისაგან შორს
განდევნილი,
ხალხისთვის ღმერთებს არ მიუცია,
არც ცხრაასხუთში და არც ჩვიდმეტში,
არამედ, როცა დაიბადა ქვეყნად ღენინი,
იმ დღეს დაიწყო რევოლუცია.

აპრილმა უმალ მოიარა კუთხე ყოველი
და გამოდგენა ღამე მდვიმედან.
დღეები ელვით დააუთოვა
და მოშავალთა უკრობ იმედად,
ხალხს სიმართლე და მზე დაუტოვა.

პროლეტარების შინაგვრელს სიკვდილი
გამოუტანა, ვით განაჩენი,
და საუკუნემ სულთამხუთავემა
თავისი თავი გაიუკვდავა
დიდი ლენინის ქვეყნად გაჩენით.

პყვავის ვარდივით დალოცვილი მიწა
ქართული, —

ასჯერ დამწვარი და დამებლი
დასტოვეს წლებმა და სამუშებმა.
და ახლა ბალში ხეებს, ხეხილებს
აპრილის ქარი ესალბუნება.

მშობლიური ცის უმაღლესი ბრწყინავს
თაენი

და გვეფინება მზე უმკვეთრესი,
ალარ გვაწუსებს უაპრილობა,
გვიხმობს, გვეძახის დღე უკეთესი
და სიხარულის უნაპირობა.

არ მოსწრებია მთებს ამგვარი
დღესასწაული —

აპრილის თბილი ხელით ნაკები:
გრგვინავს სიცოცხლე და გაზაფხული,
სამყაროს წითლად აციაგება

და სიყვარული ჯერ არნახული.
მაღალ მწვერვალებს სიყვარული მთების
არწივის

გულში უნთიათ ცეცხლის ფენებად,
და საუკუნის მესმის დუღილი,
სივრცეს გავეყურებ და შეჩვენება —
დგას იალბუზზე ლენინი და სახე უღიმის.

გადაფენია დედამიწას ალი წითელი,
დაუმსხვრევიათ მონის უღელი
ხალხებს... და ბრწყინავს ცა საბჭოეთის,
ხალხთა ბედნიერ მიზანს უმღერის
საბჭოთა ქვეყნის ყველა პოეტი.

...ლენინს მოვლის ოკეანის გადაღმა ყველა —
ვისაც სურს ნათელ გზებით იაროს,
ლარიბ მებადურს, ლატაკ მენავეს —
შრომით და ბრძოლით სურს ვეზიაროს
სიმართლეს სპეტაკს და უზუნავს.

ქვეყნად ჩაგრულთა მზე ამოდის უდიადესი,
ბედს უმზეობას ნურვინ შესჩივლებს,
პირზე მშვიდობის ვარდებდაყრილი
დედამიწაზე დადის აპრილი
თავისუფლების კეთილ ელჩივით.

დრო — მზლათსნი საათი

ქართული ქრონიკა

(8 მოქმედებად და 8 სურათად)

მოქმედი პირები:

რიფათა გოგიტიძე
ნარგიზა
სერგო
კალანდაძე
გოგელია
დინა ვაჩნაძე
ვაკა
თამრო
ქარუმეძე
ანდრონიკაშვილი
სუმბათაშვილი

მანიაშვილი
ოქის გენერალ-გუბერნატორი
საქართველოს „დემოკრატიული“ მთავრობის
თავმჯდომარე
გვარდიელი
ციხის ზედამხედველი
ოკუპანტა I ოფიცერი
ოკუპანტა II ოფიცერი
პორტის მილიციის უფროსი
სოფლები, ყოფ. პატიშრები, ოფიცრება.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

ღობზე რიფათა გადმოხტა. ხიშტიანი თოფი და ფუთა მიწაზე დაეარა. შემცოცნებელი და ფეხშიშველი ოდა-სახლის კიბესთან მიიჭრა, სათქმელი გადაიფიქრა. ფუთას მიუბრუნდა. აღიღინდა:

ტყეში ხარი შემეფარდა:
— გამო, გამო ვიშერაო! —
ნაბდის ძველა იქ დაავდო,
გამოვარდა შიშველაო.

ბლუზა-შარვალი გაიხადა. დახეულ-დაკერებული პერანგი გამოუნდა. ზორბა ქარისკაცის ტან-საცმელი გადაიკვა. ქუდი დაიხურა. ქამარზე ყუმბარა ჩამოიკიდა. პატრონტაში შემოირტყა, ვილაკას გაურისხდა, შერე კეთილი გამოშეტყველება დაიბრუნა.

რიფათა — ნარგიზა!... ნარგიზა!... (თავის გასაშხნევებლად ამოიშლერა) ნარგიზა!...
ნარგიზა — (კარი გაიღო, გამოინდა) უკ... ასეერი!...
რიფათა — რიფათა ვარ, ნარგიზა.
ნარგიზა — რიფათა?!
რიფათა — ნუ გეშინია, მე ვარ.
(დახეული ტანსაცმელი შეახვია, განსკვია). ა,

თუ მოვედო, ჩემ მავიერ ბლუზა-შარვალი და-
იტირე. სად ვკვდები, არ თქვა.
ნარგიზა — სად ბიჭო?
რიფათა — ბათუმში.
ნარგიზა — რატომ კვდები, რიფათა?! (ატირ-
და)
რიფათა — ნუ პრინცილობ, ველი კისერში
მეჩხივება, მთელ ტანში მცეცხლავს.

ნარგიზა — ვის ებრძვი, ბიჭო?
 რიფათა — ქვეყანას!
 ნარგიზა — რას ეყოფი, ბიჭო?
 რიფათა — ჩემს წილ ქვეყანას მე ვეყოფი,
 ნარგიზა.
 ნარგიზა — შენი წილი ვინ თქვა?
 რიფათა — მღვდელმა თქვა, ყველა დაბადე-
 ბულს თავისი წილი ქვეყანა მოსდევსო.
 ნარგიზა — ასეცხრის ტანსაცმელი გაცვია,
 რიფათა!
 რიფათა — მოლად უკეთესი, ადვილად შევი-
 პარები.
 ნარგიზა — ჯაშუშებით?...
 რიფათა — ომია, ნარგიზა, ხომ ეყვანი მზე-
 რავი.
 ნარგიზა — როდის იყავი?
 რიფათა — შენ რა ვახსოვს. მერე სამი წე-
 ლი გაქვნიდა.
 ნარგიზა — ვინ ჩავაცვა, რიფათა?
 რიფათა — სამი წლის წინათ, მე და ბაბაი
 ნატანებ — ზღვის მხარეს, ოჩხამურის ლელი-
 ანში, გენერალ მანნიაშვილმა გავგვხანა, ქარ-
 თველ ჭარს ქაობში ვხა-ბილიკი ვასწავლეთ.
 მერე ჯაშუშისმა მატარებელი მოვიდა, ასეცხრებ-
 მა რკინიგზა მოთხარეს, ჯაშუშნი გადაადგეს.
 ქართველებმა ჯაშუშნი ლიანდაგზე დასვეს, ჩიხ-
 ში გადაიყვანეს, მერე ჩიხიდან ქუბილაი ააყუ-
 ნეს, გაწყვიტეს და ამოეღიტეს, კაცის გორა და-
 აყუნეს. მერე, ი მკვდრები ზოგი წაიღეს და
 ზოგი დაჰმარხეს. უბატრონო ჭონებან კაცი აღარ
 ძიობდა.
 ნარგიზა — მკვდარს ვახადე?
 რიფათა — მავას ვიკადრებ?! საქორიანზე
 დაგდებულ ფორანიდან ვადმოვიღე. ბაბასაც
 დავემალე, ნენესაც, სხვენზე ვინახავდი. ხან
 ბუხრის თავზე, ხან ბუხრის ძირას. ა, ჩემი
 ტანსაცმელი, შეინახე, თუ მოვკვდი, ეს იტრიე.
 (გამონაკონი კიბზე მითვდო).
 ნარგიზა — სასიკვდილოდ მიღებარ, ბიჭო!...
 (იბღველებს) კიბზე ვასასი ვამოჩნდა
 ვასასი — დედუქ!... თათარი!... თათარი დაგ-
 ვეტყ!... ასეცხრი!...
 რიფათა — ნუ ყვირი, ვასასი-ხანუმ, რიფათა
 ვარ, რიფათა!...
 ვასასი — ა! რიფათაი — ასეცხრი?!... დედუქ!...
 ჭაჭათლებო, ვადმელებო! გოგირტიყებო!...
 ცეცხლაყებო!... ქათამაყებო!... ქარცვაყე-
 ვებო!... ასეცხრებო!...
 ზმებო — ასეცხრებო!...
 რიფათა — რიფათა ვარ, რიფათა!...
 ზმებო — ოსმალო!...
 რიფათა — არა ვარ, ეკავარ, რიფათა ვარ,
 გოგირტიქ!... (რამდენიმე ქალბა კაცი გამოჩ-
 ნდა, შეიარაღებულ „ასეცხრს“ ვარს შემოერტყ-
 ნენ)
 რიფათა ვარი!... რიფათა!
 I მეზობელი — ვინ ვარი?
 რიფათა — რიფათა ვარ, გოგირტიქ!

I მეზობელი — (დააკვირდება). ვადელი?
 რიფათა — კო, ვადელი! (მსდუნე კამო-
 ნდა)
 II მეზობელი — არ ვაუშვით, დაიჭირეთ!...
 III მეზობელი — ასლან, ბატონო, უშველე,
 ბაღში გადავყვარა.
 ასლანი — რამ ვადავრია, ჭო?
 რიფათა — საქართველო ბათუმში იღუ-
 პებან!...
 ასლანი — შეკარით!
 რიფათა — არ მომეკაროთ!
 (გაპარპარებელი ხმებიანი თოფი წინ გაიშვი-
 რა) საჯავახოს ხილს ბოლშევიკები მოადგენენ,
 ბათუმს ოსმალი! საქართველო შეაში მოექცა.
 ისრისება, იქულიტება, ირაგება. მეზობლებო
 ახლოს არ მომეკაროთ, თავზე ხელს ავიღებ!
 საჯავახოს ხილს მოადგა, ბათუმს შემოსევიან,
 წინ არ დამიდგეთ!...
 ასლანი — ქვეყნის დაქცევის შენ ვინ გე-
 კითხება, ბავო?!
 რიფათა — ჩემი წილი ქვეყანა მე შეკითხება.
 მეზობლები — კო, ვადავრია.
 — დედუქ!...
 — ხოჯას მოეხმეთ, შეუღოკეთ!...
 — ხოჯას დაუძახეთ!...
 — მღვდელი მოიყვანეთ, დედა ქრისტიანი
 ჰყავს!
 — მამა მუსულმანი ჰყავს!
 — ორთვეს დაუძახეთ, ბატონო!
 რიფათა — ტყუილი ირგებთ, ვაღმა ჭაჭუთში
 — მღვდელი მასწაველია, ვამოღმა — ხოჯა,
 შავათი ნუსხა ჩემზე არ ვაჭრის.
 I მეზობელი — ხოჯამ ეს ვითხრა, მუსულ-
 მანი ოსმალის ებრძოლეთ?
 რიფათა — როცა ქვეყანას უჭირს, სარწმუნ-
 იობა არათერ შეაშაო, — ხოჯამ თქვა.
 II მეზობელი — მღვდელმა რა ვითხრა?
 რიფათა — ყველას დასცხე, ნუ გეშინიაო.
 ვასასი — ასეცხრის ტანსაცმელი გაცვია. შე
 ოხერო.
 რიფათა — რაც ვიშოვე, ის მაცვია.
 I მეზობელი — პირველი შემხვედრი მენ-
 შევიკი წავაძრობს თავის ნახაძურს.
 II მეზობელი — ბოლშევიკები ცოცხლად
 შეგვაშენ.
 რიფათა — თხა თხაზე ნაყლები მგელმა შეტე-
 მოს. ახია მასზე ვისაც ორად გაუპოვენ თავის
 ნახაძურს. ა, გამომგვილი მათუბო, ზიშტიანი
 თოფი, ახლოდან, შორიდან... ახლა ჩემთვის
 სულერთია, საქართველო იღუპება — ქვეყანას
 დაქვამ. ბოლშევიკი, მენშევიკი, ოსმალო და მა-
 შაძალი — ყველასთვის მეყოფა, ე ნანთა სულ
 ტყუიბია, ამას რომ ზედავთ ბოშებია, ბოშ-
 ბებია!...
 ასლანი — შეკარით!...
 I მეზობელი — ვეცეთ, ერთად ვეცეთ!...
 რიფათა — დაგზოკეთ!...
 ასლანი — შეიღო!... (მცირე პაუზა)



რითათა — ახლა რომ მჯობობთ, ვიცი რას მიზამთ, მერე მთელი სოფელი, გაღმა და გამოღმა ქაქუთი „ღელი რითათას“ დამიძახებთ, ზომ დამიძახებთ?...
 I მ ე ზ ო ბ ე ლ ი — არაა...
 რითათა — კიი!...
 ასლანი — შეზობლებო, ამის ბუტურჩს რავა უსმენთ, ვეცეთ, ერთად ვეცეთ!...
 რითათა — ხიშტი!...
 მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი — ვიდელი, ჩქარა, თავზე ვიდელი ჩამოაცეთი!...
 — ვიდელი, ჩქარა ვიდელი!...
 — გოდრები!... გოდრები!...
 რითათა — ბოშბი მკიდა!... ჯო, ხიშტით ვაჯიჯო გზა, მეზობლებში ხიშტით ვიტრიალო, არ გრცხვენიათ?! (თოფი ვაისროლა) აუ! უველა გოდორს ვახერტეს...
 (ირველიც მუოფებმა შიში არ შეიმჩინეს).
 დედა — (გამოჩნდა) სად მიხელა, შეილო?
 რითათა — ჟანდაბაში, ჟანდაბის იქით წკვარამში, წკვარამს იქით კუბრში და ნავთში!...
 ნენე, მექვესე ვარ, ზუთი სახლში გყავს, მათ შოუარე... ვასასი-ხანუმ, ჩემს ჩამოსვლამდე ნარგზას ვინმემ თვალში რომ ჩახედოს, იყოდე, ჩამოვალ და ქაქუთი აირევა...
 ვასასი — ვაი ნენა, შენ რაღა ჩამოვიყვამა.

(რითათა მიიმღერის)
 I მ ე ზ ო ბ ე ლ ი — ვადელდა!...
 ასლანი — (იუვირებს) ის შაინე რა...
 ლერებს?!...
 რითათა — (ხალისით) თუ არ ვიმღერე, ვინმეს ასეერი ვეგონები და, შორიდან კუხს!... აბა, რაა...
 (მიიმღერის, წაეიდა)
 ასლანი — ვითომ უახილარმა დავცალა?!...
 ნარგიზა — ასლან ბატონო, ნუ ივადრებთ... (ნათქვამის შერცხვა, სახეზე ნაწინავე შემოიფარა, სოფელს სათქმელი გამოეგლია, მიწაზე დასდნენ).
 დედა — ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ჩემი ვადელებული რითათა შენ მშვიდობით დამიბრუნენ!...
 ასლანი — ზემო რძალო, ოთურაღად რომ ზრდიდი, ამას ვიზამდა, არ იცოდი? მოთაედა მაი ამბავი... სწორედ ვითხრა, შენ ზუთი ვყავს და მათ მოუარეო!...
 დედა — დააბრუნეთ!...
 (შორიდან ზარბაზნების გრუხენი მოისმა, მოზუცებს სათქმელი მოუკვება. დამდება.)
 I მ ე ზ ო ბ ე ლ ი — შორია, აწი ვეღარ მოვატევთ... (ჩაბნეღდა)

საშატი მორაე

ციხე. გოსოსიდან ღამის ღერჯი სინათლე მოჩანს. სიჩუმეში ზღვის ტალღამ გაიშრიალა. საკანში არიან: სერგო, კალანდაე და გოგელია. სერგო მერთალ სინათლეზე ვაზეთის ნაგლეჯს ჩაკირკიტებს. სხვები სქამლე გაუგონარის მოლოდინში ფაჟრს მისკემაან.

ატმის კურკა დეღამიწასავით ოღრო-ზოდროა. მერე, ე დეღამიწა თუ კურკა მანამ მეჭირა ხელში, სანამ ის გენერლები არ ვადეავბი ერთმანეთს.

გოგელია — მეცხრე ტალღა დიკარგა.
 სერგო — (დახეულ ვაზეთს თვალს არ აშორებს) ოთელი?
 გოგელია — აბა, რა ვქნა.
 (ყვლე სიჩუმე)
 კალანდაე — (თავს წამოყოფს) გენერლებო, სშენაა!...
 გოგელია — კალანდაე, ვაგვიდი?!...
 კალანდაე — ექვსი გენერალი ერთმანეთს ვადეავბი.
 გოგელია — მეშვიდე არ ვაგვიქვს.
 კალანდაე — მაცალეთ და იმასაც ვაგებწარავ. (თავზე ჟვალო წაიხურა, ყვლე თაფი წამოყო, შეფიქრდა) სანამ გენერლებს ვაგებწარავდი, ატამს ვქამდი...
 გოგელია — რას კამდი?
 კალანდაე — ატამს. უცებ ეს ატმის კურკა დეღამიწად ვარდიქმნა. მიჭირავს ხელში დეღამიწა, მთელი მისი მოწყობილობით — აესტრალა, აზია, აფრიკა და რა ვიცი, ვამსტერდი კაყო. ატმის კურკა დეღამიწად რამ მომაჩვენა? დღაზეროს ეშაქმა... ისე კაცმა რომ თქვას,

გოგელია — დიღამდე თუ იძინებ, შე კაცო, დეღამიწა ბლის კურკად მოგვეჩვენება...
 კალანდაე — ჰოდა, რევიოლუციას წინ აღარაფერი დაუდგება.
 (თავზე ჟვალო წაიფარა, ჩაემზო).
 ზღვიდან თოფის ხმა მოისმა

სერგო — ვილაცა დახერიტეს.
 გოგელია — იარაღს შიინე არ ყრიაან.
 სერგო — იარაღი დაყრილი აქეთ.
 გოგელია — დახერიტას ველოდებით.
 სერგო — ჩვენ მძველები ვართ.
 გოგელია — ჰოდა, ისე იზამენ, როგორც ხმა ვაეარდა. ციხეში გამოკეტულ პატიმრებს ბოსფორის სურტეში მიახერტენო.
 სერგო — სამასი ვეამი ისე ვასიედება და ვაიბერება — დარდაწელს ჩაკეტავს, ამას სანაოსნო ფედერაცია არ დაუშვებს. თუ დახერტაა, სადმე ახლოს, კახაბერში...

სერგო — ვილაცა დახერიტეს.
 გოგელია — იარაღს შიინე არ ყრიაან.
 სერგო — იარაღი დაყრილი აქეთ.
 გოგელია — დახერიტას ველოდებით.
 სერგო — ჩვენ მძველები ვართ.
 გოგელია — ჰოდა, ისე იზამენ, როგორც ხმა ვაეარდა. ციხეში გამოკეტულ პატიმრებს ბოსფორის სურტეში მიახერტენო.
 სერგო — სამასი ვეამი ისე ვასიედება და ვაიბერება — დარდაწელს ჩაკეტავს, ამას სანაოსნო ფედერაცია არ დაუშვებს. თუ დახერტაა, სადმე ახლოს, კახაბერში...

გოგელია — კაი შეღავათია.

სერგო — კახაბრის ველი ზღვის დონეზე დაბალია.

გოგელია — შე კაცო, სასაფლაო ვერ ავირჩევია, ქვეყანას მოუვლი?

სერგო — (გაეღიმა, გაზეთს მოეშვა) გოგელია, სიცოცხლეზე ვფიქრობ. არც შენ ფიქრობ სიკვდილზე, გულში ახრადაც არ გაივლებ, რომ ამ ღამით თუ გაგიყვანეს, ყოველი წლის ჩვიდმეტ მარტს გულზე ყვაილებს დაკვავრიან.

კალანდაძე — (თავს წამოჰყოფს) გენერლებო, სმენა!...

გოგელია — შე კაცო!...

კალანდაძე — მოული ქვეყნის გენერლები გავამწერივე და მამაჩემის ყანაში მიწას ვათობინებ.

გოგელია — რამდენი მოთობნეს?

კალანდაძე — ბოლოში გაიტანეს. მაზნიაშვილის შტაბი ფარცხავს.

გოგელია — შტაბის უფროსი ძაგანია არ გამოგრნეს.

კალანდაძე — არა. (თავზე ჭელო წაფარა).

სერგო — (აღგა) კალანდაძე, ეს დახუტული გაზეთი შენ შემოიტანე?

კალანდაძე — დიახ, მე.

სერგო — ეინ ვაღმობეცა?

კალანდაძე — ვინც ყოველთვის...

— ლინკა, შვილო, ჩაი! — აფუსფუსდა დიასახლისი, — სტუმარს ვაეუშმას-პინძლდეთ. — შემდეგ ისევ ევგენის მოუბრუნდა. — როგორ შეწუხდით! ამდენი პური, უნდა გამოოგოცდეთ, ჩვენ

უკვე მთელი საუკუნეა არ გვინახავს. როგორი დიდი მადლობა!.. ჩვენ კი...

— რა სამადლობელია, — ევგენიმ თავი დაიმდაბლა, — ერთი წუთით შემოვირბინე. ნუ დამძრახავთ და ჩაის ვერ დაეუტდი.

— გთხოვთ, ჩვენ დროს არ წაგართმევთ, ლინკა ახლავე... აი, უკვე დაადგა.

— ძალიან ბოდიშს ვიხდი, საშინლად მეჩქარება.

— კოორიცი არ არის. ის რომ ყოფილიყო, არაფრისდიდებით არ გაგიშვებდათ.

სწორედ ამ დროს სადღაც რომელიღაც კარი გაიღო და ტალანში ოჯახის უფროსი შემოვიდა. კოორს ძროხისათვის მოევლო და ახლა სარდაღში ყოფილიყო გადამალული კარტოფილის ამოსატანად. ჯერ შეკრთა, გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი რომ დაინახა, შემდეგ გუშინდელი სტუმარი შეიცნო. ჯვალოს ტომარა ტალანშივე დასდო და საღმის უთქმელად ხელების დასაბანად წავიდა.

Muti შეწუხდა, თუმცა ამის აშკარად გამოხატვაც ეკრძალებოდა, აღარ იცოდა კი, ქმრის უხასიათობა რით გამოესყიდა. კარში სათვალისაშა პატარა გოგონამ შემოპყო თავი, ლინკას უმცროსმა დამ,

და მაშინვე დაიმალა. ის, ეტყობოდა, მამას აუტყდა და, როცა ის *ჩქრუტყყმუჩქ* სახედავად და კარტოფილმს *შეჩქმუტქმქმქ* ნად წავიდა, თავი წააყვანინა.

ევგენი უკვე აღარ ჩქარობდა წასვლას, თუმცა ოჯახის უფროსის გუნება-განწყობილებას გუშინდელს აქეთ ვერაფერ ცვლილებას ამჩნევდა: კაცი, ისევე, როგორც გუშინ, პირგამებებული და მიუჯარებელი ჩანდა, ხელის დასაბანადაც კი განზრახ წავიდა, ვინძლო, სტუმარმა იგრძნოს, რომ მისი აქ დარჩენა და მალე მიმალ ხეტიალი ამ ოჯახში არავის სურს და ჩემს შემობრუნებამდე თვალისაგან დამეკარგოსო.

„იქნებ მართლა წასვლა ჯობდეს? — გაიფიქრა ევგენიმ, — ლინკა და მამამისი, ეტყობა, ერთი ჭკუისანი არიან: საქმე თუ სახვეწრად არ გაუხადე, არ დაგაფასებენ. ფიქრის დროს მივცემ, ერთი უფრო მოშინაურდება და მეორეც. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია!“

ტალანში გავლისას ის დაიხარა, კარს უკან დამალული გოგონა დაიპირა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა, მერე დაფიქრდა, ჯიბეში რაიმე საწუწკარი ხომ არ მომეძებნებო და რაკი არაფერი გააჩნდა, გულდაწყვეტილ დედა-შვილს მზიარულად გამოემშვიდობა და სადარბაზო კარი თავისი ხელით გააღო.

თ ბ ზ ი x v

ღამით ისევ იხუვლა წვიმამ. ეს უკვე სხვა წვიმა იყო, იმ წვრილ, ხშირ წვიმას კი არ ჰკავდა, დღისით რომ წამოასხურა და სანაპიროზე მომუშავე ბრიგადები შინ გამორეკა. თერთმეტის ნახევარზე ცამ გრუხენი დაიწყო. დედამიწა ზანზარებდა. სრულ თერთმეტზე ოთახებში, სადაც ოცუელის მეზობლებს ეძინათ, თუნუქის სახურავების გამაყრუებელი გრილი შემოიჭრა. ამ ხმამ ყველა დააფრთხო და ზეზე წამოჰყარა. მაშინვე ფანჯრებს ეცნენ. ყველას ერთი და იგივე აზრი მოუვიდა.

ნუთუ მოკავშირეებმა მართლაც ისარგებლეს უამინდობით და, როცა დესანტის გადმოსხმას არავინ მოელოდა, გაერთიანებული ერების ჯარებით დატვირთული სამხედრო გემები ნაპირს მოაღგნენ?

კოკისპირულ წვიმას, რასაც ელვა წამდალუწამ ანათებდა და სიბნელიდან ხან წყალში გალუმპულ სახლის კუთხეს, მოპირდაპირე ფანჯარას ან საწვიმარ მილს გამოჰგლეჯდა, ზედ საშინელი ძალის გრიგალიც დაერთო.

არა, ასეთ ჯოჯოხეთურ ამინდში

არამც თუ დესანტის გადმოსხმა, ზღვის სანაპიროზე უბრალო გავლაც კი შეუძლებელი იყო. ზღვა ღელავდა, ზათქით და ღრიალით იქაურობას იკლებდა, მთისოდენა ტალღებს მოაქანებდა და დიუნებისა და ჭებირების გამწვდომი სარტყლით წამიერად შეყოვნებული პოლდერებში ამსხვრევდა.

ქუჩაში თუ მეზობელ სახლში ვილაც აკვილდა. ქალის კვილი იყო. ამას დაფეთებული ბავშვების ზრიალი და რამდენიმე მამაკაცის შეძახილი მოჰყვა. ფანჯრის ქვეშ, საყდრის შესახვევში, ნავმა გაიარა და სავაქრო ქუჩას მიაშურა, სადაც, ალბათ, ამღვრეული მდინარე მიედინებოდა და მთელ დაბას წალექვას უქადდა.

რა მოხდა? ნუთუ ზღვამ ჭებირი გაარღვია და ხმელეთის სიღრმისაკენ მოისწრაფვის? ეს ხომ წარმოუდგენელი უბედურებაა! ზღვის დონე ამ ადგილებში ორი თუ სამი მეტრით მაღალია ხმელეთის დონეზე და უკეთუ სადმე ჭებირი გასკდა, შენს მტერს! ზანდფორტისა და ნისი შემოგარენის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი გახდება.

ეგგენი არც კი დაფიქრებულა. ტანზე გადაიკვა და ოცეულის სხვა მებრძოლებთან ერთად კიბეზე დაეშვა. სადარბაზო შესასვლელი უფრო ადრე ჩასულ ბიჭებს და საიდანლაც თავშემოფარებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს აევსოთ. ქუჩაში ფეხის გადგმა შეუძლებელი იყო. შესახვევი წყალს დაეტბორა. წყალს შიგნითაც შემოედრია და მარმარილოს კიბის მეორე საფეხურამდე მისულიყო. უფრო თადარიგიანებს რალაც ელონათ — სამი თუ ოთხი მარჯვე ახალგაზრდა ნაგების მოსაყვანად გაეგზავნათ. ნავის შოვნა აქ ძნელი არ იყო. მოტორიანი ან უბრალო, ბრტყელძირიანი, სათევზაო ნავი ყოველ მოსახლეს ჰქონდათ ან სახლის მოშორებით ეყენა ლიანებში. გაგზავნილები მალე შობრუნდნენ. ნაგები არ შეუჩერებიათ. იქვე მოატრიალეს. წელამდე წყალში ჩამდგარი ბიჭები გზადაგზა ჩახტნენ შიგ და ბრმად მიენდნენ მენავეებს, რომ-

ლებიც ნიჩბებს ჩაჰფრენოდნენ და ნაგები გულდაგულ მიჰყავდნენ. ^{ნუღი} ტოტუარებიანი ^{სავაქრო} ქუჩაში წყლით იყო დაფარული. მოსახლეობას, დღისით-შისით რომ ვერსად დაინახავდი, საპერო თავდასხმის საშიშროება დაეიწყებოდა, აქა-იქ სინათლე აენთო, კარ-ფანჯარა გამოედო და რაც კი რამ ებადა, გარეთ გამოჰქონდა და საკვირველი თავშეკავებით და სიმშვიდით, თითქოს ეს ამბავი ქვეყნის გაჩენისთანავე წინასწარ გათვალისწინებული და გარდაუვალი ყოფილიყოს, დიდ და მცირე ნაგებში ტვირთავდა. ზღვის ღმუილსა და კოკისპირული წვიმის განუწყვეტელ ტლამუნში, რასაც გრუხუნნი და მეხთატება ერთვოდა, დროდადრო ძუძუთა ბავშვის გულსაკლავ ღნავილს გაიგონებდი.

წერაქვებით, ცულებით, ძალაყინებით, რკინის ნიჩბებით, გრძელტარიანი თოხებით აღჭურვილი ყველა მამაკაცი, დიდი და პატარა, ვისაც კი ხელში იარაღის ალება შეეძლო, ნაგებში იყრიდა თავს და მაშინვე იქით მიდიოდა, საითაც ადგილობრივ მცხოვრებლებში შერეული, ნამძინარევი ქართველებითა და ფეხისხმასაყოლილი გერმანელებით პირამდე ავსებულმა ნაგებმა გაიარეს.

ეგგენიმ უცებ თვალი მოჰკრა ნაცნობ შავ ანაფორას და თავისდა უნებლიედ კინალამ მთელი ხმით შეჰყვირა. დასწყველოს გამჩენმა! მეწინავე ნავის კიჩოზე ის ახალგაზრდა, სანთლის ნამწკვივით გაღებული მღვდელი იდგა, ვისაც ამდენი დღე და საათი ამოდ ეძებდა. ნავი მსუბუქად მისრიალებდა წყალზე და მღვდელი თანდათან შორდებოდა. ეგგენიმ ხელი ჩაიქნია. მიხვდა, რომ ყვირილსა და ძახილს ახლა არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან ვერავის ვერაფერს გააგონებდა და ნავში რომ უფრო მცირე ადგილი სჭეროდა და სხვები არ შეევიწროვებინა, ლინგზე ფრთხილად ჩამოჯდა. წვიმა კი ასხამდა და ასხამდა. ვილაცას სწორედ მის ფეხებთან ჩამეხვლა, ნავის ფსკერზე ია-

საგანგებოდ ნაგულეები კონსერვის კოლოფით წყალს ხაპავდა.

უეცრად გაიღვია, ყომრალი ჯანდით მოსილი მიდამო გააკაშკაშა და თვალს შემზარავი სანახაობა გადაეშალა.

დიუნების მრუდე ზოლი, რომელიც ჯერ კიდევ საღამოს ზღვასა და ზმელეთს ერთმანეთისაგან აცალკევებდა, უკვე აღარ ჩანდა. წინ მხოლოდ აქაფებული, აქოჩრილი და უთვალავ მთავრებილებად ამობურცული წყალი იყო. ის წყალი, როგორც ცოცხალი არსება, შემაძრწუნებელი ხმით ღრიალებდა და თითქოს ასი თასი ქვემების ერთბაში ქუხილით დედამიწის შუაზე გახლეჩას ლამობდა.

ადგილზე რომ მივიდნენ, იქ უკვე უამრავი ხალხი დაუხვდათ. ნაგები ბორცვის ძირას გამოებათ, რომელზედაც წყვილიადმი საღ კლდესავით აღმართული ქარის წისქვილი იდგა, და წყალში ჩამდგარნი რაღაც გრძელსა და მძიმე საგანს ზღვისაკენ მიათრევდნენ.

— აბა, გადახტეთ, ბიჭებო, მივეშველოთ! — ეილაცამ ქართულად დაიძახა და, ვიღრე ნავს სხვა ნაგების გვერდით გააჩერებდნენ და დაბამდნენ, წყალში პირველი გადაეშვა.

ის გრძელი და მძიმე საგანი რკინაბეტონის კოჭი აღმოჩნდა. ამგვარ კოჭებს ყოველთვის ნახავდი სანაპიროს იმ ადგილებში, სადაც მწვანე ბლახით გადავლილ დიუნებს შორის მიწაში ღრმად ჩამჭდარი ჯებირის კედელი მოჩანდა და ევგენის აქამდე რამდენჯერ უნდოდა ეკითხა, ასეთი ძვირფასი საშენი მასალა ტრიალ მინდორში რისთვის აწყვიათ.

კოჭი რვა-ათი მეტრი სიგრძისა მაინც იქნებოდა. ტყვიასავით მძიმესა და წყალში კიდევ მეტად დამძიმებულს ბექზე ძლივსძლივობით იკავებდნენ. ორმოცამდე კაცი მიათრევედა და ყოველ წამს მაინც საშიში იყო კოჭის უცაბედად მიწაზე დაცემა, რასაც უსათუოდ მსხვერპლი მოჰყვებოდა, რადგან წყალი და სიბნელე ზღვისაკენ ჯიუტად მიმავალ ადამიანებს გზაკვალს უბნევდა

და ხან იქით მიანარცებდა და ხან იქით.

ევგენის ლაიწის ძეგლზე მდებარე ბეტონიდან ამოჩრილი არმატურის რკინა და მწვანე ტყვილისაგან დაიჭყანა. სხვებისათვის რომ არ ეღალატა, მხარს ორივე ხელი მიაშველა და თვალეზზე კურცხალმოდგარმა თავი ჩაჰკიდა. მრისხანედ დაკუთხული კოჭი თითქოს თავისთავად მიდიოდა სადღაც, მიიჩრწეოდა და სიმძიმისაგან წელში გადრეკილი ადამიანებიც თან მიჰყავდა.

ევგენი მარბილიანი წყლის გემოს გრძნობდა პირში და ვერ გაეგო. ეს ნამდვილად ზღვის წყალი იყო თუ საბესაქუთარ სისხლში მოეთხვარა. ოცი თუ ოცდაათი ნაბიჯის გავლის შემდეგ წინ და უკან ვიღაცები ამოუდგნენ და ტვირთი ოდნავ გამსუბუქდა. ევგენიმ შესძლო ხელეზი შეენაცვლებინა და თავიც კოჭის მეორე მხარეზე მოექცია.

წინსვლას ის უფრო აძნელებდა, რომ ნიადაგი ქვიშიანი იყო. ქვიშა წყალს მოჰქონდა. ფეხი შიგ ეფლობოდა ქვიშაში და ნაბიჯის გადადგმა ქირდა.

ევგენის უნდოდა თავი აეწია და დაენახა, ირგვლივ რა ხდებოდა. ან კიდევ რამდენი დარჩა გასავლელი. მაგრამ რამდენჯერაც ეს დააპირა, წინ იმდენჯერვე სლიბი კოჭი გადაეღობა და ზედ მარჯვენა წარბზე მოებჯინა.

ის გრძნობდა, რომ მეწინავენი განზე უხვევდნენ და კოჭიც მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალებდა. მაშასადამე, ის ადგილი, სადაც ტვირთი მხრიდან უნდა ჩამოეღოთ, ისე შორს აღარ იყო. ბოლოს, ნანატრი წუთიც დადგა. წინ ვიღაცამ გერმანულად დაიღრიალა, ტვირთი ყველამ მარჯვენა მხარეზე გადაიტანოსო. ბრძანება რამდენჯერმე გაიმეორეს და უკან გადმოსცეს. ევგენი უკვე მარცხნიდან უდგა კოჭს და მდგომარეობის შეცვლა აღარ დასპირებია. ორი თუ სამი წუთის შემდეგ კოჭმა ნელა იწყო ძირს დაშვება. ევგენი მასთან ერთად იხრებოდა, მერე მხარი გაითავისუფლა და კოჭს ორივე ხელი მოავ-

ლო, რათა სხვებთან შეთანხმებით ის ძირს დაეშვა.

მიუხედავად მძვინვარე ზღვის შემოტევისა, ორმოცი ადამიანი ზედმიწევნითი სიზუსტით ასრულებდა ვიღაც გამოცდილი ხელმძღვანელის განკარგულებას. კოჭი მძიმედ დაეშვა სწორსა და მყარ საგანზე. ევგენიმ მყის იგრძნო, რომ წყლის მოწოლა საგრძნობლად შენედა, სველ პირისახეზე დაბუყებული ხელები მოისევა. წონა თითქოს დაკარგული ჰქონდა, მუხლები უკანკალებდა და ქეიშის საფლობში ფეხის მოკიდება უჭირდა. ხმელეთზე გადმოვარდნილი წყლის ნაკადს მიჰყვა და ოციოდე ნაბიჯზე ქარის წისქვილის ბუნდოვანი მოხაზულობა გააჩნია. ნუთუ ასე კოტა მანძალი გამოიარეს? მას ეგონა, რომ მთელი ღამე მოდიოდა და მოუხელებელ და მძიმე ტვირთს ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე მიათრევდა.

ახალ ნანათლევს წვიმა ჩაცხრა, მხოლოდ ზღვის ღელვა არ შემწყდარა. გარდევული ჭებირი უკვე სამოთხ პირად ამოიესო რკინაბეტონის მძიმე კოჭებით. ზღვამ მიქცევა დაიწყო, მაგრამ ის წყალი, რომელმაც მთელი ღამის განმავლობაში ხმელეთზე იდინა, გაუნძრევლად იდგა და შიგ, როგორც სარკვეში, ცამდე აზიდული ქარის წისქვილი და აქაიქ მწვანე კორდებზე გადმომდგარი კოშკიანი სახლების მოცახცაზე ანარეკლები მოჩანდა.

ჭებირთან მუშაობა ჭერაც არ ნელდებოდა. ზღვის მიქცევამ ეს ადგილი თითქმის მთლიანად გაათავისუფლა. კოჭებისაგან აშენებული ბეკიდრი კედელი მკლავის სიმსხო მავთულებით დახლართეს. მავთულს ძალაყინებით გრეხდნენ რამდენიმე ადგილას და ყველაფერ ამას უნებლად გადარჩენილ საძირკველზე ადუღებდნენ, რათა ზღვის მოქცევის დროს წნევას თავისი არ გაეტანა და წყალს ქვევიდან ზევით არ დაეწყო დენა.

დიღას მთელ ზანდფორტში გავარდა ხმა, ჩვენი მსხნელი ანგელოზები ქართ-

ველები არიან, მაგათ რომ თავი არ გამოედოთ და ზღვას ვაეკაცურად არ შემოედნენ, ახლა ქალაქსაგან კივე ქვაზე აღარ იქნებოდაო. მსგავსი და კიდევ უფრო დიდი უბედურება პოლანდიის ნაპირებს ერთგერ და ორგერ როდი დასტეხია. ჯერ კიდევ 1421 წელს სამხრეთ პოლანდიასა და ჩრდილოეთ ბრანტს შორის ზღვამ ჩასძირა სამოცი აყვავებული დაბა-ქალაქი. გაუგონარმა წყალდიდობამ ასი ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. აქაურობა მას შემდეგაც ბევრჯერ აუწიოკებია ეულღვარძლიან ჩრდილოეთის ზღვას...

ხმებმა მაიორ ბრაიტნერისა და ვასო ინჯიას ყურამდეც მიაღწია.

წყალდიდობის სავალალო შედეგებისაგან დაბის გადარჩენა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის და მისი ავლადიდების ხსნა კი არ იყო, თუ გარდევულ ჭებირში ზღვა მთელი ძალით შემოიჭრებოდა, თვით გარნიზონსაც აუნაზღაურებელი ზარალი მოუვიდოდა. წყალი საწყობებს ააცხებდა და ასი ათასობით მარკად ღირებული სურსათი, ტანსაცმელი და იარაღ-საჭურველი ხელახლა მოსაზიდი გახდებოდა.

ახლა ზარალი თავიდან აცალებულ იყო, მაგრამ ამ სიკეთემ ბატალიონის სარდლობას ახალი თავსატეხა გაუჩინა.

მომხდარი შემთხვევა ქართველებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის სამეგობრო ხიდს გასდებდა, რომლის ხელახლა დაკეტვა და გაუქმება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ეს კი სერიოზულ საშიშროებას შეუქმნიდა უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ დაკისრებული ამოცანის შესრულებას.

როგორ შეიძლებოდა მდგომარეობიდან გამოსვლა? შეშფოთებული ბრაიტნერი და მასთან ერთად მომხდარი ამბით არანაკლებ შეფიქრიანებული ვასო ინჯია, მხოლოდ და მხოლოდ ერთ გზას ხედავდნენ: ბატალიონს დაუყოვნებლივ უნდა გამოეცვალა დისლოკაციის ადგილი და სადმე სხვაგან, პოლანდიის სულ სხვა პროვინციაში უნდა გადასულიყო. ბრაიტნერს, როგორც ბატალიონის შე-

თურს, უფლებამოსილება არ ჰქონდა ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ბერლინთან წინასწარი შეთანხმების გარეშე განეხორციელებინა. ამიტომ მან ვრცელი პატაკი დასწერა თვით რაიხს-მარშალ მაპლერის სახელზე. პატაკში დაწერილებითა და ამომწურავად იყო მიმოხილული საქმის ვითარება. პაე-ტის წასაღებად შტაბში პირველი ასეულის მეთაური ოტო კრიგერი და ფელდ-ფეხელი ნოე გონგლადე დაიბარეს. ამით გარდა ორ გერმანელ უნტეროფიცერსაც გაუფორმეს მივლინების საბუთები. მივლინებულები დილაადრიან ამსტერ-დამს გაენგზავრნენ. საიდანაც თვითმფრინავით გაფრინდებოდნენ, უამისოდაც ათასი საზრუნავითა და შფოთით შეპყრობილ ბერლინში.

ღამის ოპერაციის მონაწილეები —

თ ა ვ ი XVI

შუადღის შემდეგ წყლის დონემ საგრძობლად მოიკლო, იმდენად მაინც, რომ ზანდფორტის ზოგიერთ ქუჩაში ფეხით სარული შესაძლებელი გახდა. შიშობდნენ, ვაითუ ზღვის მოქცევამ ჯებირის ახლადშეკეთებული ადგილი ისევ დააზიანოსო. მაგრამ ეს შიში ამო აღმოჩნდა. სახელდახელოდ ჩასხმულმა ბეტონმა გამრობა ზღვის მოქცევის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მოასწრო და ყელი ყრუდ ჩაჰკეტა. საღამოჟამს წყალი მთლიანად დაწდა და ქუჩები კუპრით შავი შლამით გაზიზინებული დასტოვა. მთელი ყურადღე-ბა ხალხმა ახლა სარდაფებზე გადაიტა-ნა. წყალს ხელის ტუმბოებით ქაჩავდ-ნენ და ქუჩაში აქცევდნენ. წყალდიდო-ბას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, პირუტყვი ბევრი დაიხო-ცა. როცა ზემოდან წყალმა ითქრიალა, სარდაფებში გამომწყვდეული ხარძრო-ხა საცოდავად ბლოდა და ვიდრე საში-ნელ განსაცდელში ჩავარდნილი პატ-რონები, ქვა რომ აღმართში წამოეწიათ, რაიმეს იღონებდნენ, მათი გადარჩენა

შალვა ლოლაძის მთელი მეხუთე ასეუ-ლი და მეოთხე ასეულის კომანდირი ოცეული — ზანდფორტის ქვეშევრდნის გარნიზონი არსად დაუბარებიათ, საყვე-დური არ უთქვამთ, მაგრამ არც მად-ლობის გადახდა და საქციელის მოწო-ნება უფიქრია ვისმე.

სანაპიროს ამ უბანზე საფორტიფიკა-ციო ნაგებობების მშენებლობა და და-ნალმვა რამდენიმე დღით შეწყდა. ვიდ-რე ზღვა თავის, კალაპოტში არ ჩადგე-ბოდა, მუშაობა შეუძლებელი იყო. წყლის სატუმბავი ქარის წისქვილები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. უზარმაზარ მილგებში ამოტუმბული შლამარევი წყალი თავზე უვლიდა და-ტბორილ პოლდერებს და დიუნებას გადაღმა ზღვაში იღვრებოდა.

უკვე დაგვიანებული იყო. წყალი შიგ-ნიდან აწევებოდა სარდაფის კარს. რითი-მე გატეხდი — გზას ახლა გარეთ გამო-ვარდნილი წყალი გადაგილობავდა და შიგნით არ შეგიშვებდა.

ევეგენის ახალი ნაცნობები გაახსენდა და ტუჩზე იკბინა. რა ქნეს ნეტავი? ხომ არ დაზარალდნენ? სარდაფი ხომ მათ სახლსაც ჰქონდა, სადაც კარტოფილსა და სხვა სანოვავეს ინახავდნენ. თუ შიგ წყალი ჩაუვიდათ და ყველაფერმა ძირი გაიარა, არ დაიღუპებოდნენ საწყლები?

ამ ფიქრებით გულდამძიმებულმა ტუმბოს გარშემო მოხორხოცე ამხანა-გება მიატოვა და, თუმცა დღე-ღამი, უძილარი, უღვთოდ დაღლილი და ჯე-რაც სველი იყო, მეგობრების მოსანახუ-ლებლად გაეშურა.

ზარის ხმაზე ერთხანს კარს არავინ აღებდა. ევეგენის დასცეცხლა, რადგან ეს ამბავი ავისმომასწავებლად მიიჩნია. ზარის თასმას დაჟინებით ჩამოჰკრა და გაიტრუნა. მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა კარი ისევ ღინკამ გაუღო. სტუმრის დანახვამ ქალიშვილი

ისე გაახარა, ნამტირალევი სახე გაეზარდა და კინალამ ტაში შემოჰკრა.

— გამარჯობა, ლინკა! — უთხრა ევგენიმ და მკლავზე ხელი მოჰკიდა. — როგორა ხარ? ხომ მშვიდობაა თქვენთან?

— შემოდით! — მოუთმენლად მიუგო ქალმა, მოსული გაატარა, სადარბაზო კარი ჯახუნით მიხურა და მაშინვე ურდული გამოსწია. — თქვენ თვითონ როგორა ხართ? რატომ აქამდე არ ჩანდით? დედას ჯავრი ჰქონდა...

„შენ? შენ, ლინკა?“ — იკითხა ვილამმა ევგენის სულში.

— სანაპიროზე ვიყავი. წუხელ მთელი დამე ვმუშაობდით. ახლაც იქიდან მოვდივარ, ლინკა, — ეგეს რატომღაც სიამოვნებდა ამ ნაზი, უცხო და კეთილხმოვანი სახელის გამეორება და როცა კი ამის საშუალება მიეცემოდა, ხარბად იმეორებდა. — თქვენები? დედა, მამა...

ამ სიტყვებზე მან თვალი მოავლო ტალანს, წყლის შემოვარდნის კვალი თუ ჩანს რამეო, მაგრამ ასეთი ვერაფერი შენიშნა. წითელი საღებავით შეღებილი და ლაქით მოპრიალეული ტალანის იატაკი ისევე თვალისმომკრელად ბრწყინავდა, როგორც წინა დღეებში. მთელი ბინა რაღაც საოცარ სიწყნარესა და სიმყუდროვეს მოეცვა.

— თქვენ აქ დარჩით, მე ახლაც დედას მოვიყვან, — ქალიშვილმა სტუმარი ბუხრიან დარბაზში შეიყვანა და ნათურის შუქზე ახალა შენიშნა, რომ ის თავიდან ფეხებამდე სველი იყო. — სად დასველდით ასე?

— საკითხავია? — ევგენიმ გაიცინა და ტანსაცმელზე დაიხედა. სად მიდიხართ? — უცებ იკითხა მან, რაკი შეატყუო, ქალს გაქცევაზე ეპირა თვალი და ადგილზე ძლივს კავდებოდა. — არ შეიძლება მეც წამოვიდე?

— საქონლის ექიმობის რაიმე გაგეგება?

— საქონლის ექიმობის?

— წამოდით! გინდათ წამოსვლა?

— იარეთ და მოგდევთ.

ლინკას წამიც აღარ დაუყოვნებია.

სტუმარი მეორე სართულში თუ მან-სარდაში ამაველი კიბის რუკანს ეგზიტარა და ხელისდადება ეზოში გასწავსნა-სი-დანაც აგურით ამოშენებული კიბე ღრმა სარდაფში ჩადიოდა. წყალს ვერც აქამდე მოედწია. მართალია, თეთრი ზამბახის და ყაყაჩოსფერი ტიტას კვლებით მოქარველი პაწია ეზო წვიმას სინესტით გაეფლინთა, მაგრამ თვით წყალი არსად ჩანდა. კიბეზე სიბნელე იყო. ქურციკვით მკვირცხლი ლინკა, გუშინწინ რომ ევგენის ისე ცივი და მიუკარებელი ეჩვენებოდა, ამას არ შეუჩერებია. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა კიბე და ევგენის ქვემოდან ამოსძახა:

— მოდიხართ? მოიტათ ხელი ნუთუ ასე ბნელა?

ევგენიმ ხელი გაიწვდინა. ქალის გულზე, ბავშვურ ხელს წაეტანა და ფეხით იატაკს შეეხო.

— გამდლობთ, ლინკა, ახლა საით?

პასუხის მაგიერ ქალიშვილმა მკიდროდ მოხურული მძიმე კარი შეაღო და ისინი პირუტყვის სადგომად მოწყობილ გაქათმებულ ოთახში შევიდნენ. კოორი და მისი ზორცასვე მეუღლე ჭირისუფლებივით დასდგომოდნენ თავზე თეთრლაქებიან კუდვარდა ძროხას, რომელიც ხის იატაკზე გვერდულად იწვა და თავგადაგდებული შესაბარალი-სად ქშინავდა. იქვე, ოთახის შორეულ კუთხეში, ლინკას პატარა და ჩაცუქულიყო და გულანუყებულები ადევნებდა თვალს მშობლების საქმიანობას.

სარდაფის კარი რომ გაიღო, კოორი გაიმართა, თავით ჰერს მისწვდა, დაინახა, ვინც შემოვიდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ დაღვრემილმა და სიტყვაძვირმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერავის ვერ ამჩნევდა, ძროხის წინა ფეხებთან ჩაიჩოქა, მარცხენა ხელის თითებით პირუტყვის პირი დააღებინა და შიგ რაღაც თეთრი სითხით სავსე ნახევარბოთლიანი ჩაუპირქვა. თეთრი სითხე ძროხის ლურჯ ლაშებს მოსდევდა, იატაკზე იღვრებოდა და კოორი ცდილობდა, ისე შეებრუნებინა ძროხის თავი, რომ სითხე რაც შეიძლება ნაკლები

დაღერილიყო. პირუტყვი წინააღმდეგობას სწევდა, წინა ფეხებს უღონოდ ასავსავებდა, მაგრამ სითბე, ეტყობა; თავის კეთილ გავლენას ახდენდა და ისიც თანდათან ემორჩილებოდა პატრონის მზრუნველ ხელს.

მარჩენალი ძროხის წაქცევით დაბნეული და აწრიალებული დიასახლისი კიდევ უფრო დაიბნა იმის გამო, რომ ლინკას წინდაუხედაობის წყალობით სარდაფში მოულოდნელად ჩამოსულმა გერმანელმა უნტეროფიცერმა მათი ძროხა დაინახა. უნტეროფიცერს შეეძლო, როგორც მსგავს შემთხვევებში ხდებოდა ხოლმე, ეს ამბავი სადაც ჯერ არს იქ განეცხადებინა და მთელი ოჯახისათვის საშინელი უბედურება დაეტეხა. ქალი იმედის სუსტ ძაფს ჩაეჭიდა და დაბნეულობა რომ რითიმე აეხსნა, სტუმრის მაგიერ ქალიშვილს მიმართა:

— ეს რა ჰქენი, ლინკა, შვილო, ბატონი უნტეროფიცერი აქ როგორ ჩამოიყვანე, აბა, ეს რასა ჰგავს!

— მე ვკითხვ, Muti, — ლინკამ თავი იმართლა და კიბეზე ჩამორბენის დროს შუბლზე ჩამოყრილი ჩალისფერი თმა უკან გადაიყარა, — თვითონ დაიქინა, გამოგყვებით.

— ღმერთო კი მომკალი! — დიასახლისმა შეიცხადა და კოტიტა ხელით პირჯვარი გადაისახა, — შენ თავი აიშვი, ლინკა, უფროსზე როგორ ლაპარაკობ! გესმის, კოორ?

ნამტირალევი ლინკა ახლა შესანიშნავ გუნებაზე იყო. რაღაც ძალზე სასაცილო მოჰგონებოდა და ერთ გემრიელ გადაიქისისებას ცოტალა აკლდა.

— ნუ გაუწყობით, ქალბატონო, — ფრთხილად ჩაერია ევგენი დედაშვილის კამათში, ორი თითი ყვრიმალთან მიიტანა და ქუსლი ქუსლს მიართყა. ის მიხვდა, დიასახლისი ასე რამაც ააწრიალა და შეეცადა შიში ახლავე გაეფანტა. — ლინკას დანაშაული არ მიუძღვის, — თქვა და გულის სიღრმეში ძარღვების საამოდ მომთენთავი სითბო იგრძნო, რაკი მოყვარული დედის წინაშე ამ თამამ ქალიშვილს ესარჩლებოდა და თავის

მხრივ ქალიშვილიც უსიტყვი იღებდა ამ გამოსარჩლებას. — ჩემი შვილია, აქ რომ ჩამოვედი. მსტავე! მსტავე! თქვენ შიში ნურაფრისა გექნებათ... — მან იატაკზე გაშლართულ ძროხას მიაპყრო მზერა. — იქნებ რითიმე შემიმძლია ბატონ კოორს მივეხმარო.

თავისი სახელის გაგონებისას კაცმა ოდნავ მოღრიჯა დანაოკებული მაღალი კისერი, მაგრამ უმაღ მიბრუნდა და გამოცილილი ბოთლი იატაკზე დადგა. ძროხა ახლა თანაბრად სუნთქავდა და მხოლოდ ხანდახან ხროტიუნებდა.

— არა, გამიჭრეს თავი, — ევგენიმ ახლალა შეამჩნია, რომ დიასახლისის მთავარი გულისყური სულთმოძრავ ძროხისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და თვალები ცრემლებით ევსებოდა. — თქვენ როგორ... ბატონო უნტეროფიცერი! — ქალი უცებ მუდარაზე გადავიდა და ცოტალა აკლდა მოსულის წინაშე არ დაიჩოქა, — ეს ერთი დაეიტოვეთ. მეტი ძროხა აღარა გვყავს. რა გეშველება! ხომ ხედავთ, ბავშვების პატრონი ვართ.

— რა გაწუხებთ, ქალბატონო, — ევგენიმ იგრძნო, რომ ამჯერად უადგილო იქნებოდა საალერსო სიტყვა „მუტის“ ხმარება, თანაც არ იცოდა, რა თვალით შეხედავდა ამას თავის საქმეში გართული ოჯახის უფროსი, ლინკას შეთქმულივით გახვდა და თვალი ჩაუკრა. — ნუთუ გგონიათ, რომ მე წავალ და სადმე დაგაბეზლებთ?!

— ოჰ, მადონა! — ქალმა თვალები ცალ ალაპყრო და დაწვზე ერთადერთი ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა. — თქვენ ამას არ იზამთ. მე ვიცი, მერწმუნეთ, როგორც დედას, მთელი ჩვენი ოჯახი თქვენ დიდ პატივს გცემთ. მეც, კოორიც და ბავშვებიც... — დიასახლისის გული ეთანაღრებოდა, აღსარება საკმაოდ არ ჩასთვალა, იფიქრა, კიდევ მეტი უნდა მეთქვაო და თითქოსდა დასტურის მისაღებად უფროს ქალიშვილს მოუბრუნდა. — ხომ მართალს ვამბობ, ლინკა?

ევგენიმ დიდი მადლობა გადაიხადა

და, ცოტა არ იყოს გაფეხილად თქვა, მეც სწორედ ასეთივე ღრმა პატივისცემითა ვარ გამსკვალული თქვენი ოჯახის მიმართ, ვიცი, თქვენი სახით როგორი კეთილშობილი ადამიანების საზოგადოებაში ვიმყოფები და ამისი ფასიც ზედმიწევნით მესმის, ვინაიდან თავადაც ოჯახიშვილი ვარო.

დედამ და შვილმა მთელი ამ დღეების განმავლობაში პირველად დღეს შენიშნეს, რომ მათი ოჯახის კეთილისწყობელი გერმანელი უნტეროფიცერი, ასე შეუმჩნეველად რომ შემოეჩვიათ, გერმანულს საკმაოდ ცუდად ლაპარაკობდა. თავისი სამადლობელი სიტყვის წარმოთქმისა! პას რამდენიმე ენობრივი შეცდომა მოუვიდა და ეს უმალ ყურში მოხვდა მწიგნობრობის მოყვარულ „მუტის“. ქალები ჯერ შეფიქრიანდნენ, რადგან ვერ აეხსნათ, ეს ამბავი რის რომანსავებელი უნდა ყოფილიყო. ერთიცა და მეორეც პირველად ხედავდა გერმანულ სამხედრო პირს, ვინც გერმანულს ამტკრევედა და ამიტომაც თავიანთ სტუმარს ისე გაკვირვებული მისჩერებოდნენ, თითქოს ის სწორედ ახლა ენახათ პირველად. შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი კიდევ უფრო მოიარებით განაგრძეს და მთავარ ყურადღებას სტუმრის გამოთქმის კლოზე ამხვილებდნენ. ევგენი მიმხედარი იყო ქალების შეფარულ მიზანს და თავი საესებით უბრალოდ ევირა. მდინარე ბუნებრივად მიედინებოდა თავის ბუნებრივ კალაპოტში...

ძალე დედა-შვილი ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდა, რომ პირველი შთაბეჭდილება არ ატყუებდათ: უნტეროფიცერი, თუმცა მას გერმანიის შეიარაღებული ძალების ფორმა ეცვა, გერმანელი არ იყო და ახლა ორივეს ძალიან უყვრდა, ეს თვალში საცემი გარემოება აქამდე როგორ ვერ შევამჩნიეთო.

რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმარიცა და მასპინძლებიც ზემოთ ავიდნენ. ბროხსთან მარტო კოორი დარჩა. კუქის დროულად ამორეცხვამ და წამლებმა გასკრა: პირუტყვის უკეთესობა და-

ეტყო. მისი უმეთვალყურეოდ დატოვება ჯერ მაინც ნაადრევად იქნებოდა. ორიც ფეხს არ იცვლიდასაქრდითიდან.

ზემოთ ამოსვლისთანავე დიასახლისმა კომოდს მიაშურა და ქმრის ფაქიზად ჩაწყობილი ზოლიანი შარვალი და ჯიბეებიანი პერანგი ამოიღო. ყველაფერ ამას სახამებლისა და კიდევ რაღაც უცხო, მარტო ამ ოჯახისათვის დამახასიათებელი სუნის ასდიოდა. ლინკამ მამის საშინაო ხალათი შემოარბენინა საბაზანო ოთახიდან. ევგენიმ გადაჭრით იუარა ტანზე გამოცლა. უკვე გვარიანი დრო იყო გასული და ოცეულის სადგომში მისვლა უგვიანდებოდა. ბოლოს მაინც დაყაბულდა, საბაზანოში გაიხადა და უხეშად ნაქსოვი დიდრონზოლებიანი ხალათი მოიხურა. სველი ტანსაცმელი დიასახლისმა წაიღო, ჩექმებსაც დასწვდა და ფეხის წასადგმელად ოთახის რბილი ფაჩუჩები შემოიტანა. ფაჩუჩებიც კოორისა იყო და ტანმორჩილი ევგენი შიგ თავიდან ფეხებამდე ჩაძვრა.

— გამოდით, რატომ არ გამოდიხართ? — ტალანში მოისმა ლინკას წკრიალა ხმა. ლინკას გულთან ღრმად ამოჭრელი ქრელი წინსაფარი აეფარებინა, თმა ამავე ფერის ნაჭრით გაეკრა, სალათისფერი კაბის გრძელი სახელოები მარჯვედ დაეკაპიწებინა და ერთბაშად ოჯახის ქალს დამსგავსებოდა.

ევგენიმ ნავსი გატეხა და ასე უცნაურად ჩაცმული დარბაზში გამოვიდა. სიცივე იგრძნო. წინდახედულ დიასახლისს ბუხარში ცეცხლი დაენთო. ტორფი მოიისფერო ალით იწვოდა და გაღვივებულ-გალადღადებული თითქოსდა გეპატოვებოდა, რა შორსა დგახარ, მო, მომიახლოვდიო. ლინკას პატარა დას იატაკზე მოეკეცა, ბუხრის წინ, გვერდით თავისი საღებავგადაქერცილი დედოფალა მოესვა და მასაწვლებლობას შესდგომოდა.

— თქვენ ამბობთ, რომ გერმანელი არა ხართ, — უთხრა დიასახლისმა ევგენის და ბუხრის მარჯვენა მხარეს ქილით ზურგმოქსოვილი ძველებური სკა-

ის დაუდგა, — მაშ ვინა ხართ? ჩვენ გვინდა თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცოდეთ.

— ქართველი ვარ, — ეგვენი გაიკრიჭა, დაჯდა და გაბრწყინებული თვალები დასახლისის კეთილ, ნდობით აღესილ დედობრივ სახეს მიაპყრო. — ქართველი... გეორგიენ...

— გეორგია... — თავისთვის გაიმეორა დასახლისმა და დაფიქრდა. შემდეგ უეცრად გაახსენდა: — ეგ ხომ ამერიკაშია! მაშ თქვენ ამერიკელი ყოფილხართ? არასოდეს არ ვიფიქრებდი...

ეგვენის წყენამ ნემსივით გაუარა გულში და სახეზე სიწითლე მოერია:

— ამერიკა აქ რა მოსატანია, ქალბატონო. ჩემი სამშობლო საქართველო კავკასიაშია, ესე იგი საბჭოთა კავშირში. — მან ხელი ცისკენ, მერე კი გაურკვეველი მიმართულებით გაიქნია.

— რუსეთში, — დააზუსტა მუტიმ და თავისი სკამი გვერდზე ჩასწია, რათა ბუნებრივად ადგილი დაეთმო უფროსი ქალიშვილისათვის, რომელიც სწორედ ამ დროს მოვიდა მათი საუბრის მოსასმენად და სკამიც მოიტანა.

— რაო, რას ამბობს? — მოსვლისთანავე თავიანთებურად ჰკითხა მან დედას და წამის წინ შემშრალებული ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

— ქართველი ვარო, კავკასიიდან.

— არც თქვენ გაგიგონიათ, ლინკა, საქართველო? — ეგვენიმ ქალიშვილს თითქმის მუდარით მიმართა, — წინათ იბერია ერქვა...

— იბერია, — გაიმეორა ლინკამ, — ეს ხომ ესპანეთია?

ეგვენის ბედად ბერძენი რაინდი იაზონი და არგონავტების ლაშქრობა მოაგონდა. ორიოდ სიტყვით სცადა მასპინძლებისათვის მოეთხრო ოქროს საწმისისა და კოლხეთის მეფის აიეტის ასულ მედეას მოტაცების ამბავი. თვით ამბავმა ქალები დააინტერესა და გაიტაცა, მაგრამ დედაცა და შვილიც მალე გამოტყდნენ, რომ იგი პირველად ესმოდა...

„ნუთუ ასე დაკარგული ვართ? — გ. იფიქრა გულდაწყვეტილმა ეგვენიმ დედამიწის ზურგზე ჩვენი არსებობის ამბავიც არ იციან. ვინა მართლა ასე შორსაა აქედან საქართველო?“

ლინკა წამოხტა, დაბალქუსლებიანი ქოშების კაკაუკით მეზობელ პატარა ოთახში გაეარდა, დიდი სასკოლო ატლასი მოიტანა, ბუნების წინ მუხლებზე დაიდო და საბჭოთა კავშირის ფიზიკური რუკა გადაშალა. ეგვენი ხარბად დააჩერდა რუკას, მერე ვაბედა, ლინკას მუხლებზე გადაშლილი ატლასი ორივე ხელით აიღო და თავის მუხლებზე ციმციმ გადაიტანა. რამდენიმე წუთმა ისე გაიარა, ხმა არცერთს არ ამოუღია. ეგვენიმ ადვილად იცნო რუკაზე კასპიის ზღვის მოხაზულობა, შავ ზღვას თითქოს მტვერს აცილებსო, სათუთად ხელი გადაუსვა და სმენად ქვეულ დედა-შვილს ხმელეთის ის პატარა ნაჭერი აჩვენა, რომელიც აზიისა და ევროპის მიჯნაზე ორი ზღვის შუა რეო მოქცეული.

— შტალინ! — რაღაცნაირი ცივი ხმით შესძახა ლინკამ და ფეხზე წამოიჭრა.

ეგვენის ტაშში გაბურძღლა. მიიხედ-მოიხედა. რამდენი ხანი იყო ეს სახელო მისი თანდასწრებით ხმამაღლა არავის წარმოეთქვა!

— ლინკა, თქვენ საიდან იცით სტალინი?

— ვიცი, სტალინი ყველამ იცის, — ქალიშვილს თვალები ანთებოდა და სახე ავაზისებურ უელავდა. — ის ხომ მოკავშირეების დიდი სარდალია. უცნაური გრძელი გვარი აქვს. მართალს არ ვამბობ? კავკასიის იბერიაში დაიბადა. მამა უბრალო მეწაღე ჰყავდა, დედა — მრეცხავი. თვითონ სასულიერო სემინარია დაამთავრა ძალიან ძველ ქალაქ ტფილისში. მღვდელი უნდა გამოსულიყო...

მუტის სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. ჩალურჯებული სქელი ტუჩები ციებიანივით უთახთახებდა და სკამიდან გადმოვარდნას აღარაფერი აკლდა. მას ვედარც აღზნებული ქალიშვილის შე-

ჩერება მოეხერხებინა და ველარც რისამე თქმა წამომცდარი სიტყვების შესარბილებლად. მაგრამ წამომცდარს ახლა როგორღა შეარბილებდი! ღინკა იმნაირი გატაცებით ლაპარაკობდა და ისე დაბეჯითებით ამზეურებდა თავის ცოდნას, რომ მის მსმენელს, თუ მთლად ყრუ და ლენჩი არ იყო, გაუგებარი და მიუხვედრელი აღარაფერი დარჩებოდა.

გოგომ ესეც არ იკმარა. გაიქცა და უნტეროფიცერს ლითოგრაფიაში დაბეჭდილი წიგნის ფურცლის ზომის სურათი მოუტანა. Muti თვალს არიდებდა ფურცელს, ბოლოს ცდუნებას ველარ გაუძლო და ვითომდა ცეცხლის შესაკეთებლად წინ წაიწია, რათა თავისი გუმანი შეემოწმებინა.

უნტეროფიცერს ხელში ლურჯი სას-

ტამბო საღებავით დაბეჭდილი ტალინის სურათი ეკავა. ეს იყო აგველი ფურცელბეული სურათი, რომელსაც მოქმედე ხშირად დაინახავდი. დიდრონულვაშებიან და გრუნათმიან ბრგე ვაეკაცს, რომელსაც საოცრად მშვიდი და კვიანი თვალეზი ჰქონდა, ნიკაპის ქვეშ მკაცრად შესკვნილი და საყულოგადმოკეცილი უბრალო კიტელი ეცვა.

როგორი იყო ქალის გაოცება, როცა ამ სასიამოვნო შესახედავ უცხოელს, ჯერ ისევ ბავშვს, ვისაც ყოველი თავისი გამოჩენით სახლში აუხსნელი შიში და ძრწოლვა შემოჰქონდა, გულიდან ზმუილისმაგვარი რაღაც ხმა აღმოხდა და სურათზე ცრემლის მსხვილი წვეთი დაეცა.

□ გაგრძელება იმეხება □

მუხილოვით, უსიარო ტყაუბო!

რომანი

გარეთ წვიამს, თოვლნარევი წვიმა მოდის. უცმური ამინდია და ღმერთმა უწყის როდის გადაიღებს. ან გადაიღებს კი? შეიძლება თოვლიც დადოს.

სად წავიდე?

ნეტავ ვინ იყო ის გოგონა? რატომ მეორედ არ მომაკითხა?

კორპუსევისადლა დაიკარგა, ან ცუ-რანი?

რას დაავალბენ ჩემს დიასახლისს? ახლა ალბათ შორობთან სხედან, პურს ჭამენ.

მაინც რა უბედური კაცია ეს შორობი. აი, ის ნამდვილად ჩემზე უფრო შავ დღეშია. იძულებული იყო სოფელი შეეყარა, ხალხისთვის სიტყვით მიემართა, ახლა ზის და მკვლელებთან ერთად იცინის, ცოდვია შორობი. ძნელია მისი ხვედრი.

სოფლის საბჭოს ეზოში კი ხუთი კაცი აგდია, სისხლსა და ტალახში ამოვანგლული, აწვიმთ და ათოვთ უბედურებს.

ხვალ შორობი უნდა ვინახულო. მას ყველაფერი ეცოდინება. მასთან არაფერს დაფარავდნენ.

ერმაკი ზის თავჩაქინდრული, ცარიელი ჭიქა უჭირავს და ქანაობს. გეგონებათ თვლებსო.

ვითომ მართლა მოერია რული? თუ ფიქრობს, წვალობს, უნდა ახლა მაინც

ამომიცინოს, გაიგოს ვინა ვარ, ვინ შემომგზავნა მის ოჯახში. საიდან ვიცი მისი ოჯახის ბიოგრაფია, ცოლის წარსული. იქნებ უფრო მეტიც.

აჰა! არ გძინავს? ცალი თვალი მოგიხუტავს და მითვალთვლებ? მარჩიელობ?

მგონი კარგად მოვიქეცი, რომ დაუფარავად ვუთხარი ყველაფერი.

იქნებ ესაა სწორი გზა, იქნებ ასე სჯობს. ღმერთმა უწყის. ასეა თუ ისე, ითქვა და ნათქვამს უკან ველარ დააბრუნებ.

უნდა დაველაპარაკო, რალაც ვუთხარა, შიში გავუფანტო, თორემ ვინ იცის, ეგებ უკიდურეს ზომასაც მიმართოს. თავის გადასარჩენად ეგ უკან არაფერზე არ დაიხვეს. ალბათ ანაც მალე დაბრუნდება. ნეტავი იგი რალას მტყუვის?

— მე თქვენთან სამტროდ არ მოვსულვარ, ბიძია ერმაკ. ამ სოფელში რომ შეაოჯღი. ჩემთვის სულ ერთი იყო ვის კარზედაც დავაკაუნებდი. თქვენს

სახლს რომ მოვუახლოვდი, ვილაც ქალმა გაიარა. მოშორებით, ხელი დამიჭინია, მივედი. ამხედ-დამხედა და მითხრა. მაგ სახლში ნუ შეხვალ, საშიშია, მანდ გერმანელი ქალი ცხოვრობსო.

ქალს მადლობა ვუთხარი და თქვენს სახლს ჩავუყარე, მაგრამ რალაც ძალამ უკანვე

ლაშობრუნა. დამინტერესა. მოვედი და

თავშესაფარი ვთხოვეთ. დანარჩენი თქვენც იცით. წელან ვითხარით და ახლაც ვიმეორებ, ხვალ წავალ!

— შენი ნებაა, მაგრამ იცოდე დაილუპები. არ გირჩევ წასვლას. იცხოვრე რამდენხანსაც გინდა. იცხოვრე და დარწმუნდი, რომ ყველაფერი დამთავრებულია, ახლა თავის გადარჩენაა მთავარი. თავგანწირვას ახრი არა აქვს. ჯერ სულ ახალგაზრდა ხარ, ბავშვი, სულელურად რატომ უნდა მოისწრაფო სიცოცხლე. დაფიქრდი, კარგად აწონდაწონე ყველაფერი და ისე მოიქეცი, როგორც გიჯობდეს.

რა დალაგებულად ლაპარაკობს, სულ არ გეგონება გლახაკი. თუმცა რა გასაკვირია, მთელი ქვეყნიერება ჰქონია მოვლილი და.

ყველაფერი დამთავრებულიაო, თავის გადარჩენააო მთავარი. შევეკამათო თუ დავეთანხმო? რომელს უფრო დაიჯიბებს?

— იქნებ შენ მართალიცა ხარ, ბიძია ერმაკ, იქნებ თავის გადარჩენაა ახლა მთავარი. შე დავიბენი, აღარ ვიცი რა გზას დავადგე, აქეთ-იქით ვაწყვდები და გამოსავალი კი ვერ მიპოვია. დღეს ერთხელ უკვე მოკვდი და აწი სულ ერთია, რაც მომივა. თავი მისკდება. შენმა არაყმა გონება ამირია, თვალები თავისთავად მეხუტება. ახლა დავწვები, დავიძინებ, დილით განვაგრძობთ საუბარს, დილა საღამოზე ბრძენიაო, უთქვამთ.

— ღამე ნებისა, — ტახტზე მივედგე, თვალები დავხუტე და გავიტრუნე. ერმაკს აღარაფერი უთქვამს. იგი ისევ ისე დარჩა სკამზე. მერე ძილ-ბურანში კარის ჭრიალი ჩამესმა. ჩუმად გავიხედე. ერმაკი გასულა გარეთ. ალბათ ცოლს მიაკითხავს. იქნებ ესეც შეიპატოვოს შინ შორიკმა და იქნებ იქვე გადაწყდეს ჩემი ბედიც, თუ უკვე გადაწყვეტილი არ არის.

ხვალ აუცილებლად უნდა ვინახულო შორიკი.

ახლა თავის გადარჩენააო მთავარი, თავის გადარჩენააო. ერმაკისათვის

ცხადია, ესაა ყველაფერი. ოთხა შუაუნდა იტრიალოს, დაიგრძობს ყველაფერიდან მშრალი ამოვიღეს მისი ცხოველი

მინც რა არის მთავარი? თავის დაძვრენა, გადარჩენა? სიცოცხლე?

არა, მთავარი სულია!

რა უცნაურად წარიმართა ჩემი ცხოვრება. ისე ქეუა და მოთმინება რომ მეყოფოდეს, მართლა შემიძლია სარგებლობის მოტანა. ამათი ნდობა მოპოვებული მაქვს. იქნებ მთლად მტკიცე არ არის ეს ნდობა, მაგრამ ამის მიღწევაც არ უნდა გამიჭირდეს.

ხვალ ალბათ ბოგუშევსკის კომენდანტი დიბარებს ჩემს დიასახლისს, რას მეტყვის, როგორ შემხვდება დილით ანა? ან მე რა ვუთხრა? რა ვუთხრა და მადლობა, არ იმსახურებს თუ?

დილით რომ გამომეღვიძა. ერმაკი არ ჩანდა. ანა ღუმელთან ტრიალებდა. ავდექი.

— დილა მშვიდობისა, — მივესალმე დიასახლისს, როგორც შემძლო მშვიდად.

— გამარჯობა, ძილისგუდავ! ბიკოს! ეს რა პასუხია?

— სულ თქვენი მეუღლის ბრალია, წუხელ ისეთი არაყი დამალევირა სული კინალამ ვაცხე. ღმერთს მადლობას ვწირავ რომ გავიღვიძე.

— მაშ იქეფეთ?

— არა, ჩემი გადარჩენის მაყარიჩი ერმაკმა იყისრა. — და მეუღლის ამბავიც გაიამბო?

— შე, ეს უკვე ვიცოდი. — ვთქვი და თვალბში შევხედე. არ გავკირვებია. ჩანს წუხელ უსაუბრია ცოლ-ქმარს.

— თქვენთან რომ მოვიდიოდი ვილაც ქალმა გამაფრთხილა.

— და არ შეგეშინდა?

— შეგეშინდა, მთელი ნახევარი საათი ვიდექი თქვენი სახლის კარბთან და ვკოყმანობდი. მერე თქვენ ისე გულთბილად მიმიღეთ, შიში სულ გამიჭრა. რა მნიშვნელობა აქვს ვინ რომელი ერის შვილი ვართ. აღამიანობაა მთავარი და სული... თქვენ კარგი ქალი ხართ,

მე თქვენს ამავს არ დავივიწყებ.

გაიცინა, სახე დაულაგდა. თვალეზიცი რალაც უცნაურად აუციმციმდა, ისედაც ამ დღით სულ ერთიანად შეცვლილი მეჩვენა.

— არც უნდა დაივიწყო, ჩემო კარგო. სიცოცხლე ერთხელ ეძლევა ადამიანს, მხოლოდ ერთხელ, ისიც მეტად ხანმოკლედ და ყოველნაირად უნდა ეცადო, რომ შენი სისულელათ კიდევ უფრო არ შეამოკლო იგი. აბა შენ თვითონ განსაჯე, რას დავგვაცლებს ვილაც ცურანი, ტყე-ტყე, სოფელ-სოფელ მშვიერ მგელივით რომ დაწანწალებს და სასიკვდილოდ აქეზებს ხალხს. პოლიციელი მოკლეს. კი არ მოკლეს, ჩამოახრჩვეს. დიდი ამბავი... მაგრამ ხომ დიანახე ერთი ერთგული კაცის სიკვდილისათვის რამდენი დახვრიტეს. გერმანელებს წესრიგი უყვართ, ვეთაყვა, სრული წესრიგი. ჩვენ ერთგული ადამიანების დაფასება ვიცით.

„ვილაც ცურანიო“, — უკვე შემომიბრია? უკვე აშკარად იწყებს? ყველა კარტი გაშალა?

ახლა მეც უნდა ავეყვე. ახლა უკან დახვევა აღარ შეიძლება. უნდა მივანიშნო, იქნებ მეტიც თქვას.

— ცურანი ვინლაა, ბიცოლა ანა? — ვკითხე ისე, რომ თვალაც კი არ დამიხამხამებია.

ერთხანს მიყურა. გამომცდელად, თვალმოუშორებლად ვიყავით ერთმანეთს შესტერებულნი, მაგრამ გავუძელო.

— არის ასეთი კაცი, შენ მას გაიცნობ.

— რა ოხრად მინდა ვილაც მაწანწალის გაცნობა?

— საქმეს უნდა?

— რა საქმეს?

ანამ ლუმელიდან კარტოფილით საცხე კარდალა გამოიღო, წყალი გადაწურა, კარტოფილი მოზრდილ ჯამზე ამოალაგა და მარილი მოაფრქვია. ჩამოჭდა, წინსათარზე ხელები შეიწმინდა და სკამზე მიმოითთა.

— დაჯექი, საშა!

ოჰო, უკვე მბრძანებლობს.

ჩამოვჯექი, ხელები მუხლებზე დავაწვე და ანას შევხედე. აღარ შემოძლოვინა თვალეზიცი ცქერა. მერე რა მომხუსხველი გამოხედვა აქვს.

თუთუნი გავახვიე, მოვუქიდე და გავაბოლე. ანამ კარტოფილი გადმომიღო და კიკაში რძე ჩამისხა.

— ახლა ყველას ერთი საქმე აწუხებს საშა, ერთადერთი საქმე. შენ ჰკვიანი ყმაწვილი ხარ, გავებული და ვგონებ სანდოც. ცოტა წინდახედულიც თუ გახდები, სამუდამოდ უზრუნველყოფ შენს ცხოვრებას. შენი ცხოვრება კი სულ წინაა. — ჩაილიმა და განანგრძო. — გერმანელები უკვე მოსკოვში არიან, ალბათ ხვალ-ზეგ დაეცემა ჩვენი... საყვარელი დედაქალაქი და ომიც დამთავრდება. შენ შენმა ბედმა, ალლომ, იღბალმა თუ შემთხვევამ ჩვენთან. ჩემთან მოგიყვანა... ეს კი ბევრს ნიშნავს, ყმაწვილო, ბევრს... ბევრს კი არა. ყველაფერს ნიშნავს. მოგვეხმარე და დაგიფასებთ. ცურანი უნდა გაიცნო.

— ეს ბრძანება!

— და ძალიან მკაცრიც. გერმანელი ტყუილებრალოდ არაფერს არ არიგებს, მით უმეტეს სიცოცხლეს. დღეს შენ სწორედ სიცოცხლე გაჩუქეს. სამაგიეროდ ჩემი პირით გიბრძანებენ, გაიცნო ცურანი, მისი ამხანაგებიც.

— ამხანაგებიც ჰყავს?

— ჰყავს!

— ტყე-ტყე და სოფელ-სოფელ მშვიერი მგელივით დაწანწალებსო, რომ თქვით?

— მარტო არ იქნება. სოფლებში მეგრძოლები, თანამზრახველები ეყოლება. იქნებ აქაც, ჩვენს ბუდაშიაც გაიჩინა ვინმე. — ისე შემომხედა, ტანში გამცრა. კატის თვალეზიცი ჰქონია ამ ფრანსს, ლამის შემჭამოს.

ახლა კი მართლა ცუდადაა ჩემი საქმე. უკვე დავეთანხმო? ეჭვს აიღებს. ამ ქალს ასე იოლად ვერ გააცურებ. ცივი უარი ეუთხრა? რა თქმა უნდა თავიდან უარის თქმა სჯობს, მაგრამ როგორ?

ფეხსაცმელი მოვიძიე, ჩაიცვი და

წასასვლელად გავემზადე. ანა თვალს არ მაშორებს, თქმით არაფერს მეუბნება, მაგრამ ვატყობ ლელავს.

— ბიძია ერმაყი საღ არის?

— სოფელში გავიდა.

— უნდა გამოგეთხოვოთ. ერმაყის უნახავად წასვლა არ მინდოდა, მაგრამ ჩემი დიდი სალაში და მადლობა გადაეცით. თქვენ მუდამ მესოსმებით, ბიცოლა ანა, მივდივარ. ნუ გეწყინებათ, თქვენს ბრძანებას, რა ვინდ მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, ვერ მივიღებ. პირადად თქვენ რაც სიკეთე მიყავით არ დავივიწყებ, თუ ცოცხალი დავრჩი, გადაგიხდით სამაგიეროს. ახლა გთხოვთ მადლს მარილიც მოაყაროთ და გამიშვათ!

— საღ? — წამოდგა.

— რა ვიცი!

მომიახლოვდა, ხელი ჩამავლო, კარებთან მიმიყვანა, კარი გამოაღო და გარეთ გამახვედა.

წვიმდა, ქარიც უბერავდა. საშინლად ციოდა. ასეთ ამინდზეა ალბათ ნათქვამი, გარეთ რაღლიც კი არ გაივდებო.

— სოფლის ბოლომდეც ვერ მიადწევ, დაგიჭრენ და ძაღლივით ჩაგკლავენ.

— ვინ დამიჭრის?

— პოლიცია.

— ამ სოფელში პოლიცია რომ არ არის?

— უკვე არის, მათ ყველაფერი იციან და საგანგებოდაც გითვალთვალევენ. მე ხომ შენს მაგიერ გერმანელებსა და ბურგომისტრს სიტყვა მივეცი.

— ბურგომისტრი ვინაა ოხერია?

— არის ერთი ჭკვიანი კაცი. — ანამ კარი მიხურა. ისევ მაგიდას მიეუსხედით. — აი, ის, გუშინ რომ სოფლის საბჭოს ეზოში იქადაგა.

— სანდო კაცია?

— ჭერჭერობით კი.

— ჭერჭერობით რას ნიშნავს?

— ასე მითხრა გერმანელმა ოფიცერმა. ჭერჭერობით გვჭირდებაო, შერე ვნახო.

— ჰოდა მე დალუპული ვყოფილვარ და ისაა.

— შენ რატომ?

— ბურგომისტრზე თუ ასე ამბობენ, ჩემზე რაღას იტყვიან?

— შენ აქ არავის ვიცნობს. შენ წინ წახველ, წინ... ამაზე მე ვიზრუნებ. ოღონდ თავი გამოიჩინე და განახებ რა შეძლება გერმანელ ქალთან მეგობრობას. ცურანი გაიცანი, ესაა და ეს!

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბიცოლა ანა?

გადაიკისკისა, ადგა და თვალეზში ჩამხვედა, ისე დაწითლებია ლოყები მჭადი რომ დააკრა ზედ, არ ჩამოთვარდება.

მიყურა, მიყურა, შერე კოხტად, ყმაწვილი ქალივით მოხდენილად შებრუნდა და ღუმელთან მივიდა.

თვალი გავაყოლე.

— ჩემს ბედს რა ვუთხრა, ყმაწვილო, თორემ ასე არ უნდა ჩვენელებულიყავი ამ ჭაობში. რატომ ის დღე არ დაიქცა, როცა ერმაყს გადავეყარე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ერთი ცხოვრება ჩათავდა. მაშინ უნდა გენახე, გეთაყვა, მაშინ. საღ იყავი იმ დროს?

— რა ვიცი! — გამეცინა.

მომიახლოვდა. ისე მიყურებს, ლამის ჩამყლაპოს.

რა უღვევს გულში ამ აღქაქას?

— მაშინ შემხვედროდი, დაგაპრაწინებდი თვალეზს. — ნიკაპში ხელი ამომკრა და გადაიხარხარა.

— თქვენ მართლა ლამაზი ქალი იქნებოდით.

— ვიქნებოდით არა?

— ახლაც, ახლაც კარგად გამოიყურებით...

ანამ დონიჩი შემოიყარა და იმდენი იხიბითა, ლამის გადაიპიქინდა.

— ერმაყმა არ გაიგოს, თორემ... — თითოთ დამემუჭრა.

რას ბრძანებთ-მეთქი, თავი ჩავლუნე. სკამი მოაჩოჩა, ჩემს ახლო ჩამოჯდა, მხარზე ხელი დამადო.

— მე ცხოვრებაში ჩემი სისულელით ბევრი რამ დაეკარგე. საშა, ბევრა რაქდა, რაც მთავარია, წლები, წლები გა-

მიდნა, თვალსა და ხელს შუა გამეპარა. ჩემზე უბედურნი ქალი ბევრი არ დადის ამ ცოდვილ მიწაზე, მაგრამ დამერთმა მთლად არ ვამწირა და გამიხსენა, მისი მუხლ-კალთის ჰირონიმე. ახლა ჩემი დროც მოვიდა. იქნებ ცოტა გვიანაა, მაგრამ ერთი სიცოცხლე, ერთი პაწია სიცოცხლე კიდევ უნდა ვიგრძნო, განვიცადო. ეს სიცოცხლე კი ჩემთანაა, ეს ძალაა, იმედი. ამ იმედს ფრჩხილებით ჩავაფრინდები, მოვებლაუქებ და არ ვავუშვებ. ამისთვის ყველას და ყველაფერს ვაფწირავ. გესმის? ყველას. ქმარს, ოჯახს, სოფელს, ქვეყანას, არავის არ დავინდობ!

გეშინია? შეკრთი? ქალივით შეკრთი? — პა, პა, პა, პა! გეზიზღები? ეს არ დაგცდეს, თორემ მოგკლავ, ჩემის ხელებით დაგაბრჩობ, ასე ა. — წამოიწია, თითქოს მართლა უნდა ყელში მწვდეს, დამაბრჩოს. ხელები დავუჭირე და წამოვდექი. ისიც აღგა. მთელი ტანი უცახცახებს, სახეზე წითელ-ყვითელი ფერი უვლის, თვალები არევიდა, ქოშინებს... ახლა, ცოტა არ იყო, მართლა შევშინდი.

— გეზიზღები ხომ? თქვი, მართლა კი არაფერს დაგიშავებ.

რა იქნება რომ ვუთხრა, მეზიზღები, შე ბებერო კახავე-მეთქი. რას იზამს, რას მოიმოქმედებს?

შინც ასე რამ აახუნტრუცა ეს ოჯახ-დაქცეული?

ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი კამეჩი ვერ დააკავებსო. რა სწორად უთქვამთ...

— მე თქვენ რად უნდა მეზიზღებოდეთ, ანა. — ამის თქმა, მისი მოხვევა და კოცნა ერთი იყო. მკოცნიდა გიყვივით, გახელებით, რაღაცას ბურდღუნებდა, ხან რუსულად, ხან გერმანულად.

— დაწყნარდით, დამშვიდდით, აბა ეს რა საკადრისია. ხელი გამიშვით, თორემ გავიქცევი. — გაიწიე, ხელები გავაშვებინე, მაგრამ ახლა ხალათზე მომეპაწურა და მუხლებზე დაეცა.

— ნუ წახვალ, ნუ დამტოვებ! შენ ჩემი ანგელოსი ხარ. შენ ის პაწია სი-

ცოცხლე ხარ. მე შენ გუშინ დიდრი სიცოცხლე გაჩუქე, შენც გავიშვებ შენთვის რაღაც, სულ პაწია, სულ-სულ-სულ წო. შენი მონა გავხდები. შენ ბრძანე და მე შეევასრულებ. ოღონდ ერთი დღე, მხოლოდ ერთი დღე ვიცოცხლო, ვიგრძნო რომ არ მოვმკვდარვარ, რომ ქალი ვარ..

ვღგავარ გამოლენიებული, პირდაღებული შევეყურებ ჩემს წინ მფორთხავ ქალს, რომელიც სულ რაღაც ათიოდე წუთის უკან ქედამაღლურად მბრძანებლობდა.

სასაცილო არაა ახლა ჩემი საქმე? ეს თვალთმაქცობა არ არის, ეს არც ჩემი გამოცდაა.

არა, გამოცდა კი არის, მძიმე გამოცდა.

მაგრამ ახლა იგი არ თვალთმაქცობს, ნამდვილად არ თვალთმაქცობს.

გამოსავალი? ნეტავი ახლა ერმაკი შემოვიდოდეს.

არა და სანამ იფორთხოს ამ ფრულმ მუხლებზე?

უცებ რომ შეიცვალოს? ამ ქალისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. ჩემთვის, ჩვენთვის რა სჯობს?

„თუ მაინცადამაინც მთლად მოხუცი არ არის ის შენი დიასახლისი, გაუღიმე და თვალიც ჩაუყარი“ — მითხრა სტელმანმა.

ქალი მიცქერის, თვალებით მჭამს. ატყობს, რომ გულს ვებრძვი. ვყოყმანობ.

— ერმაკი! — წამომცდა.

ანა ზეზე წამოიჭრა, კარებს გახედა. იმ წუთში ერმაკი მართლა რომ გამოჩენილიყო, ალბათ ყელში ეცემოდა და მოგუდავდა.

— ბებერი ძალღი, ოცდახუთი წელია ჩემს სისხლს სწოვს, ეს მშობარა ცვედანი, მოგკლავ ან დავაქვრინებ!

— იგი ხომ თქვენი მონა-მორჩილია. თქვენ მასაც გამოიყენებთ, დამშვიდდით, დაბრძანდით. მღუიფიქროთ.

— ერმაკს მის დასთან გავგზავნი!

— სად არის მისი და?

— ბოგუშევსკის მახლობლად, სო-

ფელში ცხოვრობს. ახლა მოდი და მა-
კოცე.

— მე თქვენ დამაშინეთ.

— მოდი-მეთქი, მოდი, ჩემო პატარავ,
ხელი მაინც მომიკიდე, მოდი, მომხეხე,
საყვარელო.

საცოდავად მივიხედ-მოვიხედე, არ-
სიიდან არავითარი საშველი არ ჩანს,
ანა მიახლოვდება, ხელებს იწვდის. ახ-
ლა იგი მუხლებზე აღარ დაეცემა, ახლა
უნდა გადაწყდეს...

არა, არ ვყოფილვარ მთლად განწი-
რული. ამჯერად გადავრჩი. კარებთან
ვიღაცამ ფეხები დააბაკუნა. ანა უცებ
მოვეკო გონს. ხელები დაუშვა, ღუმელ-
თან მივიდა და იქ დაიწყო ბუჯარი.

მე ტუჩთან ორი თითი მივიტანე,
ვანიშნე დამშვიდებულყო, თან გავუ-
ღიმე.

ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა.

ოთახში სიცივისგან გალტყვებული
გრმაკი შემოვიდა. ქუდი მოიხადა, იქვე
დაფერთხა. ახლა უფრო დაკვირვებით
შევავთალიერე ჩემი მასპინძელი.

მელოტ თავზე ნაიარევი აჩნია, ცხვი-
რა, წაწითლებია, წვინტლი სდის,
თხუპუნებს.

ქურჭი გაიხადა, დაკიდა და ფეხსაცმ-
ლის გახდა დაიწყო.

ანამ ზიზღით გადახედა. მეგონა ახლა-
ვე გააგდებდა გარეთ. დასთან გაისტუმ-
რებდა, მაგრამ ეტყობა შეეშინდა. ერ-
ნაკს შეეძლო არ დათანხმებოდა.

გრმაკი მაგიდას მიუჯდა, კარტოფილი
აიღო. მე ანასკენ გავაპარე თვალი.
დამცხრალა, დამშვიდებულა, იქნებ აწი
მაინც დაფიქრდეს.

კაცი იმედით ცოცხლობსო, მაგრამ
ჩემი იმედი არ გამართლდა.

მთელი დღე გრმაკი ლოგინიდან არ
წამომდგარა. იწვა, წრიალებდა, ხან ერთ
გვირღზე გადაბრუნდებოდა, ხან მეო-
რზე. გამუდმებით ეწეოდა თავის
მყარალ თოთუნს. მეც ვიწიქი და ვფიქ-
რობდი. ამ სახლში წიგნი მე არ დამინა-
ხავს. წიგნი კი არა და, თოთუნის შესახ-
ვევი ქაღალდის შოგნა ჰქირდა. ანას სა-
დილის მომზადებისათვის თავი არ

შეუწყულებია. კარტოფილი შედგა მო-
სახარშად. საბძელშიც არაფერია. შერე
ისიც ღუმელზე აქვრბიზნიწიწიწი

ოთახში საყვარელ თბილოდა. დაღამე-
ბას სულმოუთქმელად ველოდი, შო-
რობთან მისვლა ისე მქონდა გულში
ამოკრილი, ვეღარ ვისვენებდი.

შეღამდა თუ არა, ავღექი.

მეგონა, ჩემს მასპინძლებს ეძინათ,
მაგრამ სახლიდან გასვლა რომ დავაპი-
რე, ანამ შემაჩერა. სად მიდიხარო,
მკითხა ჩემზე მზრუნველმა დიასახ-
ლისმა. ცოტას გავივლი და მოვალ-მეთ-
ქი. — ეუპასუხე.

აღარ შევეუჩერებოვარ.

ეზოს გავცდი, ნაცნობი ბილიკით
მთავარ ქუჩამდე გავედი. თოვლქუყა-
იღგა. ჩემქაში წყალი არ შემდიოდა,
ფეხები თბილად მქონდა, მაგრამ სიცი-
ვემ მაინც ამიტანა, თავი ძველი ტყაპუ-
ქის საყვლოში ჩაერგე და სოფლის ბო-
ლოსკენ გავწიე.

სოფელი უკვე ღუმდა. არავითარი ნი-
შან-წყალი სიცოცხლისა, არავითარი
ხმა სულიერისა. ბნელოდა ქუჩაში, სახ-
ლებში. მეც გუმანით მივეყვებოდი ქუ-
ჩას.

შორობის ბინას გავცდი, ასე ჭიქურ
მისვლა ვერ გავებდე, სოფლის ბოლომ-
დე მივედი და ისევ უკან გამოვეყვი.

ქიშკარი რომ შევალე, სახლთან ვი-
ლაც შევნიშნე, მინდოდა განზრახვაზე
ხელი ამეღო, მაგრამ გვიანდა იყო. ის
ვილაც ჩემკენ გამოემართა.

იქნებ თვითონ შორობია-მეთქი. გა-
ვიფიქრე და დაველოდე. რომ მომიახ-
ლოვდა, მივხედი. ეს ბურგომისტრი არ
იყო. ჩემდა იღბლად ხელი ჯიბისკენ არ
წამიღია, არც შემშინებია. იგი შორი-
ახლო შედგა და ხელების აწევა მიბრ-
ძანა.

— მტერსა და მოკეთეს ვეღარ არ-
ჩევთ? — გაღმა შევედავე. ნაგანი და-
უშვა და უფრო ახლო მოვიდა. პოლი-
ციელი იყო.

— ო, შენა ხარ? — ისე მითხრა,
თითქოს მართლაც მისიანს შეხვედრო-

დეს. ცხადია, ესეც საქმის კერაში ყოფილა.

— ბურგომისტრთან? — მკითხა.

— შეძახის და არ ვიცი რა უნდა.

— შინაა, შედი. კარგად მოუსმინე და დაიხსომე რაც გითხრას, სხვა დროს ასე ნუ მოყიადები, თავს წააგებ!

ნუ მოყიადებით, ისე მითხრა როგორც ხელქვეითს, როგორც ყველაზე დაბალსა და დამცირებულს ეტყვიან ხოლმე. სისხლი თავში ამივარდა, დიდის სიამოვნებით მივკლავდი ამ გარეწარს აქ. მაგრამ მე უკვე შევეჩვიე მოთმინებას და ეს თავისთავად ცოტას როდინიშნავდა!

პოლიციელს ჩაეფარე და შორიპის სახლს მივადექი. ხელი დასაკაკუნებლად რომ ავწიე, ვილატამ ზედ კეფაში მიმადო რევოლვერი.

ცივი ლულის შეხებაზე უსიამოდ გამაჩრქოლა, თუმცა არ დაფეხებულვარ. გამიკვირდა, ასე გულდაგულ რად იცავენ-მეთქი ბურგომისტრს.

იცავენ თუ უთვალთვალევენ?

— დაუშვით რევოლვერი, მე ბურგომისტრი მიბარებს. ცივი ლულა კეთას მოშორდა. პოლიციელმა ახლა ხელის ფანარი შემანათა სახეში, რაღაც ჩაილაპარაკა და გამშორდა.

დაეკაკუნე. კარები თვითონ შორიპმა გაიღო, მიცნო და შინ შემიწვია.

მეორე ოთახში გავედით. პავლემ სკამი მომაწოდა და თავადაც ჩემს გვერდით დაჯდა.

— გთხოვთ გამარკვეოთ, ამხანაგო პავლე, — ჩურჩულით დავიწყე მაშინვე, — სანამ უნდა ვთქვილიფო გერმანელი ქალის ნახელავი. რად შემგზავნეთ მასთან, რატომ დამაცოლეთ ამხანაგებს? ნუთუ გგონიათ, რომ ჩემს მოთმინებას საზღვარი არა აქვს? ან მე რა ისეთი გამოცდილი ვინმე მხანეთ? მან მხარზე ხელი დამადო და გასამზნეველად გამიღიმა. მერე ლამფას მისწვდა და ოდნავ აუწია.

როგორ შეცვლილა და გამხდარა, თვალეები ჩასცვნილა.

ძნელი დღე ჰქონდა გუშინ ბურგო-

მისტრს, მოთმინება შემიძლიათ, მან/უნდა დაიჩემოს. ახლა მისკახელს მისი სიკოცხლეს საგანგებოდ იმეცხე: მისი ქმარი ცივლები. სოფელმა კი ვერ არ იცის თუ რა ხანძარი ანთია მის გულში, გერმანელებმა რომ დაინდონ და შეინახონ, ვინმე მისიანი მოკლავს. უბრალოდ ჩაუსაფრდება და გერმანელების „ერთ-გულ“ მსახურს წუთისოფელს გამოასალმებს. მერე დაიტრაბახებს, ან გულს დაიშოშმინებს, სოფელს ერთი სისხლის მწოველი წურბელა მოვაშორეო. ანამ თქვა, გერმანელებმა მითხრეს, შორიპი ჯერჯერობით გვეკირდეზაო, ჯერჯერობითო.

— გაგიკირდა ხომ? — მკითხა მეგობრულად. ჩემს პასუხს არ დაელოდა და განაგრძო. — რა თქმა უნდა, ძნელია. მე უფრო მიჭირს, ძალიან მიჭირს. თქვენ და თქვენისთანებმა თუ მიმატოვეს, როგორღა გავძლო? ხომ დაინახე რა მოხდა გუშინ? შენც ბეწვზე გადარჩი. მე კი იძულებული ვიყავი გულგრილად მეტკირა დახვრეტისათვის და მერე მკვლელებთან ერთად აქ. ამ დასაწევად სახლში არაყი დამეღია, მაგრამ რა ექნა? სხვა გამოსავალი არ არის. მე ეს ზედრი მარტუნა ბედმა. ასეთია დავალეზა და სანამ ცოცხალი ვარ. უნდა ვითვალთმაქცო. თავს კი არ გაცოდებ, ისე, ყოველ შემთხვევისათვის გეუბნები. შენ აქ არაფერ გიცნობს და ეს დიდი ბედნიერებაა ახლა. რაო, რა გითხრა ანამ?

— შემომიტია, გერმანელებმა სიკოცხლე გაჩუქეს და შენ მათ სიკეთეს უნდა უპასუხოვო. გული გადამიშალა, მიჩნია, დამარცხა, ცურანს გავცანიო.

— დამირდი?
— თავი შორს დავიკირე. გაქცევაკი დავაპირე, მაგრამ ვინ გავიშვა. მომეფერა, დამიყვავა და გამიარსიყდა კიდევ.

შორიპს გავცინა.

— სასაცილოა ჩემი საქმე?

— არა, ძმაო, სასაცილო რა გაქვს. — ამოიოხრა. — ის უბედურები კი ახლაც საბჭოს ეზოში წვანან. დამარცხა არაფერ

გაბედოსო, მკაცრად მიბრძანეს, მაგრამ ამაღამ მინც მოიპარავენ ცხედრებს და მიწას მიაბარებენ და იქნებ ამის გამო თავიც კი წავაგო.

— ფრთხილად იყავით, ამხანაგო პავლე. ჩემმა დიასახლისმა მითხრა, გერმანელმა თქვაო, ზურგომისტრს ჭერჯერობით ვენდობითო, გვეპირდებოა, მერე ვნახოთო. ეს პოლიციელებიც საეჭვოდ დგანან თქვენს სახლთან. ვითომ თქვენ ვიცავენ.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი. აი, ზონ ხედავ, უკვე საგულისხმო ცნობა მოიტანე. ჩემზე, ჩვენზე რას ფიქრობენ გერმანელები, ამის ცოდნა ცოტას არ ნიშნავს.

— სად არიან ამხანაგები? ცურანი ან ველიკანოვი?

— არიან, მოქმედებენ. შენც შენი საქმე უნდა აკეთო. იმ ქალის ნდობა უკვე მოგიპოვებია, ეს კარგია. ნდობა კიდევ უნდა განამტკიცო. არაფერზე უკან არ დაიხიო. — ისევე ჩაიღიმა. — უნდა გენახა, როგორ მოეფერნენ აქ წუხელ შენს დიასახლისს. იცოდე, იმ ქალს უყურადღებოდ არ დატოვებენ. მან შენ სიკვდილისაგან დაგიხსნა და ალბათ ამიტომაც გაგიტამამდა. უკვე დავალების მოცემაც გაუბედაეს. რამდენი წლისა ხარ, საშა?

ეს კითხვა ახლა უადგილოდ მეჩვენა.

— ოცდაორის.

მერე ერთ ხანს ორივე ვდუმდით. ლამაზ ბეჭტავდა და ოთახში ისეთი სიჩუმე იყო. რომ ერთმანეთის სუნთქვაც კი გვესმოდა.

— გინდა სამაგიერო გადაუხადო შენს დიასახლისს?

— სამაგიერო? — ვერ გავიგე.

— მან შენ გერმანელთა ტყვისაგან დაგიხსნა. შენ პარტიზანების ტყვისაგან დაიხსენი.

— ეს როგორ?

— უბრალოდ. მოვლენ ჩვენი ბიჭები და იმ შენს გერმანელ ქალს ყველზე მიაყუდებენ, არც შენ დაგინდობენ, სანამ არ ეტყვი, ეგ ქალი ჩვენია, ჩვენს საქმეს ემსახურებოა. არ დახვრეტენ

და თქვენც ბარიბარ იქნებით. ეცადე არაფერი შეგნიშნოს, მარტინსკებში იქნებ შენიანებიც ერირს და არ აჩვენებ. ამ ქალს ადვილად ვერ გააცურებ. შენ იგი უბრალო ვინმე არ გეგონოს, ჯიბიდან გავარდნილია. ასე მგონია არც ომის დაწყებამდე იქნებოდა გულბელდაკრეფილი. არაფერში დააეჭვო, მიენდე, მიყვები. თავი ისე მოაჩვენე, რომ მის იქით გზა არა გაქვს. თან სიკვდილისაგანაც იხსნი და საბოლოოდ დამეგობრდებით. ერმაკი არ ევკვიანობს?

— რა აქვს საეჭვიანო?

— ერმაკი ცოლზე უფრო ეშმაკია, ესეც გახსოვდეს. ახლა წადი, ფრთხილად იყავი. მე ჭერჯერობით მენდობიან. ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. მალე დადგება ანგარიშსწორების ეამიცი.

— იცით, ამხანაგო პავლე, მე მიჩვენია აქედან გასვლისას თქვენი „მცველები“ მივხვრიტო და ტყეში წავიდე. — ავდექი.

— არჩევანის უფლება ვინ მოგვცა, თუ ძალიან არ გაგვიჭირდეს, აქ ნუ მოხვალ.

— ვიცი, მაგრამ ვთქვით რაიმე საგულისხმო ცნობა დაეტყუე ანას, ვის გადაეცე?

— გრიგორი მოგაკითხავს ხანდაბან.

— ნახვამდის, ამხანაგო პავლე!

— ნახვამდის. — ხელი ჩამომართვა და კარებამდე მიმაცილა.

პოლიციელებს აღარ შეეუჭრებოვიარ. მეც მათ უბრად ჩაუვარე და პირდაპირ შინისკენ გავწვიე.

მეორე დღეს ანა ადრე გავიდა სახლიდან და დაღამებამდე აღარ გამოჩენილა. მე და ერმაკი იმ დღესაც დამდურებულზევით ვიყავით. დილით რმე დავღლიეთ და კარტოფილი მივატანეთ. ერმაკი საბძელში წავიდა, შეშა დაჭრა. ჩემთვის არ დაუძახნია. მთელი დღე ფანჯარასთან ვიჯექი. წვიმას გადაედო. ატალახებულ ქუჩაში მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი თავშალმობვეულ ქალს.

ანა რომ შემოვიდა, ერმაკი იწვა.



ღიასახლისი გახარებული და გაფოფი-
ნებული ჩანდა.

— მოკვალით მშვივრები ხომ? —
თქვა შემოსვლისთანავე და ღუმელთან
მივიდა. მართლა მგელივით მშობდა.

მაღე ანამ ვახშაში გააწყო და ხელ-
ჩანთიდან ნახევარლიტრიანიც ამოაქ-
რინა. ერთი ადგა, არყის დანახვებზე
თვალეები გაბრწყინებოდა. ბოთლს იმ
წამსვე მოხსნა საცობი და ორ ჭიქაში
აპირებდა განაწილებას, მაგრამ ანამ
ორს მესამე ჭიქაც მიუღდა. ვივასშმეთ
და როცა დასაწოლად გაემზადა, ანამ
ქმარს ბრძანების კილოთი უთხრა:

— ხვალ შენს დასთან წახვალ, რაც
შეიძლება ადრე ადექი!

— რატომ?

— იქ გაივებ!

ერთი სიტყვა აღარ შეუბრუნებია.
ერთი ამოიხვნეშა და თავზე საბანი
წაიხურა.

ანა ღუმელზე წრიალებდა. მე ჩემს
ტახტზე ვიყავი გაშობილი, მაგრამ
რა დამაძინებდა.

ღილით უთენია გაუდგება გზას ერ-
მაკი. შინ მხოლოდ მე და ანა დავრჩე-
ბით და მაშინ...

იღბალი გქონიაო, მითხრა ვილაცამ.
ისემც რა ვუთხრა ჩემს თავს!

როგორმე უნდა დავუძვრე ხელიდან.
შეუძლებლის შეძლება ძნელია, მაგ-
რამ როგორ? ერთმაცთან ერთად რომ
ავდგე? სად წავიდე? არადა ხვალ ღი-
ლით მე ამ ქალს ხელიდან ვეღარ და-
ვეფხვინებო.

მინც რა ქალიშვილივით ვინაზები!
მოსახდენი მოხდეს, მორჩა და გა-
თავდა.

გამარჯობა დოდო!

ოპო, დოდო. რამ გამახსენა ახლა ჩემი

კქრიალა გოგო?

სად არის? რას აკეთებს? ვახსო-

ვარ? რა იქნება, წერილი რომ მივწერო?

ყველაფერში გამოვუტყუდე და პატიე-
ბა ვთხოვო.

ასე! ზეპირ წერილს მივწერ. გვერდი
ვიცვალე, კედლისკენ გადავბრუნდი და
ვეცადე დოდოს სახე აღმედგინა.

რა ხანია შენთვის წერილი არ მომი-
წერია. ალბათ ცოცხლებშიც არაა
მთელი. გამომიტრე? ნუ გგვამცხვამს
ნუ აჩქარდები. ჯერ ცოცხალი ვარ,
თბილ ბინაში ტახტზე ვწევარ და შენზე
ვეფიქრობ.

გარეთ წვიმს, გარეთ ქვეყანა იქცევა.
წვალბოს, იტანჯება, მე კი ტახტზე
ვეკორავ.

გუშინწინ ამ სოფელში გერმანელებ-
მა ზუთი კაცი დახვრიტეს. მეც სასიკე-
დილოდ განწირულთა გვერდით ვიდე-
ქი. მეც მელოდა ცხელი ტყვია და ვან-
გებამ მოხსნა. განგებამ კი არა, ქალმა
დამიხსნა, გერმანელმა ქალმა.

იცი ის ქალი ვინ არის? არ იცი. ის
ქალი ჩემი ღიასახლისია. ახლა აგერ,
ჩემს პირდაპირ ღუმელზე წევს და ეშ-
მაკმა უწყის ვისზე, ან რაზე ფიქრობს.
ღილით ქმარს დასთან გზავნის. ქმარს,
აგერ ჩემს ახლო რომ ხვრინავს, დასთან
არავითარი საქმე არა აქვს, მაგრამ
მინც გზავნის და იცი რატომ? არც
ეს იცი?

მე შენ გერმანიაში არ გეგონო, დო-
დო. არა, მე ტყვე არა ვარ. ბელორუ-
სიაში, ჩვენიანებთან ვიმყოფები. ეს
ქალიც აქაურია. მან სიკვდილისაგან და-
მიხსნა და სამაგიეროდ ჩემგან რაღაცას
მოელის. კი არ მოელის, მოითხოვს.

იქ, სოფლის საბუქოს ეზოში ზუთი კა-
ცი დახვრიტეს. მათი დამარხვა სიკვდი-
ლის მუქარით აკრძალეს გერმანელებმა,
მაგრამ წუხელ ხალხმა მინც მოიბარა
მათი გვამები და მიწას ქრისტიანულად
მოიბარა. ხალხს მუქარის არ შეშინებია.

მე ახლა ვწევარ ტახტზე და დამიჯე-
რებუ... ვათენება არ მინდა.

ღილით რაღაც მოხდება, ეს აუცილე-
ბელია, გარდუვალაია.

შენ ძალიან შორსა ხარ ჩემგან. აქე-
დან როგორ ავიხსნა, როგორ გავაგებო-
ნო ყოველივე და მინც შენ გამახსენ-
დი ახლა.

ჩემო დოდო, ჩემო ლამაზო სიყვა-
რულო...

... ზეპირი წერილის განმეორება ეცა-
დე, არაფერი გამომივიდა და თავი გა-

ვანებუ. მერე ერთ ხანს ვიყუნე, იქნებ ჩამეძინოს-მეთქი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ვილაღ ლამაზი რუსი გოგონას სახე ამოცურდა სიბნელეში და გამოიღმა.

ვინ არის ეს გოგო?

სად მინახავს ეს ანგელოზი? ნამდვილად ვიციან, სადღაც შეგხვედრია, მაგრამ სად? როდის?

რა კოსტა ტანი აქვს, როგორ შევინის სამხედრო ტანსაცმელი. სახელი მაინც შემასხენე, გენაცვალე. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. ახლა არ მითხრა, სისულელეს ნუ ბოდავო, ჩემს დღეში არ შეგხვედრია. ნუ იცინი, ნუ დასცინი ჩემს მახსოვრობას, სახელი მითხარი, გეთაყვა!

ტატიანა!

ტატიანა სვეტლოვა. ო, ძვირფასო ტატიანა. გახსოვს ჩვენი შეხვედრა კინო-თეატრში?

— გეტყობათ ჩემს გვერდით ჯდომა არ გსიამოვნებთ, მიბრძანეთ და გადაეჯდები. — გითხარი ჩურჩულით.

— სულ ერთიანო, — მიპასუხე.

— აბა, რად მიბღვერი?

— ბეერს ნუ ლაპარაკობ!

— კიდეც კარგი რომ თქვენი ხელქვეითი არა ვარ. თქვენ ისეთი მკაცრი იქნებით, მტრისას!

— როგორც წესია!

— იქნებ სახელი მაინც მითხრათ. — არ მოგეშვით, მერე ერთმანეთიც გაციანით და დავემგობრდით კიდეც. იმ კაი ფილმმა გვიშველა. მერე ბინამდე მივაცილე და პეშანიც დაგინიშნე. ისევ იქ, იმავე კინოში, იმავე სენსზე... პეშანი არ შედგა, მაგრამ ახლა? ახლა საიდან გამომეცხადე, საყვარელო?

შენც ხომ არ მოგწერო ბარათი? საით ხარ? სად წავიღო ომის ქარ-ბუქმა?

თვალეზი დოდოს და ტანიას სუსტმა თითებმა დამიხუჭა, მერე მკვდარვით დამეძინა და დილაღე ფეხი არ გამინძრევია.

თვალი გავახილე. სიზმარი და ცხადი ერთმანეთში ამერია. უცებ ვეღარც კი მოვიგონე, სად ვიყავი. ჯერ თხელი სა-

ხატულო საბანი გადავიძვრე, მერე ფეხებისაკენ დაცურებულ ტანსაცმელს მივწვდი და გამოვერკვე. მზერაში ჩემს ლოგინს შიშით გავხედე. ერმაკი ლოგინში აღარ იწვა.

ლუმელიდან ანას ჩემი სიცოცხლე მომესმა. წამოვიწიე. ანა პერანგის ამარა იჭდა ლუმელზე, გული გადაედღა და ხელს მიქნევდა...

...ერმაკი იმავე საღამოს დაბრუნდა. სულერთიანად გალუმბული, ტალახში ამოთითხნილი, დაღლილ-გასავათებელი შემოვიდა სახლში. არც საქმელი უძებნია, არც სასმელი. გაიზადა და ლუმელზე აბობლდა. ანა ლოგინში ჩაწვა, მე ჩემს ტახტს მივაშურე.

გარეთ წვიმდა და ქარიც უბერავდა. ამჭერად მალე ჩამეძინა.

კარებზე კაკუნი ყველაზე ადრე ანამ გაიგონა და გამაღვიძა.

ერმაკი არცკი განძრეულა. კაკუნი განმეორდა, ახლა უფრო ძლიერ, ცოტა უფრო უხეშად აკაკუნებდა ვილაცა.

წამოვდექი და სასწრაფოდ ჩავიციე.

ანა ლოგინზე წამომჯდარა. ოთახში ბნელა, მაგრამ მე კარგად ვხედავ ჩემი დიასახლისის თვალებს, — კატის თვალებს.

— მიდი, უპასუხე. — მეუბნებიან კატის თვალები. კარებთან მივედი და როცა შესამედ გაისმა კაკუნი, ვინ ხართ-მეთქი, დავიძახე.

— გააღე!

— ვინ გნებაეთ?

— გააღე, გააღე!

ლუმელს ავხედე. ერმაკი ხელს ბიჭნევს, მგონი მანიშნებს, არ გააღოვო.

— როგორ მოვიქცე?

— როგორ მოვიქცეთ, ანა?

მაგრამ ახლა ანას ბრძანების თავი აღარა აქვს. ლოგინზე ზის, კაბა ვულზე ეუფარებია და ცახცახებს.

— ლამფას ავანთებ და გავაღებ. — ეთქვი.

ხმა არავინ გამცა. მაგიდაზე ასანთი მოვიძიე, ლამფა ავანთე და კარების გასაღებად წავედი. კარებთან მაინც შეე-



დექი, მოვიხედე. ანა კაბას იცვამდა, ვა-
ცალღე.

სუსხიან ქართან ერთად, სახლში სამი
შეიარაღებული კაცი შემოვარდა. ერთ-
მა რევოლვერი ზედ მკერდზე მომაბჯი-
ნა და ხელები ამაწვევინა. მეორემ ანას
ჩაავლო ხელი და იქვე კედელთან დაა-
ყენა. მესამემ ნიფხავ-პერანგის ამარა
ერმაკი ჩამოათრია ღუმელიდან.

— შენ ამ გერმანელ ძუქნასთან რას
აკეთებ? — შეკითხება ერთი. მხრები აე-
ჩჩეჩე. ისე ვარ დაბნეული და გაოგნე-
ბული, არცკი ვიცი რა ვუპასუხო. მე
ამათ ვერ ვცნობ, ვინ არიან? საიდან
მოვიდნენ? შორობთან შეთანხმება სულ
მანსოვდა, მაგრამ არ მეგონა თუ ასე
მალე მოგვადგებოდნენ კარზე, ისიც
სრულიად უცნობები. იქნებ ესენი შო-
როპის მოგზავნილები არც კი არიან...

— რაო, ენა ვადაყლაპე? გაგიტკმა
თბილ ლოგინში კოტრიალი?

— რა გინდათ, ჩემგან რას მოით-
ხოვთ?

— ამას უყურეთ, ვაქაცს დამიხე-
დეთ, ქვეყანა იქცევა, ხალხი სისხლში
ცურავს, ეს ამ დროს ცხელ ღუმელზე
მოკალათებულა და რა გინდათო, გვეკი-
თხება. შენი სისხლი ვედროთი უნდა
დალიოს კაცმა, მაგრამ შენ იქაც მოგი-
ვლით. აბა, ფრაუ, — მიუბრუნდა დია-
სახლისს. — ჩამოყაჭე რა დავალება მო-
გვა ბოგუშევსკის კომენდანტმა. ან გე-
რმანელების დამქაშმა შორობმა ვისი
გაყიდვა მოგთხოვა. სწრაფად, დრო ძა-
ლზე ცოტა გვაქვს!

ანამ არც აცია, არც აცხელა, პირდა-
პირ მუნღებზე დავარდა და ხელები ისე
გაიშვირა პარტიზანისკენ, როგორც ჩე-
მკენ იშვერდა გუშინწინ. ხელები კი გა-
იშვირა, მაგრამ ახლა იგი იმ ვახელე-
ბულ ქალს აღარ ვაგვდა. რა უცებ დაბე-
რებულა ეს ცოდვიშვილი, სახე დამან-
ქვია და დაგრძელებია, რალაც გაუგე-
ბარს ლუღლუღებს, ძლივს ვარჩევ მის
სიტყვებს.

ერთი უბრალო სოფლელი ქალი ვარ,
კომენდანტთან რა მესაქმებაო, ჩემს ცო-

დვაში ფეხს ნუ ჩაიდგამთ, აგრემც დმერ-
თი შეგეწევათო. პარტიზანმა ქვეყანის
ჩახმახი ასწია და ლულაზედ მუხლმუხ-
რამ მიადო, მაშინ კი იკადრა კივილი
ფრალემ. ტუნზე ხელი დააფარეს, მაგ-
რამ ამან როდი უშველა! გაიწია, გაიბ-
რძოლა, არ ვიცი რას აპირებდა. ახლა
ორნი ერთად ეცნენ. ხელები გაუკავეს
და ისევ კედელზე ააყუდეს, მაგრამ რო-
გორც კი გაუშვეს ხელი, მაშინვე იატა-
კზე დავარდა, ერმაკი მთელი ტანით კა-
ნკალებს, კბილებსაც აკაწკაწებს.

— შენ მინც დაეხმარე შენს სანაქე-
ბო მეუღლეს. — უთხრეს ერმაკს. ერმა-
კმა მუნჯივით დიზმუველა და ისიც ია-
ტაკზე გაიშლართა.

ახლა ერმაკს დასწვდნენ, უნდოდათ
ფეხზე დაეყენებინათ, მაგრამ იატაკს
კერასგზით ვერ აავლიჯეს, ერმაკი ხან
მაგიდას ებღაუჭებოდა, ხან სკამს, მაგ-
რამ სამ ვაქვაცთან რას ვახდებოდა! ზე-
ზე წამოაღდეს, ერთი-ორი წაუთაქეს კი-
დეც და ცოლის გვერდით დააყენეს.

ამ არეულობაში ერთ-ერთმა პარტი-
ზანმა ყურში ჩამჩურჩულა: ნუ გეშინია,
გარეთ ღიზუნოვი გელოდებაო!

ახლაც არ ვიცი როგორ არ დაივივი-
რე, როგორ შევიკავე თავი. კარგია, რომ
ჩემს მასპინძლებს ჩემთვის აღარ ცხე-
ლოდათ, თავად ქირის ოფლში ცურავ-
დნენ, თორემ ავღილად შემამჩნევდნენ
სიხარულს, რომელიც მიშა ღიზუნოვის
ხსენებამ მომიტანა.

— სამშობლოს, ხალხის სახელით,
თქვენ ახლა დაგხვრეტთ, დაგხვრეტთ,
როგორც გამყიდველებს, ფაშისტების;
დამქაშებს, გარეწრებს, მოკვლით თქვე-
ნი..

— საშა. — იკვლა ქალმა.

მე იმ პარტიზანს ნაგანზე ხელი ვუ-
ტაცე და საყმოდ მკაცრად ვუთხარი.

— ეს ქალი გამყიდველი არ არის,
ჩვენ გვეხმარება!

პარტიზანმა, რომელიც მხრებამდეც
ვერ მწვდებოდა, იმხელაზე დაალო პი-
რი, რომ უცებ მეგონა, ამან არაფერი
იციის-მეთქი. პარტიზანებმა ერთმანეთში
მოითათბირეს, მერე ის ტანდაბალი ახ-

აღგაზრდა ისევ ჩემს მასპინძლებს მიუბრუნდა:

— ამჯერად ამას უმადლოდეთ.— რევოლვერის ლულა მომიღირა. — ხვალზეც კი ვნახოთ, აბა გაგვაცილებ. — მიბრძანა მე, ამხანაგებსაც ანიშნა მომყვეითო და სახლიდან გაეარდა.

საბძელს მოვეფარეთ თუ არა, პარტიზანები შეჩერდნენ და შემომხევივნენ.

— კაი არტისტები ვართ, რას იტყვი? — გაიცინა იმ ტანდაბალმა.

— კაი მიეცა შენს ცხვირს — უთხრა მეორემ. ვილაც მოგვიახლოვდა, ბიჭებმა გაიწიეს, გზა დაუთმეს. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით.

— საშა! — იყვირა მან და ისე დამეტაკა, კინალამ წამაქცია.

— მიშა, ძმაო, — ვეცი და ჩავეხვიე.

— როგორა ხარ, საშა, გაგიტყბა ზომ ღუმელი? ამისთანა ქარ-სუსხში, რა სკობია ღუმელზე კოტრიალს...

— დამცინი ზომ? რატომ შენც არ შემოყვევი ამხანაგებს.

— შემეშინდა, ვაითუ თავი ვერ შეიკავოს-მეთქი.

— როგორ არიან ჩვენები. ექიმი, ვასო, ვალოდია?

— ცოცხლობენ და გელიან. შენ თურმე აქ დიდ საქმეებს ატრიალებ. ანტონს ხვდები?

— მიწურიდან წამოსვლის შემდეგ თვალაც კი არ მომიკრავს.

— ალბათ ასეა საჭირო. წავედიო. ხელი გამომიწოდა.

— ბიჭები მომიკითხე, ჩამიკოცნე, მიშა. ნუ დამიფიწყებთ, ამ ქაობში ნუ ჩამტოვებთ!

ყველას სათითაოდ ჩამოვართვი ხელი. ლიზუნოვი და მისი ამხანაგები წავიდნენ და მალე სიბნელეში გაუჩინარდნენ. სახლში შევედი, კარები ჩაკეტე. ანა და ერმაკი ისევ იდგნენ კედელთან. თუთუნი შევახვიე. ჯერ ანამ შემომხედდა, მერე ერმაკმა. ერთხანს გაშტერებული მიცქერდნენ.

ანამ ხელები თვალებზე აიფარა, რაღაც წამოიყვირა და მოჭრილ ხესავით დაეცა იატაკზე-მივეარდი, ერმაკს შევეუ-

ძახე, მომეშველა. ორივემ ერთად აწვინეთ გულწასული ქალი და გუგუნუნო ჩაეაწვინეთ. ერმაკმა ტიქტი წყაღი მოიტანა, თავი აუწია, დაალევიანა და მერე სახე სველი ტილოთი მოწმინდა.

ანამ ქვეითინ-ზმუილი მორთო.

ერმაკი ისევ ღუმელზე აბობლდა, მეც გაუხდელად მივწყეკი.

ესეც ასე! ოპერაციამ მგონი ჩინებულად ჩაიარა, მაგრამ როგორ იმოქმედებს ანაზე ეს ამბავი? რას მეტყვის დილით?

გადამიხდის თუ არა მადლობას გადარჩენისათვის?

როგორ წარიმართება ჩვენი ურთიერთობა ხვალიდან?

ბიჭები ცოცხლობენ, მოქმედებენ. შოროპს მათთან საიმედო კავშირი აქვს. ესაა მთავარი.

რა მოხერხებული ბიჭი იყო ის ტანდაბალი პარტიზანი.

ბოგუშევსკის კომენდანტმა რა დავალება მოგცაო, ან იმ გერმანელების დამქაშმა ბურგომისტრმა ვისი გაყიდვა მოგთხოვაო.

დამქაშმაო.

მიშა აღარ კოჭლობს, ვასოც კარგად ყოფილა.

რა ბედნიერი ვიქნებოდი მათთან ერთად რომ შემძლებოდა წასვლა?

როგორ გავაგებინო შოროპს, რომ პარტიზანები უკვე იყვნენ? თუშეცა რა ჩემი შეტყობინება უნდა, ალბათ ხვალვე მოახსენებენ ბიჭები.

ანა ქვეითინებს, ზმუის, ალბათ ხელებსაც იჭამს.

გათენებას ბევრი აღარ უნდა აკლდეს. ერთ წაძინებას კიდევ მოასწრებს კაცი. დილით რაღაც უნდა მოხდეს, ამას ევარძნობ, მჯერა. ასეთი შემთხვევა უბრალოდ არ ჩაივლის.

მაინც რა უნდა მოხდეს?

მეყოფა ფიჭრი და ტვინის მყუდობა. რაც მოსახდენია, მოხდეს!

თვალები დახუჭე და ვეცდილობდი აღარაფერზე არ მეფიჭრა..

ინათა თუ არა, ფეხზე წამოვდექი.

ტყაპუჭი მოვიხურე და ფრთხილად გავედი სახლიდან.

წინა დღეზე ბევრად უფრო ნათელი და მყუდრო დილა შემოდინდა სოფელში. წვიმას გადაუღია, ქარიც ჩამდგარა და შორს, სადღაც, ცის დასალიერში მზის სხივიც კი ჭიატებს.

გასაოცარი ქვეყანაა ბელორუსია. გუშინ თუ გუშინწინ თოვლა, ბარდნიდა მეგონა უკვე დადებდა თოვლს. წუხელ ქარ-წვიმა ბობოქრობდა, მთელი ღამე ჩემი დიასახლისივით ყმუოდა და ვინ იფიქრებდა თუ ასე მალე ჩაწყნარდებოდა, ჩაშოშმინდებოდა მძვინვარე ბუნება და სუსხიან ღამეს ასეთი ხასხასა დილა მოყვებოდა.

დილის გრილმა ნიავმა ერთბაშად გამომაფხიზლა და გამომაცოცხლა. იქვე, კარის ზღურბლთან შევჩერდი და ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი, თითქოს მთელი ეს დღეები სადღაც ბნელ ჭურღმულში ვყოფილიყავი ჩამწყვედული.

ცა ისევ მუქი ღრუბლებითაა დაფარული. ღრუბლები ერთმანეთში ირევიან, ცასა და მიწას შორის გორაობენ, მერე თანდათან ლაგდებიან და თითქოს მწყობრად მიიწყვენ, საით? ტყისაყენ?

სადღაც მზის სხივი ჭიატებს. თვით მზე, მთელი თავისი სიდიადით არ ჩანს, მაგრამ ცხადია, ვიცი, იგი ამ ეანგისფერ ღრუბლებს ზემოთაა და მიანიც ეძალება ქვეყანას. იქ, მაღლა ცაშიც ბრძოლაა, მზე და ღრუბლები ებრძვიან ერთმანეთს და მიხარია, რომ მზის სხივი ახერხებს გაჭრას, გაჰყვითოს ღრუბელთა უკუნი და სოფელს დაენახოს.

მიხარია, რომ ზამთარმა უკან დაიხია და თუ ასეთი ამინდები დაიჭირა, რაიმე ახალს მოიფიქრებენ ჩემი ხელმძღვანელები. იქნებ მეც შეშველოს, იქნებ გადავრჩე ამ კუთუმალობანას თამაშს.

შორობმა მითხრა, მოხუცი გრიგორი მოგაკითხავსო. სადაა მერე? თუშეცა რა მაქვს მასთან სასაყვედურო, რამე თქვა და არ შეაჩრულა თუ?

შორს უკვე ვარჩევ ლურჯ ტყეს. დაიბ, სწორედ ლურჯად მოჩანს ტყე

შორიდან. გიზიდავს, გისმობს, ვი-
ტყუებს.

ასე იცის ზღვაამაც...
ნადევბის კენწეროებს ღრუბლები ეტანებიან. მზე ზევიდან აწვება ამ ღრუბლებს, ცდილობს გაფანტოს და მათ მაგიერ ნათლად დაეფინოს ქვეყანას.

უფრო შორს, ცაში მაშხალები იჭრებიან, ღრუბლებს ჰკვეთენ და ასე მეგონა თითქოს მაშხალებს მზეს ესვრის ვიღაც.

თენდება.
რა მოხდება ამ სახლში დღეს? რას მეტყვიან ჩემი მასპინძლები? სად წავიდე? ვის მივაკითხო? ვისთან მიმესვლება?

სახლიდან ჯერ არავითარი ხმა, ჩამოჩემიც კი არ ისმის, სძინავთ, ორივეს მკვდრებივით სძინავთ. ნეტავი რას იფიქრებენ ახლა რომ გამოიღვიძონ?

გაიპარაო, მიგვატოვაო, დაასკვნიათ და დაფაცურდებიან. იქნებ არაფრადაც არ ჩააგდონ ჩემი წასვლა. იქნებ დამინახეს კიდეც, ფეხაქრეფით რომ გამოვედი სახლიდან.

ამოდენა სოფელში ვის მივაკითხო? ვერა კონსტანტინეს ასულს? საბრალო ქალი, რა მოკუნტული იდგა სოფლის საბჭოს ეზოში. როგორი თვალეებით შემომხედა, როცა პოლიციელმა დასახვერტად გამიგდო წინ.

ის პოლიციელი იყო, სწორედ ჩვენ რომ დაგვასხა თავს გერმანელები ტბასთან.

რა მონდომებით უყვიროდა მისიანებს, როგორ აჭეზებდა, როგორ მოიწვედა წინ შავი ნაგანის ტრიალით. ახლა სოფელში მოკალათებულა. კარგია რომ ისევ შეგვხვდით ერთმანეთს. ჩემი მეგობრების სისხლშია გასვრილი მისი ხელები და მე უნდა ვაზღვევინო სამაგიერო.

მაგრამ ახლა სად წავიდე, რა შემაბრუნებს უკან?

საცაა გაიღვიძებენ ჩემი მასპინძლები, ერთმანეთს შიშით შეაულებენ თვალს, ჩემი ტანტისაყენ გადაიხედავენ.

მერე აჩურჩულდებიან, აპუტუნდებიან და დაიწყებენ მარჩიელობას.

ო, რა მათხოვარი ყოფილა ეს ერმაკი! როგორ ზმუოდა, როგორ ფორთხავდა იატაკზე. ებლაუქებოდა მაგიდას, სკამს, სიცოცხლეს...

ან ცოლი უნდა დავხვრიტოთ, ან ქმარიო, რომ ეთქვა იმ პარტიზანს ნეტავ როგორ მოიქცეოდნენ?

დაუფიქრებლად გაყიდდნენ ერთმანეთს. პირველად მაინც ერმაკი ამოადგამდა ენას, მე რას მერჩითო, იტყოდა, ეს ჩემი ცოლი იმათი მოდგმისააო, არაფერს არ თავილობსო, ხანდახან გერმანელ კომენდანტთან დაძვრება და თქვენთანებს აბეზღებსო. ეგ უკან არაფერზე დაიხვესო, დახვრიტეთ და მეც მოვისვენებო.

კი უეჭველად ასე იტყოდა.

ანა?

ანა მკო უმეტეს, წამითაც არ შეყოვნდებოდა, იქნებ საკუთარი ხელითაც მიეხვრიტა მეუღლე.

არა, ერმაკს ეს ქალი მოუღებს ბოლოს.

რა შემოიყვანს ახლა ამ სახლში?

როგორ დავიჭირო თავი? ვინ იტყვის პირველ სიტყვას, მე თუ რომელიმე იმათგანი?

ეს ქალი ჩვენიანია-მეთქი, დაბეჯითებით ვუთხარი წუხელ პარტიზანებს. ახლა? ახლა რაღა ვთქვა?

ეკ, შორობ, შორობ! და თქვენც ამხანაგებო, სტელმახ, ველიკანოვ რა მღუღარეში მიკარით თავი?

კარები განგებ ხმაურით შევადე.

ერმაკმა ღუმელიდან წამოჰყო თავი. თვალედაპყვეტილი მიცქერის. ეტყობა ჯერ ვერ გამოჩვენებულა, თუ საიდან აღმოვჩნდი კარებს იქით. თვალეში ხელები ამოისვა და, წარმოვიდგენიათ, გამოიცინა.

თუთუნს ვთხოვე. შარვალი მოიძია, ქისა ამოიღო და მომაწოდა. იქვე ტაბურეტზე ჩამოვჯექი და თუთუნს შევახვიე.

— ასე აღრე რამ აგაყენა? — მკითხა ერმაკმა.

— დიდებული დილაა, წინაა გადაუღლია, ქარიც ჩამდგარა. — ვუპასუხე და ანას საწოლს გადავხედე. ანა კუნძოვით დღეს ლოგინზე, სული ხომ არ გაუცხია ამ შეჩვენებულს-მეთქი. — გავიფიქრე.

— ბეწვზე არ გადავრჩით? შენ რომ არა, კაპუტ. — ილრიკება ერმაკი და ისიც თუთუნს ახვევს. — რა შიში ვნახეთ, ა. ჰე, ჰე, ჰე, ასეა ცხოვრება, ჩემო საშა. ხელი-ხელს ჰხანს და ორივე კი პირსო, ხომ გაგიგონია? იმ დღეს ანას რომ შენთვის თავი არ გამოვდო? რომ არ გადავრჩინე?.. ახლა ბარი-ბარი ვართ, ახლა ყველაფერი გარკვეულია!

— რა არის გარკვეული?

ცალი თვალი მოწყურა, ისე შემომხედა, თითქოს თოფს მიიზინებდა.

— შენ, ჩემო ძმაო, ახალგაზრდა ხარ, ჭკვიანი, მაგრამ ნურც ჩვენ ჩავვთვალსულელებად. მე, ბიძიკო, ათას ხერგელში გამძვრალი კაცი ვარ. თოფიც ბეურჯერ მოუღერიათ ჩემთვის და დანაც, მაგრამ ხომ მიყურებ, ჯერჯერობით ცოცხალი ვარ... ცხოვრებამ, წლებმა ბევრი რამ მასწავლა, პირველად ყოვლისა კი კაცის გამოცნობის უნარი შემმატა. მართალია, უშვილობოდ ვბერდები, მაგრამ ჯერ სიცოცხლე არ მომბუზრებია. მინდა როგორმე დავუძვრე ამ ომს, ამ გაწამაწიას. წუხელ გადავრჩი, შენ გადაგვარჩინე, მაგრამ დღეს? ხვალ? ხვალ? ვინ მიშველის? ვინ გადაგვეფარება? ტყუილი დაპირებით თავი არ შეიწუხო, მაინც არ დაგიჭერებ. ახლა ჩემთვის დღესავით ნათელია ყველაფერი, ასე, აი ხუთი თათივით ვიცი რაც გიდევს გულში. — ხელი ასწია და ჩემსკენ გამოიშვირა. — უმადური ყოფილხარო, ვაიფიქრებ, ეს რა, მადლობის მაგიერიაო? იქნებ წამით ინანო კიდევ, რატომ დავიფარე, რატომ ვუტაცე იმ პარტიზანს ხელი რევოლვერზეო. კი, შეიძლება ესეც ვაიფიქრო და სწორიც იქნები. ფიქრისათვის ჯერ არავინ დაუსჯიათ. ყველაფრის ვაიფიქრება შეუძ-



ლია კაცს. ეს მის ხელთაა, ვერაინ წა-
ართმევს. იმ პარტიზანებმა ყველაფერი
იციან, კომენდანტმა რა დაგვალო, ბუ-
რგომისტრმა ვისი გაცემა მოგთხოვაო,
ხომ გესმოდა, როგორ ჩააცივდა ანას.
მერე საიდან იციან ასე ზუსტად ჩვენი
ასავალ-დასავალი? ცამ ჩამოსძახა? ჩი-
ტმა მიუტოვებია? იქნებ გულთმისნები
არაიან. ბრმა ნუკი გგონივართ, ბიძია.
წერწერობით თვალგზოც ვიყურებით და
არც ყურთ გვაკლია. გვაჯობ და ღმე-
რთმაც შეგარგოს. მაინც არ ყოფილ-
ხარ ურიგო გულის. წუხელ შენს ადგი-
ლას სხვა ვინმე აქაური რომ ყოფილი-
ყო, ტვინს კედელზე მიგვასხმევენებდა-
შენ კი დაგვინდე, ალაღად მოწოდებუ-
ლი ლუქმა სისხლში არ გასვარე. ახლა
ისიც მოთხარი, რატომ გადაგვარჩინე?
რას გამოელი ჩვენგან?

— გალმა მედავები?

— კი არ გედავები, შვილოსან, გეკი-
თხები. ჩემს ჰერ ჰვეშ ათვე ღამეს, ლუ-
კმას შუაზე ვიყოფ, თუ რაიმე გამაჩნია,
შენთვის არ ვიშურებ და ის მაინც გამა-
გებინე, რას გვიბირებ? საკაიკაცოდ
შენ ამ სახლში არ შემოსულხარ, ამას
ბავშვიც კი მიხვდება. მთელი ეს დღეე-
ბი დაზაფრული ვართ შენს გამო ორი-
ვე ცოლ-ქმარი და ახლა ასე ხბოსავით
ხომ არ გამოგაღადვრინებთ ყელს?

ყოველგვარ სიმდაბლეს, ყოველგვარ
ბოროტებას, სიმუხთლეს მოველოდი ამ
კაცისგან, მაგრამ თუ იგი ასეთ შემო-
ტევას გაბედავდა, თუ იმის შემდეგ,
რაც წუხელ მოხდა, ერმაკი ხმას აღიმა-
ლლებდა, არ შეგონა. მეგონა ყველაფ-
რისათვის მზად ვიყავი, ყოველგვარ კი-
თხებაზე შემეძლო პასუხის გაცემა, მაგ-
რამ ეს შემოტევა ისე მოულოდნელი და
გაუთვალისწინებელი იყო, რომ წუთით
ენა ჩამივარდა, გავშრი და დავიბენი-
ხოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ და
რაკი ასეა, რაკი დადგა წუთი ერთმა-
ნეთის გამოაშვარავებისა, არ უნდა ავ-
ჩქარდე, უცებ არ უნდა ავყვე, ვინა-
ჯის უნარი უნდა შევიწარჩუნო.

შემომიტეი? გგონია კედელზე ამა-
ყუდე და განმთარადე? ვერ მოგართვი,

შე მართლა არაკაცო. ბევრი გიწინა-
ლია ამ ქვეყანაზე, არაფერი გეწინა-
თლაც რომ გიწინაოლია, კაცის
ამოცნობაც გისწავლია, მაგრამ ახლაც
დაგარწმუნებ, რომ ერთი უბადრუკი
მათხოვარი ხარ. ვინ იცის რამდენ-
ნი კაცის ცოდვა აწევს მაგ გამხმარ
მხრებს, შენ ზნედაცემული კაცი ხარ
და არაფერზე უკან არ დაიხვედი, მაგ-
რამ შე ვერ გიცენივარ. ნუ გგონია,
ახლა საუბარს გაგიბამ და ფეხქვეშ და-
გეგები, ან თავს შეგაცოდებ და უკან
დავიხვე. არა, ერმაკო, უკიდურესობამდე
მიმიყვანე? ბინძური გული გადამიშა-
ლე? პასუხი შენ თვითონ მომანიშნე.
ახლაც ვიწიშვლებ რევოლვერს. ამ
შენს ძუენა ფრანს კინწისკვრით წამო-
ვადებ ლოგინიდან, ლუმელზე გვერ-
დში მოგოწვენ და ასე გამოფხებთ და-
ლამებამდე, მერე ძალღებვიით დაგხო-
ცავთ ორივეს და ჩემს გზას ვეწევი.

ამის ღირსი ხარ შენ!

ხელი მიკანკალებს, გულს ბავა-ბუგი
გააქვს, სისხლი თვალგზზე მანწევა და
ნერვებიც დაწყვეტაზეა. მგონი მარ-
თლა ველარ ვიკავებ თავს, მგონი დავ-
კარგე განსჯის უნარი.

ასე უცებ გაცეცხლება ივარგებს? მე-
ძახის გული, მეთათბირება, რაკი გულ-
თან ვკამათობ, ჩანს პირველი აფეთქე-
ბა დამცხრალია, შეიძლება მოვერიო
თავს, შეიძლება უკეთესი გამოსავალი
ვიპოვო. თვალწინ დამიდგნენ ამხანაგე-
ბი, სტელმახი, ველიკანოვი, შოროპი.
პავლე შოროპი.

ვინ აპატიებს ბურგომისტრს გერ-
მანელი ქალის სიკვდილს?

იმ წამსვე სტაცებენ ხელს და წამე-
ბით ამოართმევენ სულს.

მერე ორგანიზაცია?

შოროპი ხომ იატაკქვეშეთის ერთ-
ერთი მთავარი ღერძია.

ერმაკი თუთუნს ქაჩავს, კი არ ქაჩავს,
ლეკავს, ხშირ-ხშირად აპურბყვებს და
წირბლიანი თვალებით მწუსხავს. მეც
თითქოსდა არხეინად, უნადგლოდ ვა-
ბოლებ. ორივე დამაბული შევყურებთ
ერთმანეთს.

ანა ლოგინზე კუნძოვით დევს. მაგრამ ახლა მასაც დვიძავს, ყურები დაკრეწვით აქვს და გვისმენს...

— შენ ცდები, ერმაკ! შე საივკაცოდ ამ სახლში არ შემოვსულვარ. თქვენგანაც არაფერს გამოველი. პატიოსანი აღამიანების გაწირვა არასოდეს მქონია გულში. მე ქართველი კაცი ვარ და სხვებზე უკეთ ვიცი ოჯახისა და ალაღად მოწოდებული ლუკმის ფასი. არც თქვენი ყელის გამოლადვრა მინდა. ეს განზრახვა რომ მქონოდა, საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე არ შევავდებდი წუხელ. რა გინდათ ჩემგან? მე თავად გადაპრით გითხარით წავალ-მეთქი. რატომ არ გამიშვით? რატომ ვერ შემეღლიეთ? მართლა გუშინდელი ბაღი ხომ არა გგონივართ? ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რატომ ებღაუჭებოთ ამ ხამის ხალათს. მადლობელი ვარ, რომ ასე დაუფარავად მომახალე ყველაფერი. წამოგცდა თუ მთელი ღამის ნაფიქრალი გაამხილე? რაც ახლა მოთხარი. ამას ჩემთვის ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გულახდილობა სჯობია გულღრძობას. ამაღამვე დაეტოვებ ამ მყუდრო ოჯახს, წავალ მაგრამ აქ კიდევ მოვლენ მოგინახულებენ...

— წახვალ კი?

— მემუქრები? ძალიან შორს ხომ არ შესტოპე?

— ხმა ჩაიწყვიტე, ერმაკ — იწივლა ამ ღროს ანამ. საბანი ხელის ერთი გაკვრით მოიშორა და ფეხზე წამოიჭრა. — ხმა ჩაიწყვიტე, შე წვინტლიანო სალახანავ, თორემ თვალებს ამოგკორტნი!

— შენ ნუ ყვირი, ანა. წვინტლიანი ვარ თუ სალახანა, მაინც შენი ქმარი ვარ და ნუ ყვირი.

— რატომ ის დღე არ დაიქცა, შენ რომ ჩემი ქმარი გახდი, შე უბედურო, მშიშარა, მათხოვარი!

— მე მშიშარა არა ვარ, ქალო, არც მათხოვარი!

— მათხოვარზე მეტი ხარ. ლოკოინასავით დაფორთხავდი წუხელ მათ წინაშე, ხბოსავით ზმუოდი და ახლა მოგეცა გული? ახლა ამოიდგი ენა? რა

გინდა, რას ერჩი ამ აღამიანს? სიცოცხლე გაჩუქა და ახლა მტრისდღეშემუქრები? ფუ. შენს კაცობას! მწუხარს წყარობა ვინ მოგაშავა შენ. საკუთარი მუნიანი ტყავის გადასარჩენად უცხოს კი არა, მეც არ დამინდობდი, გამყიდდი, არც კი დაფიქრდებოდი ისე გამყიდდი!

— ეგ შენი ხელობაა.

— ერმაკ! — ისეთი ცივი ხმით იკვილა ანამ, ჩემდაუნებურად წამოვდექი.

— გველო, ახლავე თავს გაგიჟულიტავ, შე ღორის ჯილაგო. — ანა ღუმელისკენ გაექანა, კატასავით ახტა და ერმაკს ფრჩხილებით ჩააფრინდა. მინდოდა გამეშველებინა, მაგრამ ნაბიჯი კი არ გადამიდგამს ღუმელისაკენ. სცემონ ერთმანეთს. დაკბინონ, დაკორტნონ, დაჯამონ.

— მომშორდი, მომშორდი, შე ალქაჯო, აქედან მომწყედი-მეთქი — ყვირის ერმაკი და დაუზოგავად სცემს ქალს, ხელებსა და ფეხებს იშველიებს.

კარგახანს უბათქუნეს ერთმანეთს. მეც შორი-ახლო ვიდექი და ვიღიმებოდი. მერე მივედი. ქალს ხელი ჩავკიდე, ღუმელიდან ჩამოვიყვანე, მინდოდა სკამზე ან ტახტზე დამესვა, მაგრამ მან ხელი გამკრა და ისევე ერმაკისაკენ გაიწია. შევაკავე, პირდაპირ აეწიე და ღუმელს მოვაცილე. იგი გულზე მომეკრა.

— აჰა! — იყვირა სახედანისხლულმა: ერმაკმა — აჰა! ახლა ამეხილა თვალი, ახლა კი ვიცი, რატომ იცავ, შე მართლა ძუენავ, გერმანელო ბოზო, კუროს ვერ ელევე ხომ? ო, შენი დედა!...

— არ გეკადრება, ერმაკ. — წავილულულე და ქალი მოვიშორე. — არ გეკადრება.

— წადი ერთი შენიც და მაგისიც...

— ამ ხნის კაცმა წონასწორობა არ უნდა დაკარგო. ისეთი რამ არ უნდა წამოროშო, რომ შემდეგ შენ თვითონ გაწითლდე. მეგონა კეთილშობილურად მოვიქეცი. ჩემმა თავგანწირვამ ცოდვა არ დაატრიალა ამ ოჯახში და სამაგიეროდ გინება არ დაევიშახურე! შენ რა იცი მე რა დღე დამადგა წუხელ საბძელთან. ნემსის ყუნწში გაეძვერი, რომ



თავი დამეხსნა პარტიზანებისაგან. შენ
კი ივინები. მაგ გინებისათვის კბილებს
ჩაგიღეწავდი, მაგრამ ახლა ამის დრო
აღარა მაქვს. — კარებისკენ გავიწიე.

— საშა! — იწივლა ანამ.

— რა გნებაეთ?

— ფეხი არ მოიცვალა. — კაბა შე-
ისწორა, მომიახლოვდა. — შენ ამას ნუ
უყურებ, ეს წამხდარი, ხელიდან წასუ-
ლი კაცია. ასეთი კრეტინი იყო მუდამ
და ახლა სულ მოედო ბოლო. მე გთხოვ,
აპატიო!

— მიპატიებია. ღმერთმა ორივეს
მშვიდობა მოგცეთ, მე ცუდად მაინც
არ მოგიგონებთ. მშვიდობით. — კარი
გამოვალე. პარმალზე მოხუცი გრიგორი
იღგა.

— დილა მშვიდობისა, სტუმარო. ერ-
მაკი სახლშია?

— კი, ბიძია, შინ გახლავთ!

— შეიძლება? — იკითხა და შინ შე-
მოვიდა. — გამარჯობა ანა!

— იცოცხლე.

— სად ხარ, ერმაკო, შე ბებერო.
ამისთანა კაი ცოლისთვის ღუმელიც
ვერ გაიმეტე? თვად მოიკალათე თბი-
ლად და ცოლს ლოგინზე აცივებ? — შე
გლახა!

— რამ შეგაწუხა, მეზობელო? —
გულს იქით ჰკითხა ერმაკმა. გრიგორმა
ტყაპუქის ჭიბიდან თოფრაკი ამოაძვრი-
ნა.

— უნამუსო არ მიწოდოთ, ხალხო,
არა ვარ მე უპატიოსნო კაცი. ამ ომს რა
ვუთხრა, თორემ სხვისი შემყურე არ მი-
მატოვებდნენ ჩემი ბიჭები. ნუ დამზრა-
ხავთ. ისევ გამიპირდა და ისევ შენ, ჩემს
კაი მეზობელს მოგაკითხე. ერთი-ორი
კილო კარტოფილი კიდევ უნდა მასეს-
ხო.

— შეუძლოდა ვარ, გრიგორ ჩემო.
აღვომა არ შემიძლია, მაგან გაგატა-
ნოს. — ცოლს გახედა. ანა ღუმელთან
მივიდა. იქ ყოველთვის იღგა კარტოფი-
ლით სავსე კალათა, მაგრამ საბედნიე-
როდ ახლა კალათა ცარიელი აღმოჩნდა.
ანამ ფეხსაცმელებში ფეხი წაყო.

— შენ როგორ შეგაწუხებ, ჩემო ანა,

თუ მენდობით მე თვითონ. **ივერ სტუქა-**
რიც მომეხმარება.

ანამ გადმომხედა. **ერკენული**
ნიზლიჩოთქა

— მიეხმარე, საშა, მადლია.

— წაიშობრძანდით. — ვუთხარი მო-
ხუცს. მან ცოლ-ქმარს მადლობა გადაუ-
ხადა და გამოიყვია.

კარტოფილის ორმოში ჩავედი, მინ-
დოდა თოფრაკი გამეცხო, მაგრამ გრი-
გორმა არ დამანება. მაგათ მოყვანილ
კარტოფილს პირში როგორ ჩავიდებო.
მაშინაც რომ გამატანეს, სადღაც გადაე-
ყარო.

— მე რომ ყოველდღე მათ მოწოდე-
ბულ საჭმელს ვკვამ?

— შენი საქმე სხვაა, შეილო. შენ
ღმერთი არ გიწყენს. ახლა კარგად მო-
მისმინე. ამაღამ იანოვოში უნდა ჩახვი-
დე, სოფელში რომ შეხვალ, მარჯვნიდან
მეოთხე სახლის კარზე დააკაკუნე. ქალი
გამოგებდავს, უთხარი ბიძია გრიგორმა
გამომგზავნა, აუდაა და იქნებ მოეშვე-
ლო-თქო. დანარჩენი შენ იცოდე და
იმათ.

ორმოდან ამოვედი, თოფრაკი გრი-
გორს გადავეცი.

— იანოვოში როგორ უნდა წავიდე,
ბიძია გრიგორ?

— სოფლის ბოლომდე გახვალ, შოსეს
დაადგები, ასოდე ნაბიჯში შარავზა
შეგვხვდება, შეუხვები, იმ გზას გაყევი და
პირდაპირ იანოვოში ჩახვალ. — მოხუცი
გამომეთხოვა და წავიდა. მეც აღარ შეე-
ბრუნებულვარ სახლში, ბილიცს დავა-
დექი და სოფლისკენ დავეშვი. მინდოდა
იანოვოს გადასახვევამდე მივსულიყავი.
მაგრამ შოსეზე დიდი მოძრაობა იყო და
ვერ გავხედე. ქუჩის გასათავარში მიტო-
ვებულ საბჭელს ამოვეფარე და ერთ-
ხანს შოსესთვის თვალი არ მომიშორე-
ბია.

მირბიან, მირიხინებენ მანქანები. ძა-
რებზე გერმანელები სხედან. პილოტუ-
რები ყურებზე ჩამოუფხატიათ, სიცივი-
საგან მობუზულები ერთმანეთს ეკვრი-
ან.

უმაღლ მოსკოვ-მინსკის გზატკეცილი
გამახსენდა. მაშინ სიმღერით, გარმოშ-

კების ქვეტინით, სიცილ-ხარხარით მი-
იწვედნენ წინ. მანქანებზეც რაღაც გა-
ბომწვევად, ქედმაღლურად ისხდნენ
ქვეყნის დამპყრობნი.

ახლა?

სიმღერის მადა დაკარგეთ? ჯერ დაი-
ცადეთ, ჯერ სადა ხართ!..

უკან გამოვბრუნდი. შორობის სახლს
რომ გავუსწორდი, კინაღამ სულმა წამძ-
ლია და მივიხედე, მაგრამ ცდუნებას
მოვერიე და ბურგომისტრის ეზოს უბ-
რად ჩაეუარე.

თავჩაღუნულმა ვიარე არყის ხემდე.
არყის ხესთან თავი რომ ავწიე. იქ ჩემი
ღიასახლისი იდგა და ვერა კონსტანტი-
ნეს ასულის სახლისკენ იცქირებოდა.

— აქ რას აკეთებთ? — ვკითხე.

— შენ გამოგყვები. — გაიღიმა.

ამ არყის ხესთან მუსაიფის გაბმა არ
შეიძლებოდა. ისე კი მიწოდდა მეკითხა,
რატომ შეიწუხეთ თავი, რატომ გაისარ-
ჯეთ-მეთქი. უცებ ეჭვამც კი გამკენწლა:
რაღა მიანიცადამინც ვერა კონსტანტი-
ნეს ასულის სახლის წინ იდგა? შესაძ-
ლოა, უბრალო დამთხვევაც იყო, გამომ-
ყვა, სოფლის ბოლოდან უკან მობრუნე-
ბულმა დამინახა და სანამ მივუახლოვ-
დებოდი ისე, თვალსასერიოდ იცქირე-
ბოდა ეზოებში. რას გაუგებ? წამითაც
კი არ შევყოვნებულვარ, გზა განვაგრძე.
ანა მალე წამომეწია და ისეთი რამ მოთხ-
რა, თითქოს ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს
შორის არაფერი მომხდარიყოს, თით-
ქოს სიამტკბილობით დაეშორებოდით
ერთმანეთს.

— ასე ღღისით-მზისით სოფელში
სეირნობა საშიშია, უჩემოდ შინიდანაც
კი არ უნდა გამოხვიდე, თორემ ერთხე-
ლაც იქნება გაგაჭრობენ და მე რომ მე
ვარ, მეც კი ვერ მივაგნებ შენს კვალსა
და ასავალ-დასავალს.

— ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრან!

— ნუ ბრაზობ, ნუ ხარ თვითდაჯერე-
ბული, ჯიუტი. შესაძლოა მართლა ბუ-
ზიც ვერაინ ავიფრინოს, მაგრამ სიფრ-
თხილეს წინ რა უდგას?

ამ თვალთმაქცობამ უკვე გამომიყვანა
წონასწორობიდან, მოთმინების ფილა

აივსო, მეტი აღარ შემიძლია, როცა სა-
პირადად

ახლა იგი არაფრით ზღნო-ქვეყნის ამ გა-
აეებულ, გამხეცებულ ქალს, აფთარი-
ვით რომ დაეძგერა ქმარს. ერმაკს რომ
არ ემარჯვნა, კატასავით მიხარჩობდა
ლუმელზე, მაგრამ რა მოხდა ჩემი წა-
მოსვლის შემდეგ? იქნებ ჩემი თვალის
ასახვევად დაეატყენ ერთმანეთს. იქნებ
ესეც ფანდია და როგორც კი მარტონი
დარჩნენ, შერიგდნენ, მოითათბირეს,
ახალი გეგმა დასახეს და ანაც ამიტომ
დამედგენა უკან. თუ ასეა, ახლა იგი
ქმარს გაამართლებს, მეტყვის—ნანობ-
სო, აჩქარაო, გულს ვერ მოერიაო, ზო-
მაზე მეტი გაკლარაო. მეც მან გამომგ-
ზავნა, აუცილებლად დაეწიე და დააბ-
რუნეო... რაღაც მსგავსის, ამდაგვარის
გაგონებას მოველი, მაგრამ ანამ ჩემს
ფიქრსა და დარწმუნებას ცივი წყალი
გადაასხა.

— ერმაკი წავიდა, საშა!

— სად წავიდა?

— ალბათ დასთან...

— მერე მე რა?

— შენ? არაფერი, ოღონდ იცოდე,
ის უკან მხოლოდ მაშინ დაბრუნდება,
როცა მე მოვისურვებ...

— წავიდა თუ გაგზავნე? — განგებ
შენობით მივმართავ, ვიწვევ, ვაღიზიან-
ებ, იქნებ დავტყუო რაიმე.

— გაგზავნე!

— რა დაავალე?

— ნუ მეჩხუბები, ნურც ამ დილაუ-
თენია ყვირი. ყველაფერი შენთვის გა-
ვაკეთე და თუ დამჭირდა, თუ საქმემ
მოითხოვა, უარესსაც ვიხამ.

— მაინც?

— შესაძლოა, იგი სულაც ვეღარ დაბ-
რუნდეს შინ...

— რატომ? დასთან ურჩევნია? —
თითქოს ნათქვამის აზრს ვერ მივუხვდი.

— თავს ნუ იკატუნებ, ძალიან კარგად
გაიგე, რაც ვთქვი. ახლა შინ წავიდეთ,
სიტყვა მაქვს.

— ნუ სწუხდები, უთქმელადაც ვიცი
რა უნდა მოთხრა. შინ დამბრუნებელი მე
აღარ ვარ, მეყოფა, მივდივარ. ახლავე

უნდა გავშორდებ აქაურობას. ამ სოფელში სული მეხუთება, ყველა და ყველაფერი მძულს. მე იმდენი შეურაცხყოფა და დამცირება ავიტანე წელან შენი ქმრისაგან, იმდენი... ცოცხალი რომ გადაპირჩა, შენ გიმაღლოდეს.

— ვიცი, არ დაინდობდი, სული კბილით გეპირა. არც მე დამინდობდი, გამიმეტებდი. — მწარედ გაიღიმა.

— ეგ ტყუილია!

— შენ თვითონ თქვი, ამ სოფელში სული მეხუთებაო, ყველა და ყველაფერი მძულსო. გიცნობ, შენ თვალთმაქცობა არ შეგიძლია. ესაა შენი ყველაზე დიდი ნაკლი. შენს გულახდილობას ვაფასებ. როცა აფეთქდები, მიხარია, რადგან მაშინ ვგრძნობ, რომ მოგზავნილი არა ხარ...

— ესლა მაკლდა!

— მოგზავნილი არ უნდა იყო. მოგზავნილი ასე არ მოიქცეოდა. იცოდეს ღმერთმა, შენთან მეც გულწრფელი ვარ. ეცადე არ გამაბოროტო, გახსოვდეს, ქმარი არ დავინდე და შენს გაწირვასაც შეეძლებ. ახლა წამოდი, შენთვის ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

გამეცინა. მან კატის თვალები მომაშტერა.

— რა გაცინებს?

— არაფერი. ვიცი, არ ხუმრობ. არც ეს სიტყვები წამოგისროლია ჰაიპარად. მე ჩემს თავზე მეცინება. ერთი საათის უკან შენი მეუღლე მემუქრებოდა, ახლა შენ მემუქრები, ოღონდ უფრო მკაცრად, უფრო დამაჯერებლად. უნდა ვიფიქრო, თავი უნდა ვიმტვრიო, რომ იქნებ გავიგო რა ხდება ჩემს ირგვლივ, ამის მაგიერ კი მეცინება. რა ვქნა? რა უსაშველო მადგას. რა წყალს მივცე ეს ოხერი თავი? აჰა, მოვდივარ, თვინიერი ლეკვივით მოგყვები. ამ ლეკვმა ჯერ ყველა არ იცის, ისე ცოტ-ცოტას იღრინება და ყეფსა და კბენას ნუ ასწავლით. ორივე ფეხი მომტეხოდა და თქვენს სახლს არ მოვდგომოდი, კარგი იყო და...

საბძელს მივადექით. ანამ კარი გაღო, აქ დამიკაიფო, მითხრა და საბძელში შევიდა. იქიდან ღორის ზორცის მოზრ-

დილი ნაქერი გამოიტანა. ამ სახლში ჯერ ზორცისთვის კბილი არ დაჟღერებულა. გამიკვირდა.

შინ შევედი. ანამ კარები ჩაქეტა, ჭურჭი გაიხადა, დაკიდა, მერე მორჩილ კარდაღში წინასწარ გამზადებული კარტოფილი ჩაყარა და ღუმელში შეაცურა — ზორცს წყალი გაავლო და ისიც მოსაბარშად შედგა.

ტყაბუკი მეც გავიხადე, ტახტზე გადავაფინე და იქვე ჩამოვჯექი.

ღუმელში ცეცხლი გიზგიზებს, ოთახში თბილა.

ანამ ხელები ტილოზე შეიმშრალა, სკამი ტახტთან მოაჩოჩა, დაჯდა, ჩემი მარჯვენა აიღო და ხელისგულს მარჩიეღივით დახედა.

— შენ ბევრი კარგი დღე გავითენდება, შენ ბევრ გაზაფხულს მოესწრები. უბუკი ხარ, არ გაგიკვირდეს და არც დამზრახო, მე მშურს შენი... შური მრავალნაირია, ხალხს კი ჰგონია, რომ მხოლოდ ავსა და გულდრძო ადამიანებს შეუძლიათ შური... კეთილშობილური შურიც არსებობს, აი ისეთი, მე რომ აღმეჭრა შენდამი, სიუბუტისადმი. ეს გრძნობა მაიძულებს მთელი ჩემი ძალღონე, მოხერხება, აზრი და გონება დავანებო, რომ შენთან სიახლოვე გავიხანგრძლივო. დრო ცოტა დამარჩა. ვიცი სულ იმაზე ფიქრობ, როგორ დამისხლტე ხელიდან. მე ეს ცოტაც უნდა ვიკნარო, ჯერჯერობით უნდა ვიკმარო. ჩემს მიტოვებას, ამ სახლიდან გაქცევას ნუ შეეცდები, თორემ გაგწირავ! ესაა ჩემი სიტყვა, გაფრთხილება. ესაა სიტყვა ქალისა, რომელსაც ოცდახუთი წელია სულს ხდიან და მთლად ვერ ამოხადეს. ვისაც მეოთხედი საუკუნეა ერთი ციციქნა სიხარული არ უნახავს.

აღარ მახსოვს, როგორ ამიხვია თვალები, როგორ დამაბრმავა, როგორ მომხიბლა ამ ცრუბენტელა ერმაკმა. როგორ დამაჯერა, რომ აქ სამოთხე დამხედებოდა და სიკვდილამდე ხელისგულზე მატარებდა. მაშინ გამოუტყველ გოგოს რუსეთში წამოსვლა ერთგვარ რომანტიკადაც კი მიმაჩნდა. გრძელი

გზა გამოვიარე, ჩამოვედი და ფუფუნებაში ნაცხოვრებს, სამოთხის ნაცვლად აქ სახვადავე დამხვდა. ალბათ ოჯახურმა აღზრდამაც მიშველა და მთლად არ დავეშვი, არ დავმდაბლდი. ჩემი ქმარი კი უოველწაირად ცდილობდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, ძროხის მწველადად, საქონლის ფუნის მხვეტავად გადავექციე, მაგრამ ყველაფერს ვერ მიაღწია. ჩვენს შორის ხან ფარული ბრძოლა იყო, ხან აშკარა, დატურიდებელი. მთელი ეს გრძელი წელიწადები სულ იმის ცდაში ვიყავი, რომ ჩემი მთხოვარი ქმარი კაცად მექცია, ამეშალე ბინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი, პირიქით, ზოგჯერ იგი იგებდა ბრძოლას, ოჯახს, გარემოს თავისი ვაჭმონდა. მე კი ვერაფერს მივალწიე.

როცა ადამიანი წვრილფეხა საქონლადაა გაჩენილი, მას ველარაფერი უშველის.

ახლა სოფლის უბრალო დედაკაცია ვარ, არც მეტი, არც ნაკლები.

ვისთვის შემეჩვილა, ვისთვის გამემხილა სატყეობი? ვინ გამიგებდა? სულში ვინ ჩამხვდავდა? მშობლები შორს, ძალიან შორს დარჩნენ. სამშობლოც შორს დარჩა. დავლუნე თავი და ვეცადე აქაურ „სამოთხეს“ შევეგუებოდი.

ასე უღიმღამოდ, ასე უფერულად წავიდა ჩემი ცხოვრება, მაგრამ სანთელსაკმეველმა თავისი გზა არ დაჰკარგა. არ ვყოფილვარ ბედისგან მთლად განწირული. მე მშობლები, ახლობლები და სამშობლო დავივიწყე, მაგრამ სამშობლომ თავად არ დამივიწყა და აქეთ მომაკითხა. ჩემს გულში მაინც კიაფობდა იმედის სულ პატარა ნაპერწკალი, რომ თუ მე არ მეწერა გერმანიაში დაბრუნება, ოდესმე თვით გერმანია თავის კანში ვერ დაეტევოდა და ჩემამდე მოაღწევდა.

და აჰა, აღსრულდა!

ხელები რატომ გიკანკალეს? რატომ დაკარგე ფერი, რატომ მიყურებ შესაკმეველად? განა შენთვის სულ ერთი არ არის, რუსს ემსახურები თუ გერმანელს? ისე მიცქერი, ლამის მეცე და

დამგლიჯო, ნაკუნ-ნაკუნ ამწხა. დაწყნარდი და თავი შეიკავე, ჩემს მკვლელებს შენ ბედნიერ ვარსკვლავს ჩაუხდამხვდებელი. ღმერთს უმადლე, რომ ჩემამდე მოგიყვანა.

ასე, ჩემო კარგო! დადგა ჩემი დროც. მე ახლა უნდა გავიბრძოლო, ჩემიანებს ერთგულება უნდა დავუმტკიცო, მათი ნამდვილი ნდობა უნდა დავიმსახურო და, ამ უკვე რთულ საქმეში, შენც უნდა დაგიხმარო. შენ სხვა გზა აღარ გაქვს, შენც ჩემთან იქნები და გაიხარებ. ერთმანეთს მოტყუებით წამომიყვანა, სამშობლოზე, ნათესავებზე ხელი ამალე ბინა, ნახევარი სიცოცხლე წამართვა, მაგრამ მთლად ვერ მომკლა, ვერ ჩამანელა. მერაღაც შემომბრჩა ჩვენეული, საგულისხმო. ეს ახლა ვიგრძენი. ჩემს სხეულში, ჩემს მოდუნებულ ძარღვებში მიძინებელი სისხლი აჩქეფდა. ცხოვრებას, სიცოცხლეს აზრი და მიზანი მიეცა.

აქ მაინც არ დავრჩები, მაგრამ ხელცარიელი მე აქაურობას არ დავტოვებ აქ ბოსელი დამახვედრეს, საბძელში გამობარჩვეს ჩემი ამაყი სული, მაგრამ მარტო აქედან არ წავალ! ვისაც თან წავიყვან მას იქ ნამდვილ სასახლეში ვაცხოვრებ, ავამალე, გავამდიდრებ, ვაფუფუნებ!

... ყელში რაღაც მიქერს, ვიხრჩვები. მაგრამ ერთბაშად კი არა, ნელ-ნელა, თანდათანობით ვიგუდები. კიდევ წამი და მივახრჩობ, მივახრჩობ და დავინახავ, როგორ გადმოაგდებს ბინძურ ენას, როგორ გადმოკარკლავს თვალებს, როგორ დაიწყებს ხელ-ფეხის ფხარკალს. თითო სასხლეტზეა, ამდენი თავდაქერა, ამდენი სისამაგლის ატანა აღარც მომეთხოვება. კმარა!

მაგრამ შხამი ერთბაშად კი არა, წვეთ-წვეთობით მქონდა შესმული, ამ შხამს მთელი ჩემი სხეული მოეწამლა. მე უკვე გაბრუნებული და გამოლენჩებული ვარ. მონუსხულივით ვზივარ, ვგრძნობ როგორ ეფერება იგი ჩემს ხელს და ტანში მზარავს. ხანდახან დამცინავად შემომხედავს, ჩემს სიტყვას ელოდება.

— ყველაფერი ეს ჩემი ხელის გულზე ამოიკეთებთ?

სწორედ ასე უბრალოდ და თავშეკავებულად ვთქვი და რაკი რაღაც წაიშრებოდა, რაკი ხმის ამოღება შევძელი, მერე დამერე ცოტა გავთამამდი კიდევ იმდენად გავთამამდი რომ უნდოდა რაღაც ეთქვა და არ ვაძალე.

— მერე ის, ვისაც თქვენ უპირებთ წაყვანას, იმ გოგოსავით სულელი და ქარაფშუტა გგონიათ?

— პირიქით! — უცებ მომახალა. — პირიქით, ბევრად უფრო განათლებული, ზრდილი და გონიერი ყმაწვილია. ხედავს, გრძნობს და აქვს უნარი საღად შეაფასოს შექმნილი ვითარება. მისი თვალების პატრონს არ გაუჭირდება დაინახოს რა ხდება ქვეყანაზე. გერმანელებმა ევროპა დაიპყრეს, რუსეთიც დაიპყრეს. გერმანელი მსოფლიოს მბრძანებლად გაუჩინა ღმერთს. ადრე თუ გვიან სამყარო მის წინ უნდა გართხმულიყო და განერთხო კიდევ. იმ ყმაწვილის მკერდში სამწუხაროდ არიული მისხლი არ ჩქეფს, ამის გამო იქ ალბათ ცხვირსაც აღუზუებენ, მაგრამ მის მხარეზე მეორე და გადამწყვეტი უპირატესობაა, ეს მისი სიჭაბუკეა. სწორედ სიჭაბუკე ანიჭებს მას უფლებას, რომ გვერდი დაუშვენოს გერმანელ ქალს. როცა ერმაკს გადავეკიდე, მაშინ არ ვიცოდი, ჩემდა საუბედუროდ არ ვიცოდი ჩემი ხალხის ღირსება. არ ვიცოდი რა შესძლებია, რა მომავალი ჰქონია გერმანიას. დღეს გერმანიის წინაშე თრთის, კანკალებს მთელი მსოფლიო.

ბოგუშევსკის კომუნდანტს, გაუბტმან ფონ ულბრიხს, უკეთილშობილეს ოჯახისშვილს, ნამდვილ არიელს ვუმაღლი უოველივეს. მან ამიხილა თვალი, მან ვააცოცხლა ჩემში გერმანული სიამაყე და მომცა მიზანი.

შენ თქვი, აქ ყველა და ყველაფერი

ნძულსო. ერთი ჩემი იყითზე? მზადა ვარ საკუთარი ხელით გადაწვეს სწამლი, სოფელი, მთელი ქვეყანა.

ასეა, ჩემო კარგო. შენც დაუფიქრდი, ყველაფერი აწონ-დაწონე. პასუხისათვის მთელ დღევანდელ დღესა და ამდამდელ დამეს გიტოვებ. მე საორდღისო საქმეზე არ გელაპარაკები, საუკუნო ბედნიერებისაკენ მოგიწოდებ. ნუ დაივიწყებ თუ რას წარმოადგენ ამ წუთში. ერმაკის გამონაცვალ ხაშში ხარ გამობვეული და ხელი რომ ავიჭნო, რომელიმე გარეწარ პოლიციელს თვალით რომ ვანიშნო, გაქრები! ახლა თუ მაკოცებ, დავრწმუნდები, რომ მართლა გონიერი და წინდახედული ბიჭი ხარ.

სწრაფად წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი, შუბლი ცივ მინას მივადე და სოფელს გავხედე.

ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული სახლები ზოგი ისლითაა დახურული, ზოგი ყავრით. ყავრით დახურული სახლები უფრო კოხტად და, ასე ვთქვათ, უფრო თავმოშრონელ გამოიყურებიან.

ნეტავი ეს სახლი რითაა დახურული? თუმცა ეს რა საკითხავია. ანა ერმაკს ორ წყება ტყავს გააძრობდა და ისლით დახურულ სახლში მიინც არ იცხოვრებდა. თუმცა ვინ იცის, იქნებ თავადაც არ შეიწუხა თავი.

ადამიანიც ასეა.

როცა მე ამ დასაწვავ სახლის კარს მოვადექი, ასე თუ ისე რიგინად მეცვა. ჩემი შარვალ-ხალათი მართალია დასერილი და დაქმუნული იყო, მაგრამ ადამიანს მიინც ვგავდი.

ახლა?

ახლა ჩემი სამხედრო ტანსაცმელი საბძლის რომელიდაც კუთხეშია შეკეპული. მე კი ერმაკის გამონაცვალი, შინაქსოვი ხამის შარვალ-ხალათი მაკვია.

მაშასადამე, მეც ისლით დახურული სახლი ვარ.

დიდი ლენინის სხემ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში

მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მოძღვრებით შთაგონებული პროგრესული კაცობრიობის მოწინავე შემოქმედნი უდიდესი გატაცებითა და სიუყვარულით უმღერიათ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს — საბჭოთა კავშირს და მის გენიალურ დამაარსებელს ვ. ი. ლენინს.

„ლენინის დროშით გავიმარჯვებ ჩვენ ოქტობრის რევოლუციისათვის ბრძოლაში.

„ლენინის დროშით მივაღწევთ ჩვენ გადაწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ამავე დროშით გავიმარჯვებთ პროლეტარულ რევოლუციაში მთელ ქვეყანაზე.

გაუმარჯოს ლენინიზმს!“ — ასე წერდა და ახსიათებდა დიდ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

მწერლები და პოეტები, თავიანთ შემოქმედებაში, მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოხატავენ აღფრთოვანებას და სიუყვარულს ვ. ი. ლენინისადმი. მას გატაცებით უმღერიათ.

როცა ვ. ი. ლენინის თემისადმი მიძღვნილ ქართულ ლიტერატურაზე გვაქვს საუბარი და ცალკეული საკითხების შესწავლას ეიწვებით, უპირველესად, უნდა გავიხსენოთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები ქართულ პრესაში, უმთავრესად, 1901 წლიდან იბეჭდება ხოლო მათი შრომებიდან ციტატების ამოწერა და ცალკე შრომებზე რეცენზიები ბეჭდვა ქრთ კიდევ ადრე, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო.

ქართულმა ბოლშევიკურმა პრესამ, რომელიც თავისი განვითარების სათავეს 1901 წლიდან იღებს („ვახ. „ბრძოლა“, 1901-1902; „ბრძოლის

ფურცელი“, პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ და სხვ.), საქართველოში განსაკუთრებით გადამწყვეტი როლი შეასრულა მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის, როგორც მძლავრი იდეური იარაღის, გავრცელების დიდ საქმეში. ცხადია, ამ მეტად ნაიშენელოვანმა მოვლენამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ფუძემდებლურმა შრომებმა, სოციალისტური რეალიზმის, როგორც ახალი შემოქმედებითი მეთოდისა და ესთეტიკური მსოფლმხედველობის პრინციპების განსაზღვრან, ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობას მტკიცე მეცნიერული საფუძვლები შეუქმნია. ვაჩიკვა და განისაზღვრა ამ მეცნიერების საგანი, მიზანი და დანიშნულება.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, თავისი ცალკეული შენაკადებით (დარგებით) მკვიდრ ნიადაგზე დადგა და განვითარდა საქართველოში საბჭოთა ხელონუფლების დამყარების შემდეგ.

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, დიდი ნუშაობა გაიწეული უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში მნიშვნელოვანი მოვლენაა მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების გამოცემა ქართულ ენაზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია კვლტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ვ. ი. ლენინის შრომების — სტატიებისა და წერილების ცალკე კრებულების გამოცემა.

ცხადია, ქართულ ენაზე აღნიშნული ნაშრომების გამოცემით მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, მტკიცე

საფუძველი მომადდა ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის შექმნისა და განვითარებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მოძღვრების შექმნე, საერთოდ, ხელოვნებისა და, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულების, ნიშნულობისა და განვითარების შესწავლისათვის სახელმძღვანელო დებულებები მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ ნაშრომში, რომელიც პირველად 1905 წელს გაზეთ „ნოვია იუნწი“ გამოქვეყნდა, ვ. ი. ლენინმა წამოიყენა და მთელი სიცხადით დაასაბუთა ხელოვნებისა და ლიტერატურის კლასობრიობისა და პარტიულობის პრინციპი. ლენინმა ნათელი გახადა ბურჟუაზიული წყურბლეს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეების დამოკიდებულება ბურჟუაზიულ საზოგადოებას და პარტიული ლიტერატურის კლასზე. იგი წერდა, რომ შეუძლებელია ცხოვრობდეს საზოგადოებაში და მისგან დამოუკიდებელი, თავისუფალი იყო, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოღვაწე ხელოვანს-მხატვრის, მსახიობის, მწერლის აღაზრბული თავისუფლება ნამდვილად არის შეუძლებელი დამოკიდებულება კაპიტალის მჭონებელ გაბატონებულ ბურჟუაზიაზე.

ესაღია, რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის შექმნის, მისი შალღიდურსაფუძვრზე აყვანისა და შემდგომი განვითარების საქმეში გადაწყვეტი ბედმძღვანელი როლი შეასრულა სწორედ ვ. ი. ლენინის აღნიშნულმა სტატიამ — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ეს საბრძოლველო სტატია მწერლებისათვის, მთელი საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის, საუფროსო ზღის მანქანებულად გადმოქცევა.

მწერლებს, მხატვრული სიტყვის ოსტატებს ვ. ი. ლენინი ასწავლიდა, რომ „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი“, „პატარა ბორბალი და ხრახნი“ ერთი ბოლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მქანის ნიშნი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ნუშათა კლასის მთელ შეგნებულ ანგარიშს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებულ, გეგმამეწინილი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული შემოაბისა, ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპის ნიშნით, რუსული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის საერთო განვითარების პარალელურად, ფართო გამოძახილი ჰპოვა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა საბჭოთა კავშირის მოამქმ ხალხთა მხატვრულ ლიტერატურაში, რუსეთის პირველი რევოლუციისა და შენდგომ პერიოდში, როდესაც კალმისა და სიტყვის მოწინავე ოსტატები მზურვალე მონაწილეობას იღებდნენ და

წყებულ სახალხო ეროვნულ, რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ საბჭოთა „ფარსეულურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიულ დაკავშირებულ ლიტერატურას დაუბუბრისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურა“, რადგან „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმით, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალისტის იდეა და მშრომელ ბურჟუაზიის თანაგრძობის მიზნიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმით, რომ იგი სამსახურს გაუწყებს არა სალონების ველმოყრებულ „გმირ-ქალსა“, არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეწყუბებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეული მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუფროსო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას განაუყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით.“

ეს არის სწორედ მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო დებულების პროგრამული განსაზღვრა თავისუფალი ლიტერატურის განვითარებისა და აღორძინების შესახებ, ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპის შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გვაძლევს სწორ ორიენტაციას, გვასწავლის ღირსეულად შეუფასაოთ და კრიტიკულად აეთვისაოთ კულტურული შეცვადრებობა, სწორი შეფასება მივეთ რევოლუციამდელი თაობის წარმომადგენელთა ლიტერატურულ შეცვადრებობას, მათს ნააზრევასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჩვენთვის მთავარი და უაღრესად მნიშვნელოვანია ლენინის ის სახელმძღვანელო პრინციპი, რომ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოთცოთ ისტორიული მოღვაწეობის თანამედრებულ მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვეცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“.

ამასთანავე ფრიალ საყურადღებოა დიდი მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ჰე ლენინის მოწოდება ახალგაზრდობისადმი: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს შესიერებებს გაამდიდრებ უფლა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძემუშავებია“.

ვ. ი. ლენინს ამ სახელმძღვანელო დებულებათა საფუძველზე გვეძლევა ფართო შესაძლებლობა მდიდარი ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და კერძოდ შე-19 საუკუნისა და შე-20 საუკუნის დამდვების საქარათველის

საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების მეცნიერული შესწავლისათვის.

ქართული კლასიკური ლიტერატურისა და კრიტიკული შემკვიდრების საფუძვლად ტრადიციითა შესწავლა, მისი განმტკიცება და შემდგომი განვითარება ყოველთვის იყო, არის და იქნება ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის დანიშნულების პირველი რიგის ამოცანა.

ქართული ლიტერატურის შემკვიდრების მეცნიერული შესწავლისა და კვლევა-ძიების საქმეში, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მომუშავე მეცნიერ-მეცნიერთ გზას უნათებს ვ. ი. ლენინის ნაშრომი „რუსეთის მუშათა ბეკდეთი სიტყვის წარსულიდან“, რომელშიც მოცემულია რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სანი მთავარი ეტაპის ლენინური პერიოდიზაცია. ამ მოძრაობას კი, როგორც საერთოდ აღიარებულია, თავისთავად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიმართულებაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა. ამიტომ არის, რომ ვ. ი. ლენინის აღნიშნულ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიო-გრაფიაში და ლიტერატურის ისტორიაში, ქართული მწერლობის პერიოდიზაციის დადგენა-გადგობის შესაბამისად. აქეთვე დიდი მნიშვნელობასა საერთოდ მიაძრება ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის, წინა ეპოქათა კულტურული შემკვიდრების კრიტიკულად ათვისების შესახებ, მთელი რიგი სტატიები ლეე ტოლსტოის, ვერცხვის, მერე პოტიუხე, წერაილები შაქსიმ გორკისა და სხვებისადმი, რომლებშიც წამოყენებულა და გადამჭრილია მრავალი საკითხი და პრობლემა.

ვ. ი. ლენინს ამ დიდ ლიტერატურულ ნე-მკვიდრებაზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული თაობები აღზარდნენ და კიდევაც აღზარდებიან საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემების მაღალიდურ დონეზე შესწავლისა და გადაწყვეტი-სათვის.

ამრიგად, ნათელია, რომ ცხოვრებას რეალისტური ასახვა, იდეურობა, პარტიულობა და ხალხურობა, ყოველგვარი ძველისა და რეაქციულის მშობის, ახლისა და პროგრესულის მძღვრება და დამკვიდრების ძალა ძირითადი პრინციპებია, რომლებიც განსაზღვრავს მხატვრულ შემოქმედებისადმი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დამოკიდებულებას.

ვ. ი. ლენინის იდეურ-მთვლმხედველობრივმა ხელმძღვანელმა როლმა და გავლენამ საერთოდ, და კერძოდ ქართულ ლიტერატურაში, შემოქმედებითად, ახალი ძალით თავი იჩინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 1917-1920 წლების ქართულ არაღვალურსა და ლეგალური პრესის ორგა-

ნოებში, როდესაც მენშევიური წყარბილების ხანმოკლე ბატონობის პერიოდში საქართველო მოწვევტილი იყო საბჭოთა რუსეთის მხარეში ვ. ი. ლენინის სახის მხატვრული ასახვის თემა ამ პერიოდის (1917-1920 წწ.) ბოლშევიკური პრესისა და მთელი შემდგომი ხანის ქართულ ლიტერატურაში — ჰებლიესტიკაში, პოეზიაში, პროზაში და დრამატურგიაში თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ქართული საბჭოთა სიტუეცაზმული მწერლობა ასალი, საბჭოთრი ცხოვრების გამარჯვების ორმა წყურვილით იმსკვალებოდა, მისით სუნთქებდა და ახალ-ახალი ხანაფიქრით ამდიდრებდა მხატვრულ ლიტერატურას.

პირველად რუსულ ლიტერატურაში გამო-ნენილი მწერლების — შაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ნ. ბოგოდინის და სხვათა მიერ დაწვეული ლენინთან შემდეგში შემოქმედებით ადმელოებით გაგრძელება არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურასა და კულტურაში, არამედ, იგი ამავე დროს იქცა შთამბეჭდვად თუმად მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის მწერლობასა და ხელოვნებაში.

საბჭოთა ეპოქის სოციალისტური თეალიზმის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ვ. ი. ლენინის თემა ნეტად საბატიო, მნიშვნელოვანი და ძირითადი თემაა.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ძნელია დავასახლოთ ჩვენი მწერლობის სარბი-ელზე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შემოქმედი, რომელსაც თავისი კალამი არ ეცადოს და ლენინთანადი არ შეიძღვნას — ლექსი თუ ბალადა, მოთხრობა ან მხატვრული ესკიზი. მინიატურა, დრამატული თხზულება თუ მხატვრული ნარკვევი ან მოკონება.

ფერნანდისტერ, პუბლიცისტრ მეშაბას მოხდენილად უთავსებდა განუწყვეტელ მეცნიერულ, თეორიულ, პარტიულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას. იგი მრავალპიროვ შემოქმედებით საქმიანობას უწევდა. ყველგან და ყველთვის ზედმიწევნით მომთხოვნა და პრინციპული იყო. ყოველ საათსა და წუთს უნარიანად იყენებდა. დროს ფუჭად არ კარგავდა. მოითხოვდა მისთვის ზუსტად განესაზღვრათ, თუ რა მოცულობის სტატიის მომზადება იყო საჭირო, სტატიის ჩაბარების დრო, იგი უპირატესად პუნქტუალური, სიტყვის კაცო იყო. სრულებით არ ჰგავდა ახლანდელ ზოგიერთ ჩვენს ავტორს, ათევევრიანი მასალას რომ შეუკავთავ, და ორმოცვევრიანი, მოვიშაბდეს, სტატიის ნაბარებისათვის თხოუშეტი დღის ვადას მისცემ და ერთი თვის შემდეგ მოვიტანს. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ი. ლენინის წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი, სადაც იგი რედაქტორებს მიმართავს: „თუ როგორ ვუყურებ მე ვაზეთის ამოცანას და მისი გაბოლის გეგმას, შევენ ამას დანახავი სტატიადიდან... ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიციოდ სტატიების მოწოდების უკანასკნელი ვადები“. შემდეგ ლენინს საჭიროდ მიანდა ვააგებინონ, თუ რა მასალები მოეპოვება რედაქციას, რათა განმეორება არ გამოვიდეს და ხელა არ მოკვიდო უკვე „მორურულ“ საკითხებს“ (თხზ., ტ. 4, გვ. 248-249).

ვ. ი. ლენინის კიდევ ერთი მჭირფასი თვისება იყო სტატიის სათაურზე მეშაბა, მოხდენილი, ქმედითი სათაურის მიგნების უნარი. მისი სტატიების სათაურები გამოირჩევა მიზანსწრაფულობითა და დინამიკობით, მის მჭირფებოდა მეტყველი სათაურების შეჩინება. ა. შ. შავალითად, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „ნაბიჭი წინ, ორი ნაბიჭი უკან“, „რით დავიწყეთ?“, „რა ვაკეთოთ?“ „დიადი თათნობა“, „მემარცხენეობის“ საუმწიფილო სტენ კომუნისტში“, „პროლეტარული რევოლუცია და რენევატი კაუკკი“, „ერობის მდევნელნი და ლიბერალისტის პანიბალები“ და ა. შ. თვით სათაურებში აისახება საკითხის აქტუალობა, მიზანსწრაფულობა, დინამიკობა.

ვ. ი. ლენინი პოლემიკის დიდი ოსტატი იყო. პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში მას პოლემიკის გამოყენება მოწინააღმდეგის მხილებისა და დამარცხების მშლავი საშუალებად მიანდა. მისი პოლემიკური სტატიებისა და სხვა ნაშრომების დამახასიათებელი თავისებურებანია: პოლიტიკური აქტუალობა, ობიექტურობა, თანმიმდევრულობა, პრინციპულობა, დამაჯერებლობა, მათთვის უცხოა

ყოველივე პირადული, წერტილმანი უსასობა, უმწიფური სიტყვები, ქედმუდღობა და კოლონობა, მოწინააღმდეგის უფაქტუბრეხილად, უკადრისი შეურაცხუფა და აბუნად იყდება დინკი ტონი, ფაქტობრივი მასალების მომარყეებით დამაჯერებელი მტყიცებანი, პარტიული პრინციპულობა, როგორც ყველგან და ყოველთვის, პოლემიკური ხასიათის ნაშრომებსაც წითელ ზოლად გასდევს.

პოლემიკის ხელოვნება იმასაც გულისხმობს, რომ გჭონდეს სათანადო თემის, ობიექტის და მომენტის შერჩევის უნარი. ვ. ი. ლენინი დაჯილდოებული იყო ასეთი უნარით. იგი ყოველთვის პარტიული, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, ხალხის ინტერესებიდან გამოდიოდა, მის მსჯელობას სიყხადე და გარკვეულობა უნდა შეეტანს საქმის ეთარებაში, სწორ გზაზე დაყვანებინს მასები, დაეცვა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ინტერესები, ლენინის სტატიები ყოველთვის იდგა ამ მოწოდების დონეზე.

შანიც როგორია ლენინის პოლემიკური სტატიების კონსტრუქცია? იგი შეიცავს სამ მომენტს: 1) კრიტიკის ობიექტის დებულება; 2) კრატეული ნაწილი და 3) დასკვნა. მკითხველისათვის მზრუნველობა, მისაწვდომობა, აზრის სინათლე, პოპულარობა აქ იმია გამოიხატება, რომ ვ. ი. ლენინი მკითხველს არ აბნევს, მის წინაშე არ აყენებს სხვა წყაროების ძებნის საჭიროებას. იგი პირდაპირ, კონკრეტულად იწყებს იმ დებულებით, იმ აზრის ციტრებით, რომელიც მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მკითხველისათვის კრიტიკის ობიექტის მცდარი დებულების გაცნობის შემდეგ, იგი მარქსისტული თეორიისა და მდიდარი ფაქტობრივი მასალების მომარყევით, დიდი ერთდლიკითა და საკითხას ღრმა ცოდნით, დინკად და თანმიმდევრულად ანაღვეურებს მოწინააღმდეგის, როგორად და დამაჯერებლად არღვევს მის მცდარ დებულებებს, იგი არღვევს, რომ მათგან ჭეაჭეაზე არ რჩება. პოლემიკის ობიექტის მცდარი დებულებების გაქარწყლების შემდეგ არსებობი მნიშვნელობა აქვს სტატიის დასკვნით ნაწილს, სადაც ლენინი მკითხველისათვის ვასაგები ენით აფალობებს ქეშმარიტ აზრს, ქეშმარიტ დებულებას.

ვ. ი. ლენინი არ მკაყოფილდებოდა მარტო მცდარი დებულებას მოტანით და მისი კრიტიკით. იგი ცდილობდა მკითხველისათვის ვასაგები ვაგებოდა, თუ რა ვარემო პირობებში უხდებოდა მეშაობა ავტორს, ავხსნა მცდარი დებულების შემუშავების მიზეზები, ანალიზა გაკეთებონა მცდარი აზრის შემუშავების ისტორიული პირობებისათვის. ამია შეტევა გარკვეულობა შეგჭონდა საკითხის არსი,

მეიბეველს უადვილებდა მოვლენებში გარკვევას და სწორი დასკვნის გამოტანას.

ცნობილია, თუ როგორი მეცნიერული სიზუსტით გაუკეთა ლენინმა ღრმა ანალიზი ხალხის მორალის მოძრაობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ პირობებს და ნ. კ. მიხაილოვსკის კრიტიკით როგორ დამაყრებლად დაგვიხატა „ხალხის შევობის“ ნამდვილი სახე.

ფრად საყურადღებო პოლემიური ნაშრომი ვ. ი. ლენინის პამფლეტი „პროლეტარულ რევოლუციას და რენეგატი კაუცი“. მეთხველისათვის კარლ კაუცის მცადრი დებულებების ვაცნობის შემდეგ, ლენინი მარქსიზმის ღრმა ცოდნით ნათლყოფს თუ როგორ ამხინებს კაუცი მარქსისტულ თეორიის კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მას არ უნდა ვიფიქროს, რომ „ბურჟუაზიის დიქტატურა უნდა შეიცვალოს ერთ კლასის, პროლეტარიატის, დიქტატურით, რომ რევოლუციის „გარდამავალ საფეხურზე“ მოკლებდა პროლეტარული სახელმწიფოს თანდათან ცვლილს — გარდამავალი საფეხურები“ (თხ., ტ. 26, გვ. 398). კარლ კაუცი მარქსისტულ დიალექტიკას ვალმბრითა და სოფისტიკით ცვლის. ვ. ი. ლენინი დამაყრებლად გვიჩვენებს, რომ კ. კაუცი მარქსისტული ოპორტუნისტულ ბურჟუაზიის ლაქია ვაჰდა. მარქსისტი — სიტყვით ბურჟუაზიის ლაქია — საქმით. აი როგორ დაგვიხატა ლენინმა რენეგატი კაუცი.

სტატიებში „უაღბო სიტყვები თავისუფლებაზე“, რომელიც 1920 წლის ნოემბერში დაიწერა, ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „Avanti“-ს („წინ“) რედაქტორს სერატის. ან სტატიებში ნათლად ჩანს საერთაშორისო მოვლენების ღრმა ცოდნა, იმისათვის ზრუნვა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატმა სწორი დასკვნები გააკეთოს, ისწავლოს რუსეთის რევოლუციის გამოცდილებზე.

საკითხის არსის არის, რომ სერატი მხარს უჭერს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიებში რეფორმისტების დატოვებას. ვ. ი. ლენინი ნათლად უჩვენებს, რომ რევოლუციური მდგომარეობის გამწვანებას დროს პარტიებში რეფორმისტების დატოვება არა თუ შეუძლოა, არამედ დანაშაულია.

დასკვნით ნაწილში ლენინი მოუწოდებს იტალიის რევოლუციური პროლეტარიატის პარტიას გამოიჩინოს უდიდესი გამძლეობა, წინააღმდეგობა, არ დაიფიცოს რევოლუციის ისტორიის ვაკეთილღობა, იბრძოდეს სრულ გამარჯვებამდე, აღკვეთოს ყოველგვარი ყოყმანი და ორჟოფობა. მიითვებოდა, რომ ისეთი პროპაგანდა, რომელსაც ვაზეთი „Avanti“

(„წინ“) ეწევა სერატის რედაქტორი, პროლეტარიატს კი არ წერონის, არამედ ხელის მის რიგებს.

ვ. ი. ლენინს მიზანშეწონილად პოლემიის ფართოდ გამოყენება პოლიტიკურ პრესაში. იგი ვაზეთს შესაძლებლობას აძლევს იყოს აქტიური, მებრძოლი, თვალს უსწორებდეს მოვლენებს, ამხინებდეს მცადრ შეხედულებებს, აკეთებდეს სწორ დასკვნებს. „ვაზეთი კი, — წერდა ლენინი, — რომელიც ჩამორჩება, დღე უკლებია, ვაზეთი უკლებიაზე წინ უნდა მიდიოდეს“ (თხ., ტ. 35 გვ. 25). „ერთგვაროვნება და დავაალება მუდამ თავსებელია საგაზეთო საქმესთან“ (აქვე გვ. 26).

ცნობილია, რომ ლენინი პირველ ხანებში ვაზეთს „პრადის“ რედაქციასაც უსაფეხურებდა პოლემიის უფლებელყოფას. ამის შესახებ იგი „ნუგეჯათი ზეზუდას“ რედაქციის სწერდა: „მტკივნეული საკითხებისათვის“ გაერდის ავლით „ზეზუდა“ და „პრადი“ შერად და ერთგვაროვან, არასამტერესო და არამებრძოლ ორგანოდ იხდიან თავს. სოციალისტური ორგანო პოლემიას უნდა ეწეოდეს“ (თხ., ტ. 35, 24). იმ პერიოდში ლენინის საყვედური „პრადის“ მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ რედაქციის მეშვეობით პასიურობას იჩენდნენ ცენტრდ ლიკვიდატორებთან დამოკიდებულებაში, არ ეწეოდნენ შემტევი ხასიათის ბრძოლას, არ გამოდიოდნენ დამაყრებელი პასუხებით, მაშინაც კი, როცა ასეთი გამოსვლა აუცილებლად საჭირო იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლენინი კარგად ითვისაწინებდა პოლემიის გამართვის დროს და მომზდეს. მას ყოველთვის რადი მიანდა საჭიროდ პოლემიის გამართვა. როცა საკითხი მოკლებული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას და ხმაურის ატეხად არ ღირდა, საჭიროდ არ მიანდა ასეთ საკითხზე გამოხატულება, როცა მოწინააღმდეგეს დამაყრებლობა ავლდა და თავისთავად განწირული იყო დასალებლავად ასეთ შემთხვევაშიც დემილს აქობინებდა.

ვ. ი. ლენინი იმასაც ითვისაწინებდა, რომ ზოგჯერ პოლემიას აშკარად პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა და შეეძლო ზიანი მიეყენებინა პარტიის საქმისათვის. მას მიზანშეწონილად არ მიანდა ასეთ პოლემიაში ჩაბმა. ცნობილია, რომ ლენინმა 1912 წლის 19 ივლისს ვაზეთს „პრადის“ რედაქციას უჩინა, არ ასულოდა „შარის ოსტატ და ლიკვიდატორ“ ტროცკის, არ გამოეკვეყნებინა მისი პოლემიკური წერილები. რჩევა მისცა, ვაზეთთან ასეთი პასუხი:

„ტროცკის (ვინა). ტყუილად იწუხებთ თავს საკინკლო და საშარო წერილების გამო“

გზავნი. პასუხი არ იქნება" (თხზ., ტ. 35, გვ. 23).

მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინისათვის ეტყობ იყო გულის შეშალონებელი სენტრიონტალიზმი. იგი პირდაპირ, შეუპოვარი, პრინციპული იყო. გაიხსენოთ სტატია „ეროვნის მდევნიელი და ლიბერალის პინიბალები“. ეს სტატია პასუხი იყო მეფის მთავრობის მინისტრის ს. ი. ვიტეს საიდუმლო მოხსენებაზე: „თვითმპყრობელობა და ეროვნა“, რომელიც უცხოეთში გამოიცა არალეგალურად ლიბერალ პ. პ. სტრუვეს წინასიტყვაობით. ვ. ი. ლენინმა შეაყარა და გააყრიტყა ვიტე და სტრუვე. ზოგიერთი ამხანაგი ლენინს ურჩევდა შეერბილებინა სტატისის შეყვრი ტონი, მაგრამ ლენინი არ დავთანხმდა და სტატია უცვლელად დაიბეჭდა ერანალ „ზარიანი“ (პ. 2-3).

ვ. ი. ლენინი თავისი თანამებრძოლებისაგანაც მოითხოვდა საჭიროების შემთხვევაში ქმედითი კრიტიკული სტატებიით გამოსვლას. მაგალითად, 1905 წლის აგვისტოში იგი გაეცნო კოსტროვის (ნოე ეოტდანი) ბროშურას „უმრავლესობა“ თუ „უმცირესობა?“ (ეს ბროშურა შეიმდგე სასტიკად ვაქრიტყა ი. ბ. სტალინმა ნაშრომში „გაყვრიით პარტიულ უთანხმოებაზე“). ლენინმა სთხოვა ა. ვ. ლენინარსკის გამოსულიყო კრიტიკული სტატით კოსტროვის ბროშურის გამო. „თქმა არ უნდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ცუდი სამუშაო, მყარალი, — მაგრამ ჩვენ ხომ აზიზი ხალხი ვი არა, ვაზეთის მუშაყვრი ვართ, და „საზიზღრობისა და გესლის“ გაუყვრიხავად დატოვება შეუწყნარებელია სოციალ-დემოკრატიის პუბლიცისტებისათვის“ (თხზ., ტ. 34, გვ. 369).

ვ. ი. ლენინის პოლემიური პუბლიცისტური სტატები იმითაც იქვეეს ყურადღებას, რომ თუაღლი გვეყვრით მათი რიზი მართ, რიზი მიმართულება: პოლემიკა — ელასობრივი მტრის წინააღმდეგ მიმართული და პოლემიკა — მეგობრის, ელასობრივი თანამებრძოლის წინააღმდეგ მიმართული.

სემოთ ჩვენ გაეყვრით ვ. ი. ლენინის ზოგიერთ პოლემიურ სტატისას, მიმართულს ელასობრივი მტრის წინააღმდეგ. ასეთი ხასიათის სტატებიან მოწოდება: აზიზლოს და გაანადგუროს იდეოლოგიური მოწინააღმდეგე. არავითარი დანდობა, არავითარი მეგობრული მზრუნველობა, რჩევის მიცემა აქ არ არის.

სულ სხვაა მეგობართან გამართული პოლემიკა. მაგალითად, როდესაც მაქსიმ გოკრის ან ინესა არმანდს ეკამათება ვ. ი. ლენინი, მის სიტყვებში ივრძნობა მეგობრული სითბო და სიყვარული. მეგობრისადმი და სახალხო საქმიანდმი, საერთო ინტერესებისადმი ზრუნვა მიზანი ვრთობა: წყორ გზაზე დააყვრის თანამებრძოლი, აესხნას სად სცდება და რაში სცდება დაარწმუნოს, რომ საჭიროა წამოყენებულა

დებულების შეცვლა, ურჩიოს, თუ როგორ შეცვალოს ეს დებულება. მეუბნებადი დიდი გულისმძევერებისა თავაზიანობისა ვ. ი. ლენინი მეგობრულ პოლემიკაშიც ინარჩუნებს მისთვის ჩვეულ მტკიცე მოითხოვნელობას, თბიჭტერობას და პარტიულ პრინციპულობას.

გაიხსენოთ ვ. ი. ლენინის კამათი მაქსიმ გოკრისთან, 1913 წლის ნოემბერში, როდესაც მ. გოკრი „ღეთისმშენებლობის“ მცდარ პოზიციას დაადგა, აღმყოთებელი ლენინი მას სწერდა:

„მჭირფასო ალექსი მაქსიმეს ყევი აბა რას სხადიხართ? — პირდაპირ საშინელებაა, დმერთმანი!...

გამოდის, რომ თქვენ „ღეთისმამიებლობის“ წინააღმდეგე მხოლოდ „ღროებით“ ხართ! გამოდის, რომ თქვენ ღეთისმამიებლობის წინააღმდეგე ხართ მხოლოდ იმისათვის, რომ იგი ღეთისმშენებლობით შეცვალოთ!

აბა ვანა საშინელება არ არის, რომ ასეოი რამ გამოგადით? (თხზ., ტ. 35, გვ. 113).

მეგობრული სითბო და გულისწყრომა იმაშიც მიჩანს რომ ლენინი ცდილობს გაერყევს, თუ საიდან, რა მიზეზით, რა არხით შეიძლება და შემოსულიყო გოკრის შემოქმედებაში ასეთი მცდარი შეხედულება. ამის შესახებ იგი გოკრის სწერს: „თქვენს სტატისას დავყვრებებით რომ ეყითხულობ და ეცდილობ გამოგესვლოდათ ეს მცდარანაწერი, ვაყვირებებს ვეძლევი. რა არის ეს? ნაშთები „აღსარებისა“, რომელთაც თქვენ თვითონ არ იყვრებდით? მისი გამოძახილი?“ (იქვე გვ. 115).

ასეთივე ხასიათისაა პოლემიკა ინესა არმანდთან. ინესა არმანდი მუშაობდა ბროშურაზე მუშა ქალებისათვის. ლენინი გაეცნო ბროშურის პირველ მონახაზს და მისცა არსებითი ხასიათის შენიშვნები, ურჩია დაეუბსტებინა ბროშურის გეგმა, მთლიანად ამოეღო ზოგიერთი საყვით, სადაც ბურჟუაზიული მოთხოვნა გამოუდიოდა.

ვ. ი. ლენინის მეორე წერილით ირყვევა, რომ ინესა არ დავთანხმდა, და როგორც ჩანს, ნაწუენიც დარჩა. ლენინი ევლად დინჯად, დაბეჭოთებით და მოთმინებით ცდილობს დაარწმუნოს მეგობრები ქალი, თუ რის გაყვრება საჭირო. შემდეგ მას გულახდილად სწერს:

„სწორე მოგახსენოთ, მე სულაც არ მიინდა პოლემიკა, ხალისით ვადავაგდებდი ამ ჩემს წერილს და ვადავებდი საქმეს საუბრამდე. მაგრამ მიინდა, რომ ბროშურა კარგი იყოს, რომ არავის აჩ შეეძლოთ ამოგლოფოს იქიდან თქვეთთვის არამასამოენო ფრახებუ (ზოგჯერ საქმარისია ერთი ფრახა, რომ ყველაფერი

გაფუქს... „არ შეეძლოს გადასახადებ-
რის თქვენი აზრები“ (თხზ., ტ. 35, გვ. 183).

საეზრანედა ლენინი მეგობრებისათვის,
ცდილობდა დადებითი ზეგავლენა მოეხდინა
მათი პრაქტიკის ხარისხის ამაღლებებზე, არ
დაეშვა მათი ჩავარდნებზე, ან წუნღებულნი ნა-
შრომების გამოშვება, იგი ასწავლიდა მეგობ-
რებს, რომ „მარქსიზმის მთელი არსი, მთელი
მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებუ-
ლება განვიხილოთ მხოლოდ (X) ისტორიულად;
(B) მხოლოდ სხვა დებულებებთან დაკავშირე-
ბით; (Y) მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ
გამოცდილებასთან დაკავშირებით“ (თხზ., ტ. 35,
გვ. 256).

ვ. ი. ლენინის როგორც ფერანალიზტის, პო-
ლიტიკური პუბლიცისტიკის დიდოსტატი,
კიდევ ერთი მკვირვარი თვისება იყო კოლგვიან-
ლობა, ამხანაგის აზრის მოსმენა, სამართლიანი
შენიშვნების გათვალისწინება. როცა ამის შესა-
ძლებლობა ჰქონდა, ლენინი თავის სტატიებს
ყოველთვის აკეთებდა მეგობრებს, ითვალის-
წინებდა მათ შენიშვნებს. შეიძლება გავიხსენ-
ოთ ვ. ი. ლენინის წერტილი ვ. ა. კარპინსკისად-
მი. 1917 წლის 24 მარტს იგი კარპინსკის სწერ-
და:

„ძვირფასო ამხანაგო! გამოგვიზავნეთ (ინესას
მეშვეობით) პირები „პრაქტიკისათვის“
დაწერილი ზემოთი სტატიისა — საუწყებოდ,
შესათანებებლად.“

„უცოდებლად უნდა დამიბრუნოთ ისინი
ორ შაბათისათვის“ (თხზ., ტ. 35, გვ.
317).

ვ. ი. ლენინი საუკეთესო რედაქტორი და
სტილისტი იყო. იგი ბევრს მემოიბდა გარე-
შე ავტორთა მასალების სწორებაზე. მას დიდ
სიამოვნებას გვოიდა მემუნიის წერილებში. ცდი-
ლობდა შეენარჩუნებინა მუშის ენის დამახა-
თებელი თავისებურებანი. საერთოდ, ლენინი
უაღრესად დიდ მომხიფხვლობას და სიტყვი-
ზეს იჩენდა მასალების გასწორებისას. არასო-
დეს არ ჩაუვლავდა ავტორს ორიგინალურად
წერის სურვილს, უთოოდ ინარჩუნებდა ყოვე-
ლივე აზრებებს და კარგს, რაც წერილში იყო.
ზოგჯერ ავტორს თავზიანად მიმართავდა
კითხვით: ხომ არ აქიბებდა, ეს ტერმინი ამ-
გვარად რომ შეგვეცვალა?

იმის შესახებ, თუ რა დიდ თავზიანობასა და
კოლექტიურობას იჩენდა ვ. ი. ლენინი თავის
რედაქტორულ მოღვაწეობაში, ნათელ წარ-
მოდგენას იძლევა ნ. კ. კრუპსკიას მოგონებე-
ნი. კერძოდ იგი მიუთითებს, რომ ლენინი სუ-
ლით ზორცამდე კოლექტივისტი იყო. „ცდილობ-
და რედაქციის თვითიული წევრი ბოლომდე
გამოეყენებინა, თვითიულიაგან ავლო, ის,
რისი მოცემაც მას შეეძლო. ჰქონდა ძალთა

შეხამების უნარი. სარედაქციო მემოიბა თე-
ოთ მასაც ბევრ რამეს აძლევდა ყველა წერტილს
მანში ჩაწედომით ის ძლიერ გველენს, ყველა
თანარედაქტორებზე და შეეძლო გაზეთი ისე
წაეყენა, როგორც საჭიროდ მიიჩნდა. ილიანი
ნამდვილი რედაქტორი იყო“ (ნ. კ. კრუპსკია
„ლენინის შესახებ“ მოსკოვი, 1960, გვ. 161).

ვ. ი. ლენინი ბევრს წერდა ხალხთა მეგობ-
რობისა და მშვიდობის საკითხებზე. იგი სოცი-
ალიზმში ხედავდა დიდი მავალითის ძალას.
მიიჩნდა, რომ საბჭოთა ხალხმა პრაქტიკული
საქმეებით უნდა აჩვენოს კომუნისმის მნიშვნე-
ლობა, სამეურნეო პოლიტიკით მოახდინოს
გავლენა მსოფლიოში მოვლენათა განვითარება-
ზე. „ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით, — წერდა
იგი, — ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ
ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერთა-
შორისო მასშტაბით უცილობლად და სა-
ბოლოოდ მოვიგებთ“ (თხზ., ტ. 32, გვ. 556).

ვ. ი. ლენინი კაპიტალისტურ ქვეყნებთან
საქმიანი ურთიერთობის მომხრე იყო. მას
მხურვალედ სურდა, რომ ახალი მსოფლიო
ომი შეუძლებელი გამზდარიყო, ხალხებს მშვი-
დობიანად ეცხოვრათ.

ვ. ი. ლენინმა თავისი პუბლიცისტური ნაწე-
რებით, უსამართლობის წინააღმდეგ, მშრო-
მელთა ინტერესების დასაცავად დაუცხრომე-
ლი ბრძოლით, ფართო მასებში სოციალისტუ-
რი შეგნების შეტანით, თავისუფლებისათვის
მებრძოლ ძალთა შემეხიდრობითა და დარაზმ-
ვით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევო-
ლუციის მომზადებთა და მისი ბრწყინვალედ
დაგვირგვინებით, კაცობრიობის ისტორიაში
პირველი საბჭოთა სახელმწიფოს დაარსებით
და მისი განვითარების შტაკაც საფუძელის
ჩაფრით, უდიდესი სამსახური გაუწია არა მარ-
ტო საბჭოთა ხალხს, არამედ მთელ პროგრესულ
კაცობრიობას.

ამიტომ არის, რომ ლენინი მშრომელთა ბრძე-
ნი მასწავლებელი, თავისუფალ და თავისუფლე-
ბისათვის მებრძოლ ხალხთა ფიჭრი და ოცნე-
ბაა. ყოველივე კარგს, პროგრესულს, ამაღლე-
ბულს, სპეტაკსა და კეთილშობილურს პროგრეს-
ული კაცობრიობა ვ. ი. ლენინის უკვდავ
სახელს უკავშირებს. ლენინს გულწრფელად
უმღერიათ მშრომელები მსოფლიოს ყველა
კუთხეში, მისი ნათელი სახე დიადი მომავლი-
სათვის საბრძოლველად აღანთებს მილიონო-
ბით ადამიანებს.

ვ. ი. ლენინის ფერანალიზტური მოღვაწეობა,
მისი პოლიტიკური პუბლიცისტიკა, ისე რო-
გორც მთელი მისი უკვდავი შემოქმედება, დი-
დი განძია საბჭოთა ხალხისათვის და მარტო
საბჭოთა ხალხისათვის კი არა, — მთელი პრა-
რესული კაცობრიობისათვის.

დამოწმებები გოეთეს „ფაუსტიდან“ ლენინის შრომებში

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა დიდი გერმანელი მწერლის გოეთეს მონუმენტური ნაწარმოებების — „ფაუსტისადმი“. ნ. კრუპსკაია თავის მოგონებებში გადმოგვცემს, რომ ციმბირში გადასახლებაში ყოფნისას ლენინს თან ჰქონდა გოეთეს „ფაუსტი“ გერმანულ ენაზე და ჰაინეს ლექსების კრებული. ცნობილია აგრეთვე, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებისას ლენინმა თან წაიღო ნეკრასოვის ლექსები და გოეთეს „ფაუსტი“. წერიალში (1916 წლის 11 აპრილის თარიღით) ნ. კრუპსკაია აღნიშნავდა კარპინსკის ვ. ი. ლენინის თხოვნას, სხვა წიგნებთან ერთად გაეგზავნათ მისთვის გოეთეს „ფაუსტი“, რუსული თარგმანი. ბარათში ლ. ფოტიევისადმი (1921 წლის 6 ივლისის თარიღით) ლენინი ითხოვდა ემოვათ მისთვის ჰაინეს ლექსების ორი ტომი და გოეთეს „ფაუსტი“, გერმანულ ენაზე.

ლენინის ინტერესი, ცხადია, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ „ფაუსტით“. სხვა ფაქტთან ერთად, ამას გვიდასტურებს ლენინის მიერ შეეიცარის სხვადასხვა ბიბლიოთეკის კატალოგების მიხედვით შედგენილი სია წიგნებისა. ამ სიაში მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა გვერდით მოხსენიებულია გოეთეს არა მხოლოდ „ფაუსტი“, არამედ სხვა ნაწარმოებებიც, კერძოდ, „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანი“, გამოცემული ტ. ფრიდრიხის მიერ 1915 წელს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოხსენიებულია გოეთეს თხზულებათა შრავალტომეულები. სიაში მოხსენიებულია, შავლითად, გოეთეს თხზულებათა ათი ტომი, გამოცემული ბერლინში 1893 წელს ლ. გაივერის მიერ, თხზულებათა სრული კრებული, 36 ტომი, გამოცემული 1868 წელს და თხზულებები 55 ტომი, გამოცემული 1887-

1912 წლებში (Ленинский сборник, т. XXX, Партиздат, 1937, стр. 267-277).

ლენინის შრომებში სამჯერის ვხვდებით ციტირებას „თვინიერი ქსენიებიდან“ გოეთეს ქვევით მოტანილი ოთხსწკარედისა, რომელშიც გერმანელი ფილისტერის დახატალება მოცემული:

«Was ist Philister?
Ein hohler Darm,
Voll Furcht und Hoffnung,
Dass Gott erbarm!»¹

პირველად გოეთეს ამ ლექსის ციტირებას ადვილი აქვს ნაშრომში — „რანი არიან ხალხის შეგობრები...“ შოაქვს რა მოხსენებული ოთხსწკარედი, ლენინი წერს: „ჩვენს ვითარებას ეს განსაზღვრა ცოტა არ იყოს არ შეეფერება. ღმერთს... ღმერთს ჩვენში მეორე ადგილი უჭირავს. სამაგიეროდ აი უფროსები — ეს სულ სხვა საქმეა. და თუ ჩვენ ამ განსაზღვრაში სიტყვა „ღმერთის“ ადგილას სიტყვა „უფროსებს“ ჩავსვამთ, — მივიღებთ რუსი ჰუმანურილიბერალური „ხალხის შეგობრების“ იდეური ფუნდამენტის, ზნეობრები დონისა და მოქალაქეობრივი გაბედულების ფაღრესად ზუსტ განმობატულებას“ (ლენინი, თხზულებები, ტ. I, გამოცემა IV, 1948, გვ. 306).

მეორედ გოეთეს ეს ოთხსწკარედი ლენინს გამოეწეებული აქვს შრომაში — „გრაფ გეიდენის სსოენას“. „რა არის რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული ფილისტერი კადეტთა და კადეტების ახლო მდგომი ბანაკიდან? ცარი-

¹ რა არის ფილისტერი? ცარიელი ნაწლავი, აღსაესე შიშითა და იმედით, რომ ღმერთი შეიწყალებს.

ელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ კონტრარევიოლუციური გემგმულე შეიწყალებს* (ლენინი, ტ. 13, 1950, გვ. 57).

გოეთეს იგივე ლექსი ლენინს გამოყენებული აქვს აგრეთვე, ნაშრომში „II ინტერნაციონალის კრიზისი“. „მოკვამდლენ, უფალო უფალო, შეკვიწყალენს აა არის ფილისტერი? — კითხულობდა ლასალი და უპასუხებდა პოეტის ცნობილი თქმით: „ფაუსტიერი არის ცარიელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ ღმერთი შემიბრალებს“ (ლენინი, ტ. 21, 1951, გვ. 271).

ვ. ი. ლენინის ინტერესი გოეთესადმი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ „ფაუსტიით“, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ლენინი ვინაიერებულ ინტერესს იჩენდა სწორედ ამ ნაწარმოებისადმი, რომლის ავტორსაც ის დიდ გერმანულ პოეტს უწოდებდა.

ლენინი კითხულობდა და თავის შრომებში აზურთვანს იმორჩებდა გოეთეს ამ ნაწარმოების ცალკე ადგილებს იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებსაც მეშათა მოძრაობის განვითარების ინტერესები აყენებდა არა მხოლოდ რუსეთის ყოფილი იმპერიის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომლებსაც აყენებდა დედამიწის ერთ შექვესებულ სოციალისტური რევოლუციის მომადებნისა და გამარჯვების, ახალი სოციალისტური მეტრეობის განვითარებისა და ორგანიზაციის ინტერესები.

დამაიწმებელ მასალად გოეთეს „ფაუსტიანი“ ლენინის მიერ აღებულია სამი ადგილი. ამთვიან პირველი თითქმის აფორიზმატუციული «Gruu, teurer Freund, ist alle Theorie. Und grün des Lebens goldner Baum!»¹

მეორეა — Von Buch zu Buch, von Blatt zu Blatts²

მესამეა — «Mein teurer Freund, Ich ra' euch drum

Zuerst Collegium Logicum»³.

უკანასკნელი ლენინს დამოწმებული აქვს შრომაში — „ბუნდის მდგომარეობა პარტიაში“, იმის ცხადსაყოფად თუ როგორ უპირისპირებენ ბუნდებები ერთიმეორეს სპეციალურსა და ზოგად საკითხებს, რომ ეს დამპირისპირება სპეციალური საკითხებისა ზოგად საკითხებთან, როგორც „ზოგიერთისა“ — „დანარჩენებთან“, ბუნდისეული „ლოგიური გაჩენვის“ უბადლო ნიშნა (ლენინი, ტ. 7, 1949, გვ. 101).

რაც შეეხება ზემოთ მოტანილ ადგილს — ყოველი თეორია, ძვირფასო მეგობარო, უფერულია, ცხოვრების ოქროს ხე კი მწვანეა.
2 წიგნიდან წიგნზე, გვერდიდან გვერდზე.
3 ზემო ძვირფასო მეგობარო, გირჩევთ ამიტომ უპირველესად ლოგია შეისწავლოთ.

მის არამთლიანი სახით ლენინი პირველად და თანაც რამდენჯერმე იმორჩებდა ნაშრომში „პარტიის როგორგანიზაციის შესახებ“⁴ მომადებნის ცანებთან დაკავშირებით, რომლებსაც აყენებდა იმ ხანებში რუსეთის მეშათა მოძრაობის გავითარების ინტერესები. „ახლა უკვე საშუალება გვაქვს არა მარტო დავარწმუნოთ, რომ გავრითანდნენ, წერდა ლენინი, არა მარტო პირობა ზამოვართვით, რომ გავითარდებიან, არამედ ნამდვილად გავავართვიანოთ როგორც ერთი, ისე მეორე ფრაქციის ორგანიზებულ მეშათა უმრავლესობის უბრალი ვადამკვეტილებით (ლენინი, ტ. 10, გვ. 26). „მართლაც და, სოციალ-დემოკრატიული მეშათა მოძრაობაში ინტელიგენტური და პროლეტარული (მეშათა) ფუნქციების თანაფარდობა, შეიძლება საქმიოდ უსუსტად გამოეხატოთ ასეთი სწავლი ფორმულით: ინტელიგენცია კარგად ზრევებს საკითხებს „პრინციპულად“, კარგად ხატავს სქემას, კარგად მსჯელობს გავითარების აუცილებლობაზე... ხოლო მეშუბი ავეთვებენ, უფერულ თეორიას სისხლსა და ხორცს ასახვენ“ (იქვე). „როგორც ყრბობაზე, ისე კონფერენციაზე, წერს ლენინი, ჩვენ შექმენით პარტიის გავითარების „უფერული თეორია“; ამხანაგო მეშუბი! დავეხმარეთ ამ უფერულ თეორიას სისხლი და ხორცი შევასხათ“ (იქვე, გვ. 27).

„ფაუსტის“ იმავე ადგილის სრულად დამოწმებას ვხვდებით ლენინთან 1914 წელს დაწერილ ნაშრომში — „რსდმ-ის მოხსენება ბრიტელის კონფერენციაზე“. ეს დამოწმება მოსდევს ლენინის მსჯელობის იმის შესახებ, რომ „მასობრივი მეშათა მოძრაობის პრაქტიკა არავითარ შემთხვევაში არ არის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე თეორია“, რომ „მხოლოდ ამ პრაქტიკის საშუალებით შეიძლება სერიალულად შემოწმდეს ჩვენი პრინციპები“ (ლენინი, ტ. 20, ვამოცემა მეოთხე, 1951, გვ. 656). აქაც როგორც ვხვდებით, „ფაუსტის“ მოხსენებელი ადგილის დამოწმება შინადა ისახავს ცხადყო მართებულობა, რომ თეორია პრაქტიკით უნდა მოწმდებოდეს, რომ მეშათა მოძრაობის პრაქტიკამ, ლეციადატორობასა და მის მოკავშირეებთან ბძძლის შედეგებმა ცხადყოვეს ბოლშევიკთა თეორიის სისწორე.

„ფაუსტის“ იმავე ადგილს იმორჩებდა ლენინი 1917 წლის აპრილში დაწერილ ნაშრომში — „წერილი ტაქტიკაზე“, იმ ახალ ისტორიულ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც მამინ ისმებოდა პარტიის წინაშე. ვ. ი. ლენინის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმის ცხადყოფა, რომ „საკირთა შევითვისოთ ის უდავო კეწმირიტება, რომ მარქსისტმა ანგარიში უნდა ვაუწიოს ცოცხალ ცხოვრებას, სინამდვილის ზუსტ ფაქტებს, და კვლავინ-

დებურად არ ჩაებლაუქოს გუშინდელი დღის თეორიას, რომელიც, როგორც ყოველი თეორია, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სახავს ძირითადს, ზოგადს, მხოლოდ უახლოვდება იმას, რომ მოაკეთას ცხოვრების სირთულე" (ლენინი, ტ. 24, გვ. 31-32). აი ამ ღრმად შეცნიერული დებულების მართებულობის ნათელსაყოფად იმორჩებენ ლენინი „ფაუსტიდან“ ზევით მოხსენებულ სიტყვებს.

ნაშრომში — „როგორ მოეწყობა შეჯიბრება“ ლენინი ცვლავ იმორჩებენ „ფაუსტის“ ამ ადგილს იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რასაც აყენებდა მეურნეობის ახალი ორგანიზაციის ინტერესები დედაშიწის ერთ მეექვსედზე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ (ლენინი, თხზულებები, ტ. 26, თბილისი, მეოთხე გამოცემა, 1952, გვ. 480).

ასევე ცხოვრების შერ დამდელ უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან დაკავშირებით იმორჩებდა ლენინი „ფაუსტიდან“ მეორე ადგილს — „წიგნიდან წიგნზე, გვერდიდან გვერდზე“. ნაწარმოების ამ ადგილს ლენინი იყენებს იმ ტიპის სწავლული თეორეტიკოსების გასაკრიტიკებლად, რომლებიც მონღოლებით აგროვებენ პატარა ფაქტებს, მაგრამ მოკლებული არიან ჭეშმარიტად მეცნიერული განზოგადების უნარს. ამ ტიპის „ობიექტურ“ სწავლულებს აკრიტიკებს ლენინი ნაშრომში — „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“. ადარებს რა მათ „ფაუსტის“ გმირს ვაგნერს და მოაქვს მათ დასახასიათებლად ვაგნერისავე მწარე სატირული შინაარსის სიტყვები. ამით ლენინი მოხდა ისახავს იმის ჩვენებას, რომ ეს სწავლულები არ არიან ნამდვილ მეცნიერები, არ არიან ის, რადაც თვითონ თავს თვლიან. ნამდვილად ობიექტური სწავლულები, არ არიან იმიტომაც, რომ ისინი პატარა ფაქტების იჭით არ იხედებიან, არ შეუძლიათ შეიმუშაონ თანმიმდევრული შეხედულებანი, საერთო წარმოდგენა მთლიანად მთელს პროცესზე (ლენინი, ტ. V, გამოცემა IV, 1949, გვ. 240).

„ფაუსტის“ ამ ადგილს იმორჩებენ, აგრეთვე, ლენინი იმ ტიპის სწავლულების გასაკრიტიკებლად, რომლებიც მოქცეული არიან ლოგოტიკური აზროვნების ტყვეობაში, თავს მარქსისტებად აცხადებენ, ნამდვილად კი ობობტუნიზმის ჰაობში იმყოფებიან. ამგვარ ობობტუნიზმს — ობობ ბუერის აკრიტიკებს ლენინი ნაშრომში — „კუბლიცისტის შენიშვნები“ და დასამორჩებელ მასალად იყენებს ქალაქ „ფაუსტის“ მოხსენებულ ადგილს (ლენინი, ტ. 30, IV გამოცემა, 1952, გვ. 434).

დამორჩებებს გოეთეს „ფაუსტიდან“ ლენინის შრომებში ენიჭება ფრიალ დიდი მნიშვნელობა იმის გასაკრევეად თუ როგორაა გავებული და მზატერულად განმორციელებული თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხი

თხი გოეთეს „ფაუსტში“, როგორია ამ უკანასკნელის იდეურ-მსოფლმხედველობრივი ხაზი. ლენინი, მართალია, არ იხილავს გოეთეს ამ ნაწარმოებს, მის პრობლემატიკას, ადგილებს „ფაუსტიდან“ იგი იყენებს როგორც საილუსტრაციო მასალას თავის თეორიული დებულებების მართებულობის ნათელსაყოფად, მაგრამ ის ვარეშობა, რომ საილუსტრაციო მასალად ამ შემთხვევაში „ფაუსტის“ ცალკე ადგილებია გამოყენებული, ამ საკითხსაც ფენს შექს თუ როგორაა წარმოდგენილი თეორიისა და პრაქტიკის დამოკლებულების საკითხი გოეთეს ნაწარმოებებში, როგორია, საერთოდ, ამ უკანასკნელის იდეურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი.

ეს იმტომ, რომ დასამორჩებულად, მართალია, ადებელია ნაწარმოების ცალკე ადგილები, მაგრამ ისეთად, რომლებშიც ამოკლებულია ის, რაც მთელი ნაწარმოებისათვის, ფაუსტის გოეთესული გავებისთვისაა ძირითადი და ნიშნდობლივი, ლენინის შრომებში „ფაუსტის“ ამ ადგილების დამორჩებებს ენიჭებათ ამიტომ წარმართული მნიშვნელობა მთელი ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი მრწამსის გასაკრევეად, ფაუსტისა და თვით გოეთეს მსოფლმხედველობრივი ევოლუციის მართალი სურათის დასადგენად.

„ფაუსტიდან“ ადგილების დამორჩებებათა მნიშვნელობას ამგვარ გავებას, ერთი შეხედვით, თითქოს აწელებს ის ვარეშობა, რომ ლენინს დასამორჩებულ მასალად მოაქვს არა შეერლის მსოფლმხედველობრივი მრწამსის პირდაპირ გამოხმატეული ფაუსტის სიტყვები, არამედ მეფისტოფელისა და ვაგნერის სიტყვები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად კი ის ვარეშობა, რომ დამორჩებული სიტყვების ავტორად არ გვევლინება ფაუსტი, ოდნავადაც არ ცვლის საქმის ვითარებას, არ უარყოფს, რომ ნაწარმოების ამ ადგილებში ჩატოვილი თვალსაზრისი არის თვითონ გოეთესი და მისი ფაუსტის თვალსაზრისი.

ასევე არავითარი საფუტელო არ არის დავკვედით, რომ ვაგნერის სიტყვებში — „წიგნიდან წიგნზე, გვერდიდან გვერდზე“ — ჩატოვილი ირონია ცოცხალი სინამდვილისაგან მოწყვეტულ განათლებაზე, ასახავს თვალსაზრისის თვითონ ფაუსტისა და ავტორისა, რომ ეს უკანასკნელი ირონი გადგებით უარყოფითად განწყობილი წიგნურ-ისტრაქტული განათლებლისა და არა ვაგნერი, რომელსაც ზევითკრიტიკებული სიტყვები ეუთუნის. წარმოატევაშს რა ამ სიტყვებს ვაგნერი. მართალია, ადგება თავისივე თავის გამოვლენის გზას, თვითონვე ცხადყოფს თავის მეცნიერულ უმწეობას, მაგრამ ეს როდნი ნიშნავს, რომ იგი შეგნებულად ადგება ამ გზას. მის ზევითმოხსენებულ სიტყვებში ჩატოვილი ირონია წიგნურ განათლებაზე, ამდენად, არის ირონია თვით გოეთეს და მისი ფაუსტისა.



ფაუსტის მოღვაწეობა იმის დადასტურებას წარმოადგენს, რომ, როგორც მეფისტოფელის, ისე ვაგნერის სიტყვები გამოხატავს მის, ფაუსტის თვალსაზრისს. თვით ის ვარაუდობდა, რომ ფაუსტი არ ემყოფილდება მწიგნობრულ-კაბო-ნეტროს საქმიანობით, ვადის ე. წ. „დიდ ქვეყანაში“, ამის დადასტურებად, სახელდობრ იმის, რომ მისთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს მეფისტოფელის სიტყვები თეორიისა და პრაქტიკის დამოკიდებულების შესახებ, ასევე ვაგნერის სიტყვებში ჩაქსოვილი ირონია აბსტრაქტულ-დოგმატიკურ განათლებაზე.

ამ საკითხში, აბსტრაქტულ-დოგმატიკური განათლების კრიტიკის საქმეში ერთი მეორეს ზღვებიან გზები ფაუსტისა და მეფისტოფელი-სა, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ მეფისტოფელის მიერ გამოთქმული კრიტიკა „უფერული თეორიისა“ გამოხატავს, პირველ რიგში, თვალსაზრისს ფაუსტისას და არა მეფისტოფელისას, რამდენადაც ფაუსტთან იგი ახალის, პოზიტიურის წარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენს იმ დროს, როცა მეფისტოფელთან უკლავარის უარყოფისა და განადგურების პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

„ფაუსტიდან“ ლენინის მიერ ადვალტების და-მოწმებებს ენიჭება წარმმართველი მნიშვნელობა ფაუსტოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემის, ფაუსტურის არსის გარკვევის, კონკრეტულად, ფაუსტურის გოეთესეული კონცეფციის დადგენის საქმეში. მათ ენიჭება წარმმართველი მნიშვნელობა გოეთესს ამ ნაწარმოების ძირითადი პრობლემატიკის გადასაწყვეტად. ცხადი ზღვა თუ რა მიმართულებით უნდა წარმართოს კვლევა, რა თეორიული წინამძღვრებიდან უნდა გამოვიდოდეთ, რომ პასუხი გავცეთ ამ საკითხებს. ცხადი ზღვა, რომ ამ საკითხების გადაწყვეტილის ამოსავალ დებულებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ფაუსტურში, კონკრეტულად, მის გოეთესეულ გაგებაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება პროგრესიულ და არა რეგატიურ ფაქტორს, კუშმარიტად მეცნიერულ და არა ანტიმეცნიერულ ფაქტორს. ამოსავალ დებულებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ფაუსტი დგას უნდა მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე, გარესამყაროსადმი მატერიალისტური დამოკიდებულების, თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების თვალსაზრის-ზე, პრაქტიკისათვის მსახურგული როლის მი-ნიჭებით.

იყენებს რა ადვალტებს გოეთეს „ფაუსტადან“ ლენინი, არაპირდაპირ, ცხადია, იმ საკითხსაც ფენს შუქს თუ როგორ აქვს გავებული თეორი-ისა და პრაქტიკის დამოკიდებულება „ფაუსტის“ ავტორს, პოზიტიურ ფაქტორს, მეცნიერულ ინტერესს აქვს მინიჭებული წამყვანი მნიშვნელობა ფაუსტის როგორც ახალი დროის მთავრობის მატერიალ სახეში თუ ნეგა-

ტიურს, არამეცნიერულს, მისტიკურსა და ზე-ბუნებრივს. ამავე საკითხს ფაუსტურში უნდა იქნის მიერ „ფაუსტის“ იმ ადვალტებს უნდა იქნება, რომელშიც მწერლის მწარე ირონია ჩანს განათლების იმ სისტემაზე, რომლის წარმოადგენლადაც ნაწარმოებში ვაგნერი გვეუცხვება დასამოწმებელ მასალად ლენინის წარმოებულ ნა-წარმოებს ამ ადვალტს გამოყენება, ვაგნერის ტიპის „ობიექტური“ მოაზროვნების გოეთესეული კრიტიკის გამოყენება იმ საკითხსაც ფენს შუქს თუ როგორია მსოფლმხედველობრი-ვი მრწამსი თვითონ ფაუსტისა. ცხადი ზღვა, რომ ფაუსტურის პრობლემის გოეთესეული გა-გების ცხადყოფისას ამ ვარაუდობას, ფაუსტურში პოზიტიურის, მეცნიერულის, ჯანსაღ მსოფლ-მხედველობრივის ცხადყოფას უნდა შევნიშოს მთავარი მნიშვნელობა. ასეთია უპირველესი, დი-დი თეორიული მნიშვნელობის დასკვნა, რომე-ლი „ფაუსტიდან“ ლენინურ დამოწმებათა შე-სწავლიდან გამომდინარეობს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულე-ბით მეცნიერებაში დღემდე არაფერი გაკეთ-ბულა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბ-ჰოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბ-ლიკის გოეთესეულებმა ჩაატარეს დიდი მუშაობა ფაუსტურის გოეთესეულ გაგებაში სწორედ ამ ჯანსაღ მსოფლმხედველობრივის წარმოსახე-ნად. მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევ-რია, თუ რას ენიჭება მსახურგული მნიშვნე-ლობა ფაუსტურის გოეთესეულ გაგებაში — პოზიტიურს თუ ნეგატიურს, დღეისთვისაც აქტუალური მნიშვნელობის, მეცნიერებაში მწვა-ვე დისკუსიის საგანდმცეულ საკითხს წარმო-ადგენს. ბერძენიულ მეცნიერებაში გაბატო-ნებულია ის აზრი, რომ მასში მსახურგული მნიშვნელობა ენიჭება არა პოზიტიურს, არა-მედ ნეგატიურს, მისტიკურ-ზებუნებრივის. ფა-უსტის აქ სახავან როგორც ზებუნებრივისა და ზედადმანურისადმი მსწრაფ მეოცნებეს, რო-მელიც მეცნიერებას არამეცნიერულ ამოცანებს უყენებს.

უტრადსაღებდა თუ როგორ აშუქებს ფაუსტის პრობლემას თანამედროვე ბერძენიული მეცნიერი, ბენო ვიზე. იგი გოეთეს ფაუსტში ხედავს არა ახალი დროის დიდ მთავრობეს, სინამდვილის მეცნიერული შემეცნებისთვის რომ ილწვის, არამედ ისეთ ადამიანს, რომელიც შე-უძლებელს მოათხოვს (Benno von Wiese. Die deutsche Tragödie von Lessing bis Hebel, Hamburg, dritte Auflage, 1955, გვ. 142). იგი ფაუსტს მიიჩნევს არა მხოლოდ ისეთ გმი-რად, რომელიც მთავის იყენებს, რათა მისი სა-წეალებით „ზედადმანურს მისწუდეს“ (167), არამედ ისეთად, რომელიც თვითაა შეპყრო-ბილი მავიერი სერვილებით (169), თავად მა-გიკოსია. იგი ფიქრობს, რომ ფაუსტი არის

„ზედამიანური სადმი მსწრაფი ღმონი“ (164), („თავად ღმონი“) („Selbst ein Dämon“ — 164), ღმონიერა მფლობელი“ (147), ეს ერთი მხრით, მეორე მხრით კი, მაგისტოს ღმონად მიზნულ ფაუსტს ვიხე თვლის მარად ღმონის შონად (172), „ღმერთის ტრავიელ მსახურად“ (იქვე), რომელიც ამ ქვეყნად თერმე სრულ იღუერ ქრას განიცდის.

გერმანიის ღმონკრატული რესპუბლიკის გოეთელოგია ისე, როგორც საბჭოთა გოეთელოგია, გადაჭრით დაუპირისპირდა ფაუსტერის პრობლემის ამგვარ ასნას, მაგრამ იმევე ყველას თავი ვერ დაუღწევია საკითხის იმგვარი გაგებისათვის, რომლის თანახმადაც ფაუსტურში მსახურელი მნიშვნელობა ანტირეალისტურს, ანტიმეცნიერულს და ანტისოციალურს ენიჭება. ასე, მაგალითად, კორფი არ უნაყოფი პოზიტიურობას გოეთეს ფაუსტისას, ლაბრაჯობს ფაუსტთან სიუოცლისმადგინებელი პრინციპის მოცემულობაზე, მაგრამ ფაუსტის პოზიტიურობის შესახებ ამ მსჯელობას საფუძველი ეცლება, როცა მკვლევარი იმავე ფაუსტს ტრავედის ბოლო სეენებისას ახასიათებს ისეთ გმირად, რომელიც, თერმე, ადამიანებისაგან მთლიანად განმარტებულია. (H. A. Korff. Geist der Goethezeit, II Teil, Leipzig, S., 379).

ფაუსტურის, კონკრეტულად გოეთეს ფაუსტის ამგვარი გაგების გამოახილი თავს იხენს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. უანასკელ დროს აქ ესვდებოთ იმის მტკიცებას, რომ ფაუსტური ადამიანი, ყრბოდ გოეთეს ფაუსტი, არის ის, ვინც ზელს იღებს მეცნიერებაზე, „მეცნიერების ვხით ქეშმარტებისა და საკეთის ძიებაზე“, ვინც „საერთოდ მეცნიერების რწმენას დაჰკარგა“, „შეუძლებლის შეძლებას აღიშნა“, „განასახერებს ადამიანის სულის კადნიერ ძალვას საკუთარ თავზე აღსამატებლად“. გამოდის, რომ ფაუსტი თერმე არის ის, ვინც შეუძლებლისა და განუხორციელებლის სფეროში იბრება და, ამდენად, განწირულია დასაღუბვად. ისტორიულ პარალელად მოაქვთ საფრანგეთის რევოლუცია, სახვეწ რა მისი დამარტების მიზნად იმას, რომ ამ რევოლუციაში თერმე „ფაუსტური ხასიათი მიიღო, თავისი ბურჟუაზული შეზღუდულობის დაძლევა სცადა“.

ფაუსტურის პრობლემა ჩვენი დროისთვის დიდად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი მეცნიერებაში ერთობ გაბუნდოვანებულია და საფუძველან გარკვევას მოითხოვს. ერთობ გაბუნდოვანებულია თვით ფაუსტურის არსის, ფაუსტური ადამიანის პრობლემა. ბუნებრივია ამიტომ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლენინის შრომებში „ფაუსტადან“ ადგილების დამოწმების შესწავლას, იმის სწორად

გაგებას, რასაც ეს დამოწმებები შექს ღუნენ „ფაუსტის“ პრობლემის მეცნიერულ შესწავლაში.

ხიზლირთქან

როგორც აღნიშნული გვერბდა, ერთერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც ამ პრობლემაზე მომევეგე „ფაუსტადან“ ადგილების დამოწმებების შესწავლის შედეგად უნდა გაეკეთოს, ისაა, რომ ფაუსტურში, ყრბოდ მის გოეთესეულ გაგებაში, მსახურელი მნიშვნელობა პოზიტიურ ფაქტორს მიანიჭოს და არა წეგატიურს, ფაუსტში რეალობის ნიადაგზე მდგომი მატერიალისტური მოაზროვნე დანახოს და არა წეზუნებრივისა და ზედამიანურისადმი, შეუძლებლისა და განუხორციელებლისადმი მსწრაფი, იღუერად დასაღუბვად განწირული მეოცნებე. „ფაუსტის“ ადგილების ლენინურ დამოწმებათა შესწავლას როგორც ზოგად ფილოსოფიური, ისე ლატერატურულ-ფაუსტოლოგიური პოზიციიდან მხოლოდ და მხოლოდ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გოეთეს „ფაუსტში“ წარმოგაჩინოთ განსალი მატერიალისტური ხაზი, ფაუსტი განათლების საუკუნის უდიდეს მხატვრულ განუოგადებელ მიწინიოთ.

„ფაუსტის“ პრობლემატიკის ამგვარი გაგებას მთლიანად მხარს უჭერს გოეთეს შემოქმედება, კონკრეტულად, „ფაუსტი“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი წარმოგვიდგება როგორც ახალი დროის პროგრესული მოაზროვნე, მატერიალისტი, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება შესაუკუნებობრივ იდეოლოგიას, ახლებურად სვამს აზრისა და არსის დამოკიდებულების საკითხს. ისინი, ვინც ფაუსტში წეზუნებრივისა და ზედამიანურისადმი, შეუძლებლისა და განუხორციელებლისადმი მსწრაფ, მეცნიერებისაგან გამდგარ ადამიანს ხედვენ, ცხადია, იმის აღიარებიდან გამოდის, რომ იგი არ არის რეალისტური, ცხოვრებისეული გმირი, რომ იგი დგას მკვეთრად გამოხატულ ანტიმატერიალისტურ პოზიციაზე. სწორედ ამგვარი წინამძღვრიდან გამოსული, ვიხე ფაუსტში ხედვას „ღმონის მაძიებელს“, რომელსაც, თერმე, ამქვეყნად იღუერად სრულიად დამარტებულს, ღმერთი გარდამოვლენს თავის მადლს. ფაუსტის ამ ქვეყნად სრული იღუერი დამარტების აღიარებამდე მიდიან თითქმის ყველა, ვინც მას შეუძლებლისა და განუხორციელებლისადმი დაწეებულ, მეცნიერებისაგან გამდგარ გმირად მიიჩნევს.

დასატურებს თუ არა ფაქტობრივი ეთაორება, რომ ფაუსტი ასეთი ანტიმეცნიერული გმირია, „თავად მეფიოსი“ და ღმონია, რომელიც ქეშმარტების მიღწევას მეცნიერების მიღმა ფიქრობს? ყერ განვიხილოთ თუ რამდენად განიხია საბუთიანობა მტკიცებას, რომ ფაუსტი შეუძლებლისა და განუხორციელებლისადმი ისწრაფვის, საკუთარ თავზე ზედამატებას ცდი-

ლობს. არაინ კონკრეტულად არ ღაპარაკობს თუ რა არის შექმნილი და განუზო-რციელებელი იმავი, რასაც ფაქტობრივად აღნიშნავენ მხოლოდ, რომ მას ყველაფრის ცოდნა სურსო. მაგრამ გოეთეს ნაწარმოებთან ეს ამბავიღარამც არ დასტურდება. იქ გამოყვანილი ფაქტობრივად იმის დასტურის, ვინც ამგვარი ყოვლისმყოფლობის სურვილითაა შეპყრობილი, კონკრეტულად, ვაგნერს. ფაქტობრივად ვაგნერს, რომელიც შექმნილი-სათვის კრიტიკულმა ფილოსოფიამ დააწესა. მაგრამ ეს განა იმის ნიშნავს, რომ იგი არამც-ნიერულ ამოცანებს აყენებს, განუზოციელებელს ისწრაფვის ცხადია, არა. ფაქტობრივად აზროვნების ისტორიის იმ მაღალ საფეხურს განასახიერებს, როცა ადამიანის შემოქმედებითი აზრი ისწრაფვის ღრმად შეიჭრას სინამდვილის სიღრმეში და ამ გზით საფუძველი ჩაუყაროს ახალ ცოდნას, მკვთიად განსხვავებულს შესაქმნებობრივ ცოდნისაგან.

და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფაქტობრივად იმის ამ ახალი სისტემის აგებას არა სინამდვილისაგან გაუცხოების, არამედ მასთან რეალური კავშირის გზით, ემპირიული მასალის შესწავლისა და განზოგადების გზით. იგი, მართალია, ხასიათდება დიდი რომანტიკული შემართებით, მაგრამ ესაა შემოქმედებითი რომანტიკა, რომელიც მისი პოზიტიური მიზანდასახულობის განუზოციელებლობისთვის ხელის შეშლისაა. ფაქტობრივად, მართალია, ხელდას თავისთავში ისეთ ძალას, რომელიც მის რეალურიდან მაღალი სფეროებისკენ ეწევა და ამდენად თითქოს საშიშროების უქმნის, რომ რეალურად მოწყდეს, მაგრამ ამგვარი საშიშროება გამოირიცხება, რადგან ფაქტობრივად თავისთავში ხელდას შიორე, პასტიმულირებელ ძალასაც, რომელიც მის მაღალ რომანტიკულ გარტებას რეალური სინამდვილითაა ხაზგარტავს და ატყვს. გოეთეს ფაქტობრივად ამდენად რჩება სინამდვილის ნადავზე, რეალურის პრიმატის აღიარების ნადავზე. ეს პრიმიტივი წარმოადგენს კონტრასტის გოეთეს მთელი მოღვაწეობისა და არსად იგი ისე სრულყოფილად არ ჩანს, როგორც „ფაქტობრივი“ ლენინის მიერ „ფაქტობრივი“ ადგილობის დამოწმება ამ ვარემოების დადასტურებას წარმოადგენს.

ფაქტობრივად სიღიად იმავი, რომ მასთან მსახურებელი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ პოზიტიურს, რომ იგი განუთარტების ვეღა საფეხურზე რჩება მატერიალურის პრიმატის აღიარების ნადავზე. მისთვის ძირითადი და წარმართველი ანთეიზმის ის პრინციპი, რომელიც სპარტაკომო დებულების სახით ჩამოყალიბებულია ფაქტობრივად მიერ სტენში, სადაც სახარების დებულებას — პირველად იყო სი-

ტყვა“ საპირისპიროდ წამოყენებულია უსაბულო დებულება „პირველად იყო სიჭეუ“ და შემდეგ ფაქტობრივად მეცნიერებისაგან გააღგარიაო. მაინც რაში ხელდავენ მის ამგვარ გაუცხოებას მეცნიერებისაგან? იმავი, რომ ფაქტობრივად ატოვა თავისი ძველი სამუშაო კაბინეტის და თანამგზავრად მეფისტოფელი ვაინადა, ე. ი. იმავი, რომ იგი ამიერიდან მეფისტოფელის დასპარტებით ცდილობს თავისი მიზნის განუზოციელებლას. გააქვს თუ არა იქ სიჭეუ მეცნიერებისაგან განდგომასთან? ერთი შეხედვით, ეს თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რამდენადაც ფაქტობრივად მართლა ტოვებს ტრადიციულ სამეცნიერო კაბინეტს და მეფისტოფელს იხდის თანამგზავრად. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად მეცნიერებისაგან ფაქტობრივად განდგომავრად ღაპარაკი მოკლებულია ყოველგვარ საბუთიანობას. „ფაქტობრივი“ ვითარება სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ამას ვიზე და სხვები ფიქრობენ, ისეთი კი არაა, რომ ფაქტობრივად ამიერიდან თითქოს მეცნიერებისაგან პრიმიტივულად განსხვავებული ერთი სვლის იწყებდეს, არამედ ისეთი, რომ იგი კავშირს იწყებს სამეცნიერო მუშაობის ძველ გზასთან, ძველ მეთოდთან და აღგება ახალ გზას, ცხოვრებაში ვასტლის გზას, ცოდნისა და ცხოვრების, თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების გზას.

რაოდენ პირველყოფილი იყო, ფაქტობრივად მიინც ატარებს წარსულის ნიშნებს ვადაწმინდის სახით. ასე წარმოგვიდგება იგი ტრადიციის დასაწყისში თავის სამეცნიერო კაბინეტში. და სრულიად მუნებრთვია, რომ მანამდელმა სამეცნიერო მუშაობამ იგი თავისი ღრობის მეცნიერების ჩამორჩენის აღიარებაში მთავრავს, ამ ფაქტის შეგნებაში კი განაპირობა მისი ვადაწმინდობა, საფუძველშივე შეცვალის კულევა-ძიების მეთოდიც, დადგეს ცოდნის ცხოვრებასთან დაკავშირების გზას. მეფისტოფელის თანამგზავრად მისობაა მხოლოდ და მხოლოდ ამ ასპექტში უნდა იქნას ვაგებულო.

იმის მტკიცება, რომ მეფისტოფელის თანამგზავრად ვადაწმინდა მოასწავებს ფაქტობრივად განდგომას მეცნიერებისაგან, წარმოადგენს ფაქტობრივად მეფისტოფელის დამოკიდებულების საკითხის საფუძველშივე მდარ ვაგებას, იმის დადასტურებას, რომ გოეთეს ნაწარმოებში გამოყვანილ მეფისტოფელს შეუძლია და ასრულებს კულევა-ძიების გარკვეულ საშახურის მისი პოზიტიური მიზანდასახულობის განუზოციელებლობაში. იხდის რა თანამგზავრად მეფისტოფელს, ფაქტობრივად არა თუ ხელს არ იღებს თავის პოზიტიური მიზანდასახულობაზე, არამედ მთელი გარტებით ეძლევა მას, პრაქტიკულად იწყებს მის განუზოციელებლას, როგორც ახალი ღრობის მეცნიერი. იგი ამის შემდგომ მტკიცედ დგას

რეალობის ნიადაგზე. რჩება შესაძლებელია და განხორციელებადის ფარგლებში.

როგორც აღნიშნული გვეონდა, იმის ცხადსა-ყოფად, რომ ფაუსტური ნიშნავს შეუძლებ-ლისა და განუხორციელებლისადმი დასაღუპ-ვად განწირულ მიზანსწრაფვასო, მოაქვთ საფ-რანგეთის რევოლუციის მაგალითი, მიანნათ, ამ ოვერლუციამ მარცხი განიკადა იმი-ტომ, რას „ფაუსტური“ ხასიათი მიიღო, „სა-კუთარ თავზე აღმატება, თავისი ბურჟუაზიული შეზღუდულობის დაძლევა სკადლი“. რაში ხე-დგენ კონკრეტულად ამ რევოლუციის ფაუსტურ ხასიათს? იმაში, რომ საშობლავეო საბჭიულ-ზე გამოვიდნენ იაკობინელები და დაისახა პერ-სპექტივა ბურჟუაზიული რევოლუციის დემოკ-რატინაციისა. მაშ რა გამოდის? გამოდის, რომ, ის, რასაც ფაუსტური ეწოდება, იგი თერმე, ეპოქულურად ფეწიფარ მკვლევანს წარმოად-გენს, და, როგორც ასეთი, განწირულია დასა-ღუპავად.

ბუნებრივად ისმება კითხვა: რა რჩება პრო-გრესული, განსაღ-მატერიალისტური ფაუსტურ-ში, კონკრეტულად გოეთეს ფაუსტში, თუ ყვე-ლაფერი, რისთვისაც იგი იბრძვის, არის შეუ-ძლებელი და განუხორციელებელი? ვიზება და სხვათა მტკიცება, რომ ფაუსტური შეუძლე-ბლისა და განუხორციელებლისადმი განწირულ სწორფვას მოსაწევებსო, ნიშნავს ფაუსტურში სწორედ პროგრესულის წამყვანი მნიშვნელო-ბის უარყოფას, ფაუსტის გამოყვანას მიწიერი რეალობიდან გამდგარ, უსაგნო მეოცნებე-ასეთი მტკიცება ჭკარს უსვამს ამ შხატვრული სახის დიდ შემეცნებით-აულტურულ ღირე-ბელებსა. უგაღვებელყოფს, რომ ფაუსტური ნიშნავს არა ქიმიკრებისადმი გამოდევნას, არა-მედ ცხოვრების მიერ დასმული კარდინალური საკითხების სწორედ მეცნიერულად გადაწყვე-ტის ახლებურ ცდას. ზემოთქმულიდან აშკარაა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფა-უსტურის, კერძოდ, ფაუსტურის გოეთესული გავების სწორი სურათის დადგენას, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ „ფაუს-ტიდან“ ადგილების დამოწმებათა შესწავლას ლენინის შრომებში.

ლენინის მიერ „ფაუსტის“ ადგილების დამო-წმებათა დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ იმა-ში მდგომარეობს, რომ ისინი გვაძლევენ მი-მართულებას გოეთეს ამ ნაწარმოების განსაღი მსოფლმხედველობრივი მრწამსის წარმოსაგე-ნად, არამედ იმაშიც, რომ გვაძლევენ მიმარ-თულებას სწორად გადაწყვეტილად ტრაგედიის ცალკე ნაწილების ურთიერთისადმი დამოკიდე-ბულებას, მეცნიერებაში მწვავე დისკუსიის საგნადქცეულად, ერთობ გაბუნდოვანბოლი საკითხიც. ისინი გვიჩვენავენ გზას წარმოვანიით გოეთეს „ფაუსტი“ როგორც შხატვრულად, ისე მსოფლმხედველობრივად მთლიან ნაწარმოებად,

რომელსაც ერთი მაგისტრალური ხაზი გაქდევს. ის ვარდობება, რომ დასამოწმებელ უმხატვალ ლენინის მიერ აღებულია ტრაგედიის მსოფლმხედველობრივი ნაწილი, ცხადს ზღის თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ტრაგედიის ცალკე ნაწილების მსოფლმხედველობრივი ხაზის ურთი-ერთისადმი დაპირისპირების იმ პრაქტიკისად-მი, რომელსაც ფესვი გაუდგამს ტრადიციულ ბურჟუაზიულ გოეთელოგიაში და რომლის გა-მომახილიც, სამწუხაროდ, ზოგიერთ საბჭოთა გერმანისტის შრომაშიც ვხვდებება, ცხადს ზღის თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი მიდგომა იმის მტკიცებისადმი, რომ ტრაგედიის პირველ ნა-წილში გატარებულია ანტიმატერიალისტური, სუბექტივისტური ხაზი, რომ ტრაგედიის პირ-ველი ნაწილის ფაუსტი მსოფლმხედველობრი-ვად და მორალურად მანკიერ გამირად წარმო-გვიდგებაო.

„ფაუსტიდან“ ლენინის მიერ ცალკე ადგი-ლების დამოწმებებიდან შუქი ეფინება იმ ჰემ-მარიტებს, რომ გოეთეს შიფელს ნაწარმოებს ერთი მსოფლმხედველობრივი ხაზი მსკვილავს, რომ ტრაგედიის მთავარი გმირი განსაღ მსოფ-ლმხედველობრივი პოზიციად დგას არა მხო-ლოდ ტრაგედიის ფინალში, არამედ მის პირ-ველივე სცენებში. ფაუსტი, ცხადია, ვითარდე-ბა, იღრმავებს და იმდიდრებს ცოდნასა და გა-მოცდილებას, ნაწარმოების ფინალურ სცენებში იგი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ი-ყოფება, ვიდრე პირველ ნაწილში, მაგრამ ეს არა-მცდარაა ამ არ იძლევა საფუძველს წარმოვ-გინათ მისი განვითარება როგორც გზა დაბუნ-დობიდან, ვოლუნტარიზმიდან სრულყოფისა და სიბუბლისაკენ, სუბექტივიზმიდან მატერია-ლისმიისაკენ. არ იძლევა იგი საფუძველს ტრა-გედიის პირველი ნაწილის ფაუსტის მანკიერ გამირად გამოცხადებისათვის, და მისთვის ამ ასპექტში ტრაგედიის მეორე ნაწილის ფაუს-ტის დაპირისპირებისათვის.

ლენინური დამოწმებები ფაუსტიდან სწო-რედ იმ ჰემმარიტებს ფენენ შუქს, რომ „ფა-უსტის“ ნაწილების მსოფლმხედველობრივი ხა-ზის ურთიერთისადმი დაპირისპირებას აზავი-თარი საფუძველი არ გაანჩნა. ფაქტობრივი ვითარება, თვით გოეთეს შემოქმედება ამ გა-რემოების ბრწყინვალე დადასტურებას წარმო-ადგენს, სახელდობრ იმის, რომ „ფაუსტის“ ეტორი, როგორც საერთოდ, თავის შემოქმედე-ბაში, ისე და, განსაკუთრებით „ფაუსტში“, ამ უკანასკნელის პირველი ნაწილის ჩათვლით, დგას მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგ-ზე. აბსტრაქტული-მეტაფიზიკური განათლების მოწინააღმდეგედ გვევლინება. ფაქტობრივი ვი-თარება სწორედ იმას გვიდასტურებს, რომ ტრა-გედიის პირველი ნაწილის ფაუსტიც გარესამ-ყაროსადმი ისეთივე მატერიალისტური დამოკი-

დებულების ნიადაგზე დგას, როგორც ტრაგედის მეორე ნაწილის ფაუსტი.

ზევით ნაწევრები გვექონდა, რომ ვოთეს ფაუსტის შესახებ არამც და არამც არ ითქმის, რომ იგი მეცნიერებისაგან გამდგარია, კუჭმარიტების მიღწევას მეცნიერების მიღმა ცდილობს: ნაწევრები გვექონდა, რომ ფაუსტური ადამიანის ძირითად ნიშნდობლივ თვისებას წარმოადგენს მატერიალისათვის მსაზღვრელი მნიშვნელობის მინიჭება, რომ მისი გულგატეხილობა მეცნიერებაზე არა საერთოდ ფაუსტი რებაზე გულგატეხილობას ნიშნავს, არამედ გულგატეხილობას შესაბუნებობრივ მეცნიერებაზე. ყველაფერი ეს ითქმის ვოთეს ფაუსტის შესახებ, საერთოდ, ტრაგედის პირველი ნაწილის ფაუსტის შესახებ, კერძოდ. უკანასკნელი სინამდვილისადმი ისეთივე რეალისტური დამოკიდებულებას იჩენს, როგორც ფაუსტი ტრაგედის მეორე ნაწილისა, იგიც მიწიერი რეალობის მხარეს იჭერს, პირველად მყოფობას, სინამდვილეს აღიარებს. უფრადსაღებში, რომ სწორედ ტრაგედის პირველი ნაწილის ფაუსტი უპირისპირებს საზრუნების დებულებას — „პირველად იყო სიტუაცია“ — თავის მატერიალისტურ დებულებას — „პირველად იყო სიტუაცია“. კერძოდ, მართალია, არ არის თავისუფალი წარსულის გადანაშთებისაგან, მაგრამ ძირითადი და მსაზღვრელი მნიშვნელობა მასში ენიჭება სწორედ ახალს, პოზიტიურს, ჯანსაღ მატერიალისტურს.

რომ ვოთეს ტრაგედის პირველი ნაწილის ფაუსტი მსოფლმხედველობრივად და მორალურად მანკიერ ვმირად ჰყავდეს მოფიქრებულში, რომ იგი მას მოფიქრებულ ჰყავდეს როგორც უკიდურესი სუბიექტივისტი და ცვოცსტრიაკოსი, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია, მან მხოლოდ ის იყო მოსალოდნელი, რომ მწერალი ასეთი გმირისაგან მკვეთრად გაიმიჯნებოდა. სინამდვილეში კი გზედავთ ამის სრულიად საწინააღმდეგოს, მწერალი არა თუ არ ემიჯნება პირინპობელ თავის გმირს, არამედ მას აქსტებს თავისი თვალსაზრისის გამოთქმას მყოფობისა და ადამიანთა ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. განა შესაძლებელი იყო მწერალს თავისი ცნობილი მატერიალისტური თვისი — „პირველად იყო სიტუაცია“ წამოეყენება დაეყრებინა ისეთი გმირისათვის, რომელიც მოფიქრებელი ჰყავდა, თურმე, როგორც უკიდურესი სუბიექტივისტი? ცხადია, არა. თვით ის ვარკობება, რომ ლენინი საილუსტრაციო მასალას იღებს „ფაუსტის“ პირველი ნაწილიდან, იმას ვკიდასტურებს, რომ ვოთეს ტრაგედის პირველ ნაწილსაც იგივე მატერიალისტური მსოფლმხედველობრივი ხაზი მსკვლავს, როგორაც მთელს ნაწილს იღებს.

ლენინის მიერ „ფაუსტიდან“ ადგილების დამოწმებას ენიჭება აგრეთვე წარმმართველი

ეს ჩანაწერები ცხადყოფენ, რომ პოეტს ჩაფიქრებული ჰქონია დიდი მხატვრული ტილო, რომელზედაც მთელი სიღრმადი გამოჩნდებოდა ლენინის ტიტანური სახე, მისი იდეების ცხოველყოფილობა, მსოფლიოს გადაკეთებისათვის ბელადის რევოლუციური შემართება და დაუცხრომელი მისწრაფება.

საინტერესოა იმავე წიგნაკში შემონახული ჩანაწერი დიდ მოღვაწეებზე. პოეტი მათ ინტარიული ვითარებისა და დრო-ჟამის მიერ წარმოჩინებულ „წინასწარმეტყველებს“ უწოდებს „ყველ, ფილოსოფოსებს, წერს ა. ი. ახაკიანი, —სწამდათ, როცა უფალი მოისურვებს ადამიანების სამყაროში გრანდიოზული საქმის გაკეთებას, თავისი ნების აღმასრულებლებს ისევე აღამიანებში ეძებს და ჩიხელთა შორის ჩიხელთ ირჩევსო. სხვანაირად რომ ეთქვათ, დროჟამი თავის პრობლემებსა და ამოცანებს მოცემული ეპოქის იდეებსა და მისწრაფებებს — მათი განხორციელების მიზნით თავს უყრის ერთ დიდ პიროვნებაში“.

იქვეა ახალი რუსეთისადმი მიძღვნილი პრძნული სიტყვები: „ყოველი ქვეყანას ჰქონდა თავისი საუკუნე. მეოცე საუკუნე რუსეთს ეკუთვნის. ოცდამეერთე საუკუნეს, ალბათ, თანას“.

წორად გაიანჭილებენ ყველა ქვეყნები და ამ თანასწორუფლებიანობას კაცობრიობებსა, ზიარებს რუსეთი“.

დაბოლოს, პროგრესული კაცობრიობის უსაზღვრო მოყრამლება ე. ლენინისადმი პოეტმა დიდი სიყვარულით გამოხატა თავის პატარა მოგონებაში — „შთაბეჭდილება ლენინის გარდაცვალების გამო“ (1939 წ.).

„1924 წლის 23 იანვარს, ვენუეთს თეატრ „ფენიქს“-ში, — იგონებს პოეტი, — მსოფლიოში ცნობილი ზეხი მევიოლინე იან კუბელიკი კონცერტს ატარებდა...“

დიდი მუსიკოსის უზადო ხელოვნებით მოქაღობული საზოგადოება ისე ჩუმიად იყო და ყველანი ისე გიატებით უსმენდნენ კუბელიკს, გვეგონებოდა, წინასწარ მოუღაპარაკებიათ, კრინტა არავის დასდებო... დრო და დრო მშვენიერ დარბაზს მჭებარე ტაში აზანზარებდა. როცა იან კუბელიკი შორიგი მელოდის დაწყებას აპირებდა, ერთივე ვენზოთი, ვილც კაცო ფეხათრევით გამოვიდა სცენაზე, დნქალ მიუხლოვდა რამას, ერთ წამს ჩუმიად იდგა და შემდეგ სიტყვების დამარცვლო წარმოთქვა:

„მოსკოვიდან ღებეშაა — გარდაიცვალა ლენინი“.

ეს იყო და ეს, მტეტი არაფერი...

ნიავეით გადაურბინა ჩურჩულმა დარბაზს, იქ მყოფთ ცივმა ერთანტელმა დუარა. მძიმე, სამარისებურმა დემილმა დაისადგურა.

ყველამ თავები ჩაჰიდა, ყველა ფიქრს მიეცა, თვითთელი მათგანი თავისი გულის პასუხს უსმენდა.

ასეთი შემაძრწუნებელია დიდი ადამიანის სიკვდილი. კუბელიკი გუნწრეულად იდგა, თავჩაქანდრული, დაფიქრებული. უეცრად მუსიკოსმა ქამანი აღმართა, ვიოლინოს ლარებზე დუშვა — ყველა უურადლებით მაჩერდა მას — და როგორც კი ქამანი მოსწია, ყველა ჩვენგანმა ვარკვევით გაიგონა აყენსებული ვიოლინოს მთოქმა — „ლენინე მორტო“ (მოკვდა ლენინი).

ამან განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა მყოფებზე. მთელი დარბაზი ვაქვავდა. ცოტა ხნის შემდეგ ქანდარებზე და აჟა-ჟა პარტურში ოხერა და ცრემლნარევი ხმები გვისმა

კონცერტის დასასრულმა ცივად ჩიიარა, აღფროთოვანება ვაქრა, ტაშის დაყერა აღარავინ გახსენებია.

როცა გარეთ გამოვიდი და ხალხმრავალ ქუჩებს მიყვებოდი, ასე მეჩვენებოდა თითქოს წუთისოფელი დაცარიელდა და ამთერიდან ქვეყნად კაცი აღარ დარჩა“.



საპრობლემატიკა

სომეხი მოძღვარი დავით ქობაიძე იყო იმდროინდელი თბილისის „საქართველოს“:

„ქამბე ერთი წლით ადრე, ამრიგად ახალი ცივილიზაციის სათაზე, დაბნელება მზე და მთლიანი ნიშნები გამოჩნდა: მეფის კარავი გაიშალა. ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ მეფისაგან განდგომა და გამოქვეყნება კიდევ შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტზრახვითა განსაზოგადებულად. ორბელემა — ივანე სპასიალარმა, მისმა წამოღობარმა, მათმა შვილებმა და ნათესავებმა გადაიხიარეს იმავე მეფის მძიმე წესი, მიუხედავად აჯარაყის სიმაგრეში და გაამეფეს, რათა ეგრავის შესძლებოდა მათი საქმისათვის ხელის შეწყობა“.

ეს მეფე გიორგი მესამეა. მის წინააღმდეგ ანებდრებული მძიმე დემეტრე დავითის ძეა. ივანე ორბელი კი ერთობილი საქართველოს ამირსპასიალარი და დემნა ბატონიშვილის სინამრთვი.

1178 წელს დემნა ბატონიშვილმა მამის ტახტის დაბრუნება ვადაწყვიტა და ბიძის ამბოხი მოეწყო. აქანებულ დემნას თავდაპირველად მიზნობიანი ივანე ვარდანიძის ძე, შოთა ძე ართავიძის ძისა, ლიპარიტ სუმბატის ძე, ანანია დვინელი, ჭავჭავაძე შვილებითურთ, დიდი გამოტყულო, შემნა ჭაყალი. მასან კავნის პატრონი, კრიგოლ ანელი ამირატის ძე და სარგის მხარგრძელი შეილითა და მძისწელითა.

მეფის ბედი ბეწვევ ეკადა. იგი მცირე ამალით სხატეს მდგარა. ამბოხებულთ ულონო მეფის დამტოვა ეწადათ. მაგრამ გიორგი მეამბედავმა უღალატა ნებისყოფამ და სიმშვიდემ ერთიველ ყუბასარ ყიფიანს მოუხმო. სასწრა-

ვოდ თბილისს დაბრუნდა და აქანებულთა შესახებდრად მოეშადა. დემნა ბატონიშვილისა და ივანე ორბელის მომხრენი არ ელოდნენ საქმის გაკვირებებს. მათ უნდოდათ, ელვის უსწრაფესად მოეშოთ მეფე. მაგრამ შაინც დაუგვიანდათ, რაჟი შეატყვეს, გიორგი მესამე ცოცხალი თავით არ დათმობსო ტახტს, განდგომილთა ბაზიკი გაითიშა. პირველმა დიდმა გამოცემამ უღალატა დემნას. იგი მეფეს ეახლა და პატრება თხოვა. გამოტყველს ანანია დვინელმა იბიზა. ასე თანდათან დადნა დემნა ბატონიშვილის ლაშქარი. მაშინ გიორგი მესამემ შეუტია აქანებულთ და ზედხედ წაართვა ციხენი და სინამრთვი. ბედისწერის სასწრაფო მეფის მხარეს გადასხარა. დემნა ბატონიშვილს კისმამა ემტყუნა. დ. სწორედ მაშინ უღალატა უცხოელს. უორველა სარგის მხარგრძელმა: „წამოუვიდა დემეტრეს სარგის მხარგრძელი, შეილითა და მძისწელითა მისითა“.

დემნა ბატონიშვილი დამარცხდა. უსისტრეისად იხია შერი გიორგი მესამემ: დემნას თვალები ამოწვეს და დაასაფურისეს, ივანე ორბელის ოჯახი ამოწვეიტეს.

გულგრილმა მემამიანემ სხარტად და მშრალად მიწერა მანუსკრიპტის არშიაზე: „ქს: ტეს: დანამამითვან: ხლპ: აქა დემეტრე გადგა და ორბელნი დახოცნეს“. ეს იყო და ეს. ვილად უსახელო მექრონიკემ უფრო მეტად არ შეიწუხა თავი მემამოხეთა ბედი. საშავიგროდ გიორგი მესამემ იგულუხვა: თანადგომთა სასარგებლოდ „ვასცა უზომო, უანგარიშო, უღვევი“, დაჯილდოებულთა და დაწინაურებულთა შორის იყო სარგის მხარგრძელიც.

ვინ იყო ეს ეშმაკი, წინადახედული და ანგარინშიანი კაცი, რომელიც ღერწამივით მყისვე

იქით გადაიხარა საიდაე გამარჯვების ქარმა დაბერა? ვინ იყო ეს ცაცი, ვინც მხარგრძელთა სახლის საეკუენენახევიანნი ბრწყინვალე კარ-ერა დაიწყო? ამის შეტყობა საინტერესოა იმიტომაც, რომ ამჟამის ეპოქაში მხარგრძელთა საეკარკულოს სამი შტო დაწინაურდა — საეკარაე მხარგრძელნი, ამოგველნი და გაველნი.

„...ბრველ ქვემოთი საზამპროთი ვაგი იყო, რამეღნი ჰქონდა ზაქარაის მხარგრძელსაეე, ვარამის მინასა, და ესენი მუნ მონაპრობდეს...“

ამოღმართ პროკურტი იყო და ტამირი, სადა ზაქარაი და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ლომურად...

და ზემოთ წაეახეთი, სადა სარგის მხარგრძელთე ამოგველი და შალვა თორელი მონაპრობდეს...³

ვარდან დიდი „პარამეთონ ტიეზერაკაწა“ წერს: მხარგრძელნი ხოგორნიელები იყენენო⁴ ზოგორნი ქვემო ქართლშია (დღეს ეს სოველი მარნეულის რაიონშია). ქართულ ისტორიულ წყაროებში ქვემო ქართლი „სომხითის“ სახელით იხსენიება. ქართლელი მემატრიანენი ტომონისს „სომხითს“ ორი — ერცელი და ვიწრო — მნიშვნელობით ხმარობენ. ერცელი მნიშვნელობით სომხითი აღნიშნავს სომხეთს — ბრმენისს, ვიწრო მნიშვნელობით კი — ქვემო ქართლს. დავით მტკვალშვილის სიტყვათ, „...სომხითად (ქართლის სომხითად)“ ფეოდალური ხანის ვეიან საუენენებში იწოდებოდა, ზვეულებრივ, სრულიად გარკვეული ტერიტორია, რომელიც მოიცავდა ბოლნისის (ფელდაურის) ხეობას, ტალავრის ხეობას (დღ. ტალავარ-ჩაი), მანუტის ხეობას (დღ. სახზავანი ჩაი), შელავერის ხეობას (დღ. შელავერ-ჩაი) და დებედას ხეობას ლორე-ტამირისა და ბამბაყის გამოკლეებით.⁵ ეს ტერიტორია, დღევანდელი აღმინის-ტრაციული დაყოფით, დაახლოებით უდრის მარნეულის, ბოლნისისა და ღმინისის რაიონებს.

თუ ქართული მატრიანე ქვემო ქართლს სომხითად იხსენიებს, სომხური საისტორიო მწერლობა სომხითს „ვრაცდამტ“-ს (*ვრაცეკაჯა*) — ქართველთა ეელს“ უწოდებს.

სომხითი რომ ყოველთვის ძირველ ქართულ ტერიტორიად მიიწვიდა, ამას, გარდა ტომონისისა „ვრაცდამტ“, დასტურებს სხვა სომხური ენობაც. X საუენენში ანისის სომხეთის მეფეებმა ქართველებს სომხითი — ვრაცდამტო წაბოივეს და სამეფო ტიტულს — „სომეხთა მეფე“ — ქართველთა მეფის სახელიც მიემატეს. ბრენის ტაძრის 992 წლისა და აღამნის ტაძრის 1001 წლის წარწერებში ამოტ მოწყყლის ასული სოფთა მოხსენიებულა „სომეხთა და ქართველთა დედოფლად (*ჯაიე ს ვრაცე მარკიანი*). ხოლო 1010 წლის ანისის საკათედრო ტაძრის წარწერაში მეფე ვაგის „სომეხთა და ქართველთა შანშაპ“ (*ჯაიე ს ვრაცე ჯანსუკი*) უწოდებო⁶. ანისის სომხეთის

სამეფოში სხვა ქართული ტერიტორია, გარდა ვრაცდამტისა, არ შედიოდა. მაშასადამე... სომეხთა ბავრატუნები ქართველთა მეფეებად სომხითის დაპყრობის წყალობით განდგნენ.

როცა ქვემო ქართლი (=სომხითი) ანისის სომხეთის სამეფოში შედიოდა, ამ მხარის ცენტრი სამშვილდე იყო. სომხური მატრიანებში სამშვილდე ყოველთვის ქართული სახელით (*შამჯიკის, წამჯიკის, წამჯიკის*) იხსენიება. ესეც იმას მოწმობს, რომ ეს ტერიტორია ქართულია და ძირითადი მოსახლეობაც ქართველებია. ამას სხვა სომხური წყაროებიც ადასტურებენ. ქვემო ქართლის ვრაცდამტზე ადრინდელი სომხური სახელი „ვე-გარტა“-ია. „V საუენისის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი ლაბარაკობა სომხეთის მეზობელი ქვემო ქართლის სამთავროს შესახებ და მის მმართველს ხან „ვე-გარულთა ბდუშის“, ხან კი „ბებრთა დიდ ბდუშის“ ეხაზის“, წერს ვიორგი მელიქიშვილი⁷. გუგარტი ქართულ მიწაწყლად მიანინა იოანე დსანსანაკერტელსაც.

„მეფისწული ამოტ მეფე ვაემართა, წაივდა და მიადწია ვეგართა მხარეს, დიდი სიმავრის მახლობლად, რომელსაც ქართულად შამშულდე, ე. ი. სამი მშვილდი ეწოდება“ (*ჩახ აყაყ შაგაიორის აკაი არკაიორის ჯაიერ ზეწაიერ ჯათანხერ ქი ლიძეის ზოკარაყ მხერ კამარტის მხერ ირ ქი ჩხვიი ვრაცე წამჯიკის აკაიხერს ხერს ხხითს ანისიჩი*)⁸. მართალია, იოანე აშკარად არ ამბობს, ვეგარტლები ქართული ტომიო, მაგარამ ეს თვისითავად იგულისხმება სამშვილდე გუგარეთშია. სამშვილდე ქართული სახელია (იოანე ცდილობს განმარტოს კიდეც: სამშვილდე ე. ი. სამი მშვილდიო). ვეგარტლები, თუ ქართველები არ იყენენ, რად დაარქმევდნენ ვეგარტის ცენტრსა და დიდ ციხე-სიმაგრეს ქართულ სახელს? ამის გარდა, იოანეს სიტყვით, ქართველებსა და ვეგარტლებს ერთი მეფე მყავთ: „იმდროინდელი დენის ვამო მე, როგორც მწირი, ვეგარტლთა და ქართველთა შორის ვიმყოფებოდი დიდად ბრძენ აღანასესლთან, რომელიც მეფედ იყო იმ მხარეში“⁹.

ქართველისა და ვეგარტის ცალკელებს ხენება არ უნდა გაგვეკვირდეს. „ქართველ“ ძველ ისტორიულ წყაროებში ორი მნიშვნელობით იხმარება. იგი აღნიშნავს საერთოდ ქართველსაც და ქართულსაც: „იხილა რა პირი სომტიკისა, ქართველთა, პერ-კახთა ვანეხარნის“... „შეიქმნა ომი ძლიერი აქაც ქართველთა და მესხთა ზედა“... ასეთ შემთხვევაში „ქართველს“ ყოველთვის „ქართულს“ მნიშვნელობა აქვს. დავით გურამიშვილიც ხომ ასე ამბობს: „ქართველების აღმა ხნული, კახელებმა დაღმა ფარცხესო?“ აქ ხომ ქართლ-კახეთის უაზრო მტრობაზეა ლაპარაკი! იოანეც ასეთი ვიწრო მნიშ-

ენელობით უნდა ხმარობდეს ეთნონიმს „ქართველი“.

ძველი გეოგრაფი — სომხითი — ვრაცდამტი საფუძვლიანად შეისწავლა ლევან მუსხელიშვილი და დაასკვნა: „უძველესი მოსახლეობა აქ ქართულია, ალბათ, სომხური ელემენტის მცირე შენარჩევით“¹⁰.

ამიტომაც არის, რომ, ნიკო ბერძენიშვილის აზრით, „ქართის ელტერის აჯანი აქ დაირჩა, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი ელტერისა (ქართის ელტერისა)“¹¹. ამ რიგად, მხარგრძელნი ტერითარიულად ძირითადი ქართული მიწა-წყლას მკვიდრნი არიან.

ისტორიული სომხითის (=ქვემო ქართლი) დღევანდელი მოსახლეობა ურელია — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძენები, რუსები. ხალხს ეს აღრევა ისტორიული ძველებდომის შედეგია. ცხადია, თავდამბრუნვლად ასე არ ყოფილა. სომხითის მკვიდრი მოსახლეობა ყოველთვის ქართველობა იყო. რა თქმა უნდა, ვრაცდამტში, როგორც სომხეთის (არმენიის) მოსაზღვრე და მეზობელ მხარეში სახლობდნენ სომხებიც. ამას ტომონიმიაც მოწმობს. მაგრამ ქართული ისტორიული წყაროები ყოველთვის განასხეავენ სომხსა (არმონისსა) და ქვემოქართულს. ქვემოქართულს ქართულ საინტორიო წყაროებში სომხსა არ უწოდებია. როგორც უნობილია, სომხითარი ისევეა ნაქართობა, როგორც ოპირარი (ოპაზა — ოპიზარი), ოლთისარი (ოლთისა — ოლთისარი) და სხვანი. არ-ელის მსგავსად, საფერობის აღმნიშვნელი ბოლოსართია. თუ ქართულ მატრიცაში სომხითი ხანდახან სომხეთის (არმენიის) აღსანიშნავად იხმარება, სომხითარი არასოდეს აღნიშნავს სომეხს (არმონისს), ქართულ მატრიცაში სომხითარი ყოველთვის მხოლოდ ქვემოქართულს აღმნიშვნელი ტერმინია. სომხურ წყაროებში სომხითარის შესატყვისი ეთნონიმი არ არის. ქვემოქართულს სომხური წყაროები საერთოდ ქართველისაგან არასოდეს გამოარჩევენ და, როგორც წესი, ვრაცდამტელის აღსანიშნავად იხმარება **ქართველი** (ქართველი).

ძველი სომხური საისტორიო წყაროები ასევე არ იცნობენ ვეარის — მხარგრძელი — შესატყვისს. დღევანდელი სომეხი ისტორიკოსების მიერ გამოყენებული სიტყვა „ერკაინაბაზუც“ ჩვენ ღრთობია შექმნილი და წარმოდგენს ქართული მხარგრძელის სიტყვისიტყვი თარგმანს თუ მხარგრძელნი სომეხ ფეოდალთა სახლი იყო, მაშინ რატომ არ იცნობს ძველი სომხური საისტორიო წყაროები ამ ვეარის სომხურ სახელწოდებას? ეს ასახსნელია. ჯერ-

ჯერობით ამ კითხვას დღემოლით უნდა ვეპირდეთ ისტორიკოსები.

მხარგრძელთა ეროვნულ ვიწრობას აღნიშნავს ორი ძველი სომეხი მხარგრძელი ვარდანი და კირაკოს განმაცელი. მაგრამ არცერთ მათგანს არ უთქვამს, მხარგრძელნი ვროვნებით არ წარმოშობით სომეხები იყვნენ. ვარდანი ასე ამბობს:

«В это время жили славные князья Закаре и Иване, сыновья Саргиса, курдские и перселинские, перешедшие к Диорогетским царям из рода Багратуни, принявшие христианскую веру и получившие почести»¹².

ამ ციტატის მიხედვით ვასაგებია, რომ სარგისი და ძენი მისნი ზაქარია და ივანე ჩამოსახლებული ქერდნი ყოფილან. მაგრამ გუთვებარი რჩება — ტომობრივად ვინ არიან ქერდნი, ვინ გადასახლდა და როდის ძოროგეტელი ბაგრატუნების კარზე (სარგისს, ივანეს და ზაქარიას ეს გადასახლება არ გულისხმობს, რადგან მათ დროს ძოროგეტელ ბაგრატუნთა სამეფო უკვე აღარ არსებობდა), საიდან ჩამოსახლდნენ ქერდნი.

როცა ვარდანი ვიორგი მესამის მიერ ანისის აღების ამბავს ვიყვება, ამბობს, რომ ანისის გამგებლად მეფემ «назначил Саргиса, князя из рода Закаре»¹³. აქ ვიკვებთ, რომ სარგისის მამას თუ პაპას ზაქარია რქმევი, მაგრამ რა გვარულობას ეკუთვნოდა ეს ზაქარია არ ვიცით და არც მისი ეროვნული ვინაობის ვამთა ჩიმიც თქმულია.

ვარდანის მსგავსად, კირაკოს განმაცელიც ქერდების ტომს აკუთვნებს მხარგრძელს:

„ღეონ სომეხთა მეფის მეფობის დროს აღმოსავლეთში იყო ორი შმა, ძენი კეთილშობილი მთავრის სარგისისა, ძისა ვარამისისა, ძისა ზაქარიასის, რომელიც გამოეყო ქერდებს. პირველის სახელი იყო ზაქარია, მეორესი — ივანე, კაცი მხენი, პატრიცემულინი ქართველთა დედოფლის თამარისაგან, ასულისა მხენ ვიორგისა, ძისა დემეტრისა“¹⁴.

ვიღრე „ქერდი“-ის ვამო დეიწყებდეთ მსყელობას, მხარგრძელთა ვინაობის ზოგიერთ არაპირდაპირ მიითთებას ვავეცნოთ.

1250-იან წლებში ფრანკოსეკლმა ბერმა რუბრეკისმა მონღოლეთში იმოგზაურა. სამშობლოში მიბრუნებულმა გზად ამიერ-კავკასიაში ვამოიარა და საქართველოსა და სომხეთის ამბების აღწერილობაც დავეიტოვა ერთ აღივას ოგი წერს:

„ჩვენ ნაქსუა ნათლიების კვირაში დაეტოვეთ, ვინაიდან თოვლმა დიდი ზნით დაგვაგვიანა. ოთხი დღის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ სპენზას (ეს სპენზა შანშუ-შანშუ მხარგრძელია, ძე ზაქარიასი — ა. ბ.) ქვეყანას. ეს სპენზა წინათ მეტად ძლიერი ქართველი ყოფილა, მაგრამ დღეს ხარკს აძლევს თათრებს, რომელთაც უწელა მისი ციხე-სიმაგრე ვაუნაღურე-

ბოთ, მამამისს, სახელად ზაქარიას, ეს ქვეყანა სომხებისაგან მივლია და ის სარკინოზების უღლისაგან გაუთავისუფლებია¹⁵.

აქ მკადიოდ ნათქვამია, შანშე მხარგრძელი ქართველია, ხოლო ქვეყანა, რომელსაც იგი მართავს, სომხეთია.

რუმბრუციუსის ცნობა სანდოა. იგი მშვენივრად იცნობს შანშე მხარგრძელის ოჯახს. მაგალითად, ფრანცისკელი ბერი შანშეს ერთერთ შეიღს ზაქარიას ასე ახასიათებს: „ზაქარია ლამაზი და ჩინებული კვახია... ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ თუმცა ყოველივე უხეად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს შათი უღლის ქვეშ¹⁶. ზაქარია შანშეს ძემ ეს დახასიათება გაამართლა. მან მონაწილეობა მიიღო მონღოლთა წინააღმდეგ დავით უღეს მიერ მოწყობილ აჯანყებაში. აჯანყება დამარცხდა და, სხეებთან ერთად, ზაქარია მხარგრძელი-მცირეც შეიპყრეს. კირაკოს განმაცელის ცნობით, ზაქარია მონღოლებმა ნაეფ-ნაეფუ აქნეს და მისი სხეულის ნაჭრები ძაღლებს მიუღვდეს შესაჭმელად. როცა ეს ამბავი მამამისმა შანშემ შეიტყო, მეღანქოლიმ შეიპყრო და მალე დარდიტ გარდაიკვალა.

ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში ზაქარია მხარგრძელი-მცირეს სიკვდილის შესახებ ნათქვამია: 1261 წელს ჰელაგუ ილხანის კარზე მოქალა იბერიელი მხედართმთავარი ზაქარია, ძე შაჰან-შაჰისა (რუსული თარგმანით: «В 1261 году при дворе Хулаву Элхана был убит иверийский главнокомандующий Закаре, сын Шахан — Шаха») 17. ეს გარდაღის სიტყვებია და, როგორც ხედავთ, თვინიერ ყოველგვარი ორქოღობისა, წერილი — «ივერიისიი главнокомандующий».

ძველი სომხური საისტორიო წყაროების თანახმად, ივანე მხარგრძელს ჰყავდა ასული თამთა, რომელიც ხლათის სულთნის ცოლი იყო. სარგები ისტორიკოსის კ. პატკაციის სიტყვით, მესლამანი მეშატაანები თამთა მხარგრძელს ქართველ ქალს — gordjiet — ემხანათ¹⁸.

როცა ივანე მხარგრძელი გარდაიკვალა, იგი პლანდავანქის ეკლესიაში დაუმარხავთ. კირაკოს განმაცელი წერს: «ასრულდა ივანე, ძმა ზაქარიასი, და დაედეს იგი პლანდავანქში, ეკლესიის კარს, რომელიც თვით ამშენა, ჩამოართვა სომხებს და ქართველთა საენად დაამტკიცა¹⁹. (რუსული თარგმანით: Иване «похоронили в Пегендананке отнятом им у армян и перестроенном для грузин») 20.

შიამიტად უნდა ვიკითხოთ: ეროვნებით ან სარწმუნოებით სომეხი რად წაართმევდა სომხებს ეკლესიას და ქართველებს რად დაემტკიცებდა?

სხვათა შორის, თუ როგორი სომეხი იყო

ივანე მხარგრძელი, კარგად ჩანს ერთ ამბით. ვარდანი გვიყვება: თურმე ერთდღე მდებდელი სახელად პარკეშტი, სომეხ მკრთმუნებებს მკრთმუნდნად მიუწინვითა და მის საფლავზე სალოცავად დადიოდნენ. ამის მხილველი ივანე გაბარზებულა, მღვდლის გვამი ამოუთხრავინებია, დაუწვევინებია და მორწმუნეთა დასაცინად პარკეშტის საფლავზე ძაღლი დაუკვლევინებია. ამ ამბით ისე დასწვია ვარდანს გულო, რომ იგი ეციმტკიცებს. ამ მკრთმუნობისათვის დამარცხდაო ივანე მხარგრძელი გარისნი²¹.

იმავე ვარდანის გადმოცემით, როცა 1212 წელს ზაქარია მხარგრძელი მიიკვალა, მისი ხუთი წლის ბიჭი შანშე ივანეს ცოლმა ხეაშაქმა მაშინვე ქალეკდონიტად მონათლა თურმე²².

ყოველივე უკვე თქმული, თუ ლოცია არ გვლაატობს, მხარგრძელთა ქართველობის დამამტკიცებელი საბუთებია.

თუ ასეა, მაშინ ვინ არიან ვარდანისა და კირაკოს განმაცელის მიერ მოხსენიებული ქურდნი?

რატომღაც «ქურდნი» (შოიყ) ზოგიერთმა მკვლევარმა გაიგო. ქურთ-ად. მავალი-თად, ოისებ ორბელი წერს: «Кому приходит в голову что причинивший так много огорчений крестоносцам Саладин—курд, что славные в истории Армении и Грузии, славные не только как полководцы, но и как строители культуры князя Долгоруки — курды по происхождению, (ხაზი ჩემია — ა. ბ.) что курдами были в соперничавшие с Грузией в борьбе за сложение государственности на Кавказе и правившие в Иране Шелдадины, что наполювину курдом был писавший по-персидски великий поэт Низами»²³.

სალადინისა და შედადინების შესახებ ვერას მოგახსენებთ, მაგრამ მხარგრძელებისა და ნიშამის მიმართ კი ი. ორბელი უნდა ცდებოდეს.

ჭერ გავიხსენოთ, რომ ქურთების ამიერ-კავკასიაში დასახლება გვიან იწყება. ეს ამბავი ძირითადად მე-16 საუკუნეში მოხდა. 1555 წელს დაიღო ზავი ამიერ-კავკასიის განაწილებისათვის შემოარ თურქეთსა და სპარსეთს შორის. ამ ზავის თანახმად, თურქებმა და სპარსებმა სომხეთი შუა გაიყვეს. თურქებს ერგო ვასპურაკანი, ბაიანუთისა და აღმკერტის ველი. სპარსეთთან სისაზღვრო ზოლის გასამაგრებლად თურქები სომხეთში ასახლებენ სანდო ქურთებს. დაიწყო ჩრდილო მესოპოტამიიდან ქურთების მასობრივი ვადმოსახლება. ისინი სახლდებთან სასუნის შოებში და ვასპურაკანის სამხრეთ რაიონებში²⁴. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ქურთებს არ შეეძლოთ თუნდაც მცირე რაოდენობით ეცხოვრათ ამიერ-კავკასიის რომელიმე სახელმწიფოში. და ამდენად, ამა თუ იმ სახელმწიფოს სამსახურში დაწინაურებულნიყვენ. გარნა, საქმე ის არის,



რომ, როცა ქართულ წყაროებში ქურდ-ებზეა ლაპარაკი, ცხადად და მკაფიოდ ჩანს, რომ რომელიღაც ტომი იველისხმება. ყურძოდ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს:

„აპრილსა დაესხნეს შაბრდისი, დარუბანდელსა და მოსწყვდნეს ქუ რ დ ნ ი, ლეკნი და ყ ი ვ ნაყნი დარუბანდელისანი“.

„და განავო მეფემან ყოველი საქმე შარავინსა, ალაგნა კეთილითა და საბოძვართა ქუ რ დ ნ ი, ლეკნი და თარასნი, მოვიდა ქართლად“²⁵.

ამ ციტატების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქურდნი ისტორიული შარავინს ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ (ქართლის ცხოვრების“ თანახმად შარავნი ადგილიც არის „ქურდევანად“ სახელდებელი: დავით აღმაშენებელმა „სწრაფლ შეკრბა სპა და შევიდა შარავნს შაისსა შეიღსა არბილით-ეთით ვიდრე ქურდევანამდი“²⁶...), მაგრამ მართლ შარავინ არ უნდა ყოფილიყო მათი საცხოვრისი. აი, ახლა ენ უნდა ვაგიხსენოთ ნიზამი. „ისტანდერ-ნამეში“ პოეტი ამბობს:

„დარ აზბაზ ქორდისთ ადი ნეყად“ — აზბაზეთში ერთი ქორდია ადის შთამომავლობისა²⁷.

აქ აფხაზეთი მთელ საქართველოს ნიშნავს. ეს არავისთვის საღაო არ არის. მაგრამ ვის აღნიშნავს „ქორდ“? ე. ბერტელსი ფიქრობს, რომ „ქორდ“ „ქურთს“ ნიშნავს და სპარსულ ტექსტს ასეც თარგმნის რუსულად. მაგრამ ეს „ქორდი“ საქართველოს მეფეა, რომელსაც სახელად დუჯელ ჰქვია. ნიზამის უკვე აღდგენილია, რომ საქართველოს ქურთი მეფე არ ჰყოლია. მასსადავად, შეუძლებელია „ქორდ“ ნიზამის ტექსტში „ქურთს“ აღნიშნავდეს. მართალიც ასეა. XVII საუკუნეში შედგენილი სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონი „ბორჰანე ყათე“ გვეუბნება — ქორდი უძველესი ტომის სახელია, რომელიც ზოპაქის ტომზე ადრე ცხოვრობდაო. ქორდის სიტყვის თვალსაზრისით, „ბორჰანე ყათეს“ ცნობას ეთანხმება ნიზამიც: ადის შთამომავალი არიანო ქორდები. ყურანის მიხედვით კი, აღ-ი ხალხის სახელია, რომელიც თურმე წინაწარმეტყველს, ე. ი. მუჰამედს, არ დაუმორჩილა და გაანადგურეს. აქ შეუძლებელია ჯუანშირი არ ვაგიხსენოთ: როცა ვახტანგ გორგასალმა და სპარსთა მეფემ აბაშეთს ილაშქრეს „და წარმოტყუენეს აბაშეთი ყოველი“, მაშინ „განყენა მეფემან სპარსთამან აბაშინი ორად: და ნახევარნი დაუტევნა ადგილსავე ზედა, და ნახევარნი წამოიყანა ვითარ სახლი ათასი, და განყენა იგინი ადგილითა-ადგილად. და ესენი არიან ქუ რ დ ნ ი, ნათესავნი იგი რომელ წარმოტყუენნა აბაშთაგან“²⁸.

ჩემი აზრით, სამივე წყარო ერთსადაიმავეს ამბობს: ქურდნი-ქორდნი უძველესი ტომია, რომელიც სპარსეთიდან ამერ-კავკასიაში, ყურძოდ საქართველოშიც, ვადმოუსახლებიათ, რაღაც ისტორიული ძნელებლობის გამო. იქნებ ამას

გელისხმობს „ისტორიანისა და აზმინს“ ცნობაც: მხარგრძელები იყვნენ ერეკლევიერტაქსერქსი მხარგრძელისაო.“
ხ ი ზ ა მ ი რ ი თ ე ნ ა

მაგრამ ამით მაინც ვერ დავკმაყოფილდებით. როგორც ირკვევა, ქურდ-ქორდს XI-XII საუკუნეებში უკვე „ქართველს“ შესატყვისად ხმარობდნენ. ვიორგი წერეთელი „არაბულ-ქართულ ლექსიკონში“ ეთონინოს „ქურდ-ქორდ“-ს ასე განმარტავს: „1. ქურთები, 2. ქართველები (ტერმინი, რომელსაც ხმარობდნენ გაჩვეულ ეპოქაში მუსლიმანები ქართველებს აღსანიშნავად)“²⁹ ვიორგი წერეთელი „არაბულ ქრესტომათიაში“ იმორწმებს არაბ ისტორიკოსებს ილაკაჟანდისა (XII ს.) და ალი-მარის (XI ს.): „პირველია სახელწმიფო გურჯისა მართამადიდებულ ქრისტიანთაგან, ამბობს „თარიფში“ და იწოდება მუსლიმანებში „ქურდ“ და ქრისტიანებში „ქურჯ“ და დედაქალაქი მისი თბილისი“³⁰

აქ უნდა მოვიშველიოთ ალექსანდრე გეაზარიას დაკვირვებაც. იგი ნიზამის „ქორდის“ განმარტებისას ამბობს: „ქურთი“ აქ არაფერ შეაშია. მაგრამ შეიძლება ეს „ქორდ“ „ქართველ“-საც ნიშნავდეს“³¹ ასევე ფიქრობს აზერბაიჯანელი მკვლევარი დილარა ალიევა: «Следует отметить, что Низами говорит о том, что в Абхазии есть курд, имеет в виду грузина»³². რაკი ასეა, იქნებ სხვა თვალთ შევხედოთ დიდი ნიზამის სიტყვებს:

„ვარ მადარე მან რაისეი ქორდ“ — თუ კი დედაჩემი რაისა ქორდი... (მკვლევრები „რაისა ქორდს“ კითხულობენ „ქორდთა ქალბატონად“) და ა. შ.³³

სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ „ქურდ“-ებს იცნობს „ვეფხისტყაოსანი“. ტარიელის ძებნად წასული ავთანდილი სამ ძმას შეხვდება. ერთერთ მათგანს ტარიელმა მათარხით თავი ვაუხვებოქა. ეს ძმები ავთანდილს ტარიელის ვზა-ჯვალს მოასწავლიან. მერე ის იყო, ავთანდილმა ტარიელი იპოვნა. მათ დიალოგ-შია სწორედ ქურდნი მოხსენიებულნი.

ავთანდილი:
„იქანამდის მნახავიკა კაცი შენი არ მენახა, ქურდნი ენახენ, რომ თქვენთვის სიტყვა რაჲ ვაუშვავხა, მათარხითა ჩამოგვედო ერთი, მკედართა დაგვსახხა, მათ მასწავლეს, ძმა რომელთა სულ-მობრძაი სამე ვლახა-ა“.

ტარიელი:
„კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დანამწამება, მას ვავეტყევი, ვისგანაც ჩემი არა ვცნა ამება, მათ ქურდთა შილმა გამეგო მე არას არ მეწამება, ავად მშენოდა მორეცნა და ჩემი დათამამება“.

ასე წერია „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემაში (სტროფები 291, 295). პოემის ახალსაბუთო გამოცემაში „ქურდნი“ შეცვლილია „თურქნი“-თ. ვიციოხე, რატომ შეიცვალა-მეთქი და მიასუხეს, ხელნაწერთა უმრავლესობაში „თურქი“ წერიათ. იქნებ არ ღირდა შეცვლა? ქურდ-ებს ქართულ ტომონიშვანში დაუბოძებიათ კვლი:

„მეხუთე მისცა ვარზმანს და მისცა კოტხანოთან ქურდის-ტყვამდე“...³⁴

„რამეთუ გააგეს პირველად აღება ჭავჭავთონისა, თმოგვისა და ახალქალაქისა, კვალად თრიალეთისა და სომხეთისა, ვინათგან ქურდგაპირისა იქით ვასდგომოდავე ყოველი სომხითი“...³⁵

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვანიჭებს დავასკვნათ:

ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენიებული „ქურდ“-ი ქურთი არ არის. ქურდნი ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში დასახლებულან ვახტანგ გორგასალის დროს, თუ უფრო ადრე არა. ისინი იხე შერწყმან ქართის ტომს, რომ ერთ პერიოდში (კერძოდ XI-XII ს. ს.) მუსლიმანებისათვის „ქურდი“ ქართველის აღმნიშვნელი ეთნონიმი გახდარა. ვარდანის და კორაყოს განძაყელის მიერ მოხსენიებული „ქურდიც“ ამ ტომს გულისხმობს.

XII-XIII ს.ს. საქართველოში მოღვაწე მხარგრძელთა რელიგიური აღმსარებლობა ქართულ მტკიცებულებებში სავანეებშიც არ აღენიშნა. აღბათ, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ისინი ქალკელონიტები იყვნენ. სხვათა შორის, ამას ადასტურებს ვანის მონასტრის შეწირულების სიგელი, რომელიც რომელიღაც სარგის მხარგრძელს გაუცია. თედო გორდანას ვარაუდით ეს სიგელი 1212-1227 წლებშია დაწერილი. ბუნებრივია, ეს მხარგრძელი ქალკელონიტია. ანტიქალკელონიტი დიოფიზიტურ მონასტრის მამულს არ შესწირავდა და არც წყევლას დაუყოლებდა: „ვინცა და რამინც გუარზან ქრისტეანემან კაცმან, ვინა უღაბნოსა შინა ჩემსა მყოფმან რამსაცა მიზეზისა მოღებთა შეცვალოს, შეცვალებულმა არს სჯელისაგან ქრისტეანეთასა და განურისხდებისცა ჭეშმარიტი ღმერთი“.³⁶ ამას უნდა დაემატათ კიდევ ერთი დოკუმენტი: დაეთი მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა ბანუშ-ჩანს ხეობაში ხანსოტაქის ეკლესიის სომხური წარწერა³⁷. იგი თარიღიანია და შესრულებულია 1213 წელს. წარწერაში იხსენიებიან სარგის და ზაქარია მხარგრძელები და ვინმე გრიგოლ და სარგის ძენი ქართველისანი. ამ წარწერის მიხედვით, გურკვეველია ვინ არიან გრიგოლ და სარგის, მაგრამ მხარგრძელთა საგვარეულოს რომ ეკუთვნიან, ეს ცხადია. ზოლო, რას ნიშნავს „ქართველი“? რაში ერთი? ან საჩქმუნოებით ქართველს (ქალკელონიტს) გულისხმობს, ან მამაკაცის სახელია. ზვენი პოხიციის გასამარგებლად რაი-

ვეს მნიშვნელობა აქვს: მხარგრძელები სარწმუნოებითაც ქართველები უნდა იყვნენ. მხარგრძელთა ვაგრაში მამაკაცი ქალკელონიტები უნდა იყვნენ „ქართველ“.

სავანეებშიც მართლად მხოლოდ ძმები მხარგრძელების ანტიქალკელონიტობა მითითებული. აქ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ დიოფიზიტობის ერთგული და მონოფიზიტობის მოძულე ქართველი შემატანე სრულიად არ ბრახობს ზაქარიას და ივანეს ანტიქალკელონიტობის გამო. პირიქით, ძმებს ქება-დიდებას ასხამს და მათ საჩქმუნოებრივ აღმსარებლობას გაყრით აღნიშნავს. რამ გამოიწვია შემატანის ასეთი ტოლერანტობა ზაქარიათა საჩქმუნოებრივი ერესის მიმართ? (დაეუწყა ივანეს ანტიქალკელონიტობის ცდუნება, რაი მერე იგი ქალკელონიტ გახდა). რისთვის მიუტევეს ზაქარიათ? წუთუ მხოლოდ სამეფოს წინაშე დიდი დამსახურების გამო? მაგრამ განა ვახტანგ გორგასალმა მცირე საშაზური გაუწვია ერსა და ქვეყანას, რომ დაეკვებულმა მიქელ ეპისკოპოსმა, მეფე ცეცხლთაყვანის მიყვებულ ხომ არ გახლათ. „განართა ფერტი და მოამთხა პირსა შეფისანა ვანდაკითა და შემუსრა ცილი მისი“? ზაქარიას ანტიქალკელონიტობას უბრალო პირა არ უნანს. იგი უფრო რთულ მოვლენას უნდა უვანდობდებოდეს.

საყოველთაოდ ცნობილია და ამის გამო სიტყვას არ ვავაგრძელებ, რომ ქართული ერთგული თვითშეგნება და საქართველოს სამეფოს გაერთიანება იდეოლოგიურად ქართველმა ეკლესიამ მოამზადა. ეს ერთგული ერთიანობა გამოიხატა ფორმულით: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ იღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ვამი შეწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღსრულებას“ (ვირიტი მერჩულე).

ერთობილი საქართველოს მეფეებს აწუხებდა ქართველთა და სომეხთა საჩქმუნოებრივი განხეთქილება. ეს რელიგიური შედეგი ხელს უშლის ქრისტიანული კავსიის გაერთიანებას მამამლიანური აღმოსავლეთის წინააღმდეგ. ქართველი მეფეები ცდილობენ შეარიგონ რელიგიური მტრები. ვერ იყო და დღით აღმაშენებელმა მოიწვია საეკლესიო კრება და შესარიგებლად ნიადავი მოსინჯა. მედგრად დაუცავთ თავთაენითი პოზიციები ქალკელონიტებსა და ანტიქალკელონიტებს. კრებამ მიზანვერ მიადწია. მერე თამარს გაუმართავს სიტყვისგება. ვერც ამ პაექრობას უშველია საქმისათვის: მტრები მტრებად დარჩენილან. თუმცა, წერს ქართველი შემატანე, კათოლიკოსმა იოანემ დაუშტკიცა სომეხებს, რომ ჭეშმარიტი დიოფიზიტური მოძღვრება და არა მონოფიზიტური, ამ სიტყვისგებას ძმები მხარგრძელებიც დასწრებან. იოანე კათალიკოსის სიტყვის შემდეგ, ივანეს უთქვამს ზაქარიას-

თვის: „ნათელვლილზე სარწმუნოებასა ზედა ქართველთასა“. ზაქარიას არ დაუყრებია ძმის რჩევა-დარიგება და ანტიქალკედონიტად დაჩვენია: „ზაქარია ეგოვე ურწმუნოებასა ზედა“.³⁸ სომეხი მემატიანე ვარდანის ივანეს ქალკედონიტად ვახლოვანს სხვანაირად გადმოგვეყვამ: თამარ დედოფალმა შეაქდინაო (რუსული თარგმანით: «Иване облыщеный царшею Тамар, изменил своей вере») ³⁹. მართალია, ზაქარია სიკვდილამდე ანტიქალკედონიტი დარჩა, მაგრამ შიშის გამოსწვევის ვარდანის სიტყვეებში საყვედური ამირსპასალარის მიმართ: «Старший его брат, Закаре, хотя и остался верен прежней родной вере своей, однако несмотря на это...»⁴⁰. და ა. შ. რა არის მიზეზი ამ საყვედურისა? საყვედური რეფორმა, რომლის მოხდენაც უნდოდა ზაქარია მხარგამცელს. სწორედ ეს რეფორმა ავიხსნის რა აზრითა და რა მიზნით იყო ზაქარია მხარგრძელი სარწმუნოებით სომეხი.

ვარდანისა და კირაკოს განმავლელის სიტყვით, ზაქარია მხარგრძელს მოუსურვებია ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული ჩატარებულყო 15 აგვისტოს, ხარება — 6 აპრილს, ყვარის ამალღება — 14 სექტემბერს, შობისა და პასექის კვირადაღნი საღამომდე არაფერი ექმათ და ხსნილის მიღება მომხდარიყო მხოლოდ ზღვითა და ზეთით, ბერებს არ ექმათ ხორციელო, წირვა ჩატარებინათ არა მხოლოდ მიცვალებულთა, არამედ ცოცხალთა მისახსენებლადაც, და ბოლოს, წირვა შესაძლებელი ყოფილიყო და ცის ქვეშაც.⁴¹

ვიღრე ზაქარია მხარგრძელი ამ რეფორმის განმორციელებას შეუდგებოდა, წერილი ვაუგზავნა კილიკიის სომეხთა მეფეს ლეონ მეორეს. ზაქარია ითხოვდა, აზრი გამოთქვით კილიკიის სომეხთა მოძღვრებს, რამდენად იყო მიზანშეწონილი ზემოთ მოხსენიებული რეფორმის ჩატარება. ვარდანის სიტყვით, კილიკელები დავთანხმდნენ ზაქარიას,⁴² ხოლო კირაკოსის ცნობით, არა თუ მართო დაეთანხმდნენ, არამედ მსგავსი რეფორმა თავადაც ჩატარეს კილიკიაში.⁴³

კი მეგრამ, რად სწირდებოდა ზაქარია მხარგრძელს კილიკიის სომეხთა მეფის და კათალიკოსის ნებართვა? საქმე ის ვახლავთ, რომ სომხურ ეკლესიაში ორი მიმართულება ებრძოდა ერთმანეთს თავგამებებით — ქსენოფილური და ქსენოფობური. კილიკიელი საეკლესიო მოღვაწენი ქსენოფილურად იყვნენ განწყობილნი, ხოლო ახპატ-სანაინის სკოლის მოძღვარნი — ქსენოფობურად. ახპატ-სანაინის სკოლა ჩრდილო სომხეთში არსებობდა და ეს მხარე მაშინ მთლიანად საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემოდიოდა. ახპატ-სანაინის სკოლის კონსერვატივში გაპირობებული იყო შიშით. „საქართველოს

ფარგლებში მოქცეულ სომხობას ისედაც თავზარი ეცემოდა საზოგადოებრივ-ეკლესიონიტთა ანუ დიოფიზიტთა და კერძოდ ქართველთა და სომეხ-ქალკედონიტთა მხრივ. ასეთ პირობებში ანტიქალკედონიტ სომეხებს, ისედაც დინინებულთ და ამავე დროს ყრუ და მიუდგომელ ზემოებში კარჩაეკტილთა და ჩაწყვედულთ, ყოველგვარი ნოვატარიზმა და წინამართობა ტრადიციების შელახვა, ასიმილიაციის მომასწავებელ სიმპტომად მიჩნდათ, წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.⁴⁴ სულ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ სარწმუნოებისადმი კილიკიელ სომეხებს. ისინი გრძობდნენ, რომ თურქ-სელუქთა მამაქალიანურ ზღვაში თავისუფლებას მხოლოდ ბიზანტიასა და გვაროსნებთან კავშირით თუ შეინარჩუნებდნენ. ამიტომ ბერძნული ეკლესიის მოთხოვნებს ანგარიშს უწყევნენ და ჭიუტად არ იყავენ ანტიქალკედონიტობას. უფრო მეტიც, გვაროსანთა ვაჟილნი, კილიკელები სახელმწიფოს მართვის სიტყვასაც კი ცვლიან. შემოღის ევროპული ტერმინები: ჯანდლერ (ჯანდლერ), ვუნდტაბლ (კონეტაბლ), მარაჟატ (მარშალ), სინიჯალ (სენეშალ) და ა. შ. ამით არის გაპირობებული მათი ლებერალიზმი.

სომხური ეკლესიის ამ ორი მიმდინარეობის შესახებ ისე ლაპარაკობს სომეხი ისტორიკოსი ნ. აღონცი:

«Византия и Рим оказывали давление на армянскую церковь через Рубенидов (კილიკიის სომეხთის მმართველი დინასტია — ა. ბ.). Они рассчитывали укрепить союз с армянами, который был им дорог в виду крестовых походов, на почве вероисповедной солидарности». Рубенидские же князья, надеясь обеспечить посредством такого союза свое политическое существование среди мусульманских государств, шли навстречу течению, направлению против церковной обособленности. Князь Леон готов был осуществить унию даже насильственными мерами, лишь бы получить царскую корону. Мысль об унии встречала сочувствие в тех представителях церкви, которые были воспитаны в новой киликийской сфере, проникнутой западным духом. В главе их стоял Нерсес, епископ ламбронский (ум. В 1198)... Против него и его единомышленника, католика Григория Отрока (ум. в 1193 г.), вооружились Григорий сын Тутей (Тутеорди) и Давид Кобайрский из ахлат — саваниской школы. Они занимали крайнюю позицию в вопросе учения, либерализму киликийцев противопоставляя преданность саваниской школы заветам старинны»⁴⁵.

ვინც რეალურ სიტუაციას ითვალისწინებს, ის ყარვად ზედავს რომ რელიგიური გაერთიანება ერთნაირად ხელსაყრელია ბიზანტიის,

კილიკიის სომხეთისა და საქართველოსათვის. რელიგიური უნია დიდი ძალა მამაქალიანური რეაქციის წინააღმდეგ. ამასთანავე ჯვაროსნება მოკავშირებად ხდება შესაძლებელი. აღმოსავლეთის სამხედრო ჭრილობაზე სახელმწიფო (ბიზანტიის, საქართველოს, სომხეთის) შეუძლია ჯვაროსნები გამოიყენოს და თურქ-სელჯუკთა ძლიერება სამუდამოდ გატეხოს წელში. მაგრამ საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემაჯავლო სომხური სამთავროების საეკლესიო მეთაურნი იმასაც ზედაევენ, რომ სარწმუნოებრივი ერთობა სომხობას ასიმილაციით ემუქრება. ჩრდილოეთ სომხეთში სახელმწიფოებრიობა დაკარგა. ერთადერთი, რაც სომხობას ეროვნულ მეთაურს უნარჩუნებს, სარწმუნოებაა. ამიტომ ისინი მტკიცედ იცავენ ჭველ ორთოდოქსიას. საქართველოსა და სომხეთის ინტერესები გაიყო. ასეთ სიტუაციაში ქართული სამეფოს მოთხოვნებზე ფრთხილად უნდა განხორციელდეს. ძალდატანება კიდევ უფრო გაამტკიცებს და გააძლიერებს სომხეთს წინააღმდეგობას. საქარა რბილი, შემშარავი პოლიტიკა. ამის განხორციელება შეუძლია კაცს, ვინც ყოველგვარ ნდობას მოიხვეჭს. ამ ნდობის მოსახვეწად სჭირდება ანტიპალეოდონიტობა ზაქარია მხარგრძელს, მხითარ გომის სულიერი მამობა და კილიკიის სომხეთს სამეფოს მეთაურთა დასტურია.

ანტიპალეოდონიტი ზაქარია მხარგრძელი სომხური ეკლესიის ქალეოდონიტურ რეფორმას მოითხოვს (ეს საქართველოს სამეფო კარის დავალებაა. ეს სჭირდება საქართველოს ქრისტიანული კავკასიის გავრთიანებისათვის). ამ მოთხოვნას კილიკია ეთანხმება (ეს სჭირდება კილიკიის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად). არ ეთანხმება მხოლოდ ახაბტ-სანაინის სკოლა. ისინი არკვად ზედაევენ მოახლოებული ასიმილაციის საფრთხეს.

გამარჯვების მისაღწევად ბეწვის ხილზე გავლა აუცილებელი. ზაქარია მხარგრძელმა ვერ გათარა ბეწვის ხილზე. სომხური ეკლესიის მოძღვრებმა უარი უთხრეს და რეფორმა არ გატარდა. ჩვენო, უთქვამთ სომხს მოძღვართ, ამის შემდეგ გვაიძულებენ ყველაფერში მივყვეთ ბერძენთა და ქართველთა მოძღვრებასო (რუსული თარგმანით: «Статья может, что после этого нас принудят во всем следовать учению греков и иверийцев»⁴⁶).

ემსაქური ჩინაფიქრი ემსაქურადღე იქნა ამოცნობილი. თუმცა ზაქარია მხარგრძელს თავგაბრტყებით უბრძოლია რეფორმის გასატარებლად. ამ მხრივ საყურადღებო დეტალებს ვაძმოგვეცემს კირაკოს განძაკელი. 1207 წელს ანისში მოწვეული კრება კინალამ ჩაშლია. მხითარ გომს ავადმყოფობისა და უძღურობის გამო უარი უთქვამს კრებას დასწრებოდა. კრების მონაწილეები აღშფოთებულან: ზაქარიას მიერ

წამოყენებულ რიტუალურ და ეროტოლოგიურ საკითხებზე მსჯელობა მხითარის დაუწრებლად შეუძლებელი მიუჩნეოდა. ხელმწიფედ მიემართავთ თხოვნით: მხედრობითიდან ერთხმად გაეკეთ ასუსთო. ზაქარიას ყველაფერი ვაეკეთებია იმისათვის, რომ ანისში ჩამოსული მხითარ გომი ჯერ მასთან მისულიყო სასახლეში და მერე წასულიყო კრებაზე. ასეც მომხდარა. ამ ამბავმა იმდენად გააბრაზა სომხეთსა მხედველობა, რომ საშინლად აძაგეს თურმე მხითარი და ისიც კი უთხრეს, რასაც მხედრობითი მთავარი ჩადის ანტიპალეოდონისტთა მიმართ, სულ შენი რჩევით იქმსო.⁴⁷

მაშინდელ სომხეთში მხითარ გომს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. ზაქარიას და ივანეს სობენით, როგორც კირაკოს ამბობს, მხითარს წიგნიც კი დაუწერია ანტიპალეოდონისტთა დასაცავად. ბუნებრივია, ასეთი კაცის მიმხრობა დიდად შეუწყობდა ხელს ზაქარიას გაეტარებინა საეკლესიო რეფორმები. მაგრამ ახაბტ-სანაინის სკოლის მოძღვართა კონსერვატიზმი და შიში — არ დაეკარგათ ეროვნული სახე — იმდენად დიდი იყო, რომ უნისის საქმეს ვერც მხითარ გომის ავტორიტეტმა ეშველა. ტრადიციის დაცვა და კონსერვატიზმი მათ ჭველ-რბილში ჰქონდათ გამჭარბო. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კილიკელი ნერსეს ლაშქრონელს ახაბტ-სანაინის სკოლის მოღვაწეებს ეპყურებენ, უმეცართ, უნიჭოთა და საყოღავეებს ეძახის, ხოლო გრიგოლ ტუტეორდის და დავით ქობაიძელს ლირფ და მყეფარ ძალღებად მოიხსენიებს.⁴⁸

საქართველოს სამეფოს შესვერებს სომხეთსა ქალეოდონიტებად მოქცევაზე ხელი არ აუღიათ. როცა ტუბლი სიტყვით და დაამჭრული ენით არა გამოვიდა რა, გადაწვევებით, ძალას მიემართოთ. ლამა გიორგისა და ივანე მხარგრძელს, კირაკოს განძაკელის სიტყვით, გადაწვევებითი ჰქონდათ, ყველა სომხის ქართულ რწმენად მოქცევა, ხოლო მოწინააღმდეგეების ხმლით გაწვევა. (რუსული თარგმანით: «Обратить в грузинскую веру всех армян, бывших под их властью, а сопротивляющихся истребить мечом»⁴⁹.)

როგორი ვახვიადებელიც არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფალთა ეს გადაწვევითობა, იგი მაინც სინამდვილის ანარკელია და მკაფიოდ ვეუბნება, რა აზრით და რა მიზნით იყვნენ ძმები მხარგრძელები ანტიპალეოდონიტები.

არც ამ განზრახვას ეწერა განხორციელება. მალე ქალაღედინმა და მონღოლებმა დააქციეს. საქართველო და სომხეთი. მამაქალიანური აღმოსავლეთის წინააღმდეგ ჭრისტიანული კავკასიის გავრთიანების ცდა საბოლოოდ დამარცხდა.

მონღოლთა ბატონობის დროსაც მხარგრძე-

ლები ერთგულად ემსახურებიან საქართველოს სამეფოს. ქართული მადრიანე უკანასკნელ მხარგრძელს გიორგი ბრწყინვალის მეფობის დასაწყისში მოიხსენიებს. მერე მათი ხსენება აღარ ვხვდებით. არ ვიცით, რა ბედი ეწია ამ ძლიერ ფეოდალურ გვარს, რა საბედისწერო შემთხვევამ დაღუპა იგი. ეპითალომწერლის თხზულებას აქვს ერთი ჩანართი: „რა ღრო დაიცა მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინებით მიუდგენ. კახთს ციხეზედ მოაწვივა და ამოსწყვტა, იმერს და ამერსნი ვაჟმართა, და დაპყრა ნებისაგერ ყოველი საქართველო“⁵⁰ ისტორია არ არის მორალურ ვატივობათა დემონსტრირების ასპარეზი, აქ სინხლიანი ტრაგედია ხშირად ტრიალებს. ვინ იცის, ამოწყვეტილთა შორის მხარგრძელებიც ერთვნი. ისინი ზომ სომხითარი ერისთავნი იყვნენ ნიილიანა ამ ხოცვა-ჟლეტას გენისხმობდეს ეპითალომწერლის, როცა ამბობს, „ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკრველისა და საშინელის თქმად“. ასეა თუ არა, ერთი ცხადია: გიორგი ბრწყინვალის შემდეგ, მხარგრძელთა გვარი ისტორიის სარბიელზე გაქრა.

გვიან, ერეკლე მეორის დროსა და მე-19 საუკუნეში სომეხ აზნაურთ არღეთთან-არღეთაშვილებს მხარგრძელობის პრეტენზია ვაუჩნდათ. მეცხრამეტე საუკუნეში ისინი Аргунинский-Долгоруков-ებად იწოდებოდნენ. მაგრამ როგორი მხარგრძელები იყვნენ არღეთაშვილები, ამას იოანე ბატონიშვილი ვეამცნობს. „ქალაქ სობაში“ აღწერილია, როცა რაზმი ვაჟიდა ავოლაკე ბერი იონა ზელაშვილი სანანის და სოლომონ არღეთაშვილს სტუმრად ეწვია. შეხვედრისას იონა ასე შეესალმა სოლომონს — გამარჯობა, მხარგრძელი — და ხმაში ირონია გაერია. სოლომონი მიხვდა იონას ირონიას და ქითხა: როცა მხარგრძელი არა ვარო? მაშინ იონამ ასეთი რამ მოახსენა სოლომონ არღეთაშვილს:

„ნუ გამოწყრებით, თქვენ განჯელი ბრძანდებით, რანიდამ მოსრულნი ანუ ყარაბაიდიამ, ვანკის არღეთა სომხის შვილია, რომელიც იყო ბუნე ზაქარია მხარგრძელია, მოსრულნი მის ხანას დროსა როსტომ მეფისასა. ხოლო მაიარ-ბაშმან რა გაეროვა ნადირშასთან მეფეს თეიმურაზს და ირაკლის ქართლი და კახეთი, და აბდულაბეგ ვადაყენა, მერეთ მეფემან გიბოძათ აზნაურობისა ხარისხი და სასაფლავო და სოფელი ესე. ვარნა ძველად ეს ადგილი იყო სომეხთა მეფეთა და სასაფლავოცა, და მერმეთ თამარ მეფის მიერ მიეცათ ესე სასაფლავოდ მხარგრძელთა, სარდალთა მის მეფისათა, და უკანასკნელ ბაშმან შეწმინ, იოსებ ვართაპეტმან, სოხოვა მეფესა ირაკლის გვარის მათის დამტკიცება, და გიბოძათ და მან აგრეთვე და-ვიმტკიცებინათ ამ მეფის ნაპოძების წიგნის ძალით თავადობა მხარგრძელობისა რუსეთის

იმპერატორს პავლე პეტროვის, და სოფელიც გიშოვთ მუნ“⁵¹

ერთი რამ შეეშალა იონა ზელაშვილს, რომ შეეშალა არა ზაქარია მხარგრძელს, არამედ ავგ მხარგრძელს. კირაკოს განმკელი ვეამბობს, როცა ავაგი ვარდაცივალა, შემყვიდრე ვეი არ დარჩაო, შეეშალა მხოლოდ ერთადერთი ასული. ავაგის ვარდაცივლების შემდეგ გამოირკვა, რომ მას უკანონო შვილიც ჰყოლია.⁵² მაგრამ შემტანიან არას ამბობს, რა ბედი ეწია ამ უმამელოს. ერთი რამ ცხადია, მაშის მამულიდან მის არაფერი რაგებია. რამეთუ ავაგის მამული მისასველოს გენცას დაეტოვეს. მერე გენცა დაეთუღემ შეირთო და ავაგის მამული სამეფო საკეთრება გახდა. ალბათ, ერთი ვივაგალაშით თავი მაინც შეინახა ავაგის უკანონო ძემ და შთამომავლობას ბრწყინვალე წარმოშობის ლამაზი ლეგენდა დაეტოვა. რითაც ერეკლეს დროს არღეთაშვილებმა ისარგებლეს და მხარგრძელის სახელი დიმიტკიცეს.

ამით დავსრულოთ ეს მოკლე წერილი და ერთხელ კიდევ გაიხსენოთ მხარგრძელთა ღვაწლი. მრავლისაგან მცირედი და კინი წარმოვთქვათ.

როცა ერთობლ საქართველოს მძიმე განსაცდელი, შინაური შებლი, დაემტკრა, სარგის მხარგრძელი მეამბოხე დემნა ბატონიშვილს განუდგა და გიორგი მესამეს ამოუდგა მხარში. ევეყნის ერთიანობა შეინარჩუნეს და აფანეებულნი დაამხეს.

ზაქარია და ივანეს დამსახურება საყოველთაოდ ცნობილია. ისინი დიდი ქართული საქმის განუხრეველად განმზორცილებულნი არიან.

როცა კობტასთავის შეთქმულების მონაწილენი შეიპყრეს, მათ შორის ორი მხარგრძელიც ერია — ვარამ ვაგელი და სარგის თმოგველი. ისინი ცოტნე დადიანის, თორღვა პანკელის, ევარსლან ბაქურციხელის, შოთა კუპარის, ყვარჯვარე ჟაველის და სხვათა გვერდით თაკარა შრის ექვე ანისის მოედანზე ეყარნენ. ჩარმადან ნოინის სასყელს ვეჯაკურად უმკლავდებოდნენ. მათ შორის არაქართველი არ ერია.

მონღოლთა წინააღმდეგ აფანეებულ უღუღეთოს მხარს უმშვენიებდა ზაქარია შანშეს ძე მხარგრძელიც. „კაცი ყოველთა სათნოებითა შემკული და საინიო“. დავით უღუს დამარცხების შემდეგ, იგი მონღოლებმა შეიპყრეს და ატუწეს. ის კაცი, რომელმაც ფრანცისკელ ბერს სილამაზით აღტაცება მოკვარა, ძალუებს მიუგდეს შესაქმულად.

უკვე აღადგენდა და დამცრობილმა მხარ-

გრძელთა გვარმა საქართველოს ერთი სამსახური კიდევ ვაუწყებ. მანვე მხარგრძელისა და სხვათა შეცდინებით, მონღოლებმა ნება დართეს დემეტრე თავდადებულისა და ნათელი ბეკა ათაბაგის ასულის შვირეწლოვანი ვაჟი საქართველოს მეფედ ეკროსებინათ. მერე ამ პატარა ბიჭს ისტორია გიორგი ბრწყინვალეს უწოდებს.

იგი მონღოლებს განდევნის და ერთობლ საქართველოს კვლავ აღადგენს. მერედა, დაუქრებელი ან კარის დღეს კვლავ აულ ეროვნულ საქმეზე ესოდნა გადაგებული გვიანის არაქართველობა? ჰაი, ჰაი, რომ დაუქრებელია. მგრამ ნთქვამია, სანთელ-საქმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. კვმშარიტად!

დამოწმებული ლიტერატურა

1. გ. მისირაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აქანყების შესახებ („საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966 წ., გვ. 262).
2. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 19.
3. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 129.
4. Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, М, 1861 г., გვ. 169.
5. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, 1960 წ., გვ. 117.
6. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ენაობა“, 1928 წ., გვ. 25.
7. გ. მელიქიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი ამოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“, 1969, გვ. 13.
8. იოანე დრასანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, (თარგმნა ე. ცაგარეიშვილმა) 1965 წ., გვ. 225.
9. იქვე, გვ. 188.
10. ენიმის მოამბე, III, 1938 წ., ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 374.
11. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, ტ. I, 1960 წ., გვ. 21.
12. ვარდანის დასახელებული წიგნი, გვ. 169.
13. იქვე, გვ. 155.
14. კ. განძაყელი, „სომხეთის ისტორია“ (სომხურად), 1961 წ., ერევანი, გვ. 162.
15. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაგ. V, გვ. 173.
16. იქვე, გვ. 174.
17. ვარდანის დასახელებული წიგნი, გვ. 187.
18. История монголов по армянским источникам, вып. II, 1874, გვ. 18.
19. კ. განძაყელი, „სომხეთის ისტორია“ (სომხურად), 1961 წ., ერევანი, გვ. 222.
20. История монголов по..., გვ. 18.
21. Вардан, ст. 176.
22. იქვე, გვ. 172.
23. Памятники эпохи Руставели, Л., 1938 г., გვ. 5.
24. История армянского народа, 1951 г., გვ. 215.
25. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, 1942 წ., გვ. 220.
26. იქვე, გვ. 216.
27. Далара Алиева, Из истории азербайджанско-грузинских литературных связей, Баку, 1958 г., გვ. 19.
28. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, 1942, გვ. 133.
- 29-30. „მნათობი“, 1953 წ. № 12, გვ. 172.
31. იქვე, გვ. 172.
32. დლარა ალიევას დასახელებული წიგნი, გვ. 19.
33. Е. Бартельс, Избранные труды, II, 1962 г., ст. 98.
34. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, 1942 წ., გვ. 153.
35. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 51.
36. თ. ვორდანი, ქრონიკები, ტ. II, გვ. 91-93.
37. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, ტ. I, 1960 წ., გვ. 59.
38. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 90.
39. ვარდანის დასახელებული წიგნი, გვ. 169.
- 40-41. იქვე, გვ. 170.
- 42-43. იქვე, გვ. 171, შენიშვნა, გვ. 170.
44. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ენაობა“, 1928 წ., გვ. 259.
45. იქვე, გვ. 6.
46. ვარდანი, გვ. 171.
47. ლ. მელიქსეთ-ბეგის დასახელებული წიგნი, გვ. 219-220.
48. იქვე, გვ. 259-260.
49. История монголов по..., გვ. 6—7.
50. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 325.
51. იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, 1936 წ., გვ. 223.
52. История монголов по..., გვ. 72.

80 80 80.

ИНДЕКС
76128
0000000000

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ